V 114/3
1931

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი

4

1 9 3 1

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყოველთვიური
საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ორგანო

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
7905

№ 4

აპრილი

Горловский филиал
Библиотека
имени при ЦК ВКП (б)

ᲬᲚᲐᲒᲠᲐᲓᲘ ᲬᲔᲠᲒᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1931 წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიგრაფიტრესტის I ლი
სტამბა
შეკ. № 1059. ტირ. № 1500.
მთავლ. № 754.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბელის ქ. № 13
ხელოვნების სასახლე. ტელ. № 1—65
კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 22, პერიოდსექტორი.

პაოლო იაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოვრება ალიოშა ჯაფარიძესი

ფვირული ემბავი ლექსად

შესავალი

ავტორისაგან: ორი წელიწადია იწერება ცხოვრება ალიოშა ჯაფარიძესი, რომლის შესავალი აქ იბეჭდება. იმედი მაქვს, რომ ის გვირული დრო, რომელსაც ჰქმნიან ალიოშა ჯაფარიძის ამხანაგეები და მეგობრეები, მომცემს ძალას და აღტაცებას ღირსეულის დასაწერად.

უნდა გავტეხო ახალი ახო
ახალ სიტყვების დასაფანტავად,
უნდა იმისი წამალი ვნახო,
რამაც ხალისი ამოათავა.

ახალი ფერით, ნაღდი საღებით
დავატრიალო სიტყვა ახალი
მომავალისთვის ხელშესახები,
და ათრთოლებით შესანახავი.

აქ არ იქნება მთვარის დიდება
და ვერც კვნესაზე რამეს მოძებნი
იწყო ზანზარი ძველმა ხიდებმა
და ჩათახსირდენ მათი ბოძები.

და როგორც არნადს აუწმენდია
კალო მხურვალე ბზის და პურისა
ცალიერია, ისე კენტია,
გადაქცეული მშრალ საჭურისათ,

წარსულზე ფიქრი, ცრემლები, ოხერა,
ამოგდებული გაგონებიდან,
და შთაგონება წასული ოხრად,
წარსულ დღეებთან ჩაკონებითა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყავახანებში, დუქნებში, შხამში,
კვამლში, რეტიან ქალების წრეში
მოხვდა ჩავარდა პოეტი—ბავში,
ნაზი ვით დილით გალობა შაშვის
და ჩქარი როგორც ზაფხულის თქეში.

მას თითქოს ზურგში ლურსმანი ესო,
როცა ეკვროდა გალეშილ დიაცს,
ეზმანებოდა სოფლური ეზო,
და მკერდის წვერზე მისული ტყვიაც.

დამყნილი იყო სარდაფის სკამზე
და ლექსებს დუქნის ტალახში სვრიდა,
და აგინებდა საკუთარ გამზდელს,
ამოვარდნილი სიმშვიდის წრიდან.

და გატყდა კაცი: არ ჰქონდა საღად
არც ერთი კუნთი საკუთარ ხორცის
ამ დროს კი გარეთ ისმოდა რაღაც
რაც ჰგავდა ახალ ცხოვრების ქორწილს.

ამ დროს კი გარეთ, შორიდან შორით
ბრძოლისთვის ჯარი ჩადგა ძმურადა,
პოეტის ყურში ჩამდგარი შმორი,
ამ გამარჯვების ხმებსაც ხურავდა.

და იმის შემდეგ პოეტი დაძრწის,
და ყურში ყოველ წუთში უწივის,
რომ ქვეყნად გაჩნდა ახალი კაცი
და გუთნისდედა რევოლიუციის.

მან გამოზარდა მრავალი მეხრე,
რომელიც გუთანს მოეკიდება,
მისმა სიტყვებმა ფსკერამდე შეხრეს
დამპალი ქვეყნის ავლა დიდება.

ამ მეხრეებში ვირჩიე ერთი,
ვსწირავ ანთებულ ბრძოლის სტრიქონებს,
აშკარად ვიცი, რასაც მე ვსწერდი
ლექსი უკეთესს გამოიგონებს.

მივმართავ იმათ, ვინც ახლა მძმობენ,
და სამუდამოთ არიან დროსთან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოუნგრიოთ, თამამად ღობე
შემოქმედების პატარა ბოსტანს.

იჭვს იჭვი უნდა, აწეულ წარბის
ქვეშ,
ბევრი კარგი დასანახია,
გამოვიტანოთ რაც სისხლში დარბის
და რამაც ძველი რიდე დახია.

მან კი ბრძოლებში ნაცადმა კაცმა
მკერდ დაფატრულმა ტყვიების ეკლით,
მიიღოს ჩემგან ბრინჯაოს ნაცვლად
სიტყვების ბწკარით დადგმული ძეგლი.

გიორგი ქაჯაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა პური

I

მატარებელი მოადგა სადგურს,
წამოდგა ფეხზე საბარგო ბაქანი.
— მოვიდა პური!..
— ბარაქა აქ დუღს!..
ისმის მუშებში ხმები ამ გვარი.
პირი გაუხსნეს მძიმე ვაგონებს,
დადგა გულხარბად დიდი საწყობი...
პურის ტომრები გადმოაგორეს
თეთრ ლოდებივით მძიმედ ნაწოლი.
მინდვრის დოვლათის მოსვლა აცნობეს
საზიდავებმა ქუჩებს განგაშით,
მისცეს სიმსუქნე ყველგან საცხობებს
და სინოყივრე დადგა ქალაქში.
მე ამღერების ცეცხლი მომედო.
ჩუმად კი მკერდში მღეროდა გული:
ვხედავდი: —
ბაზარს,
ქუჩებს,
მოედნებს
ნიშანს აძლევდა საბჭოთა პური.
და ვთქვი: —დაშლია ქსელი ობობას
სადღაა გლეხურ ბეღელთა ბუდე!
ჰა, ეს პურია მისი მოსპობა,
სოციალიზმს რომ საძირკველს უდებს.
დავრჩი სიხარულს...—
მივედი წერტზე.
კუთვნილ ულუფას მოეკიდე ხელი.
გავხედე იქ მდგომთ...
რაღაცას ვეძებ;
მიდგას საკითხად გრძნობები სხვების.
... ჩემს გვერდით ქალმა ქერა თმიანმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გაზეთში გახვია პური,
სთქვა:—არა უშავს.—
თან არც იამა,
არც სხვა მყიდველებს ათხოვა ყური.
მეწყინა რალაც,
დავტოვე წერტი.
ჩქარი ნაბიჯით მოვზიდე ბინა.
მინდოდა წყენა ნქონოდა მეტი,
მინდოდა სიტყვა მქონოდა რკინა.
არ ვიცი რატომ...
არც ღირდა იქნებ,
ვფიქრობდი მაინც,—ვფიქრობდი იმ ქალს,
რომ გავდა ჩვრებში გამოკრულ ფიქრებს
და სიზმარივით ქუჩებში მიჰქრა.

იმან მიიღო პური და ალბად
არ იტყვის:—ვისგან.
არ იტყვის:—რა გზით.—
მისთვის ერთია ხორბალის ტალღა
არის არტელის თუ გლეხურ ბაზის.
ვბრაზდები ასე...
ვბრაზდები, მაგრამ
რა მეთქმის, იგიც ჩვენს შორის ცხოვრობს.
ღებულობს პურის ულუფას აქ და
აქვე მოუდის ცხოვრების წყაროც.

პურის ნაჭერი მაგიდაზე დევს.
გულს გაბრძოლების ცეცხლი უნდება:—
ჩვენს შორის ყველას თუ რატომ დღეს
აქვს ამ ნამცხვარზე ჭამის უფლება.
ვიგინები მას:—
დე, იყოს კრული...
პურის ნაჭერი მაგიდაზე დუმს,—
ეს ნაჭერია საბჭოთა პურის,
რომ ასიმღერებს სისხლსა და გულს.

იგიც ჰიმნია
მინდვრის,
ჯეჯილის.
ასეულების ხელი პატრონობს.
უდგას ნიავ-ღვარს, როგორც ჯებირი,
მთლიან კოლექტივს აგიტატორობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არის დამკვრელთა რაზმის ნაწილი,
უჩანს რიგებში თავგამეტება:—
იკრებს მებრძოლებს,
ფრონტებს გაწვივის,
იცის შრომა და იცის შეტევა.
ბევრგან მოტეხა ცხვირი ნეპმანებს,
ბევრგან ბობოლებს ბასრით მიადგა.
რეკონსტრუქციის წლებში მგზნებარე
კომუნიზმისთვის მართავს ლიანდაგს.

II

დიდო სოფლებო,
ფართობებო კოლმეურნეთა,
პურის მარცვლებო, სადაც უხვად ბარაქიანობთ...
სალამი თქვენ.
გამარჯვება ვიმღეროთ ერთად;
ვუმღეროთ ხორბალს
ველ-მინდვრებო გულმადლიანო.
მე თითქოს გხედავთ:—
კოლმეურნე გლეხებს ულვივით,—
რომ გთავაზობენ შრომას ლაშქრულად.
ზოგან რაზმი სჭექს
დამკვრელების, როგორც ქუხილი,
ლონეს ხორბალის მოყვანისთვის
ერთიც არ შურავს.

ზამთრობით თოვლ ქვეშ
გიღვივდებათ პურის მარცვლები,
გაზაფხულისას მობიბინე ფარჩებს მოისხამთ.
გაგიცინებთ მზე.
ჯეჯილების ჩრდილ ქვეშ გაწვებით
და ფრთებს აგიშლით ნამი წყნარი სალამოისა.
შეხვდებით ზაფხულს ოქროსავით სახე კაშკაშა,
დახრით სიმწიფით დამძიმებულ პურის თაველებს.
დადგება რთველი.
დღის ლაშქარი ასტეხს განგაშს და
ღრმა ღამეებსაც გაათეთრებს ჰიმნი საველე.
ინათებს მთვარე.
დაიკვნესებს წყრომი მუხებში.
იცელქებს სიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის ლაჟვარდზე გამოვა ხომლიც,—
და რომანტიულ ღამეების ცვრიან უბეში
ყაზარმებივით დადგებიან ზვინები ხორბლის.

იხარე მიწავ!
არ მოგაკლდეს შრომის მარჯვენა.
იხარე მიწავ!
დაითაფლე დედის ძუძუებრ.
მიეცეს შენში ჩაწვიმებულ ოფლს გამარჯვება
და მინდვრის დოვლათს მადლიანი წლების სიმძიმე.

გიყვარდეთ ველი,
ჯანის მქონე კოლმეურნენო!
გიყვარდეთ გარჯა ერთიანი:—ყანის ბარაქა.
მახარებს ძლიერ,
არტელების ხმით რომ ძლიერობთ,
და რომ მინდვრები მარშრუტებით მოგაქვთ ქალაქად.
უმღერეთ სოფლებს
კოლექტივის მშენებელ ჰიმნით.
მიეცით ქალაქს სანოვაგის დენი ტალღებად.
ელმაშუქივით მომღიმარი შეგხედავთ იგიც,
და ინდუსტრიის ძარღვგამთბარი ხელით დაგხვდებათ.

წინა ფრთაზე ხართ,
ჩემმა ლექსმაც იმღეროს თქვენზე.
იცით უთუოდ რას აკეთებთ, ტრაბახს არ ჩემობთ.
წინა ფრთაზე ხართ,
მეც ამნაირ ღირსებას ვეძებ,
ახალ თაობას, რომ ახალი ხალხი ვაჩვენო.
მესმის თქვენი სელით
სიძნელეთა გამკვეთელი ხმა,
ძმები, თუ როგორ შეტევათა დღეებს შველიან;
საბჭოთა პურის,
მებრძოლ პურის მკეთებლები ხართ,
და ეს გმირი დღეს კომუნიზმის მშენებელია.
იცოცხლეთ ძმებო,
მხრუნველობით მიხედეთ მარცვლებს,
ოფლმა და ნამმა ახავერდოს მინდვრები ვრცელი.
მოვიდეს პური,
ისეთი, რომ საზღვრებსაც გაცდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომ იქ მხეცსაც აგრძნობინოს კომუნა ველის.
გიყურებთ თითქოს:—
ბინდდება და მღერით მუხებში.
ამოდის მთვარე.
ცის ლაჟვარდზე გამოდის ხომლიც,—
და რომანტიულ ღამეების ცვრიან უბეში
ყაზარმებივით მაღლდებიან ზვინები ხორბლის.

კალე ბოგოხიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი მარცვლები

მზემ გადმოლვარა ალერსი ციდან—
ხეებში ჩადგა სიცოცხლის წყალი,
გადმოქუხს მთიდან წყარო პირწმინდა
და გაზაფხულით ხარობს მერცხალი.

ქედებს დაეტყო ახლა დაღრეჯა,
ცრემლებად ღვრიან ღელეს და ლანქრებს,
მინდორზე ვხედავ იმედ-დაგლეჯილს
უფლება აყრილს—შმაგ მოქალაქეს.

ველს საუცხოო სურნელი უდის
და ხნულებს ასდის მზისაგან ორთქლი,
შემოსევია ტრაქტორთა გუნდი
ვრცელ მიდამოებს ახლად მეფოთლილს.

გადაშლილია ყამირი-ჭალა,
სადაც დღესავით იმედებს ზრდიან,
გლეხი ახარებს ოჯახის ჯალაბს,
როს კოლექტივებს უყურებს მზიანს.

ახლაც... ნადების ზრდისაგან შური
სოფლის მავნებლებს ისევ აწვალებს,
კელავ ხანჯალივით ამართავს სურვილს
ბობოლა გლეხი იმედ დამწვარი.

მაგრამ... კლდესავით ამაგრებს ზღუდეს
კოლმეურნეთა მებრძოლი მკერდი,
რომ მშრომელების დალუპვის მსურველთ
მოახრევინონ გმირულად ქედი.

მზე ისევ აფრქვევს სიცოცხლეს ციდან
და არტელების ყვავილობს ეზო,
— უწინ... ზამთარი თუ ფიფქებს ცრიდა
დღეს—კომუნიზმის მარცვლები ვთესოთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი ლექსი

მზე მტკვარში

აჰა, ცხოვრებამ იცვალა ნირი
და გაიშალა ახალი არე:
მიწამ სხვა მხრისკენ იბრუნა პირი
და სხვანაირად მოცურავს მთვარე;
მზე მტკვარში ჩაწვა: შეკრთა პეპლები
მოედვნენ ტფილისს, როგორც ქალია;
დაცვინდა ღამე დაბლა ფერფლებათ
და სამუდამოდ სული დალია;
შეჰკრა ფოლადმა მტკვარი უტეხი,
სდუღს ქაფ-მოდებით, თითქო შუმია;
და იცქირება შორით მეტეხი,
რომელიც ახლა მუზეუმია!

ტრაქტორი

გაბსოეს, გრიგალი მოვარდა უცებ
და ძველი ქვეყნის დაინგრა კერა;
გადააგიწყდათ დიაკვნებს, ხუცებს,
მაძაო ჩვენო და პიჯვრის წერა.

მოვიდა ხოლტი გუგუნით, ქშენით,
დახედა გუთანს ირიბი ცქერით,—
„ვერ განვლის გლეხი შორ მანძილს შენით“—
უთხრა და წაჰკრა ფოლადის ცერი.

დაიხროტინა გიგანტურ რხევით,
ველი ყამირით გადააშავა...
და გლეხიც, იჭვთა ეკლებზე მსევი,
მიხვდა—გუთანმა რა დააშავა.

ეს იმას ნიშნავს

თუ ძველ ქვეყანას ეალერსები,
ახალი გზები თუ ვერ ასახე,
ეს იმას ნიშნავს, შენი ლექსებით
დრო მოჭმულ ყოფის შხამსა ასალებ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშენებლობამდე თუ ვერ ახველი,
თუ ვერ მოხაზე დამკვრელი ტემპი.—
ეს იმას ნიშნავს, წინ ვერ წახველი,
ეს იმას ნიშნავს, ერთ ადგილს სტკეპნი!

თუ ინდუსტრია ვერ აიკიდე,
ვერ გამოკვეთე სიმძიმე მისი.—
ეს იმას ნიშნავს, ჯერ არ ხარ კიდევ
ქარხნის პოეტის სახელის ღირსი.

ალ. გოგიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ სიმღერაც უნდა ჰგავდეს კლდეების ხლეჩას

ზამთარია და ჩრდილოეთით დგება კავკასი—
კავკასს დაღად აქვს მგელ-მუხლების გზები—ნატორი.
ჩვენ უკან დაგვრჩა ველ-მინდორზე ვლადიკავკასი
მთების სილრმეში მიგვაქროლებს ავტო—„მატორი"...

გზებზე გვხვდებიან მოხევეთა სოფლის ბიჭები—
(მათგან მრავალი მეგობარი ჩემი მგონია).
— მთებში ერთი მზით ანთებული ხმა და ნაბიჯი
ბოლშევიკურად გაუტოლეთ მინდვრის გოლიათს!..

მთიელო ძმებო, თქვენ სიმღერა მოგწყურდათ ისევ...—
მაგრამ რა ვქნა, თუ ძველ-მოტივზე არ მემღერება,—
როცა ლაღუმი კლდის-კიდურებს ღრანტეში ისვრის
მაშინ სიმღერა არ სისინებს ჩალის ღერებად!—

მაშინ სიმღერაც უნდა ჰგავდეს კლდეების ხლეჩას,
რომ შეეთვისოს „ამხანაგ-მთას" რიტმი ბადალი,—
თორემ ისე თუ სიმღერები ძველ მოტივს შერჩა
ანდეზიტივით სად მოვნახოთ ლექსის მადანი!?.

მოხუცთა შორის შემაგინებს ბევრი კიდევაც,
რადგანაც მათი იმედების არ ვქენ დანდობა.—
და ჩემი ლექსით—(ახალ მთას, რომ წაეკიდება)
ვერ დაუბრუნე დაკარგული ახალგაზრდობა!..

...ავტო შეიჭრა დარიალის ხიდიდან—ხევში,
სადაც თერგი რბის და ტალღების არის მარულა.
— აი, იქ კლდესთან—გაბასრული თერგი რომ ხვნეშის
მოხევეები გუშაგობდენ კარებს ფარულად...

ეს იყო წინად—როცა მთებში ქუხდა შამილი,
როცა რუსეთის იმპერია შამილს ებრძოდა.—
მაგრამ დროება გადიკეცა გაშლილ შალივით
და „რუსის ქუსლიც" გადმოვარდა ძველი ღერძიდან!—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გულიც ჩვენი ანთებულა საერთო მიზნით—
და ამ საერთო გაქანებას მოხედე ერთი!—
რომ მთებშიც ღვივის სხივოსანი მზე—კომუნიზმის,
მზეში იწვიან მუსლ-მაგარი მოხევეები!..

დე ასე იყოს: ამღერებულ მთიელთა გულშიც
ცეცხლი ელავდეს შრომის დროსვე ენტუზიაზმის...
დღეს რკალებიდან ის მოვკვეთოთ რაც იყო გუშინ
და სახვალიო გამარჯვების შევქმნათ ზრიალი!..

მე მანდ მოვდივარ!—შემიყვარდა მხარე ქარ-ყინვის,
მე მანდ მოვდივარ! —სად მთა დგება თეთრი ნაბადით.
ხევიდან—ხევში შორს ვილაცა უცნობი ჰყვირის:
— კლდეზე ჰკიდია მონადირე ძველი საბანდით!

გზებზე გვხვდებიან მოხევეთა სოფლის ბიქები—
(მათგან მრავალი მეგობარი ჩემი მგონია)
— მთებში ერთი მზით ანთებული ხმა და ნაბიჯი
ბოლშევიკურად გაუტოლეთ მინდვრის გოლიათს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაქოს პროლეტარიატს

სარეწავების მაღალ კოშკებით
შემორკალული თქვენი ქალაქი
მორთული არის გაშლილ დროშებით
და გამარჯვების ახალ მარაგით.
შადრევანების შუქად იღვრება
შესრულებული გეგმის ციფრები...
ძველი ქვეყანა წელში იხრება
და შემოგყურებს თქვენ განცვიფრებით.
თქვენ წინ მიუძღვით ამ საუკუნეს,
მტრებს რომ თარეში არ დაახანა.
თქვენი ძარღვების ცეცხლით გუგუნებს
ბიბიეიბათი და ბალახანა.
შავი ოქროის უშრეტ ჩქერებით
ძალები ძალებს მუდამ იმატებს.
ხალსიანი გულდაჯერებით
სჭედთ და აშენებთ ახალ გიგანტებს.
ყველა მჩაგვრელებს ძირს დაანარცხებს
სოციალისტურ შრომის გეგმები,
და მთელ მსოფლიოს გადაანათებს
ეს მქუხარება თქვენი ტემპების:—

* * *

გულმა გულთან გასდოს ხიდი,
მზე აერთოს გზაზე,
გაჰქრა ჟამი, თავს რომ ვხრიდით
მტარვალების ხმაზე.
ტემპი ტემპებს აჩქარებდეს,
ტემპმა ტემპი სძლიოს.
დე ქვესკნელი ზანზარებდეს,
ჩვენ კი მთელ მსოფლიოს
ოქტომბრული ქარტეხლით
შევულეწავთ ზღუდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრწოდეს ცეცხლით დამეხილი
სისხლისმსმელთა ბუდე!
გადავლახავთ ყველა ხლართებს,—
გზა არ ვიცით თუ რა.—
დეტერდინგი ღამეს ათევს
და არც სახსრებს შურავს,
რომ მახვილი ჩაგვცეს ზურგზში,
ვერ ვპოვებდეთ შველას,
რაც ვაშენეთ დღეს და გუშინ
მტვრად აქციოს ყველა.
მაგრამ ჩვენი საგუშაგო
ფხიზელია მუდამ;
ეს დამკვრელი სამუშაო
მანძილებს ვერ ზღუდავს.
ჩვენ ხელს ვუწვდით მტკიცე რწმენით
ჩვენს ძმებს—პროლეტარებს,
და შევანგრევთ ტალღის დენით
გადაჯაჭვულ კარებს.
ჩვენ ვაშენებთ დღე და ღამე,
ჩვენ არ ვიცით დაღლა,
გზები ოფლით გადავნამეთ,
რომ ავიდეთ მაღლა,
დაეწიოთ და გავასწროთ
ყველას, ყველას, ყველას,
სიხარულის მზე ავანთოთ
სადაც ჯერ კვლავ ბნელა.
ბრძოლის ცეცხლით გზას ვიკაფავთ
და მტრებს ახრჩობს შური;
ახალ მიზნებს კვლავ ვისახავთ
შეჯიბრებით ძმური.
და ჩვენ ვმღერით, ვმღერით ისევ,
ესმის მთელ მსოფლიოს;
ტემპი გვმატებს სიხალისეს,
ტემპმა ტემპი სძლიოს!

* *

ამიერიდან ყველა ურწმუნოს
თავს დაატყდება რისხვა გუნდებათ,
რამდენიც სურდეთ კვლავ იწუწუნონ,
წარსული მაინც არ დაბრუნდება.

Библиотека ЦК ВКП (б)
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღარ არსებობს ქვეყნად სიძნელე,
არც დაბრკოლების ჯაჭვი-სვეტები,
რომ არ გაირღვეს ყველა სიბნელე
პროლეტარული თავგამეტებით.
კოლექტიური არის ეს ნება,
ბელადის მიერ გამოჭედილი.
ყველა ხლართები გადაიხსნებდა
ელვიან ცეცხლით გადახვეტილი,
გმირული შრომით დამსახურებულს
მიტომ ატარებთ ლენინის ორდენს,
რომ ყველა ქვეყნის შუქმოწყურებულს
თქვენი დროშის ქვეშ მოუხაროდეს...
ძმებო! თქვენს შორის ვიყავ მეც წინად
და მერქვა მაშინ მე „მუშა ვანო“,
ვთლიდი დაზგაზე ფოლადს და რკინას
და არ ვიყავი მაქ უსავანო,
რადგან გვაგზნებდა რწმენა ურყევი:
რომ დავამხობდით ყველა მტარვალებს,
ამ გზას აროდეს გადავუხვევდით
და გადვივლიდით მაღალ ნაპრალებს...
თქვენ ეს გზა უკვე გადაირეთ,
გასჭედეთ სულ სხვა საფეხურები,
ახალ ცხოვრების შუქს ეზიარეთ
და კვლავ წინ მწყობრად მიეშურებით.
სისხლისმწოველნი შორს გადაჭყარეთ
და ბრაზმორეულ მტრებს ეს ახელებს.
შარავანდედით მუდამ ატარებთ
ოცდა ექვს გმირთა ნათელ სახელებს.
ეს გამარჯვება თქვენ მოიპოვეთ
ბრძოლის დროშა რომ ძირს არ დახარეთ.
და თქვენი წრიდან გამოსულ პოეტს
კვლავ თქვენს რიგებში მიხმობთ, მახარებთ.
მონის ულელში კვლავ არ ებმებით
და ბორკილების ხმაც აღარ ისმის.
ბოლშევიკური რწმენით, ტემპებით
სჭედავთ საფუძველს სოციალიზმის.
აღარ არსებობს თქვენთვის სიძნელე,
არც დაბრკოლების ზღუდე-ქედები,
ძლევით მიარღვევთ ყველა სიბნელეს
პროლეტარული თავგამეტებით.

იოჰანეს ბეხერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიადი გეგმა

პოემა

1.

...და აღსდგა ძლევით ადამიანი
ადამიანი დამონებული
კლასის შეგნება
ავსებს მას ძალით.
აჩქარებული უფეთქავს გული
და მოლოდინში ველარ ისვენებს.
რაც იყო წინათ, ის ყველაფერი
მას ეჩვენება უბრალო მტვერათ,
როცა გახედავს დიდი იმედით,
რასაც პირდება დღეს მომავალი.
ოდესღაც, როგორც საფლავის ლოდი
აწვა უსაზღვრო სივრცეთა დენა
და აუხსნელი ამიდის შეცვლა.
მთა რომ მთა არი, ისიც მას მტრობდა
გაუვალ ზღუდეთ წინ ედგა ზღვები.
დღეს ადგილიდან
მან დასძრა მთები.
და განაწესა დენა წყლებისა.
მან მანქანებით დაიმორჩილა
ურჩი ბუნება.
მაგრამ მას ღუნავს მაინც ულელი,
თვით ბუნებაზე მძიმე რომ არი,
იმ ბუნებაზე, რომელმაც თვითონ
არ იცის რაა კიდევ ბორკილი.
რომ არ დაეცეს ბაზრის მაზანდა
კაცი სწვავს ხორბალს.
მიწას აცობენ, რომ გზა დაუხშონ
ამოხეთქილ ნავთის შადრევანს.
შეისყიდიან გამოგონებას
რომ ხალხს მოპარონ ბედნიერება.
ასე აწვალებს დღეს ადამიანს
მეურნეობის უგეგმობა და
კლასიური უსამართლობა.
ის კი უშიშრათ
შორს იხედება
და ხედავს, რომ სდგას
ახალ მიჯნაზე..!

2. სოციალისტური მშენებლობის ხორო

დიადი გეგმა
შესრულდება ოთხ წელიწადში
დიადი გეგმა
განზრახული ხუთი წლისათვის
ერთი ქარხანა მეორეს უსწრობს
დრო დროს წინ ასწრებს.
მაგნიტოგორსკი ეჯიბრება
დღეს დნეპროსტროის.
ასე გაუსწრო ოთხმა წელმა
მთელ საუკუნეს
ჩვენ გავიკვლიეთ დღეს ისეთი გზა,
რაც ძველ დროებას არც სიზმრებია.
დიადი გეგმა
შესრულდება ოთხ წელიწადში
დიადი გეგმა
განზრახული ხუთი წლისათვის.

3. მოწინააღმდეგე

— ჩვენ პარიზის კომიტეტი ვართ.
ვაჭრობისა და მრეწველობის.
გვქვია „ტორგპრომი“.

ჩვენ ყოფილი პატრონები ვართ
მთელი რუსეთის ძველ ქარხნებისა
ნავთის საბუდოს
და ნახშირის სამადნოების.
და ბოლოს კიდევ (არ დაივიწყოთ)
საფრანგეთის გენშტაბი ვართ.
სიამოვნებით ჩვენ განვიხილეთ
გეგმა საიდუმლო
რამზინისა და ლარიჩევის
წარმოდგენილი
ინჟენერთა ცენტრის სახელით.
და გასაყვანათ ამ გეგმისა
ჩვენ გადავდევით
ერთ წელიწადში მილიონი,
ისიც ოქროთი.

4. ამხანაგი, რომელსაც ეეჭვება სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობა

— ოცი წელია
პარტიაში ვარ
იატაკ ქვეშ
ვცხოვრობდი წინათ.
და პოლიციის
მსდევდენ ძაღლები.
ასე დავძრწოდი
საიდუმლო ერთ ბინიდან
სიცივეში მე სხვა ბინაზე.
ჩემი ფილტვების
საეჭვო ხრიალს
აგონდება სამი წელი
მეფის ციხეში.
და ღამე, როცა ძილი წამიღებს
ვხედავ საშინელ ჭუჭყიან კედელს
რომლის წინადაც მე ვიდექი
სამოქალაქო ომების დროს
თეთრ ოფიცრების
ტყვიის პირდაპირ...
მე თვითონ მოვსპე ჩემი სახელი,
როცა ჩავსწერე პარტიის წიგნში.
მე აღტაცებით მივეცი იმას
ჩემი სახელი და მასთან ერთად,
რაც წვრილმანია შეერთებული.
პარტიამ მომცა მაგარი ძალა
იმისმა ნებამ მე გამიტაცა.
პარტიამ მისცა ჩემ აზროვნებას
წესი, რიგი და მიმართულება.
მომცა სიმტკიცე მოქმედებისა
ამავსო კლასის მე შეგნებითა
და ამ მასსების სათავეში
დამაყენა მე ამ პარტიამ.
ოცი წელია
პარტიული მე ვარ მუშაკი
ოცი წელია
პარტიასთან ერთად მივდივარ,
ეხლა დავბრუნდი
პურის დამზადებიდან
ოთხი თვე დავყავ ურალის სოფლებში
იქ გადავდევი ყოველი იჭვი
მაგრამ დღეს მოვალეთ ვსთვლი თავს
გულახდილათ ვსთქვა:
— პარტიამ ძალიან ბევრი
მიიღო თავის თავზე.
პარტიამ ძალიან ჩქარი
აიღო ტემპი.
მას არ ეყოფა
უთუოდ ძალა
დიადი გეგმის
საბოლოოთ
შესრულებისათვის.
ვერ ვეთანხმები
მე პარტიულ ხაზსს.

5. სოციალისტური ამშენებლობის ხორო მაღალ მთებზე ასვლისათვის

ცნობილია, რომ არი მთები
რომელთა სიმაღლეს
ჯერ კიდევ ვერავინ ვერ მიწვდომია.
ექსპედიციები იკრეფენ ძალას
და კვალდაკვალ
ამ მაღალ მთებს უსწორდებიან,
მხოლოთ ეს არი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ამხანაგები
ვინც იყვირებენ
— „უკან“-ო
დაწოლილი რჩებიან გზაზე.
არ ეყოთ მარაგი,
ქარმა კარავი შორს გაიტაცა
სისხლით აივსენ
ჩვენი თვალები.
და უშვერ სიტყვას
უფსკრულ'ში ვნთქავდით
რა სათქმელია
მაღალი მთები
სუსტებისათვის
არ გაჩენილა.
ამ მაღალმთების
ალმართებზე
უფრო ძნელია
სოციალიზმის შშენებლობის
გზა ასავალი.
მაგრამ მასსების
გაქანებას
რა დააკავებს?
შენ ამხანაგო
დაწევი გზაზე,
შენ გვირჩევ ისევ
უკან დავბრუნდეთ
გვიჩვენებ ჩვენ გზის
სიძნელეებზე.
ჩვენც ყურს დაგიგდებთ
დიდ ყურადღებით,
რადგანაც მართლა
ოცი წელი
ჩვენთან იარე.
მაგრამ ჩვენ ტემპებს
არ შევაჩერებთ
და უეჭველათ
უკან დაგტოვებთ.
(და უეჭველათ
ამხანაგო
შენ კარგათ იცი
ვინც ჩამორჩება
ჩვენ არჩეულ გზას
მას ჩვენი მტერი
ეპატრონება
მაღლა აწევენ
წინ დაისვამენ
და აჩვენებენ
— დახეთ ამასო...)
ჩვენ ბევრი ვძლიეთ
მაღალი მთები
ჩვენ ყველა მწერვალს
უნდა დავარჭოთ
სოციალიზმის
წითელი დროშა...

6. რამზინი კითხულობს ლექციებს ძოოტეხნიკურ ინსტიტუტში.

— მე ვკითხულობ ლექციას
მე ვდგევარ
ჩემ შეგირდების წინ
ვარ ხელმძღვანელი
მოსკოვის
მთო ტეხნიკურ ინსტიტუტის.
ჩემი საქმე
მე კარგად ვიცი
შემიძლია ვასწავლო
და ცოდნა გადავცე.
ჩემი ძალა
სდუღს და გადმოდის.
დღეს სულ სხვა არი
წინანდელს არ გავს,
ჩემი მოწაფეები—მუშებია.
აქ ჩამოსულან
სხვა და სხვა კუთხიდან
მინსკიდან და ურალიდან.
გათავდა ლექცია
ჩემ შეგირდებთან
ჩამოვჯექ სკამზე,
მივსწი მოვსწიეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ერთმანეთი.
ერთი მათგანი
ხელს მხარზე მადებს
—ჩვენ ვართ, ძმაო,
ამხანაგები.
მე წარმოვსთქვამ სიტყვას
—კომუნიზმს
ვათვალიერებ.
ჩემ შეგირდებს
ყველას ცალცალკე.
მეც ხომ ვიზრდები
ჩემ შეგირდებში.
ასე ამბობენ
ჩემი შეგირდები
—დიადი გეგმა
შესრულდება ოთხ წელიწადში
დიადი გეგმა
განზრახული ხუთი წლისათვის
დიდი საქმეა
გქონდეს საიდუმლო
ხალხმა არ იცოდეს
და, განაგებდე.
ისე ამ ხალხს
მის წინააღმდეგ
რაც თვითონ იცის.
შენ მე გეძახი
—ამხანაგო
მეც მიპასუხებ
—ამხანაგო!
მე ვუძლებ შენ ცქერას,
რომელიც მზომავს
მე გართმევ ხელს,
რამდენჯერაც გინდა
და არ ვცახცახებ...

7. ადამიანი, რომელიც მიდის მწყობრში

ადამიანი შინ ბრუნდება
დაკეტავს კარებს.
მას უნდა დარჩეს
თავისთვის მარტო.
სანამ რამეს ეტყოდეს ცოლს.
ბერლინში.
ლონდონში.
ვარშავაში.
ჩიკაგოში.
ადამიანი ბრუნდება,
ადამიანი დგას ფანჯარასთან
იცის ამ კაცმა
არ არის სამუშაო
ბერლინში.
ლონდონში.
ვარშავაში.
ჩიკაგოში.
დაუწყვია უსაქმოთ ხელი
მათ შეუძლიათ ასე იწვენ
და უცადონ სანამ წყალში
არ გადნებიან.

* *
*

ადამიანი გამოდის ქუჩაში
და გაჩერდება ვიტრინებთან
წაისაუზმებს
ჰაერის ნაჭერით.
ადამიანი მშიერია.
ბერლინში.
ლონდონში.
ვარშავაში.
ჩიკაგოში.
ადამიანი გამოდის ქუჩაზე
ადამიანი მშიერია
როცა ოთახში გახსნი გაზს
ფრთხილათ უნდა იყო
მეზობელმა არ შეამჩნიოს...
უნდა მაგრათ დაკეტოს კარი.
— ბავშები მაინც არ ყოლოდა!..

8. უცნობი ჯარისკაცი ლაპარაკობს ქარიშხალის ამოვარდნაზე

ჯუნგლებში იბადება ქარიშხალი
ის მიჰქრის დაბლა იან-ძი-ძანუსკენ.
და დანავარდობს სიმინდის მინდვრებზე.

ქარიშხალი ადგას ჩიკაგოს.
და ცის სიმაღლე სახლებს ედება.
უდაბურ ტყეში შეიჭრება
ამღვრევს ჭაობებს
გრან-ჩაკოში.
ინდო-ჩინეთიდან ყვირიან გრიგალზე,
გრიგალი დაძრწის
ბუდაპეშტის ქუჩებზე.
ქარიშხალია ბერლინის თავზე.
ბალკანეთზე ბარომეტრი
უჩვენებს გრიგალს
ქარიშხალი ყეფავს ხელფასის
ცარიელ კონვერტებიდან
— „ქარიშხალი"-ო აწერია
ყოველ მუშის წიგნაკს.
ქარიშხალი დაჰქრის ყველგან,
სადაც ითხოვენ მუშებს.
ყველა, ვისაც არ აქვს სამუშაო
ყველა, ვინც შიმშილობს
ამ ქარიშხალის ატარებს ნაჭერს.
და იბადება მილიონები
ქარიშხლის მტვირთველთა
ადამიანი, რომ დაეცა
ერთხელ ამ მწყობრში
სხვა მწყობრის წინ
გრიგალათ დგება.
და ქარიშხალის იწყებს სიმღერას.
უცნობი ჯარისკაცი
მწყობრის წინ მიდის
დროშათ ამოწვდილი.
— აბა მირონის და ზეთის სიტყვით
ჩააქრეთ ეს ქარიშხალი,
თქვენ, ქარიშხალის სულთამხუთავნო,
გამოიყვანეთ გარაჟებიდან
ჯავშნიანი მანქანები.
და უბრძანეთ:
— ჩადექ ქარიშხალო!..
მსოფლიო მოიცვა
ამ ქარიშხალმა.
განიერ მკერდით და ძარღვიანი
ის გამოდის მოედნებზე
ის შეიჭრება თქვენ სახლებში
და პირამდე სავსე დარბაზში
მწარე ხარხარით.
— აბა რას უცდი
შენ უცნობო ადამიანო?
— დიადი გეგმა
შესრულდება ოთხ წელიწადში.
დიადი გეგმა
განზრახული ხუთი წლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმ. ტიც. ტაბიძისა.

ალექსანდრე ქუთათელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განთიადის წინ*)

რომანი

სტუმრები

კორნელი არტილერიის ფარეხთან შეჩერდა, ჩექმის ყელი ამოსწია, ბუხრის ქუდი გაისწორა და ყაზარმისკენ წავიდა.

— აგერ, ქალბატონო, თქვენი კორნელიც მოდის!—უთხრა კაპიტანმა ალექსიძემ კორნელის დედას.

კორნელის დედა ტერეზა ხანშესული ქალია, მაგრამ ჯერ კიდავ იერიანი. მისი ოდნავ კეხიანი ცხვირი, მაღლა აზიდული წარბები, შავი შუქიანი თვალები და ღაღაბიანი მრგვალი ნიკაპი ამხელენ მასში სიმხნეს და გამძლეობას. მშობლები ზრდიდნენ ტერეზას ტფილისში „კეთილშობილ ასულთა ინსტიტუტის პანსიონში". ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ცოლად გაჰყვა ექიმს. ექიმი ახირებული ბუნების, მოქეიფე, მონადირე და ფულის მფლანგველი კაცი აღმოჩნდა. ცოლშვილს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. 1905 წლიდან ტერეზა შვილებითურთ გადასახლდა თავის მშობლებთან სოფელ კარისმერეთში. ათი წლის შემდეგ, 1915 წელს გარდაიცვალა მისი მეუღლეც. ამ დღიდან ოჯახზე ფიქრი, ხარჯი და გარჯა ტერეზას დააწვა თავზედ. კორნელის გარდა მას ჰყავს სამი შვილი. ორს უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული, მათი მომყოლი ქალიც გათხოვილია. კორნელი კი (ტერეზას უმცროსი შვილია და დედის მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს).

კორნელის დანახვისას ტერეზას გულისცემა აუვარდა, სახეზე გაფითრდა, მაგრამ თავი დაიჭირა, თვალები ოდნავ დახუჭა და ასე შეხედა შვილს. ეს არისტოკრატული მანერა შეინარჩუნა მან ბოლომდე. ახალგაზრდობისას ლორნეტსაც ატარებდა (თუმცა მისი თვალები არ საჭიროებდნენ მას). ხშირად იცმევდა „ამაზონს" და სტეკით ერეკებოდა აჯამეთში ჯიშიან ცხენს; უკან ამალა მისდევდა (ვით კავალრები მდიდარ მარკიზას ბულონის ტყეში); ოდესღაც პრინცის ოლდენბურგის სასახლეშიც დაიარებოდა და მისი სასურველი სტუმარი იყო. ეხლა ჟამთა ვითარებამ და სოფელმა თანდათან აღმოფხვრა ხელგარჯილ და მუყაით ქალში არისტოკრატული მანერები და ტერეზამ თან ჩამოიტანა ტფილისში კარისმერეთიდან სოფლის სურნელება, იქაური ძარღვიანი სიტყვები, ადათი, ზნე და ჩვევანი.

კორნელი შეჩერდა ხუთი ფეხის ნაბიჯზე და კაპიტანს მხედრული სალამი მისცა. ტერეზას წინ იდგა წვერგაუპარსი ჯარისკაცი. მას ეცვა დაბამბული სათბური; თავზე მაღალი ბუხრის ქუდი ეხურა.

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 3.

— კორნელი!—დაიძახა გაოცებულის ხმით დედამ და შვილს გადაეხვია. კორნელის სახეს ღიმილი არც-კი გაჰკარებია, დედას ხეპრესავით გაუწოდა ლოყა. ტერეზას ყურადღება არ მიუქცევია განებივრებული შვილის ასეთი ხაფცეულისთვის, ვინაიდან კარგად იცოდა თუ რა თბილი გული სძგერდა გარეგნულად კუნიახი კორნელის მკერდ ქვეშ, რომელსაც დედა დაცინვით „კულუმბურს“ ეძახდა. ჯარისკაცი მიესალმა დანარჩენთაც.

— გამარჯობა კორნელი!—სიცილით მიეჭრა ვარდო, მაგრამ ჯარისკაცმა ბოდიში მოიხადა და ნეხვში ამოსვრილი ხელისგული უჩვენა.

— უკაცრავად, ქალბატონო ვარდო, თავლაში ვიყავი, გასვრილი ვარ!

ნინო იდგა მამასთან ხელმკლავით და სახეალანძული იღიმებოდა.

დედისა, მაჩაბელთა და კაპიტანის წინაშე წამდგარი ჯარისკაცი ძალზე გაფითრებული ჩანდა. დედას გამხდარი და გალახული ეჩვენა; დამწუხრებულის სახით შეჰყურებდა და თვალზედ ცრემლი მოადგა, თითქოს მისი შვილი დატუსაღებული ყოფილიყოს ან ვინმეს სიკვდილი მიესაჯოს მისთვის.

— კორნელი, ეს რა ჩაგიდენია, ბიჭო?! დედას არაფერი არ უნდა ჰკითხო? აქ რა გაგაძლებინებს? როგორ სცხოვრობ ამ სიბინძურეში? თუ ჭამ ან სვამ რამეს ხეირიანად, შე საწყალო?—ამოიტმასნა შვილს გულდათუთქული დედა. ტერეზას ეცვა შავი ხავერდის მოსასხამი. კორნელიმ შეიყნოსა საყვარელი დედის ტანისა და ტანსაცმელის ნაცნობი სუნი, მაგრამ „რაინდ ჯარისკასცს“ შერცხვა, საშინლად გაწითლდა, ჩუმად შეაპარა დედას და დატუქსა:

— ნუ ამბობ ასე! თავს ნუ მჭრი უფროსთან!

— ნუ სწუხდებით, ქალბატონო. აბა, უჩვენე დედას როგორ სცხვრობ შენ ჩვენთან!—უთხრა კაპიტანმა ჯარისკაცს.

— წამოდით!—დაიძახა ჯარისკაცმა. ამ დროს მოვიდა გრიგოლი და სანდროც. ტერეზამ მათაც იმავე საყვედურით მიჰმართა:

— ჯარისკაცებათ რა გინდოდათ? კორნელის ჯერ ქათამიც კი არ დაუკლავს!

სტუმრები ავიდნენ ყაზარმის მეორე სართულზე, სადაც მოთავსებული იყო სასწავლო გუნდი. ტერეზამ დაინახა გრძელი ოთახი. კარებში იდგა მორიგე. ოთახში გარაზმული იყო ჯარისკაცთა ლოგინები. კუთხეში ეწყო თოფები, თოფისა და ზარბაზნის ნივთიერი ნაწილები; კედელზე ეკიდა სურათები ცხენის ანატომიისათვის და სხვა. ოთხი ჯარისკაცი ვარჯიშობდა ხმალით. ზოგი უნაგირის სახელებს ზეპირობდნენ. ფანჯარასთან იწვა დათა კაქაჭიშვილი და გულმოდგინეთ ჰკითხულობდა წიგნს. მჭედლიშვილს ბუდიდან ვიოლინო ამოეღო და გამებს ზეპირობდა. ნინომ დაიძახა:

— ხედავთ, აქ მუსიკოსებიც ყოფილან?!

— არხეინად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო! რა ჯურის ხალხი გინდათ მე რომ არ მყავდეს: მუსიკოსი, პოეტი, სტუდენტი, ექიმი, ქიმიკოსი, სხვათა შორის—მიჰმართა კაპიტანმა ესტატეს—ვექილიც... ეი, თქვენ!—უყვირა მან მუსიკოსს—რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ, რომ ყაზარმაში ვიოლინოს მოტანა არ შეიძლება!?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აკი, გითხარით, ბატონო, კაპიტანო!?—უპასუხა მჭედლიშვილმა.

— არ შეიძლება!

— ვიოლინოს გარეშე ერთი დღეც არ შემიძლია გავძლო.

— დარდი ნუ გაქვს, გასძლებ! შეინახეთ.—მოუჭრა კაპიტანმა. მჭედლიშვილმა ჩასდო ბუდეში ვიოლინო და ლოგინის ქვეშ შეაცურა.

— კაჭკაჭიშვილო, რა დროს ლოგინზე წოლაა და წიგნის კითხვა?!—დაიძახა კაპიტანმა. კაჭკაჭიშვილი წამოხტა, გაიცინა და რაღაც უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ოთახში შემოსული სტუმრები დაინახა და შეჩერდა.

— დათა, თქვენც აქა ხართ?—შეეკითხა მას ვარდო. დათა კაჭკაჭიშვილი წამოვიდა, ვარდოს და ნინოს ხელზე აკოცა, ესტატეს მიესალმა და შემდეგ ტერეზა გააცვნეს.

— კორნელის სანახავად მობრძანდით, ქალბატონო?

— დიახ!

— აი, ხომ გითხარით! ეშმაკმა იცის: ყაზარმაა ეს, უნივერსიტეტი თუ ხელოვანთა კლუბი?!შესჩივლა ქალებს კაპიტანმა.

— თქვენ უნდა ამაყობდეთ ამით, კაპიტანო!—უპასუხა კაჭკაჭიშვილმა, ჩიბუხი გააწყო და მოკუმულ ბაგეთა შორის გაიჩხირა. დათა ჰგავდა ევროპიელ ჯარისკაცს. იგი იყო ტანმორჩილი კაცი, მაგრამ ძვალმსხვილი და განიერი. გამრუდულ ფეხის წვივებზე ბოთფორთი ეცვა. მას ჰქონდა მიტკალივით თეთრი, სუფთა და გაპარსული სახე; სქელი, განიერი და უსისხლო ტუჩები; ფართო ყბის ძვლები და ოდნავ განზე მიგრეხილი ცხვირი. დიდრონსა და ნაცრისფერ თვალებ ქვეშ დასივებული უპეები ჩამოჰკიდნია. მელოტ თავზე გვერდებიდან ნასესხები ქერა თმის ღერები გადაუვარცხნია. ქიმიკოსს დათა კაჭკაჭიშვილს დამთავრებული ჰქონდა პარიზის უმაღლესი სასწავლებელი. მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ქიმიკოსმა თავისი მუშაობის სფერო გადაიტანა სულ სხვა რამეებზე და სხვათა შორის პატრიოტულ წერილების ცხობაზე. მას, ისე როგორც პლატონ ცრუავასაც, უყვარდა დაუსრულებელი ლაპარაკი, ფრანგული რომანების კითხვა და უსაფუძვლო გეგმების შედგენა: აქ უნდა ყოფილიყო მაღაროები, იქ ელექტრონის სადგურები, ქარხნები! შავ ზღვაზე—ვერფები და საქართველოს საზღვრები კი—შავი ზღვის ნაპირებიდან კასპიის ზღვამდე! საიდან? როგორ?—ალაჰმა უწყის!

ყაზარმაში გაისმა ჯარისკაცთათვის უცნაური ჟღურტული—ლაპარაკი ფრანგულ ენაზე. დათა ართობდა ვარდოს და მის ქალს ნინოს, რომელიც ნიშანში ამოიღეს აფიცრებმა და არტილერისტებმა. კორნელის შეშურდა დათას უნაკლო ფრანგული. ცალი თვალით ის ჰხედავდა ძვირფას ქურქში გახვეულ ნინოს. იგი ჰფურცლავდა დათა კაჭკაჭიშვილის წიგნს: გუი-დე-მოპასანის რომანს და აღტაცებით ლაპარაკობდა. უკან გადახრილს შლიაპიდან ამოწვერილი თმის კულულები დასცვენოდენ წითელ ლოყაზე. სანდრომ თვალი ჩაუკრა კორნელის, რაიც იმათ ენაზე ნიშნავდა: „ბიჭო, შეხედე ამ დათა კაჭკაჭიშვილმა ნინოს შეუტია და დაგვჩაგრაო“. კორნელი ბრაზისგან გამწვანდა და ტუჩზე იკბინა.

დათა თანდათან იპყრობდა ქალის ყურადღებას პარიზის შესახებ ლაპარაკით. კორნელის თავში ბოროტი მოსაზრება ჰბუდობდა ეხლა: [illegible] ამ უმწიკვლო გოგონას? ტვინი გაგვიხვრიტა პარიზის კოკოტკებით ჩალეწილ ავხორცობით. აქ კი ისე გულუბრყვილოთ არხევს ამ გაპარსულ ტუჩებსა და თეთრ ხელებს, რომელთაც ათასგვარი სიბინძურე ჩაუდენიათ, თითქოს პატიოსანი კაცი და არისტოკრატი იყვეს?!" დათას საბოლოო განადგურება აღარ აცალა იქვიან შვილს ტერეზამ. დედამ გასინჯა კორნელის ლოგინი, ქვეშსაგები და ამოიოხრა:

— ასეთ ლებზე და თხელ საბნის ქვეშ რა გაძლებინებს, შე საწყალო?!

— ისე როგორც სხვები! —მოუჭრა უხეშად კორნელიმ.

— არა გვიშავს, დიდებულათ გვძინავს!—ჩაერია მუდამ მხიარული სანდრო.

— როგორ არა უშავს, შვილო? ბუმბულში ვაწვენდი და ჩიტის რძეც არ მიმიკლია!

ტერეზა ჩამოჯდა კორნელის ლოგინზე. ესტატე და კაპიტანი ალექსიძე ფანჯარასთან იდგნენ. ესტატე ეკითხებოდა კაპიტანს:

— რამდენი ბატარეია შეუძლია გამოიყვანოს თქვენ ბრიგადას?

— ამ ჟამად სამი, ხოლო ერთი ან ორი თვის შემდეგ ექვსი.

— კარგი დაგემართოდ, თუ ოსმალეთმა ამდენხანს დაგვაცადა?! ძალზე მეცოდება მე ეს მოსწავლე ახალგაზრდობა. არსებითად ჩვენი ჯარის ნაწილები სტუდენტებისგან და ინტელიგენციისგან შესდგება. მტერმა თუ ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილი გაანადგურა—საშინელი ამბავი იქნება!

— რას იზამთ. ინტელიგენციის გარდა ჯარში სამსახური არავის აღარ სურს. ფრონტიდან მოსულ ჯარისკაცებს ვერ ვენდობით: ისინი ყველანი ბოლშევიკები არიან.—სწუხდა კაპიტანი. უკანასკნელი შეხიშვნა ყველას ტუჩზედ ეკერა მაშინ.

— მეტად ცუდი მდგომარეობაა! ოსმალეთმა იცის ჩვენი სისუსტე და არავითარ ანგარიშსაც არ გვიწევს. ყარსისა და არდაგანის დაკავებით რომ დაკმაყოფილდებოდეს,—კარგი დაგემართოდ!

— ახალი ამბავი თუ იცით რაიმე, ესტატე?

— ის ვიცი, რომ ოსმალეთის სარდლობა ისე ეთამაშება თურმე ჩვენს დელეგაციას ტრაპიზონში, როგორც კატა თაგვს. მოლაპარაკებიდან არაფერი არ გამოდის. თურქები უახლოვდებიან ბათუმს. დღეს თუ ხვალ შემოგვიტევენ.

— უთუოდ.—დაუმოწმა კაპიტანმა.

— თუ სეიმი არ დაიშალა და ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფო არ გამოვაცხადეთ, რომელსაც პატრონობას გაუწევს ევროპის რომელიმე სახელმწიფო, ისე თურქები გაგვანადგურებენ.—გადასჭრა ქართლის ბედი ესტატე მაჩაბელმა.

— წარმოიდგინეთ, ესტატე, ჩვენი—ოფიცრების მდგომარეობა! რა უნდა გავაწყოთ მტრის წინააღმდეგ ასეთი ჯარისკაცებით?!

— ცოდვა ხართ!

— მეფისდროინდელი ჯარისკაცებისგან შემდგარი ორი ბატალიონია მაინც რომ გვყავდეს, თურქებს ტყავს გავაძრობდით!—იკვეხნიდა კაპიტანი.

ალექსიძე შემოტრიალდა. დათას, სანდროს და კორნელის გადახედა და გაგანაგრძო:

— რას იზამთ? არა—ესენი კარგი ყმაწვილებია, მონდომებულიც არიან, მაგრამ მე არ შემიძლია ამათი იმედით ომი! ესენი ნაზი და სათუთი ხალხია! ეხ, ჩემი რუსი მუჟიკები, აყლაყუდა და ტლუ ბიჭები სულ სხვა იყო! ტყავს ვაძრობდი! სამაგიეროდ უნაკლო დისციპლინა სუფევდა! ომში მათ ენდობოდი. ტყვიის არ ეშინოდათ. ამათ კი რა მოუხერხო? მე არ ძემიძლია ესენი გავამათრახო, ჩემებურად ხელი მოუჭირო და წვენი ვადინო!—სწუხდა კაპიტანი ალექსიძე. მისი ბაგე შეტეხილი იყო დამცინავი ღიმილით, ხოლო თვალები ბრაზით ანათებდნენ.

— განა ასეთი ცუდი დისციპლინა გაქვთ.

— რაღა თქმა უნდა! ჩაიქნია უიმედოთ ხელი კაპიტანმა, სტეკი ჩექმის ყელზე შემოიკრა და ქალებს გადახედა.

— შეიძლება თავლაში ცხენები ვნახოთ?—შეეკითხა კაპიტანს ნინო.

—როგორ არა.. სიამოვნებით.. წამობრძანდით!—დაიძახა კაპიტანმა და ოდნავად მხრებში მოხრილი, კისერ-ჩასქელებული ალექსიძე წავიდა კარებისკენ ცხენოსანთათვის დამახასიათებელი მრუდე ნაბიჯით და დეზების ჟღარუნით.

თავლაში, საპირესთან ცხენები ახრამუნებდნენ ქერსა და თივას, აქა-იქ ჭიხვინებდნენ, ერთმანეთს ჰკბენდნენ, ფაფარში აფრინდებოდნენ და უკანა ფეხებით წიხლსა სცემდნენ. აცდენილი წიხლი ჰხვდებოდა ფიცრებს და თავლაში საშინელი ბრახუნი იდგა.

— არ გაეკარო, შვილო, ამ გიჟ ცხენებს, დაგაშავებენ!—უთხრა ტერეზამ კორნელის შეშინებულის ხმით.

— მორიგე!—იყვირა ალექსიძემ ისე რომ ტერეზას გული შეუღონდა. ცხენებმა თითქოს იგრძნეს უფროსის, მხედრის გაბრაზებაო: სიჩუმე ჩამოვარდა. მორიგე წარუდგა კაპიტანს.

— რატომ აბამთ ჩემი ცხენის გვერდით ამ ფაშატს? სად არის თქვენი მათრახი?

— აქა მაქვს..—უპასუხა მორიგემ და სვეტზე ჩამოკიდული მათრახი ჩამოიღო. ცხენებმა ისევ მორთეს ჭიხვინი, ერთმანეთს წიხლი დაუშინეს და კბილებით ჰკბენდნენ. ულაყმა გასწყვიტა აღვირი, ყალყზე დადგა, ჭიხვინი მორთო და ფაშატისკენ გაიწია..

— რასა დგეხარ? დასცხე მათრახი! მიდი!—ჰყვიროდა კაპიტანი.

გაფითრებული და აკანკალებული მორიგე მივარდა, მათრახი დასცხო და ცხენები გააშველა. ლამაზი ულაყი ისევ თავის ბაგაზე დააბა. შეშინებული ქალები თავლაში შესვლას ველარ ჰბედავდნენ.

კაპიტანის დანახვისას მისმა წაბლისფერმა ულაყმა „გიაურმა“ თავი შემოატრიალა, ყურები მაღლა აქცვიტა, გაფართოვებული თვალის გუგა აანთო, ქვიქვირი შეათამაშა, წევარივით წვრილი წელი და მუცელი შესწია, გაიგუდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვიხვინი მორთო, თითქოს ცხენურის ენით მიესალმა და რაღაც უთხრა თავის პატრონსო!

— რა ამბავი გაქვს, შე ყაჩაღო? მე შენ გიჩვენებ სეირს?!—გაუწყრა „გიაურს“ კაპიტანი, გავაზე ხელი შემოჰკრა, კედელთან მიაგდო, მივიდა და ბავერდივით ვასვასა, ფაფარ-გაპარსულ და ჟირაფივით გრძელ კისერზე ხელი გადუსვა. თხასავით წვრილსა და თეთრ ხელთათმანში გაკრულ ჩლიქებზე მდგარი „გიაური“ ათამაშდა.

— დაწყნარდი, დაწყნარდი!—მოეფერა მას კაპიტანი.

— რა ლამაზი ცხენია!?—დაიძახა ნინომ.

— რა ჯიშისაა?—შეეკითხა კაპიტანს ესტატე.

— ინგლისურ-არაბული.

— ატესტატი აქვს?

— რა თქმა უნდა. ამის წინაპარი ლორდის ბერხინგის ქარხანაში...—და კაპიტანი მოჰყვა „გიაურის“ გენეალოგიას, რომელიც აჩუქა მას ოსმალეთთან ომის დროს ინგლისელმა მაიორმა რეშტში.

მზე გადიხარა დასავლეთისკენ, მისი უკანასკნელი სხივები აშუქებდნენ თავლას. კორნელიმ დრო იხელთა და თვალი შეასწრო ცქერადწასულ ნინოს. მის შუქიან თვალებს შვენოდნენ ბოლოშავას კუდივით გრძელი წამწამები. გიაურმა თითქოს იგრძნო ქალის თვალი: ჟირაფივით გრძელი კისერი გამოიწოდინა და ჩუმად ჩაიხვიხვინა. ნინომ გაიღიმა და აწითლებული მისი ბაგენი გაიპო სპილოს ძვლის მსგავსი თეთრი კბილების დანით. კორნელი იდგა გვერდით, ისე რომ ნინოს პროფილი სჩანდა გიაურის გრძელსა და ვასვასა კისერზედ ახატული. მეტისმეტად შვენოდნენ ერთმანეთს ცხენი და ასული, და უნდა ითქვას სიმართლე, თუ პლატონი მუდამ ყალბ ნიღაბს ატარებდა და მუდამ სცრუობდა, სამაგიეროთ ერთხელ მაინც მართალი იყო: სახელდობრ მაშინ, როდესაც ნინო მაჩაბელი ჯიშიან ცხენს შეადარა.

ნინომ დაიჭირა სიყვარულით აღსავსე კორნელის თვალთა გახედვა. ნინო იდგა მამასთან ხელმკლავით, მამის მხარზედ თავდახრილი და ნელის ხმით წარმოსთქვა:

— კორნელი, შენ უვლი გიაურს?

— კი!—უპასუხა ჯარისკაცმა.

ნინოს ნაზი ხმა უცნაურად გაისმა თავლაში. თავის სახელის გაგონებისას გიაური შეინძრა, ათამაშდა, ტანზე აყრილი თრთოლვარე კუნთები კაჟივით შეექმნენ, თითქოს ასულის სიტყვები ნაზი ხელივით გადაუსვეს გაზნექილს ზურგზედო. ჟირაფივით გრძელი კისერი და ლამაზი თავი ისევ ნინოსკენ გაიწოდინა.

— თქვენ მოეწონეთ კაპიტანის ცხენს!—შენიშნა პლატონმა ნინოს. ნინომ დაინახა გიაურის საფეთქელსა, ცხვირსა და ნესტოების მიდამოში მავთულივით წვრილი, სისხლით აღვსილი, დაგრეხილი ძარღვები და ანთებული თვალები. ვარდისფერსა და ფართო ნესტოებიდან მოჰქროდა ცხელი ქარი და ნინოს ლოყაზე მიმობნეულ კულულებს არხევდა. ნინომ გაიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კორნელი, შენ არ გეშინია ცხენის?

— რისა უნდა მეშინოდეს?

— კორნელი კარგი ცხენოსანი დადგება. გამოიყვანე ცხენი! ... შენებურად!—უთხრა კაპიტანმა. ტერეზამ დაუშალა, მაგრამ ესტატე, პლატონ და დათა არ ეშვებოდნენ.

კორნელიმ გამოიყვანა ნაცრისფერი, მაღალი ცხენი. დააყენა. ზურგზე შეახტა. ფეხები მაგრატელივით გაშალა. ჰაერში შეტრიალდა და ცხენს პირუკუღმა მოექცა. გავაზე ხელი დაჰკრა, კვლავ შეტრიალდა, ხელებზე აიმართა და შემდეგ მიწაზე გადმოხტა. ტერეზამ ისევ შეჰკივლა, ხოლო ნინომ გადიკისკისა. ეს იყო თითქოს ნიშანი: ცხენებმა ისევ დაიჭიხვინეს, ყალყზე დადგნენ და ისევ დაუშინეს ერთმანეთს წიხლები. მორიგემ კვლავ გაამათრახა ისინი. კაპიტანმა აჩვენა სტუმრებს მთელი თავლა; თავლიდან გამოსვლისას პლატონი, დათა და პორუჩიკი ვაჩნაძე ნინოსთან მისცვივდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ტერეზა და მაჩაბლები მიაცილა კორნელიმ სამხედრო გზამდე. იგი მიჰყვებოდა დედას და მისგან მოსაწყენ და ნაცნობ დარიგებას ისმენდა:

— არ გაცივდე. ღვინო არ დალიო. თავი იპატიე, თავს გაუფრთხილდი! რაღა მეშველება ომში თუ წაგიყვანეს?!

კორნელიმ დაამშვიდა დედა და ლაპარაკის საგანი შესცვალა:

— რა ამბავია კარისმერეთში?—კარისმერეთი კორნელის სამშობლო სოფელია.

— რა ამბავი იქნება, შვილო? დიდი არეულობაა! არნახული ყაჩაღობა! ღამით თოფის სროლა და შიშიანობა! გლეხებმა სულმთლად დაჰკარგეს ნამუსი: ჩვენს ყანებში—ნაბოგირებსა და კოდმეტიაზე მოწვეული ჭირნახული მთლიანად დაისაკუთრეს!

— დანარჩენი ყანები?

— დანარჩენი ჩვენია მარა ეს რას გვეყოფა?! ჭინჭარეულში ყოველთვის ნაკლები და დოხოკონი ყანები იცის. სულ სხვაა ნაბოგირებისა და კოდმეტიას ბოლოზი მიწის მოსავალი!

— რას იზამ?—სთქვა კორნელიმ და თვალწინ დაეხატა სოფელი კარისმერეთი. განსაკუთრებით სიტყვა „კოდმეტია“ „ლოხოკონი“ და „„ბოლოზი“ აგონებდა მას სოფელს.

— სანიავოზე ტყეს სჩეხავენ, თვითნებობენ და კაცი პატრონი არა გვყავს, რომ ჩვენი უფლება და ადგილმამული დაიცვას! იმისთანა ხეები დააფინეს იმ შეჩვენებულებმა, შვილო, რო ვნახე გული მეტკინა! რამდენი ფიცარი, სვეტი, საძირკველი და ლრძაყინები გამოვიდოდა ეინ იცის?!

— „ლარძაყინები“—გაიმეორა კორნელიმ და ისევ გაიღიმა. მოაგონდა მეზობლები, გლეხები თეოდე და გოჯასპირ, აყალო მიწა, ვენახები, მდინარე და ტყე.

— ცუდი დროება მოვიდა, შვილო. აქედ კიდო თათრები მოგვადგა. ზეკარზე თუ გადმოვიდენ, შენს მტერს მაშინ?..—შეშჩივლა კორნელის ტერეზამ. კორნელი დედის ლაპარაკს აღარ აქცევდა ეხლა ყურადღებას. იგი საშინლად

ბრაზობდა, ვინაიდან ნინოს გარს ერტყენ პლატონი, დათა, პორუჩიკი ვაჩნაძე, მთელი გუნდი. კორნელისკენ ერთხელაც არ მოუხედნია ნინოს. კორნელი და სანდრო დაემშვიდობენ ტერეზას, ვარდოს, ნინოს და ესტატეს. ტუმრები ჩავიდნენ მახლობელ ბილიკით საბურთალოდან სამხედრო გზაზე. კორნელი მარტო დარჩა.

მზე ჩავიდა მთათა გადაღმა. ვარდისფერ ცაზე აზღუდულან მთის გრეხილები და სოფელი წყნეთის ხეთა მწვერვალები, რომელთაც მზის უკანასკნელი სხივები ქოჩორს უვარცხნიდნენ. უკან მოსჩანდა მახათას მთები და მის ქვეშ ქალაქი ჩავარდნილი ხევში ქვაბივით. საბურთალოდან ხელისგულივით სჩანდნენ ქუჩები, სახლები, მუშტაიდის ბაღი და შემდეგ სადგური. დღე და ღამე იყრებოდა. ნათელს სჯობნიდნენ მწუხრის ჩრდილები. ცოტა ხნის შემდეგ სულ-მთლად დაღამდა. სადგურზე სანთლები ჩაირაზმნენ. მალე კორნელის ბატარეიითაც დაიტვირთება იქ რონოდები! წავლენ ომში—ბათუმის დასაცავად! „ნეტავი მალე—ჰფიქრობდა კორნელი—მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს ბათუმი. აქ კი ისევ მოსაწყენი დღეებია, ატალახებული მოედანი და ერთფეროვანი ცხოვრება: მაცადინობა ყოველ დილით, ცხენებთან ყოფნა თავლაში, ყარაული და ლაყბობა ჯარისკაცებთან. ყოველ დღე მოდიან ჯგუფები ახალგაზრდა მოხალისეთა, მოჰყავთ რეკვიზიციით წართმეული მეეტლეთა და მეფურგონეთა ცხენები. ისმის ჭიხვინი. არის—ცხენების შემოწმება, კბილების სინჯვა, ცხენთა დადაღვა. განა ასეთი ცხოვრებისათვის მოვედი ჯარში?“

კორნელიმ უკანასკნელად გააყოლა თვალი სამხედრო გზას და ყაზარმისკენ წავიდა. გზაზე ჰფიქრობდა ნინოს შესახებ: „რა ემართება ნინოს? როდესაც პლატონს, დათას და უცხო პირთ დაინახავს, მე ვავიწყდები. თითქოს არაფერი მომხდარიყოს ჩვენს შორის? უბედურება ის არის, რომ ვარდოს დღესაც მოწაფე და მარტოკა ჯარისკაცი ვგონივარ“. ყმაწვილს ახრჩობდა გადაჭარბებული თავმოყვარეობა და ეჭვი. „განა მე არ შემეძლო, თუნდაც დღეს, მივსულიყავ ნინოსთან, მიმეპყრო მისი ყურადღება, დამეჩრდილა დათა და პლატონ? მაგრამ წონა არა აქვს ჯერ ჩემს პიროვნებას და თანაც უხერხულობას ვგრძნობ ჯერ კიდევ დედისა, ვარდოს და ესტატეს წინაშე!“ მორცხვობდა კორნელი და ანგარიშს აღარ უწევდე ეხლა იმ გარემოებას, რომ სწორედ ასევე მორცხვობდა მეტად თავმოყვარე ნინოც კორნელისადმი თავისი დამოკიდებულების გამჟღავნებას, რითაც სარგებლობდნენ ურცხვი პლატონი, დათა და სხვანი.

კორნელი ცუდისგუნებით და აღრენილი შევიდა ყაზარმაში. სანდრო, სასოებით შეჰყურებდა დათა კაჭკაჭიშვილს, როგორც დიდ ავტორიტეტს და ევროპაში ყოფილს. აკითხებდა ფრანგულ წიგნს, ცდილობდა თითონაც სწორად გამოეთქვა ფრანგული სიტყვები: „გარსონ“—„პორტე“—„ჟარდენ“—„ჟურნალ“... რაიც კორნელის ძალზედ ეწყინა. კორნელიმ პირველად უკბინა ასე მწარედ ამხანაგს. პირველად მოხსნა თავი ღვარძლით სავსე გუდას, ლაპარაკობდა ჯიბრზე:

— გადააგდეთ ეგ დეგნერატების ენა..

— როგორ თუ დეგნერატების?—გაუკვირდა დათა კაჭკაჭიშვილს.

— ფრანგები დაავადებული არიან ლუესით, რომელიც მოქმედებდა მათზე ასეული წლების განმავლობაში. ეგ სენი ანადგურებდა იმ[illegible] ბეხეს, ლრუს, ცხვირის კონცხს, სასას და სხვა საარტიკულაციო ორგანოებს, [illegible] ამ[illegible] სიტყვათა და ასოთა თავისებური, გადაჯიშებული გაბგერება, ელერა..

— ჩინებული ახსნაა.

— დიახ. აბა, დააკვირდით: ასო „რ“-ს მაგიერ ისინი მუდამ „ღ“-ს ღიღინებენ —„გაღსონ“ „პოღტე“—„ქაღდინ“—„ეუღნალ“. რა აქვს საერთო ამ ენასთან და ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხთან ქართველს თუ ის დეგენერატი არ არის?

სანდრომ თვალები დააჭყიტა და ძალზე გაუკვირდა კორნელის უსაფუძვლო გაბრაზება და აღელვება, მაგრამ ის ვერ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მისი ამხანაგის ასეთი ახირებული და შემცდარი მსჯელობა იყო ნაყოფი შეურაცყოფილ თავმოყვარეობისა..

პირველი ბატარეია.

დილიდანვე შეუდგა პირველი ბატარეია ბათომისკენ გამგზავრებისათვის სამზადისს. ბატარეიის უფროსი კაპიტანი სერგო ხიდაშელი ორმოცი წლის ან ამაზედ ცოტა ნაკლები ხნის კაცი იქნებოდა. იგი იყო ტანმორჩილი, ხიოჭი და წითური. მისი შუქიანი თვალები ჰგვანდნენ წაბლის ბუძგიდან ახლად გამოვარდნილ კაჭალს. მიუხედავათ ხიდაშელის ულამაზო ჩაჟანგულ და წითურ სახისა, მუდამ დაჭმუჭნილი მისი მაზარისა, ჩექმებისა, ფართო ყბის ძვლებზე და პირსახეზე წამოზრდილ გაუპარსავ წვერისა, არაყის სუნით აქოთებულ ხახაში ჩამძვრალ ქერა ულვაშებისა, მურდალი ხახისა, რომლიდანაც მუდამ დედისგინება და უშვერი სიტყვები ამოდიოდა, რისთვისაც ჯარისკაცებმა კაპიტანს „ტეტია“ უწოდეს,—მას ბრიგადაში მაინც დიდის პატივისცემით, რიდითა და შიშით ეკიდებოდნენ, და არა მარტო ჯარისკაცნი—მისი ამხანაგები: მეთაურებიც კი. ისინი უწოდებდნენ მას დასავლეთის ფრონტის გმირს, დიდ მებრძოლს, ახირებულ ადამიანს და ნამდვილ ჯარისკაცს. მართლაც სერგო ხიდაშელი გულადი და მცოდნე არტილერისტი იყო; ოთხი წელი მთლიანად დასავლეთის ფრონტზე გაატარა, მრავალი ჯილდო მიიღო და მათ შორის წმ. გიორგის ორდენიც.

კორნელი მივიდა ბრიგადაში საღამოს. ბატარეია თითქმის მზად იყო წასასვლელად და ყაზარმის წინ იდგა. აქაიქ ბეუტავდნენ ჭრაქები. არტილერიის ფარეხის ღია კარებიდან გამორბოდნენ საყუმბარე ყუთებით, უნაგირით, უზანგებისა და მოსართავების წკარუნით, სამხედრო მოკაზმულობით დატვირთული ჯარისკაცები. ზარბაზნებში გაბმული ცხენები ლაგამს ახრამუნებდნენ და ფრუტუნებდნენ.:

კაპიტან ხიდაშელთან იდგნენ: გენერალი ნიჟარაძე, დივიზიონის უფროსი პოლკოვნიკი ჩახნაშვილი, კაპიტანი ალექსიძე, მახარაძე, პორუჩიკი ბერეჟიანი და სხვა ოფიცრები. ბათომისკენ მიმავალ ბატარეიას გარს ერტყა ყაზარმიდან გამოსულ ჯარისკაცთა წრე. კაპიტან ხიდაშელთან და გენერალ ნიჟარაძესთან მივიდა მოხუცი მღვდელი და ფუთით შეიარაღებული დიაკვანი.

— ვა, მე შენი.. ერთი უცქირე ამ ღვდელსა და დიაკვანს. ქელეხია თუ ალაპი?! ხომ არავინ მომკვდარა ყაზარმაში?—ოხუნჯობდა გიგა ნახუცრიშვილი.

— მომკვდარა კი არა ლოცვა-კურთხვით უნდა გაისტუმრონ ბატარეია!— უპასუხა კანარეიკამ.

— რაო? უნდა გაგვაპამპულონ? ეს კი მეტისმეტია! — ცხარობდა ნახუცრიშვილი..

ჯარისკაცები იცინოდნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გაისმა ხიდაშელის ლითონივით ტეხილი ხმა—ზახილი და ფუსფუსი შესწყდა. ომში მიმავალი ჯარისკაცები დადგნენ თავთავიანთ ადგილზე.

კორნელიმ პირველად დაინახა ბრიგადაში მღვდელი ოლარით, დიაკვანი სასხურველით და ლოცვანით. ხიდაშელმა ისურვა ომში წასვლა ისე როიორც ეს ძველი რუსეთის არმიის ოფიცერს შეშვენოდა. ასე მიდიოდა იგი გერმანელთა წინააღმდეგ დასავლეთის ფრონტზე. მეორე ზახილის შემდეგ ომში მიმავალ ჯარისკაცებმა ქუდები მოიხადეს. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. თეთრწვერა მღვდელმა დაიწყო ლოცვა. იგი ჰკითხულობდა თაფლის სანთელით განათლებულ წიგნის ძველსა და გაქონილ ფურცლებს ისეთი ძველის ქართულით, როგორც მცხეთისა და სიონის ტაძრის ჩუქურთმა. ხოლო დიაკვანი ისე უნიჭოდ, უვნებოდ და ხრინწიანის ხმით ღიღინებდა „უფალო შეგვიწყალენ"-ს, თითქოს მეათასე მიცვალებულის წესის აგებას ასრულებს და ძალზე მობეზრდაო. უხეიროთ ატრიალებდა ენას ყალიონის ბოლით გამოყლარტულ ხახაში, თუთუნით შეყვითლებულ თეთრსა და გრძელ წვერს ვაცის წვერივით აცანცარებდა და უტვინო თვალებს ნაბავდა..

— რაში დასჭირდათ ამ ღვდლისა და დიაკვნის მოყვანა?
—სწყინდა ისევ გიგა ნახუცრიშვილს.

— კარგია ერთი.. ყური დაუგდე ბლაღოჩინს!—უპასუხა კანარეიკამ. მღვდელმა დაასრულა ლოცვა-კურთხვა. წყლის სხურება და მიჰმართა ჯარისკაცებს დაეცვათ სამშობლო, ქრისტეს რჯული და ჯვარი მსგავსად მამა-პაპათა ოსმალეთის ურდოების შემოსევისგან. მოხუც მღვდელს სახეზე ანათებდა ჭრაქის ალი. კორნელიმ გადახედა ომში მიმავალ ნაცნობ ჯარისკაცებს. მათი სახეები იყო სერიოზული, თითქოს ყველას გადაეწყვიტნოს ბრძოლის ველზე სიკვდილი ან გამარჯვებაო. სიჩუმეში კორნელის ესმოდა საკუთარი გულისცემა და ტანთ აჟრჟოლებდა; ბატარეიის წინ იდგნენ კაპიტანი ხიდაშელი, გენერალი ნიჟარაძე და ოფიცრები. ჭრაქის ალმა პარპალი დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ მოედანზე მოვარდა მძაფრი ნიავი და ხიდაშელის მაზარის კალთა მოიტაცა. კაპიტანი მკერდგაღეღილი იდგა. მის მკერდზე ანათებდა თეთრი მინანქრისგან ნაჭედი გიორგის ჯვარი. ხოლო წაბლის კაკალივით გაკრიალებული თვალები ეხლა ნაკვერცხალივით ჰღვივოდნენ. მღვდელმა გაათავა სიტყვა. ჯარისკაცებს მიჰმართა გენერალმა ნიჟარაძემაც. შემდეგ ხიდაშელი გადაკოცნა და ჩუმად უთხრა:

— გახსოვდეს, სერგო. შენი ბატარეია პირველი ჩვენი მერცხალია! ღმერთი იყოს შენი შემწე!—ისინი კიდევ დიდხანს ჩურჩულებდნენ.. შემდეგ კაპიტანმა

თავი დაჰხარა. მადლობა გადაუხადა. ამგანაგები გადაკოცნა. მაზარა შეიკრა და ცხენზედ შეჯდა. გაისმა მისი ზახილი. ცხენმჯდომნი შესხდნენ. „ხალიჯიო ბარ!“— დაიძახა კაპიტანმა და ბატარეია დაიძრა სადგურისკენ.

ბატარეიამ გაიარა მოედანი, სამხედრო გზაზე გავიდა და ვერისკენ გაეშურა. კორნელი და ბრიგადაში დარჩენილი ჯარისკაცები უცქერდნენ მთიდან. ბატარეია მალე დაიმალა წყვდიადში, ხოლო ბორბლების გრიალი კიდევ ღიდხანს ისმოდა. კორნელი მოწყენილი იდგა. წინ იყო ხევი, ვერის ბაღები და შემდეგ ცით აზლუდული ტფილისის მთები. ცითგან იცქირებოდნენ დიდი ვარსკვლავები.—ისე წავიდნენ ჩვენი ბიჭები, რომ მათთან გამომშვიდობებაც კი ვერ მოვასწარი!—სთქვა კორნელიმ.—ალბათ ჩვენი ბატარეიის ჯერიც მალე მოვა?!— უპასუხა სანდრომ. მოედანზე ისევ მოვარდა მძლავრი ნიავი. ჭერამის აყვავებული ხე შეარხია და ჯარისკაცთა თავებზე ყვავილები პეპლებივით დაფრინდნენ. კორნელის მოაგონდა გენერალის სიტყვები: „გახსოვდეს, სერგო, შენი ბატარეია პირველი ჩვენი მერცხალია!“ ზარბაზნების ბორბალთა გრიალი შესწყდა...

ბათუმის დაცემა

კორნელი და სანდრო ხანგამოშვებით დაიარებოდნენ ქალაქში. ესტატესთან რჩებოდნენ. ჩაის შემდეს ნინო უკრავდა როიალზე. სანდრო იმღეროდა რომანსებს. კორნელიმ ვერ შეარჩია ხელსაყრელი პირობები, რომ გაშოტეხით ეთქვა ყველაფერი ნინოსთვის და ასე გულნატკენი ბრუნდებოდა ისევ ყაზარმაში.

ესტატე ნაშუალამევს მოვიდა. ვარდო გააღვიძა და შფოთავდა:

— ბათუმი უთუოდ დაეცემა!

— საიდან იცი? იქნებ ყალბი ცნობებია!—დაანუგეშა ვარდომ და ლოგინზე დაჯდა.

— ნამდვილია. სწორედ ეხლა ველაპარაკე მთავრობის წევრებს. საშინელი მდგომარეობაა ვარდო! რა გვეშველება? ოსმალნი ბათუმის დაკავებით არ დაკმაყოფილდებიან. ოსმალთა ურდოები შეესევიან მთელ საქართველოს. ყოველი მხრიდან გვიტევენ: ბათუმიდან, ახალციხე და ბორჩალოდან.—შფოთავდა დიდხანს ესტატე. გულისცემა აუვარდა. ჰაერი აღარ ყოფნიდა. ვარდო ლოგინიდან წამოხტა. შიშველი და ლამაზი ფეხი შეაკურა ფარჩის მოქარგულ ქოშში, პერანგის ამარა მიიჭრა ტუალეტთან და ლამფა აანთო. ჭიქაში წამალი ჩააწვეთა და გულწასულ მეუღლეს შეასვა. ესტატე როგორც იყო დაწყნარდა. ვარდომ სინათლე ჩააქრო, საბანი გადაიხურა და ღრმად ამოისუნთქა.

ცოტა ხნის შემდეგ ესტატეს ძაღლმა როიამ აივანზე ყეფა ასტეხა, შემდეგ ერთბაშად შესდგა, წკმუტუნი და ხტუნვა დაიწყო. კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა.

ვინ არის?—დაიძახა ესტატემ. შეშინებულმა ვარდომ იფიქრა: ოსმალნი თუ შემოიჭრენ ღამით ტფილისში, რბევა და ხოცვა-ყლეტა თუ დაიწყესო..

— მე ვარ!—გაისმა გარედან ხმა.

— ჯიბო!—დაიძახა ესტატემ, ლოგინიდან წამოხტა, შალვარი და პადჟაკი ჩაიცვა. ვარდომაც საჩქაროთ გადაიცვა კაბა. ცოლქმარმა ჯიბოს კარები გაუღეს; ხმაურზე ნინო და გამდელიც წამოსცვივდნენ.

ჯიბოს ეცვა ნაცრისფერი ქურქი და თავზე ქუდის მაგივრად ყაბალახი დაუბურავს, რომლიდანაც სჩანდნენ მარტოკა თვალები და გალურჯებული ცხვირი.

— რა ამბავია?— შეეკითხა ესტატე.

— ბათომი დავკარგეთ!— დაიძახა ჯიბომ და სკამზე დავარდა.

— როგორ მოხდა? რა დაგვემართა? შესძახა ესტატემ.

— გაუშვი მაგათი... ისეთი ქვეყანა, რომელსაც ასეთი მთავრობა და ჯარი ჰყავს არსებობის ღირსი არ არის!— იყვირა ჯიბომ.

— რა მოხდა ასეთი, გვითხარი შე კაცო!?— ველარ ითმენდა ესტატე.

— ნულარ მეკითხებით.. დიდი სირცხვილი და თავსლაფის დასხმა. ამიერიდან მე მეეჭვება ჩვენ წინაპართა გმირობა და სიმამაცე..— სთქვა ჯიბომ, ქურქი გაიხადა და პირსაბანთან მივიდა. მისი ჩექმები და ტანსაცმელი იყო გასვრილი და დაგლეჯილი, თითქოს მხედარს იერიშის დროს ეკლიანი მავთულის გადალობები გაურღვევიაო. კაპიტანმა იუხტისა და ცხვრის დუმის სუნი დააყენა ოთახში.

— ეს რა მოგსვლია?— დაიძახა ვარდომ.

— დააცათ, სული მოათქმევინეთ!— შეეცოდა ნინოს ბიძა.

— ყაბალახს რად არ მოიხდი?— არ ეშვებოდა ესტატე.

— შეხედეთ რასა ვგევარ?!— სთქვა ჯიბომ და ცალ ლოყაზე ასწია ყაბალახის ტოტი: მრავალგან დაკაწრულ, გასისხლიანებულ ლოყას და მთელ სახეს ანთება ეკიდებოდა, თვალები დასივებული და გაწითლებული ჰქონდა.

— ეს რა დაგმართია?— დააჩერდა სახეზე ესტატე.

— დაიცათ, გიამბობთ..— სთქვა ჯიბომ. ხელი დაიბანა, პირი გამოირეცხა და თვალები ამოიწმინდა. ვარდომ ჩაი გაათბო და მაზლს მიართვა. მაგიდის ირგვლივ ისხდნენ ესტატე, ვარდო, ნინო და გამდელი.

— ასე ერთის ხელის დაკვრით და სამარცხვინოთ თუ დაეცემოდა ბათუმი სწორედ არ მეგონა!— დაიწო ესტატემ.

— ეს კიდევ მისას გაიძახის. ვინ უნდა იბრძოლოს, ადამიანო? ბათუმის გარნიზონი ფრონტიდან ჩამოსულ ჯარისკაცებისგან შესდგება. არავითარი დისციპლინა და მოვალეობა მათ არა სწამთ. ჩვენ ვცდილობდით აგვეხსნა მათთვის თუ რა უდიდესი საფრთხე მოელოდა საქართველოს, მაგრამ ისინი...— ჯიბომ უიმედოთ ჩაიქნია ხელი.— გარდა ამისა მე დავრწმუნდი, რომ იმერლები ჯარისკაცებად არ ვარგა..

საქართველოომ თუ დღემდე მოაღწია, ეს ქართლ-კახეთის წყალობით მოხდა.. იმერლები ჩვენს ღმერთს უნდა ილოცვიდნენ!— განაცხადა ჯიბომ.

— თავი გაანებეთ ასეთ უმეცარ ლაპარაკს! იმერეთი და ამერეთი აქ არაფერ შუაშია— იწყინა ესტატემ— როგორ გინდათ თქვენ იბრძოლოს ისეთმა ერმა, რომელიც ასი წლის განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელობის უღელ ქვეშ იმყოფებოდა და რომელსაც ოცი წლის მანძილზე ჩასჩიჩინებდნენ კოსმოპოლიტურ იდეებს და ებრძოდნენ ყოველგვარ ეროვნულ შეგნებას?! აი, ეხლა ჩვენ ვმკით იმ ვაჟბატონების ნამოქმედარს. ეხლა ისინი მოუწოდებენ ქართველ ხალხს ეროვნულ გრძნობებისკენ, სამშობლოს სიყვარულისკენ და მის დაცვისკენ..

— ოხ, ეგ „სოციალისტები“ (?) მე ყელში გამეჩხირენ! — სთქვა ბრაზით ჯიბომ და ყელზე ხელი იტაცა.—მე ვნახე მათი ბელადი სადგურ სამტრედიაში. ის იყო ჩამოსული ტფილისიდან საგანგებო მატარებელით. სალონ-ვაგონის ფანჯარასთან იდგა. მას ჰქონდა მკრთალი და შეწუხებული სახე. რონოდის ფანჯრიდან იგი საკუთარის თვალით ჰხედავდა „რევოლუციის მონაპოვართა“ მშვენიერებას: ანარქიას და ფრონტის დაშლას. მის გვერდით იდგა ამიერკავკასიის არმიის მთავარ-სარდალი გენერალი ლებედინსკი და შტაბის მოსამსახურენი, რომლებიც ალმაცერად უცქერდნენ ეხლა საქართველოს ჯარების მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას. ბათუმის დაცემის შემდეგ ისინი გაბრუნდნენ ტფილისში..

— რა ხდებოდა ასეთი სამტრედიაში?.—შეეკითხა ესტატე.

— რა ხდებოდა? რა და, ბათუმიდან განუწყვეტლივ მოდიოდნენ გამოქცეულ ჯარისკაცებით და ლტოლვილებით დახუნძნული მატარებლები. ხალხი რონოდებში არ ეტია. კიბე, ბაქანზე და სახურავზე ისხდნენ. ყველას მოჰქონდა ნადავლი, მოტაცებული სახაზინო ქონება, ფუთა, კალათები, ბარგი-ბარხანა.. ფრონტი ირღვევოდა, ჯარი გამორბოდა.. ოხ, თავი დამანებეთ, ნულარ მომაგონებთ!

— მერე, რა ზომებს იღებდით? ასე უშვებდით შინ?—იწყინა ესტატემ.

— სადგურის კომენდატი კაპიტანი გეგელია ყოჩაღია, მაგრამ, რომელი ერთი ჯარისკაცი შეაჩეროს და დაატუსაღოს მან? სადგურთან ტორტმანებს მრავალნაირი და ჭრელი მასა: სამხედრო პირები, მოქალაქენი, გლეხები. ვაჭრები ჰყიდულობენ დეზერტირებიდან ტანსაცმელს, სახაზინო ნივთებს. ახლო სოფლებსა და დაბებში: ჯიხაიშსა და ხონში ჯარისკაცთა გადაზიდვას ველარ უთავდებიან დილიჟანები და ეტლები.

— უიმე! ჯიხაიში, ხონი, ნოვოლალევი, ბანძა..—დაიძახა ნინოს გამდელმა, იმერელ ქალმა ნაცნობი ადგილების სახელები.

— მე ვნახე უამრავი ჯარისკაცები იარაღითა და ჩანთებით მამავალნი სოფლისკენ. „ჩვენ ომი გავათავეთ, არაფერი გვაქვს საბრძოლველი ოსმალეთთან. ჩვენ რევოლუცია უნდა გავაღრმავოთ“—ლაყბობდნენ დეზერტირები.—სთქვა გესლიანად ჯიბომ.

— ეს სულ ბოლშევიკების აგიტაციის ბრალია!—იყვირა ესტატემ და არ უწყიდა, რომ ქალაქებიდან, დაბა—სოფლებიდან იმპერიალისტურ ომში წასული მუშა-გლეხები არ დაიცავდნენ რევოლიუციის შემდეგ ისეთ მთავრობას და ქვეყანას, რომელიც გაემიჯნა რევოლიუციას, არ აკმაყოფილებდა მშრომელი ხალხის ინტერესებს და მათ სამართლიან მოთხოვნილებებს ტყვიით უმასპინძლდებოდა. ამ ჯარისკაკცებს შეჰქონდათ სოფლად და ქალაქად პროტესტი და მღელვარება. ეს პროტესტი და მღელვარება მოეღლინა შემდეგში საქართველოს ე. წ. „დემოკრატიულ“ რესპულიკის მესვეურთ გლეხთა აჯანყებების სახით დუშეთში, საჩხერეში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში, და სხვაგან, აჯანყებული გლეხობა მოითხოვდა ყველგან მემამულეებისგან მიწების ჩამორთმევას, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღდგენას. ამ აჯანყებებში უდიდესი როლი ითამაშეს ფრონტიდან ჩამოსულმა იმ ჯარისკაცებმა,

რომელთაც დეზერტირებს და ბოლშევიკების აგიტაციით მოწამლულ ხალხს უწოდებდა ეხლა ვექილი ესტატე მაჩაბელი და სახედაკაწრულ და დაგლეჯილი მისი ძმა კაპიტანი ჯიბო. ვარდომ მოხადა მას ყაბალახი და იყვირა:

ღმერთო ჩემო, როგორ დასახიჩრებულხარ!? რატომ არ ამბობ რა დაგემართა ბოლოს და ბოლოს?

— ხრამში, ჯაგებში, ეკლნარში...—სთქვა ჯიბომ და მოჰყვა შემდეგი.

კაპიტანის ნაამბობი

— ჩემი ათასეული იდგა ჩაქვის თავზე. იგი შესდგებოდა ბენია ელბაქიძის მიერ მოგროვილ პირთაგან. შემადგენლობა მეტად ჭრელი იყო; აქ იყვნენ: კახელები, იმერლები და უფრო მეტად გურულები. 30 მარტს მთის წვერზე დავიკავეთ კარგი და ხელსაყრელი პოზიცია• რგოლისებური სანგრებით. ათასეულის მეთაურებს აუხსენი საქმის ვითარება: თუ ჩვენი პოზიცია ხელიდან გამოგვტაცეს, ბათუმის გარნიზონს უკან დასახევი გზა გადაჭრილი ექნება მეთქი და სათანადო განკარგულებით გავისტუმრე ისინი. შტაბი მოთავსებული იყო ქვევით—ადგილობრივი სკოლის ხის შენობაში. ჩვენ წინ იყო ამართული ნისლში გახვეული აჭარა-გურიის მთები. უკან ტყვიისფერი შავი ზღვა ტორტმანებდა. დაღამდა. სადგურზე და ნაპირზე სანთლები აენთნენ. შორს ბათუმის ნავთსადგურის შუქურა ბჟუტავდა. ზღვამ ღელვა იმატა. ისმოდა მძიმე ტალღების დაცემა, გმინვა და გუგუნი. ადვილად მიხვდებით თუ როგორ გუნებაზე ვიქნებოდი. ბათუმის დაცვა მეტად უიმედო ამბავი იყო. არ სწარმოებდა ციხე-ქალაქის და მისი მიდამოების დაზვერვა. არავინ იცოდა ოსმალთა ჯარების რაოდენობა, მათი დაბანაკება და მოძრაობის გეზი. ყოველ წუთს ველოდი თავდასხმას. ბათუმის გარნიზონში მყოფ ჯარისკაცებს არ სურდათ ბრძოლა, ხოლო სახელდახელოდ შედგენილი ჯარები კი მეტად მცირე რიცხოვანი, გაუწვრთნელი და ცხადია ბრძოლაში არა საიმედონი აღმოჩნდებოდნენ. ასეც მოხდა. ბრძოლაში გამოუცდელი ყმაწვილები საშინლად მიჰირვებდნენ საქმეს. შიშით ჰკანკალებდნენ. შარვალჩახდილი მირბოდენ ხევში. На них напала „медвежья болезнь!“ იმათი შიში გადაედო დანარჩენთაც. ნაშუალამევს ჩვენ წინ მთის კალთაზე ატყდა სროლა, რაზედაც სანგრებში მყოფ ახალგაზრდა და გამოუცდელმა მოხალისეებმა უპასუხეს ულწესრიგო სროლით. მტრის ტყვიებმა გადიზუზუნეს ჩვენს თავზე. მე ვიცოდი, რომ ისროდნენ აჭარელები, ვინაიდან ოსმალნი წინ უშვებდნენ აჭარის სოფლებში შეიარაღებულ გლეხებს. სასტიკი განკარგულება გავეცი: შეეჩერებინათ მეთაურებს სროლა ჩვენს სანგრებიდან. საშინელი სურათი იყო: სანგრებიდან თავს არავინ სწევდა და ასე ზეპირად ისროდნენ. ეშმაკმა იცის ვინ სად ისროდა ამ ბნელი ღამით? ზოგი ცისაკენ და ზოგის ტყვიები ეფლობოდნენ იქვე მიწაში. დავრწმუნდი თუ როგორ ჯარისკაცებთან მქონდა საქმე. დიდი ვაივაგლახის შემდეგ სროლა ჩვენის მხრით შესწყდა. სროლა აღარ ისმოდა ახლა ოსმალთა მხრიდანაც. მე გავაფრთხილე მეთაურები და ბენია ელბაქიძე, რომ სანგრებიდან ატეხილი სროლის გამო მტერმა გამოააშკარავა ჩვენი დაბანაკება და შესაძლოა გარიჟრაჟისას შეტევაზე გადმოვიდეს მეთქი. ერთმა მეთაურმა ეს ჩემი მოსაზრე-

ბა გაუცხადა რამდენიმე ჯარისკაცს. იმათმა შეატყობინეს თავიანთ ამხანაგებს. მოხალისენი საშინელმა შიშმა შეიპყრო. ვერ აიტანეს მტრის მოლოდინი გათენებამდე და დაიწყეს სვლა ჯგუფ-ჯგუფად ხევისკენ თითქოს მარდზე და გარეთ გასასვლელად. გაპარვამ მასიური ხასიათი მიიღო. მე, ბენია ელბაქიძე და მეთაურები მოუწოდებდით ჯარისკაცებს არ ეღალატნათ სამშობლოსთვის. ვუნმარტავდით თუ რა ხიფათი მოელოდა საქართველოს ბათუმის დაკარგვით. ამაოდ ქაქანებდა საბრალო ბენია. ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებსაც დავიწყებული ჰქონდათ დისციპლინა, მოვალეობა, და ყველა მარტოკა თავის თავის გადარჩენაზე ჰფიქრობდა ეხლა. გათენებისას სანგრებში დავრჩით მე, ოთხი მეთაური, ბენია ელბაქიძე და ათიოდე ჯარისკაცი, უმთავრესად კახელები. ჩემი მოსაზრება გამართლდა: ჩვენს სანგრებიდან ღამით ატეხილი სროლის გამო მტერმა გაიგო ჩვენი დაბანაკება, ისარგებლა ღამით და შემოუარა ათასეულის მარჯვენა ფრთას. ჩინებული ათასეულია ორა ხუთმეტი კაცი!? სულ ახლოს 50 თუ 60 ფეხის ნაბიჯის მანძილზე ლაპარაკის ხმა შემომესმა. დურბინდი საჭირო აღარ იყო. თვალითაც კარგად ვხედავდი თუ როგორ ამოჰყვეს ბუჩქებიდან თავი აჭარელებმა და შემდეგ მახლობელ თხრილში იწყეს ხტომა. შაშხანას ხელი წამოვავლე და ერთ მათგანს გულდაგულ დაუმიზნე. მას ეცვა ცხვრის დუმასავით განიერი და საჯდომზე დანაოჭებული შარვალი. თავი ყაბალახით ჰქონდა წაკრული. ვესროლე. აჭარელი შეტრიალდა და უკანვე გადავარდა. დანარჩენნი ჩაესაფრნენ და ისე გვესროდნენ. ჩემის აზრით ოცამდე თუ იქნებოდნენ. ჩვენ უპასუხებდით. ბუჩქებთან მტვერი დადგა და დაცხრილული ფოთლები მიწაზე სცვივოდნენ. აჭარელები ჩინებულად ისვრიან. ჩემს გვერდით ჯარისკაცს თავი გაუხვრიტეს. ის დაცოცდა, ჩაიკეცა და უსიტყვოდ დააკვდა დედამიწას. მეორეს მხარში გაარტყეს. სხვები დაფრთხნენ, დაკუზული აირბინეს სანგრეები. ერთი თხრილის თავზე ავარდა და ხევისკენ გადახტომის დროს ტყვია კისერში მოარტყეს, იკივლა და თავქვე დაეშვა. სანგრებში აღარავინ რჩებოდა ჩემს მეტი. სროლა შევსწყვიტე. თოფის ტუჩს ბუხრის ქუდი დავხურე და სანგრის ზედაპირს ოდნავ ავაშორე. აჭარელებმა დაუშინეს მას ტყვია და სულმთლად დაცხრილეს. გავიგონე მათი გინება: „ატ, ღორის გაგდებულებო, წადით, დაიკარგეთ აქედან! რას გვაკლიებთ თავს? თქვენი დედა...!“

— მერე?

— სულ მალე ათასეულიდან სანგრებში აღმოვჩნდი მარტოკა მე.— დაიწყო ისევ ჯიბომ.— ყველა ვაზნები დავცალე. სანგრებში გავირბინე. ჯარისკაცების მიერ გადაგდებული ფალასკა ავიღე. მაგრამ სანამდის უნდა მესროლა? ბოლოს დამძლევდნენ. უნდა გამოგიტყდეთ პირველად ვიგრძენი ასეთი სასტიკი შიში. გავიფიქრე: ევროპის ხაშინელი ომი გამოვიარე და სად ვკვდები ასე ბრიყვულად?! ვაი, შენ უბედურო ჩემო თავო! ყოფნა არყოფნის საკითხი დადგა. პირჯვარი გადვისახე და სანგრების ზედაპირს დაფეთებულ ნადირივით შევახტი. მაშინვე ტყვიები დამაყარეს, მაგრამ ჩემს ტანს მათ ერთის წამით თუ მოჰკრეს თვალი! წამსვე მეტად დაღმართიან მთის კალთაზე დავეშვი, თავი დაღმართზე ველარ შევიკავე, ზვავივით დაქანებული წავედი ხევისკენ და შლიგინით შევრგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი და შევიჭერი ჯაგებში.

— დედა, შვილო!—შესძახა გამდელმა.

— აი, ეს პირისახე და ხელები მაშინ დავიკაწრე ეკლიან ბუჩქებითა და ასკილით.—ნინომ ბიძის ხელი აიღო და ნაზად მიიხუტა გულზე. ჯიბომ ტკივილის გამო შესტეხა სახის კუნთები.

— ტანსაცმელსაც მაშინ დაჰგლეჯდი!—სთქვა ვარდომ.

— უბედურებას აღარ იკითხავთ? ამ ჯაგებსა, ეკალსა და ბარდებში ისე შევიჭერი და გავეხვიე, რომ განძრევაც ვეღარ მოვახერხე. ხომ იცით როგორის ნაპირგადასულის სიუხვით იზრდება შავი ზღვის ნაპირებთან ბუჩქი, ხე და ყოველი მცენარე?!

— მერე' როგორ გამოდი? საკვირველია, როგორ გადარჩი აჭარელებისგან სიკვდილს?—შეეკითხა ვარდო.

— საქმეც ეგ არის. აჭარელები ისევ ესროდნენ სანგრებს და ცოტა წინ რომ წამოსულიყვნენ და სანგრები დაეკავებინათ, ქედიდან ხრამში დამინახავდნენ და ტყვიებით დამცხრილავდნენ. ამის შიშით გახელებული დავტრიალდი, მახრჩობელა გველის რგოლებივით ტანზე შემოკვართული ეკლნარი, ბარდი დავგლიჯე, თავი გავინთავისუფლე და ჯაგებს ვეძგერე. ღელე-ღელე მოვდიოდი. ბუჩქების შრიალსა და ფაჩუნს ყურს ვუგდებდი. მარჯვნივ გაუხვიე და როდესაც სამშვიდობოს გავედი, გასისხლიანებული ხელპირი ჩამოვირეცხე ანკარა ღელეს წყალით. გზაგზა ვხედავდი გადაგდებულ თოფებს, ჩანთებს, ფალასკებს და ფეხსაცმელებს, რომ უფრო მეტის სისწრაფით მოეკურცხლათ და ეშველნათ თავისათვის ფეხშიშველ ბიჭებს.

— ვაი, სირცხვილო!—წამოიძახა ესტატემ და მწარედ ჩაფიქრდა.

— რა პირით შევხვდე უფროსს? რა უნდა უთხრა? ვფიქრობდი და წამსავე დაცვარულ და ფართოფოთლებიანს თხემლის ხეზედ მიყრდნობილი ჯარისკაცი დავინახე—განაგრძო ჯიბომ—„ბატონო, კომანდირო, აქ არ დამტოვო... მიშველე!“ ხროტინობდა ის ანთებულ თვალებით და სისხლი თუხთუხით გადმოდიოდა ყელიდან. მისი წუთები დათვლილი იყო. რა უნდა მექნა? მხარში შევუდექი და კარგა ხანს ვათრიე. თოფი დააგდე მეთქი—ვეძახდი, მაგრამ არ უშვებდა, თითქოს დააჭედეს თოფს მისი მარჯვენა ხელიო. იქნებ არც კი ესმოდა ჩემი ძახილი?! ჯარისკაცი კახელი იყო. მთვრალივით ბარბაცებდა, მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ მაინც მოაბიჯებდა წინ, სამშვიდობოსკენ.. ვინ უშველიდა მას? დაკვეთილი სისხლი იყო დაღვარული ყელსა და მხრებზე.

— მოკვდა, საწყალი?—შეეკითხა ცრემლიანი თვალებით ნინო და ჯიბოს ხელი კიდევ უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე.

— ალბათ. „გამიშვი.. დავსხდები“.. სთქვა ხროტინით მან და სიტყვათა გაბგერება ისმოდა ვით გაწყვეტილი სიმის ჟღერა, ფლეიტის ფისტულებში ჩაბერილი ჰაერის ფშვინვა. უიმედოთ ჩაიკეცა. მე დავდევი იგი მიწაზე და ჭრილობას დავხედე. შავად მოკუპრული პატარა იარა იჯდა კისერზე ვით გახურებულ შანთის ჩხვლეტისგან პირღიათ დარჩენილი ნაჭდობი. სახე გაუშავდა და გაუსივდა. დახეთქილ ტუჩებს თეთრი ქაფი, დუჟი და ლოპი მოეკიდა. მძაფრი ხედვით ანთე-

ბული და დაფეთებული მისი თვალები არ იძროდენ. დავაწვინე. ზორბა და ახოვანი ვაჟკაცი იყო. დატვტოვე.

— როგორ არ შეგეცოდა, ჯიბო რას ამბობ?—დაიძახა [illegible] ბაძის ხელი მაგიდაზე ისროლა.

— შემეცოდა, მაგრამ რა უნდა მექნა? სათრევად აღარ ჰღირდა.

— ნუ იტყვი შე კაცო!—აიფარა თვალებზე ხელი ვარდომ.

— ჩემი მეთაურები და გამოქცეული ჯარისკაცები უნდა მომეძებნა. საშინელი თავისმოჭრა და სირცხვილი ვიგრძენი. ათასეული დაიქსაქსა, ხოლო სახე და ხელებ დაგლეჯილი მისი უფროსი არსად სჩანდა!—სთქვა სერიოზული სახის მეტყველებით ჯიბომ.

— მერე, ნახე ისინი?—შეეკითხა ესტატე.

— ვნახე. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ. შორს წასულან. კარგა დიდი მანძილი გადაურბენიათ.—გაიღიმა ჯიბომ და განაგრძო—ელბაქიძემ დამინახა და მომვარდა. გადამეხვია და გადამკოცნა: „ჯიბო, ჩვენ დაგინახეთ სანგრებიდან რომ გადმოხტი და ტყვიები დაგაყარეს. მე მოკლული მეგონე. გამოგიგლოვეთ. ვფიქრობდით შენს საძებნელად წამოსვლას“.—სთქვა ბენია ელბაქიძემ და ამოდენა კაცმა ტირილი დაიწყო, აქვითინდა: „ჯიბო, რა მოგვივიდა ეს? ბათუმი დაეცა. დაეცა უბრძოლველად. როგორი სირცხვილი ვჭამეთ!“ ეს იყო და ეს. მე ვუბრძანე ჩემს თანაშემწეს ათასეულიდან დარჩენილ ჯარისკაცების შეკრება. შესაკრები არაფერი იყო. ჩემს ათასეულიდან დარჩა ორმოცი ქიზიყელი და ათიოდე ადგილობრივი მოხალისე, შემდეგ ქობულეთში ჩავედით. მორჩა და გათავდა. მე ასეთს ჯარში აღარ ვიმსახურებ. მეყოფა სირცხვილი და თავის მოჭრა!

საშინელი მდუმარება ჩამოვარდა. ესტატე ძმასთან ერთად გრძნობდა შეურაცყოფას და თავსლაფის დასხმას.

— ხიდაშელის ბატარეია სად იყო?—იკითხა ესტატემ, თითქოს მარტოკა ერთი ბატარეიით შეიძლებოდეს ციხე-ქალაქის გადარჩენა?!

— ხიდაშელს დანიშნულება ბრძოლისათვის არ მიუღია. ხიდაშელი მე უკვე სამტრედიაში ვნახე. ოხ, ეგ დასაწვავი სამტრედია, რა საშინელი სურათი ვნახე იქ?—დაიწყო ისევ ჯიბომ. გამოქცეული დეზერტირები, კოწია ჯარისკაცების, ყაბალახიანი და ცინგლიანი ბიჭების ყიჟინი, ორომტრიალი! მაინც ამ ჩვენმა ხალხმა და უფრორე იმერლებმა როგორი საშინელი, აზიური ყაყანი იციან? სინაღოლაში თუ ნახავ ასეთ ამბავს!? ეს უთავბოლო სირბილი ფუთებით, კალათებით, ხურჯინებით, თითქოს ჭიანჭველების ბუდე დაანგრიეს და ისინი გარბიან ზურგზე აკიდულ ბარგი-ბარხანით, კვერცხებით და აზრადაც კი არ მოსდით ამ შიშით შეპყრობილ პაწია ქმნილებებს მტერთან ბრძოლა, ვინაიდან წინდაწინვე იციან, დარწმუნებული არიან, რომ მათი ბრძოლა დამარცხებით დასრულდება. მე ვნახე ეს სტიქიური და ადამიანის დამამცირებელი ფუსფუსი, პირუტყვის მსგავსი პანიკა, შიში..

— ეხ, ჩემო კარგო, ჭიანჭველათა ბუდის დანგრევა და კატასტროფის ჟამს შენიშნული მათი ფუსფუსი გაცილებით უფრო განფიქრებულია, გეგმიანი, ურთიერთის დახმარებით და სოციალური ინსტინქტით აღსავსე, ვიდრე ის რაიც

შენ გინახავს, სადაც ადამიანები მხოლოდღა საკუთარი თავის გადარჩენაზე ჰფიქრობენ, ან კიდევ სახელმწიფო ქონების დატაცებას, წაგლეჯას და გაწყვეტადაბნელებულთ აწ აღარ ახსოვთ საერთო საქმე, მოვალეობა და თავისი ქვეყნის ბედიღბალი! მეტად მაფიქრებს მე ყოველივე ეს!—სთქვა ესტატემ. ჯავრისგან თავი ჩაჰკიდა და ქვედა ტუჩის სრესა დაიწყო.

მართლაც კაპიტანის ჯიბო მაჩაბელის ნაამბობი საესებით გამოხატავდა ბათუმის სამარცხვინო დაცემას. სრულიად უმნიშვნელო ბრძოლისა და შემოტევის შემდეგ ციხე-ქალაქი ჩაბარდა ოსმალებს მთელი თავისი გარნიზონით, მცირერიცხოვანი უმნიშვნელო რაზმებისა და ერთეულ პირთა გამოკლებით. პოზიციაზე დაბანაკებული ჯარის ნაწილები თავისი ნებით ატოვებდნენ ბრძოლის ველს და გარბოდნენ, ან კიდევ სრულიადაც არ სურდათ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და ასე მოდიოდენ ადრევე ბათუმიდან.

* * *

მასაქედ რა რომ სერგო ხიდაშელის ბატარეია წავიდა მოღრუბლული და წვიმიანი დღეები დაიჭირა. მთები აღარ სჩანდნენ. ცა და დედამიწა შეერთდა და თითქოს წარიშალა სივრცეთა სიგრძე და განიო. ყაზარმის წინ ატალახებულ მოედანზე უკვე სამი დღეა სამაცადინოთ აღარ გასულან ჯარისკაცები. წვიმით განოყილ ბრეზენტში გახვეული ზარბაზნები სდუმდნენ. რა ხდებოდა მთათა გადაღმა არავინ იცოდა. ბრიგადის მიერ ბათუმის დასაცავად გაგზავნილი „პირველი მერცხალი“ ბატარეა ისახელებს თუ არა თავს? დღეს ყაზარმაში დილიდანვე ცუდი ხმები გავრცელდა: ამბობდენ ბათუმი დაეცაო. არტილერისტები მოწყენით ისხდნენ ლოგინზე და ჩამოლამებულ ცას გასცქეროდნენ. დათა კაჭკაჭიშვილი ისევ ფრანგულ რომანს ჰკითხულობდა. მჭედლიშვილი გულსაკლავად უკრავდა ვიოლინოზე სამგლოვიარო მარშს. რაღაც საოცარი მყუდროება და გულშემზარავი, ცუდი განწყობილება შეიქნა. ოფიცრები დადიოდნენ დაღვრემილის სახით და ჯარისკაცებთან საუბარს ერიდებოდნენ, თითქოს ემდურიანო.

კორნელიმ და სანდრომ მაზარა წამოისხეს და შტაბისკენ წავიდნენ. პირველ ყაზარმის კარებთან მათ დაინახეს გენერალი ნიჟარაძე და შუახნის კაცი; მას ეცვა ჯარისკაცის მაზარა. სანდრომ იცნო გენერალ ნიჟარაძესთან მოსაუბრე ჯარისკაცი:

— ესტატე!—დაიძახა სანდრომ. კორნელი თვალთ არ უჯეროდა. რკინით გადახურულ კარებთან იდგნენ ვექილი ესტატე მაჩაბელი და გენერალი ნიჟარაძე. კორნელიმ იცნო ესტატე გვერდზე შეჭაღარებული თმით. ვექილი მაზარაში უფრო ხნიერი სჩანდა. საყელო აეწია. ჯიბეში ხელი ჩაედო და უიმედოთ უცქერდა სახურავიდან წვიმის წვეთების განუწყვეტელ ვარდნას და წყლის ზედაპირზე გარბენილ კონცენტრიულ წრეებს. როდესაც გენერალი წავიდა ესტატესთან შეჩერდნენ გენადი, ქართველიშვილი და პლატონ ცრუავა. ისინიც მგლოვიარე და მდუმარე სახით დასჩერებოდნენ მიწას, თითქოს ყაზარმაში მათი ძვირფასი ამხანაგის ცხედარია და მის გამოსვენებას უცდიანო.

— ჰკითხე კორნელი ესტატეს: მართლა აიღეს თურქებმა ბათუმი თუ არა?!—უთხრა კორნელის სანდრომ.

ისინი ჩქარის ნაბიჯით მიუახლოვდნენ ვექილს. კორნელი შეეკითხა. ესტატეს სამგლოვიარო განწყობილება არ დაურღვევია და კორნელის ჩუმად უპასუხა:

— ნამდვილი ამბავი ჯერ არ ვიცით... მაგრამ ბათუმი ალბათ დაეცემა... თუ დაეცა მგონი კიდეც..

გულშემოყრილი კორნელი გაშეშდა.

კორნელიმ ჩუმად შეეპარა:

— ეს მაზარა რისთვის ჩაგიცვამთ, ესტატე?

— ბრიგადაში ჩავეწერე!

ჯარისკაცებს გაუკვირდათ და კორნელი ისევ შეეკითხა ესტატეს:

— მერე, თუ ასეთი კრიტიკული მდგომარეობაა რისთვის ვზივართ ამ ტფილისში?

— ჩვენი ბატარეია სავსებით მზად არის ომისთვის!—შენიშნა სანდრომ.

— ალბათ თქვენ ბატარიასაც მალე გაისტუმრებენ!—უპასუხა ესტატემ.

მეოთხე ბატარეია.

მართლაც ასე მოხდა. კაპიტანი ალექსიძეს ბატარეია მიდიოდა ბორჯომის კენ. რონოდები მიაყენეს ბაქანს. რონოდებზე მიაყუდეს ფიცრის ბოგირი. ზარბაზნები და ყუთები შეაგორეს, ცხენები შეიყვანეს, სურსათი და მოკაზმულობაც დააწყვეს. ღამის ათ საათზე ეშელონი მზად იყო უკვე გასამგზავრებლად. ჯარისკაცები გუნდგუნდათ იდგნენ, იმღეროდნენ და წასვლას ელოდნენ. მრავალი კიდევ განაგრძობდა ფუსფუსს და გასტრონომიულ მაღაზიისკენ სირბინს. ეშელონის წასვლის წინ მოვიდა გენერალი ნიჟარაძე. ჯარისკაცები ჩადგნენ მწკრივში. „სმენა, სალამი მარცხნივ“—დაიძახა ალექსიძემ. გენერალი მიესალმა ჯარისკაცებს. ჯარისკაცებმა შესძახეს ბაქანზე: „გაუმარჯოს!“ გენერალი გამოემშვიდობა ბატარეიას. იგი ლაპარაკობდა დამტვრეული ქართულით:

— ჯარისკაცებო, მძიმე მოვალეობა გეკისრებათ თქვენ: სამშობლოს დაცვა! რომ ეს მოვალეობა პირნათლად შეასრულოთ საჭიროა თითეული თქვენგანი იცავდეს აბსოლუტურ დისციპლინას. რევოლიუცია გათავდა! ხომ ხედავთ „ამხანაგობიამ“ დაგვღუპა: ბათუმი წაგვართვეს თურქებმა?! ჩვენ მეტად მძიმე პირობებში გვიხდება ბრძოლა თურქებთან „без России“. ჯარი დაშლილია და ერთად ერთი იმედი თქვენზეა „на интеллигенцию и учащуюся молодежь“. თქვენ ჯერ არ იყავით ომში. იყავით ფრთხილად. თქვენ მიდიხართ ახალციხეში და ახალქალაქში. თურქები აძლევენ თათრებს თოფებს და თათრები მოდიან против нас—„ჩვენ წინააღმდეგ“—დაუძახა დათა კაჭკაჭიშვილმა. გენერალი განაგრძობდა.—Они ведут партизанскую войну —ისინი აწარმოებენ პარტიზანულ ბრძოლას“—გაუსწორა დათამ. გენერალი კვლავ განაგრძობდა:—ასეთი ბრძოლა хуже настоящей войны „ნამდვილ ომზე უფრო უარესია“ - დაუძახა ისევ დათამ. გენერალმა გაიმეორა და განაგრძო—იყავით ფხიზლათ...—ქართული სიტყვა აღარ ჰყოფნიდა. სტუდენტები უთარგმნიდნენ რუსულიდან და აწვდიდნენ

საჭირო სიტყვებს, რომელთაც გენერალი ძალზე ამახინჯებდა. მარჯვენა ფრთაზე სიცილი ატყდა. აქ იდგნენ პეტრე ცხომელიძე, გრიგოლ მეგრელიშვილი, კუკური, მიტო, გიგა ნახუცრიშვილი, სანდრო, კორნელი და [illegible] გენერალმა სთქვა—„იყავით ფხიზლად, თათრებმა უკან იციან მოწოლა"-ო, ყველას სიცილი წასკდა. კაპიტანი ალექსიძე ტუქსავდა თვალებით ჯარისკაცებს, მაგრამ ეხლა ვერც თითონ იმაგრებდა ღიმილს. პორუჩიკი ბერეჟიანი მთელის ტანით ძაგძაგებდა..

— რა გაცინებთ?—დაიძახა გენერალმა—მართალს ვამბობ! თურქებს მე ვიცნობ, ვიცი იმათი ამბავი как своих пять пальцев; მე ვიყავი კავკასკი ფრონტზე. ღამე თუ დაიძინეთ და კარგი ყარაულები და სტოროჟები არ დააყენეთ, თათარი მოგეპარება და უკან.....—გენერალმა ისეთი სიტყვა სთქვა რომ მთელმა ბატარეიამ გადიხარხარა. გიგა ნახუცრიშვილი კინაღამ წაიქცა, სანდროსა და კუკურისკენ შეტრიალდა და დაიძახა:

— ოხ, მე ამ ნიჟარაძის პირი კი რა ვქენ.. ხედავ რეებს ამბობს ეგ სახეძაღლი?!—ხითხითებდა ჯარისკაცი.

გენერალის ასეთი ღრმა და პატრიოტული სიტყვის შემდეგ ჯარისკაცები შევიდნენ რონოდებში. ჯარისკაცები მოთავსდნენ თივაზე სასაქონლო რონოდებში, ხოლო სანდრო, კორნელი, დათა კაჭკაჭიშვილი, კუკური ზარანდია, ზემდეგი და ფეიერვერკერები კი ოფიცერთა რონოდაში. აქ ისხდნენ: კაპიტანი ალექსიძე, მისი თანაშემწე—პორუჩიკი ბერეჟიანი, უმცროსი ოფიცრები—პრაპორშჩიკი ცაგარელი და ზაუტაშვილი. კაპიტანს მიჰყვებოდნენ აგრეთვე ფეხოსანი ჯარის ოფიცრები კაპიტანი ბოლქვაძე და შტაბს-კაპიტანი ზალდასტანიშვილი. ავჭალის შემდეგ ჩოხოსანმა ზალდასტანიშვილმა კალათა გახსნა, საუზმე, კონიაკი და არაყი ამოალაგა. კორნელი და სანდრო სვამდნენ და ქეიფობდნენ ოფიცრებთან ერთად. კაპიტანი ამბობდა:

— მაშ ასე, ომში მივდივართ. იქ გამოჩნდება ვინ არის თქვენ შორის მამაცი და მხდალი! დარდი ნუ გაქვთ—იქ ცერემონიას აღარ დაგიწყებთ. ტყავს გაგაძრობთ.

კაპიტანს არაყი ეკიდებოდა. ტრაბახობდა დასავლეთისა და კავკასიის ფრონტზე ჩადენილ გმირობით; შემდეგ ჯარისკაცებს უბრძანა ეთქვათ სიმღერა და მალე რონოდში გაისმა „მრავალჟამიერი". ქეიფმა დილამდე გასტანა. კორნელიმ იძინა სულ ორი საათი. ეშელონი ჩავიდა ბორჯომში დილით. ოფიცრები წავიდნენ ბორჯომ-ბაღში ბატარეიის დასაბინაებლად. კორნელის ჯერ კიდევ არ გამოუფხიზლნია და თავი სტკიოდა, ცუდ გუნებაზედ იყო, მაგრამ რონოდებიდან გადმოსულ ჯარისკაცებს [illegible] ნჯობა, სიცილ-ხარხარი და განსაკუთრებით კი ბორჯომის ხეობის წარმტაცი ბუნება თანდათან უამებდა გულს. ირგვლივ იდგნენ ფიჭვითა და ნაძვით შემკობილი მაღალი მთები. მთის სუფთა და მჟავბადით აღსავსე ჰაერმა თუთუნის ბოლითა და სიმყრალით განყოილ რონოდის შემდეგ კორნელის შეხუთული გული და ფილტვები გადაუსარკა და ჯარისკაცი ფართოდ სუნთქავდა. მთიდან ხევში ჩაცვენილ ლოდებზე აჩქერებულ მტკვარის წყალით ხელპირი დაიბანა და გამოცოცხლდა. ცოტა ხნის შემდეგ სადგურზე მოვიდა კაპიტანი ალექსიძე თავისი ახალი ლამაზი ცხენით, (გიაური

ტფილისში დასტოვა). ბრძანება გასცა და ბატარეია გადმოებარგა ორნოდებიდან. ცხენები შეკაზმეს. ზარბაზნებსა, საყუმბარე ყუთებსა და საბარგულებს შეაბეს. მალე ბორჯომის ხეობის გზატკეცილზე ახმაურდნენ ბატარეიის ბორბლები. წინ ლამაზი ცხენით მიდიოდა კაპიტანი და ოფიცრები, მზვერავი რაზმი: პეტრე ცხომელიძე და მისი ამხანაგები. ეს იყო ბატარეიის თავი. შემდეგ იწყებოდა ტანი: ოთხი სამთო ზარბაზანი, საყუმბარე ყუთებითა და საბარგულით. პატარა, ოხტა და ნაცრისფერ ცხენზე მსხდომი კორნელი ვერც კი წვდებოდა თეალით ბატარეიის კუდს. როდესაც ბორჯომ-ბაღს მიუახლოვდნენ, კორნელიმ დაინახა სახლებიდან ეუჩაზე გამოფენილი ხალხი. ცხენზე გასწორდა და აღვირი დაიმოკლა. ფეიერვერკერი მიჰყვებოდა მესამე ზარბაზანს. წინ პირველ და მეორე ზარბაზანთან სანდრო და კონსტანტინოვი, ხოლო მეოთხე ზარბაზანთან გარსევანიშვილი მოდიოდა. ზარბაზნებზე მოსამსახურენი, ცხენმჯდომნი და მთლიანად მთელი ბატარეიაც კარგი შესახედავი იყო. მიდიოდნენ წესისამებრ, და ნამდვილი ჯარისკაცებივით. საცქერლად გამოსული ხალხის სახეზე კორნელიმ წაიკითხა სიხარული, იმედი, მოწონება და ფეიერვერკერის გულში იღვიძებდა თავისი ქვეყნის წინაშე მოვალეობის შეგნება. გამოჩნდნენ სააგარაკო სახლები, გზატკეცილზე გარაზმული მაღალი ალვის ხეები. ბატარეიამ გაიარა მტკვარზე აგებული ხიდი, ბაზარი და „ეკატერინეს წყაროსთან" შეჩერდა. ორსართულიანს ხის სახლში მოთავსდა შტაბი, ხოლო მინდორზე გაშლილ კარვებში ჯარისკაცები. კორნელიმ მოხსნა უნაგირს ტანსაცმლით, სურსათით და სხვა ნივთებით გატენილი სალაშქრო ჩანთა... საღამომდე ეწყობოდნენ ჯარისკაცები კარვებში.. შემდეგ ქალაქში, პარკში გავიდნენ და უპატრონოთ მიტოვებული მჟავე წყალით მუცელი გაიბერეს. რამდენხანს დარჩებოდა ბატარეია ბორჯომში და მისი შემდეგი სვლის გეზი არავინ იცოდა. ერთი კი ცხადი იყო: ბატარეიას გაგზავნიდნენ ახალქალაქისკენ ან აწყურ-ახალციხისკენ. საღამოს კორნელიმ და სანდრომ ცხენები შეკაზმეს და ლიკანის სასახლისკენ გაისეირნეს.

როდესაც აბასთუმნისკენ მიმავალ გზას დაადგნენ, კორნელი უნაგირზე გასწორდა, სადავე დაიჭირა და ცხენი ჩორთით წაიყვანა. ბორჯომის ვიწრო ხეობაში თევზებივით დაიბნა ცხენთა ფლოქვების თქარუნი, ირგვლივ სდგანან ნაძვითა და ფიჭვით დაბურული მთები, უზარმაზარი კლდეები. ხევში მტკვარი ხმაურობს და თვალწინ მიჰქრიან ხეივნის მაღალი ალვის ხეები მწვანე პეპელათა ფრთების მსგავსი აკანკალებული ფოთლებით. წარმტაცი ბუნებაა და მისი ჭვრეტით ველარ ძღება დახარბებული თვალი. ბორჯომის ხეობიდან გზა აწყურამდე მიდის, ძველთაძველ ციხე-სიმაგრემდე, თავდება მთა-გორით შამოზღუდული ხეობა, გამოქვაბულიდან გამოსული უახლოვდები აწყურს, საიდანაც იშლება ახალციხის მაღალი და ფართო ველები, რომელთაც ეხლა ოსმალნი ეუფლებიან. კორნელის გულში უხილავი ძალა, აღტაცება ტრიალდება და ჯანიანი მთების მსგავსი ძალღონით სავსე მხედარი მარტო წავიდოდა ეხლა თუნდ მთელი ოსმელეთის წინააღმდეგ. წავიდოდა „ახალი ციხის" ასაღებად საუკუნეთა განმავლობაში რომ სდარაჯობდა ათაბეგების სამფლობელოს. მიჰქროდნენ ცხენები თქარუნით. ცოტა ხნის შემდეგ კორნელი და სანდრო უკან გამობრუნდნენ. დაღამდა. ცა მოი-

ჭედა ნაკვერცხალივით ელვარე და დიდრონი ვარსკვლავებით. ბორჯომის შემოსავალთან კორნელის შემოესმა ქართული სიმღერა. სახლის წინ, ეზოში მან დაინახა ჯარისკაცები. აქ დაბანაკებულა აწყურისკენ მიმავალი ათასეული. მხედრებს გზაზე შეხვდნენ ჯიბო და ქვეითი ჯარის მეთაურები. მხედრები ცხენიდან გადმოხტნენ. ჯიბოს გაეხარდა:

— თქვენც აქა ხართ? სწორედ ეხლა ვიყავი კაპიტან ალექსიძესთან იქ არ დამიხვდით..

— ჯიბო, ეს თქვენი ათასეულია?

— ჩვენი გახლავს!—უპასუხა ჯიბომ. ჯიბო იყო ამ რაზმის—ათასეულის უფროსის თანაშემწე.—გაიცანით!—სთქვა მან და ფეიერვერკერებმა ჩამოართვეს ხელი რაზმის უფროსს, პატარა ტანის, წევრგაპარსულ და ჭკვიანი სახის მქონე კაცს.

ჯიბოსთან იდგა გრძელბეწვიანი, თეთრი და ლამაზი ძაღლი.

— ძალიან ნაწყენი არიან ჩვენები, განსაკუთრებით ნინო!—სთქვა ჯიბომ და კორნელის ორჭოფი ღიმილით შეხედა. ნინოს ხსენებაზე კორნელი გაწითლდა და ჯიბოს შეეკითხა:

— რატომ?

— იმიტომ რომ წამოსვლის წინ არავის არ გამოემშვიდობე!

— ვერ მოვასწარი!—სთქვა კორნელიმ და გაიფიქრა: „განსაკუთრებით ნინო ყოფილა ნაწყენი, და ეს იცის ჯიბომ.. მაშასადამე სახლში ყოფილა ლაპარაკი ამის შესახებ. ეს კარგი ნიშანია. გამარჯვების საწინდარი“.. შემდეგ კორნელიმ განგებ შესცვალა ლაპარაკის საგანი.

— ეს ძაღლი ვისია?—ჰკითხა კორნელიმ და ძაღლს მოეფერა.

— ჩემია—უპასუხა ჯიბომ და უფროსთან ბაასი გააბა. შემდეგ ისევ შემოტრიალდა კორნელისკენ და ძაღლის შესახებ განაგრძო:

— სასახლეში მაჩუქეს. მართლა, კორნელი თქვენი ბატარეია სამი დღით დარჩება ბორჯომში.

— მერე?

— ახალქალაქისკენ გაგზავნიან!

— ახალციხისკენ?

— შავიშვილის ბატარეია წავიდა გუშინწინ.. ჰო, იმას ვამბობდი—დაიწყო ჯიბომ—ამ ძაღლის ამბავი შენ არ იცი! წმინდა წყლის ლავერაკია. მინდა ესტატეს გაუგზავნო. ჩვენ ზეგ მივდივართ აწყურისკენ. თან ვერ წავიყვან. აქ ვის დაუტოვო? მეშინია, არ მომპარონ.. გინდა ტფილისში წასვლას მოგიხერხებ ალექსიძესთან. ისიც ხვალ ღამით მიდის. ტფილისიდან ერთად წამოხვალთ.—კორნელის ნეტარების ღიმილმა გადაურბინა სახეზე, “სჩანს ბედი მწყალობს“—გაიფიქრა მან და ჯიბოს თანხმობა განუცხადა:

— თუ აგრეა, კარგი, წავალ.

— ესტატეს მიუყვანე. როგორ გაუხარდება?! ძვირფასი საჩუქარია!

ჯიბო კორნელი და სანდრო დაემშვიდობენ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერმედია

მატარებელი მიჰქროდა ტფილისისკენ. ფანჯარასთან იჯდა შეიარაღებული ჯარისკაცი. მის ფეხებთან იწვა ყაბის ფეხზე ძეწკვით მიბმული ლაველაკი. ფანჯრიდან კორნელი ჰხედავდა ჰაერში ხელგაწვდილ ათიათას ნაძვის ხეს. ისინი აცილებდნენ მას ტფილისისკენ როკვით, ცეკვითა და ტრიალით. ჯარისკაცს უხაროდა ტფილისში ჩასვლა და ნინოს ნახვა ერთი დღით. ღამეს გაათევს მხოლოდ. ხვალ ღამით ისევ გამობრუნდება ბორჯომში. „ეს თავდასხმაა“—გაიფიქრა ღიმილით კორნელიმ. მეტისმეტი თავაზიანად ეკიდებოდა იგი მგზავრებს, საუბრობდა მათთან და იცინოდა. რა საამური წუთია? ბრძოლის ველზე გამგზავრების წინ ის ნახავს სატრფოს, დასტკბება მასთან ყოფნით, ყველაფერს გაუმხელს, გამოემშვიდობება, და თუ შეხვედრა იქნა ბედნიერი უკანვე გამოსწევს გმირის სახელის მოსახვეჭად და თუ უბედო—ტყვეისა.

„ჩემი თავდასხმა ტფილისზე გამარჯვებით უნდა დასრულდეს—ჰფიქრობდა კორნელი. მაშ, წინ! იერიშით უნდა ავიღო ციხე-სიმაგრე და მოვიტაცო შიგ მსხდომი ჩემი ნესტანი, უნდა მოვტაცო იგი ცრუავებსა და ათას სხვა ქაჯებსა და ეშმაკებს“. აღტაცებული გრძნობა გათავდა და საკითხს ეხლა გონების თვალით მიუდგა. „განა ყოველივე ის რაც იყო მე და ნინოს შორის საკმარისი არ არის ვაცხადებდე მაზედ უფლებებს, ვითხოვდე მისგან უკანასკნელ პასუხს? ვითხოვდე მისგან—გახდეს ჩემი ცოლი?—უკანასკნელ სიტყვაზე კორნელის საშინელი გულისცემა აუვარდა. ალმური მოედო, გარეთ გავიდა და რონოდის კიბის საფეხურზე გაჩერდა. მატარებელი მიჰქროდა ქვიშხეთის ახლოს. კორნელიმ ქუდი მოიხადა. ქარი სცემდა გახურებულ სახეზე და გიშრისფერ ხუჭუჭა თმას უნიავებდა. მჭრელი შუქიანი და დიდრონი თვალებით გაჰხედა მზისგან ვარდისფრად განათებულ ცას, იისფერ ბურუსით მოცულ შორეულ ქედებს, უღელტეხილს და ბურუსულსა. “ცოლი.. მერე ვინ იცის, დასთანხმდება? თითონ რომ დასთანხმდეს—დედა და მამა რას იტყვიან? ისინი ალბათ პლატონ ცრუავას და დათა კაჭკაჭიშვილს ამჯობინებენ ჩემს თავს!? იმათმა უცხო ენები იციან, ჩემზედ უფრო ნასწავლი სჩანან.. ხე-ხე!!“—ჩაიცინა კორნელიმ და განაგრძო: „სჩანან მხოლოდ! ნამდვილი ჩემი სახე, ნიჭი და ძალა ჯერ ხომ არავინ იცის? მოვა დრო და ყველა დაინახავს! ეხლა კი რა გაეწყობა, არავინ იცის! დეე, ნუ იცოდეს.. არც უნდა იცოდნენ! რა საბუთით? მე თითქოს ძალზედ მორცხვი და გაუბედავი ვიყავი, ნამდვილად კი ვემზადებოდი ბრძოლისთვის, ვივსებოდი ცოდნით და დაკვირვებით, ვით ამ მანქანის ქვაბი წყალითა, რომ მოსულიყო წამი და ამენთო გრძნობა, გონება და ნება ამ უდრეკი გოლიათი ძალის მქონე, ცეცხლითა და ადუღებული ორთქლით მქმინავი მანქანის მსგავსად. გათავდა! იწყება ჩემი პირველი იერიში, პირველი ჩემი თავდასხმა“..

მატარებელი მიქროდა ტფილისისკენ.

როდესაც კორნელი ტფილისში ჩამოვიდა, სადგურსა და ქუჩებზე გაიარა, მისი აღტაცება შენელდა. ბორჯომში ნაგრძნობი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე შეიბღალა.

ამჟამად გადამთვრალი და ზნედაცემული ქუჩა განაგრძობდა წარსულ წელთა მემკვიდრეობის თანახმად დარჩენილ „ოპ-სესტრა“-ს ძახილ და „ჩიჩიკი“-ს სიმღერას. სიმღერაში ათახსირებდნენ ამიერკავკასიის ბონების [illegible] ქუსაქმო, მოქეიფე და ყაჩაღობის გზაზე მდგარ ახალგაზრდებს წევარიევით წვრილ წელზე შემოერტყათ ქამარი, ლეკურის ცეკვით ალესილს და თხასავით ჩქარ ფეხებს უმშვენებდათ მესტები, „გალიფე“. უშრომლად მოპოებულ ქალალდის ფულს, ბონებს დასტობით ჰყრიდდნენ რესტორანის მაგიდაზე „ფრენჩის“ გულჯიბიდან. ბუხრის ქუდს ისწორებდნენ, იდგა ყაილა, ჩხუბი, იარაღის ტრიალი, თითქოს სუფრის გმირები, ხოლო ტყვიაში მხდალნი ზელიმხანები ყოფილიყვნენ! ასეთი ბიჭები ეწერებოდნენ სახელდახელოდ შემდგარ რაზმებში და თავის უფლებას და იარაღს ბოროტად იყენებდნენ. ასეთი ბიჭების ხელში იყო სახელმწიფო. ასეთი ბიჭები იკავებდნენ საპასუხისმგებლო ადგილებს დაწესებულებებში. ასეთი ბიჭები იძლეოდენ ნებართვას იარაღის ტარებაზე, რაზმის შედგენაზე, მოკაზმულობისა და საკვების მიღებაზე საწყობიდან, ნებართვას რონოდებით სარგებლობისა, ლიტერებს და სხვას. სახელმწიფო სრულიად მოშლილ და უპატრონო აპარატს წარმოადგენდა.

ზემო-იმერეთს მოჰქონდა გამასხარავებული მსოფლგაგება, ლექსი და სიმღერები: „ორი ქოთანი ვიყიდე, ვაი“.. წუთისოფლის მასხრები მომრავლდნენ. ფეხზედ ეკიდათ ფოსტის ფულები! ოსმალეთის შემოტევის შემდეგ ავლაბარი და ტფილისელი ავარებიც ახმაურდნენ. ისმოდა ნაძირალების სიმღერა:

„Турки наступают,
Взяли Караклис.
Три вагона вазелину
Везут на Тифлис“..

ასეთის განწყობილებით და მომზადებით დაუხვდა ამიერ-კავკასია ოსმალთა შემოტევას. მტრის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი, ერთის და ორის ნებისყოფა და ენტუზიაზმი იჩრდილებოდა უპრინციპო ხალხის სიმრავლით. ქვეყნის დაცვის საქმეს აფერხებდა მშრომელი მასის ინტერესთა დაუკმაყოფილებლობა ამიერ-კავკასიის ხელისუფალთა მიერ.

გაგრძელება იქნება.

დემნა შენგელაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათა ქექია

რომანი *)

ნაწილი მეორე

1

მას შემდეგ არ მინახავს სიდუ. ჩვენ ბედს შეურიგდით და მერე წავიდა და წავიდა ეს ცხოვრება ხან სიცილით, ხან ტირილით, ჯაფაში, ჭაპან-წყვეტაში და ახლა, ამ განვლილ დღეებს რომ ვიგონებ, გული მწყდება, ისევ ის დრო მინდა რომ იყოს, ისევ ის ახალგაზდობა, ისევ ის სისულელე და ისევ ის სიცოცხლით სავსე და ბრიყვი ბათურია მინდა რომ ვიყო.

ახლა რა? დრო უკეთესია, მაგრამ რას ვაქნევ? როცა დავბერდი, დავჩაჩანაკდი და ეს ოხერი გული მაინც ისევ ისე ახალგაზდურად მერჩის, მადა და ხალისი ისევ იმდენი მაქვს, მაგრამ წელი რომ არ მომდევს! ეს ოხერი ზამთარიც ცას ჩამოსტირის და ქარები, რიონის შლამიანმა ნაპირებმა რომ მაჩუქეს, ჰქრის ძვლებში და მამტვრევს.

ხანდახან ჩვენი გაკრეჭილი ხუცესი საბასტრატილატე თუ შემოივლის, თავს ეშმაკის მოციქულივით დამადგება და შემეკითხება:

— რავაა, ბათა, ჩვენი საქმე, ა?

— შენთან საერთო საქმე ღმერთმა ნუ მომცეს! შენი სიგლახე ჩემი გახარებაა და რა მაქვს შენთან საერთო?—უპასუხებ მე და სულძაღლი ქირქილებს უდარდელად. რატომაც არ იქირქილებს?—ქვეყანა მაგან შეჭამა და ბოლოს მაინც იმდენი ქნა, რომ ცხოვრობს მისთვის; მე მაინც მიყვარს, წყეული, ერთად გავზრდილვართ, ერთი ძუძუ გვიჭამია და ხომ გაგიგონიათ?—თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო?—ასე ვართ ჩვენც. ვკბენთ ერთი მეორეს, საშველს არ ვაძლევთ და უერთმანერთოდ ცხოვრება მაინც არ შეგვიძლია.

ენა მასაც ჩემსავით გატლეკილი აქვს მაგრამ ხანდახან ისეთ სისულელეს იტყვის, სულძაღლი, რომ ასი წლის მკვდარ ვირს დააყროყინებს.

— ყოჩაღად იყავი, ბათა, ყოჩაღად!—მანუგეშებს იგი,—არ შეგეშინდეს! ძაღლი კოჭლობით არ მომკვდარა და ტურა კივილით. ძვლის ქარებს კიდევ ეშველება რამე და თავში რომ გიქიქინებს, იმას მთელი ამ ქვეყნის ჯანაოზები რომ დაასიო, საშველი მაინც არ იქნება.

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

მე ჯორკოზე შემოვბრუნდი, მაღლა ირიბულად ავხედე და ისე უპასუხებ:

— მიკვირს, საბალია, მიკვირს და გამკვირებია! ოჯ[illegible] მაგარი გაქვს და ეს ოხერი თავი ასე სუსტი! რაშია საქმე, ვერ გამ[illegible]

— ჰე! ჰე! ჰე! დაიწყე არა, მე თხაფეხავ, შენ!—მიტევს იგი.—შენ რომ თავსუსტი არ იყო, ამდენ ხანს რა გაცოცხლებდა ამ ბალშენიკების ხელში?..

— შენ რომ სიცოცხლე გიჭირს ის მაცოცხლებს, ჩემო საბალია. ჩემი საქმე მაშინაა კარგად, შენ რომ გიჭირს. შე რომ კარგა ცხოვრობ, მაშინაა მე რომ ტყავი მძვრება და ვიღუბები! უპასუხებ მე და მერე უტევ:—ჰაიტ, შე გაკრეჭილო წვერცამეტა ხუცესო, შენ! მოდი ერთი, თუ ვაჟკაცი ხარ და აგერ ჩემ გვერდით დაჯექი! თავქარიანი რომ არ ყოფილიყავი, არც მაგ საქმეს დაგმართებდენ ის ჭინკა კოსომოლები. ქვეყნის ცხონების გზას რომ დაადექი, დამიჩემე სულიერი მამა ვარ, სულის საქმეს უნდა ვსდიოვო და იმდენი ეცადე რომ შენ თვითონ ცხვარივით გაგკრიჭეს. ხომ გეუბნებოდი: დამიჯერე, შე წვერცამეტავ, ჭკუით იყავი, სხვის ცოდვებს ნუ დასდევ, საკუთარს უპატრონე მეთქი, არ დამიჯერე და ირიკავე ახლა. ეეხ, ჩემო საბა, რამდენი ყოფილა, რომ მატყლის საშოვნელად წასულა და შინ გაკრეჭილი დაბრუნებულა. დაჯექი ეხლა და იკრუხუნე ყვერულივით, მამლებს დასანახავად ეზარები და დედლებიც თვალებს გკორტნიან! ბევრი მღვდელი გაიკვარჭნა, ჩემო საბალია, და კიდო ბევრი გაიკვარჭნება, ღვთის წყალობით...

— ეჰეი, შე გადაყრუებულო ბეხრეკო, შენა!..—მიტევს საბა და თან ღვინით სავსე დოქის ეშხით, ჯორკოზე საბუთიანად ეწყობა, ტალახიან ფეხებს ცეცხლს უფიცხებს და ორთქლი ბუღივით ასდის მის სველ ქალამნებს.—სანამ ახალგაზდა იყავი, ჩემო ბათა, კიდო მქონდა იმედი, როცა იქნება ჭკუაში ჩავარდება მეთქი და ახლა რაღასი მოიმედე უნდა ვიყო, ოთხმოც წელს გადაგიბიჯებია და ისევ ბაღნობას უბრუნდები?

ასე ენაკვინწარია ეს ხუცესი და აბა, ერთი თქვენ თვითონ მითხარით, როგორ შემიძლია მას ეს სიტყვები შევარჩინო? ამიტომ ყალიონს კერიაზე ვბერტყ და ვეუბნები:

— რა უყოთ მერე, ჩემო საბალია, შენც დაბერდი ეს ამხელა კაცი და შენი ჭკუაში ჩავარდნა მაინც რომ არ იქნა! ხომ გაგიგონია, თევზი თავიდან ამყრალდებაო? მართალია, თევზი არა ხარ, მაგრამ თავი მაინც თევზივით გიყარს და, ალბათ, იმიტომ ხარ ასე ჭკუანაკლული. ასე რომ არ ყოფილიყო, არც ეს დაგემართებოდა, ქვეყნის ცხონება შენ რომ გინდოდა, თუმცა მართალი რომ სთქვას კაცმა, უფრო საკუთარი სულის ცხონებას უნდებოდი. მე ჩემ ცოდვებს თახვის მარცვალივით უვლიდი. ვიცოდი, ცოდვა თაფლი იყო, შაქარი. ცოდვა ტკბილია, საბა, ტკბილი და მე ამ თაფლით ვიტკბობდი სიცოცხლეს. მე, ჩემო საბა, ცოდვას საფუარივით უყურებდი, პური უმისოდ ზიპი ცხვება. შენ კი ამომიჩემე მაინცადამაინც ზიპი პური და უშაქრო ჩაი დამალევინეთო და თქვენც ეს დალიეთო, მაგრამ ვერ მოგართვეს, ჩვენ პირს ცოდვებით ვიტკბარუნებდით და, ცოდვა გატეხილი სჯობია, არც შენ აკლებდი ხელს ჩუმჩუმად, ღმერთმა

ხელი მოგიმართოს და კარგათაც იქცეოდი, იმიტომ რომ ეგ შენი სანარეების ენა ეკლესიის გარეთ სახმარებლად არ ვარგა, არაფრის მაქნისია, ... ოლოში არ გამოგადგება კაცს გაჭირვებისას და მეზობლებში. ახლა ... ბრძ, ... ფეტანგ მეფის კანონები არ სჭრის... მე ჩემი ცხოვრება, ავად თუ კარგად, მომიჭამია და, როგორც ხედავ, არც ღმერთი-მერჩის და არც ეშმაკი. ღვინო ბლომად მაქვს და, თუ შემეხვეწები, დაგალევინებ, თუ არა და მე წამწყმიდოს ჩემმა ცოდვებმა. —ვექილიკები საბას და ასე ოხუნჯობით შევექცევით ტკბილ ალადასტურს, ვიგონებთ წარსულს და ვატყუებთ ღმერთსაც, ეშმაკსაც და ერთი მეორესაც, თუმცა ეს უკანასკნელი საქმე უფრო ძნელია.

ეს გაკრეჭილი ხუცესი არც ისე წმინდა სულისაა, თავს რომ მომაკვდავ მელასავით იკატუნებს, მე ვიცი, მე და ჩემმა ბორანმა კარგად ვიცით, რამდენი ნაპარავი ცხენი გადაუყვანია შუალამით გადაცმულს გურიიდან და აჭარიდან თამშულ დანელიასთან ბანძაში და იქიდან სააფხაზოში გაუქანებია დალშეცვლილი. ისიც კარგა ვიცი, თუ რა პატიოსნად ინახავდა მარხვას ეს ყოვლად უმანკო მტრედი მართლმადიდებელი ეკლესიისა დიდმარხვაში, მაგრამ მერე რა უყოთ რომ ვიცი, განა ადამიანმა ყველაფერი პირში უნდა წამოაკრა კაცს რაც იცი და არ იცი? განა მან ცოტა რამ იცის ჩემზე, მაგრამ ჩვენ უთქმელად გვაქვს პირი შეკრული და ერთმანერთის ცოდვებს ზოგიერთ ენატარტალებივით არ ვახმიანებთ.

ახლა ჩვენ ორივე ქერივები ვართ და ვმადლობთ გამჩენს, რომ ჩვენ კი არ დავიხოცეთ,—ჩვენი ცოლები, ასე საჩქაროდ რომ გამოჰკრეს თავისი ანგელოსური სულები ბოხჩაში და გაუდგენ იქით, საიდანაც მობრუნებული ჯერ არავინ მინახავს. ჩვენ ასე ვიანგარიშეთ: თუ საიქიოს ვინმეა გასაგზავნი, მაშინ რაღა ორი უნდა წავიდეს ამბის გასაგებად? ჩვენც ავდექით და ჩვენი ცოლები გავგზავნეთ. ბევრი ვიტირე, თავი ვიტეხე, როცა სალომე მომიკვდა, მაგრამ რას ვიზამდი? თქვე დალოცვილებო, საფლავშიც ხომ არ ჩავყვებოდი? ეს საქმე კაცს არასოდეს არ უნდა გეჩქარებოდეს, ამ საქმეს მუდამ მოასწრებ. ბოლოს და ბოლოს გამქცევნი ხომ აია ვართ, ერთ დღეს ჩვენც ამოგვხდება ეს გაჭირვებული სული.

ჩვენ დიდათ კმაყოფილი ვართ რომ თან არ გაგვიყოლეს. რა გვეჩქარება? ისინი შეცდენ და ჩვენი შეცდომა კიდევ რაღა საჭირო იყო? მართლა და მართლა, ცას ხომ არ გამოვეკერებით? ვინც წავიდა, რა გააკეთა? მერე ვინ დამიდგება იმის თავდებად, რომ პირდაპირ ჯოჯოხეთის ქვაბში არ ამომავლებენ გასაპუტავ გოჭივით? ამიტომ მე სრულიადაც არ ვჩქარობ და ფეხი ძირმაგარასავით მაგრა მაქვს მოკიდებული ამ მიწაზე.

— მაშ, რახან ასეა, გაუმარჯოს ჩვენ მიწას, ღვინოში და რძეში რომ არის მოზელილი და სიცოცხლეს გვიხალისებს! ამ სიტყვებით მე და საბა რამდენიმე წვეთ ღვინოს მიწაზე ვასხამთ და დანარჩენს საკუთარ გუდაში ვაპირქვავებთ. განა სულერთი არ არის საიდან დაიღვრება ის ამ მიწაზე, ჭიქიდან, თუ ჩვენგან? მაშ რად დავკარგოთ ეს სიამოვნება?

ასე ვზივართ ახლა ცეცხლის პირას მე და ეს გაკრეჭილი ხუცესი საბა-სტრატილატე (ღმერთმა დასწყევლა მისი სახელი, რამ სიგრძეზე გადაჭარული), და ვჭირქილობთ შეზარხოშებულნი. მაგრამ ეს ჭირის შესაჭმელი წიწილები რომ საშველს არ მაძლევენ! ყურები წაიღეს წიაქით! და მე, მოთმინებიდან გამოსული, კარდალიდან დამბალ ღომის ქერქს ვიღებ, ღვინით სავსე ჭიქაში ვფშვნი და, კარგა რომ დავალბე, წიწილებს უყრი.

— ჯიი!.. ჯიი!.. ჯიი!..—ვეძახი მათ ალერსიანად და ხელზე მოჩვეული წიწილები ერთი მეორეს აჯირგალებენ, ჭუკჭუკებენ, წიაქობენ, იკორტნებიან და ღვინოში დამბალ ქერქის ნაფხვენებს ხარბად ესევიან.

— რას შობი, შე ბეხრეკო, წიწილები არ დახოცო!—მიტევს ხუცესი, მაგრამ მე იდაყვს უკმაყოფილოდ ვიქნევ, ჩემ საქმეში რომ ერევა, და ვეუბნები:

— შენ მანდ შენთვის იჯექი, ჩემ საქმეს შენ კაცი არ გეკითხება!

და რამდენიმე წუთს შემდეგ მე და საბა მხიარულად უცქერით როგორ ებლიტებათ წიწილებს თვალები თეთრი რიდეებივით ჩამოფენილ დამძიმებულ ქუთუთოებით, თავს კისერზე ვერ აჩერებენ, დაბლა-დაბლა დააქვთ და წაგრძელებულ კისრებს ძაღლის კუდივით უნიათოდ დაათრევენ. ზოგი მათგანი მთვრალი კაცივით ტორტმანობს, ჩვილ ფრთებს შლის, იხმარებს, რომ არ წაიქცეს, მაგრამ თავს მაინც ვერ იკავებს და აფარფატებული დაყრილ ღომში წვება.

— თხიპ!.. თხიპ!.. თხიპ!..—სლოკინობენ დამთვრალი წიწილები და ნერწყვი ნისკარტზე ეკიდებათ. ბოლოს, ის უკანასკნელიც, თავს რომ ებრძოდა და ჭირვეულობდა, მიწაზე ტორტმანით წვება და ასე, როგორც იქნა, მეშველა, ფაცხაში მყუდროება ჩამოვარდა და, ალბათ, ამ მყუდროების გამო, მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება, რომ ჩემი შვილიშვილი ტაგუია საწნეხელში აღარ ხრაგუნობს.

წამოვდექი, საწნეხელთან მიველ აღტაცებისაგან ერთ ადგილას გავშეშდი. მე მოსიყვარულე თვალებით დავცქერი ჩემი ხუთი წლის ბიჭუნას. ეტყობა, თამაშობით დაღლილა, ძილი მორევია, მიწოლილა და დასძინებია. ირგვლივ სათამაშოები ყრია: სიმინდის ნაგულა, კოლოფები და მუცელ გამოფატრული კარდონის ცხენი, ქალაქიდან რომ ბიძამისმა გამოუგზავნა. ხელში მჭადის ნატეხი უჭირავს და ბატის ჭუჭულივით მსუქანსა და ფუნჩულას სძინავს უდარდელად. სავსე ბარკლები შარვლის მოკლე ტოტებში ვერ ეტევა, მუცელზე შარვალი ასჩაჩვია და ელელსა და შარვლის შუა თეთრ მუცელზე პატარა ჭიპი ფოლაქივით შესაქცევად ძოსჩანს. ტუჩებში შერჩენილი ტიკის სალამური გვერდზე მოჭქცევია, სახეზე უდარდელი ღიმი გადაჭფენია, ლოყები აჭლუებია და ასე ამგვარი მთლად ღვინის ხატის, აგუნას, ლეკვს ჰგავდა, საწნახელში რომ მაჭრის ზარხოშით მიეძინება. ის პატარა თიკნის ტიკჭორასავით იწვა საწნახელში და ამ ცოცხალ ტიკს პატარა სალამური შარვალში უსირცხვილოდ რიკივით გადმოვარდნოდა და ისე მისძინებოდა. ის ისე ფუნჩულა იყო, ისე საყვარელი და შესაქცევი რომ ავ თვალს არ შეეხედებოდა, თავი ვერ შევიკავე, საწნახელში ჩავეყუდე და ფრთხილად ვაკოცე, მერე საბას მოუბრუნდი და თვალის ნიშნებით დაუძახე:

— მოდი აქ, წმინდანო, და ერთი ამას დამიხედე, განა ამას სჯობია რამე? იმ შენი სიყმის შვილს, ლენჩი ბობიას არ ჰგავდეს!—ნიშნს უგებ ქმ ბას.

საბა წამოდგა, მოვიდა და ჩვენ ორივე უცქეროდით ამ ანგელოზივით მიძინებულ ბიჭუნას და ზარხოშიან თვალთაგან აღტაცების ცრემლი გადმოგვცვივდა. მერე, მძინარე რომ არ გაციებულიყო, იქვე კანჯოზე მიკიდებული ყაბალახი ჩამოვიღე და ფრთხილად წავაფარე.

წიწილები ისევ წვანან მიწაზე გადამთვრალნი. ზოგი მათგანი კიდევ იბრძვის უნიათოდ, თავს უსასოოდ წამოსწევს, ერთი ამ ქვეყანას მიბნედილ თვალებს მოავლებს და ისევ მიწვება. ბოლოს ყველა ეს მთვრალი მაყრები ერთად მოვაგროვე და გამოსაძინებლად ცეცხლის პირას დავყარე.

ხუცესი მიყურებს, თავს ბებერ თხასავით აკანჩურებს და იცინის, მეც ულიმი ეშმაკურად და მძიმედ ეხვნეში.

მერე ჩვენ ისევ კერიასთან ვეწყობით, ვასხამთ ღვინოს და ჯერ ჩემ შვილიშვილს ვადღეგრძელებთ, ახლა რომ საწნეხელში სძინავს, მერე ამ ოჯახის დოვლათსა და ბარაქას, მერე კერიის მადლს, ბოლოს მინდა ჭინკა ღმერთის, ღვინის ხატის აგუნას სახსენებელიც დავლიოთ, მაგრამ ეს სულძაღლი ხუცესი მაინც მართლმადიდებელ ეკლესიის ყურმოჭრილი მონაა და ცივ უარზეა, მე არ უჯერებ და ჩემდათავად მარტო ვსვამ ამ სადღეგრძელოს.

გარეთ წვიმა ისევ სცრის, ფაცხაში ჩვენს მეტს ყველას სძინავს და მყუდროებაა ჩამოვარდნილი, ეზოში სუროთი დაბურდულ ასი წლის ხურმას შაშვები და ჩხართვები ჟივილით შესევია და სუროს შავ კაკალს იკენკებიან. სახლის უკან, ახორში, ხარები, ძროხები და თხები ჩალას ახრამუნებენ.

ფაცხის გამჭვარტლული ისლი წვიმაში ყვითლად ჩამოსტირის და სადღაც ხმო ბლავის.

ცეცხლი მხიარულად ტკაცუნობს და ჩვენ, ეს ორი გადაყრუებული ბერიკა, ვსხედვართ ცეცხლის პირას, მუხლებს ვითბობთ, სახე თურაშაული ვაშლივით გვიღუის და ეს ოხერი ჭაღარა რომ არ იყოს, ვფიცავ სინიდისს, ბევრ ახლანდელ ტყლიპიან ახალგაზდას კიდევ არ ჩამოუვარდებით,—გული ისევ ახალგაზდურად გვიცემს და ქონიც საკმაოდ გვაქვს სიბერის დღეებისათვის გამოზოგილი, სულელურ კმაყოფილებით ერთი მეორეს მუცელში თითს ვატაკებთ და ოხუნჯურად ვესიტყვებით:

— როგორ იყო, საბა, როგორ იყო, მე რომ იერუსალიმში ცოდვების მოსანანიებლად მივდიოდი და იმ ეპისკოპოზის ქადაგებები გთხოვე? ხე! ხე! ხე!..

— ჰაიტ, შე ბებერო მელავ, შე ყიამყრალო ცრუპენტელავ, შენა!.. კიდევ არ დაგავიწყდა ეგ ამბავი?—მიტევს საბა და ორივე, მუცელზე ხელებ დაწყობილნი, სიცილით ვიჭაჭებით.

განა მე ბათა ქექია ვიქნები, ეს ამბავი არ მოგიყვეთ? რა ექნა მაშინ? ხომ კუჭი გამიფუჭა ამ ამბავმა, თუ ახლავე არ ამოვალაგე? განა კაცს ენა იმიტომ არა აქვს, რომ პირუტყვისაგან განირჩეოდეს? ამიტომ, ნურას უკაცრავად, თუ მე ყველაზე უფრო ადამიანი ვიყო ადამიანთა შორის და ენის დანიშნულებასაც სათანადოდ ვასრულებდე.

თქვენ რომ იცოდეთ რამდენი რამეა ქვეყანეზე, ადამიანმა რომ არ იცის. ჩვენც ისეთ სიბნელეში ვართ, რომ თვალებში თითი რომ იკრა, ვერ ვერაფერს დაინახავ, და განა საცოდაობა არ იქნებოდა, ის ორიოდე რაღაც, რასაც ადამიანი თავისი გამოცდილებითა და დაკვირვებით გაიგებს, მისწვდება და, რაც წვეთია ამ უცოდინარობის ზღვაში, არ უთხრა შენ მოყვასს და სამარეში ჩაიტანო? დამიჯერეთ, რომ ეს უნამუსობაა და იცოდეთ, რომ ასე უნამუსოდ თქვენ ვერ ბოგექცევით, ამიტომ უეჭველად მინდა მოგიყვეთ ამბავი, თუ როგორ გადავწყვიტე მე სულის ცხოვრების გზას დავდგომოდი.

2

თქვენ არ იცით, როგორ მიყვარდა მე ხუცეს საბასთან ოჯახში სიარული. როცა საღამო ხანს ჩემ შვილს ბახვას ბორანზე დავტოვებდი და ორიოდე თავისუფალ საათს მოვიგდებდი ხელში, ის იყო ერთად ერთი კაცი, რომელსაც ამქვეყნიური საქმეები არ აწუხებდა. ის მუდამ სულის საქმეებს დასდევდა და, მოგეხსენებათ, როგორც ეს სულია უხილავი, მისი საქმეებიც ისევე უხილავი იყო და ამიტომ ჩვენი ხუცესი საბასტრატილატე მთელი დღეები პერანგისამარა ნიგვზის ჩრდილში იწვა, მაღლა მწვანე შტოებს შესცქეროდა და ღვთის ბუნებაზე ფიქრით იღლიდა ღვთიურ ტვინს.

აბა ერთი გულზე ხელი დაიდეთ და ისე მითხარით, ვისთან უნდა წავსულიყავ მე ენის მოსაფხანად, თუ არა ამ ხუცესთან? ამას გარდა მასთან იმიტომ მიყვარდა სიარული, რომ ისიც საკმაოდ ენაგრძელი იყო და სიტყვისთვის ჯიბეში დიდი ქექვა არ სჭირდებოდა. ღვთის მადლით, ყველაფერი ენაზე ეწყო და ენის იქით, არც ჭკუა, არც გარჯილობა, თუმცა, ცოდვა გამეღავნებული სჯობია,—მისი ცოლის, ფოფოდია ესმასი, გატენილ დამბაჩასავით მეშინოდა. ერთი ბენძელი რამ იყო, ოჯახქორი, საშველს არ მაძლევდა, ალორთქილ ქალიშვილივით მეგუნგრავებოდა და ისეთი თვალებით მიცქეროდა, თითქოს სულში ჩაძვრენას მიპირებსო. სულწაწყმენდილს არც ძმობა სწამდა და არც ის ძუძუ, მე და მისი ქმარი რომ ერთად გაგვზარდა, და, ვფიცავ სინიდისს, მე ღვინით სავსე რუმბის მუცელში ჩაძრომა მერჩია, მის ისედაც ცოდვილი სულის წაწყმენდაში ჩადგომას.

— შენ არ მოკვდი, ბათა, შენ არ მომიკვდი, ჩემო ბათურია!—მეხუმრებოდა იგი ვნებით აღერღილი ენის მოკიდებით, როცა ქმარი საქმეზე გარეთ გავიდოდა, და მზესუმზირას კაკლებივით მიწვრილებულ თვალებს ცოდვილად მიპაჭუნებდა.

მე უცქეროდი მას და ვფიქრობდი: რამ ათხოვინა ამ სულწაწყმედილს ეს მოიმახი? ალბათ, ზურგით თუ აჩვენეს, ამ ჩემი ცოდვით სავსეს, ქალის გასინჯვის დროს, თორემ ისე ამ ქონით გატენილ საწნეხელს რაკა ითხოვდა? ამ ცოდვილ ევას სულმუდამ საკმეველის სუნი ასდიოდა და მოყვანილობით ფანელში გახვეულ უთოს უფრო გავდა, ვიდრე ადამიანიშვილს.

— ჰაიტ, ეშმაკის ფერცხალი ხარ შენ, ბათა, ეშმაკის ფერცხალი!—განაგრძობდა ფოფოდია ვნებიანი კისკისით, მაგრამ მე თავს უმანკო კრავივით ვიკა-

ტუნებდი, ცდუნებაზე არ ვნებდებოდი და ისეთი ანგელოზური გულუბრყვილობით უცქეროდი პირდაპირ თვალებში, თითქოს არც არაფერი ვიცოდი — თუ რა ეშმაკი აწუხებდა მის სულს, თუ კი მას სულის მსგავსი რამ გააჩნდა.

ღმერთია მოწამე, რომ მე არცერთხელ არ წამიწყმედია სული ასეთი განუზომელი ცოდვებით და არ ვყოფილვარ მიზეზი ამ ყოვლად უმანკო ევას სულის წაწყმედისა. ის არასოდეს არ იზიდავდა ჩემს არც სულსა და არც ხორცს. ერთი უშველებელი რამ იყო, მეჩხერი წვერები, ლაბაბზე თუ ნიკაპზე, კაცი ვერ გაიგებდა, სახე მუდამ აბანოდან ახალგამოსულივით აწითლებული და სახე... ეხ, ეს სახე! არც ცხვირი, არც თვალები, ღორჯო თევზივით ვიწრო პირი და ასეთი პირის კოცნა, მოგეხსენებათ, არც თუ ისე სასიამოვნო საქმეა.

ცხრაასჯერ ცხრაასი გული რომ მქონოდა და ქვეყანაზე დედაკაცის სინსილა გაწყვეტილიყო, მაინც არ მეყოფოდა ვაჟკაცობის ქადილი, რომ მისთვის ამ ცხრაასჯერ ცხრაასი გულიდან თუნდაც ერთის სულ პაწაწინა კუნჭული მაინც დამეთმო მისთვის. გარდა ამისა, ის ჩემი ძმობილის ცოლი იყო და რა ხელი უნდა მქონოდა მასთან, ქალს თუ ჭკუა არა აქვს, შენ რომ კაცი ხარ, არ უნდა გადაცდე.

ეშმარიტად დიდია ძალა განგებისა, ვინ მისწვდება მის სიბრძნეს! ულმობელია მისი ხელის მოუსყიდველი სამართლიანობა, კურთხეულ იყოს მისი მარჯვენა, რომელმაც მას ყოვლად კაცთმოყვარე მიქამ-გორიო მოუვლინა და ეს ქონში ასე უნამუსოდ ჩამბჩვალი სული ამოიხადა, უმანკო მტრედს გალია გაუღო და გლახა სუნივით პირდაპირ ჯოჯოხეთის ცეცხლში გააქანა შესაწვავად. ხუცესმა შეიცხადა და ცოლის ტირილზე, როცა ის გაუბედურებული და ბედდამწვარი გულზე ხელებ დაკრეფილი თავის მეუღლის ცხედარს ადგა, მე შუბლში ხელის ცემით წავიქვითინე და ვანუგეშე:

— მაგრა იყავი, საბალია, მაგრა, შეკაცო, კაცობა ჭირში გვმართებს, თვარა ლხინში ყველა კაი ბიჭია. ჯავრს არ გადაყვე, საბალია, ჯავრს! რა უყოთ მერე, შეკაცო, ცოლი დადიანსაც მოუკვდა, მარა ქვეყანა კი არ დაქცეულა!

ხუცესმა შემომხედა, სახეზე ბრაზისა და ღიმის სიომ ერთად გადურბინა, მაგრამ რა უნდა ექნა, წინ მკვდარი ესვენა და ჩხუბს ხომ არ დამიწყებდა? მაგრამ ბოლოს მაინც გადამიხადა სამაგიერო. როცა მეც დავქვრივდი და მიცვალებულისთვის კუბო ურმით მომიტანა, არ მომეწონა, კუბო თხმელის იყო და უნუგეშოდ მივმართე:

— რაა, შეკაცო, ეს ფარატინა კუბო რომ მოგიტანია, უკეთესი ვერ იყიდე?

მან ბევრი არ დააყოვნა და ყურში წამჩურჩულა:

— ახლა ეს იყოს და მეორეჯერ, შენ რომ მოკვდები, უკეთესსს გიშოვი!

ასეთი იყო ეს სულწაწყმედილი და, სანამ ცოლი ცოცხალი ჰყავდა, საშველს არ ვაძლევდი, ვკბენდი, ვექილიკებოდი, ის გულზე სკდებოდა, ბრაზობდა და მწყევლიდა წმინდა გიორგის სახელით. და ერთხელ, როცა მე და ხუცესს ბუნების ნიშნებზე ჩამოგვივარდა სიტყვა, მე ვთქვი:

— როცა ტურა კივის, კაი დარი იქნება, თუ მელამ დაიწყო ხავილი, ამინდი წახდება.

ხუცესს ენამ არ მოუსვენა და, არ ვიცი რატომ, გადმომკრა:

— როცა ცოლი გლალატობს, კისერი მოგეფხანება!— მეც ბევრი ვერ დავაყოვნე, ხელები ავასავსავე და ისე ავყვირდი:

— აჰ, არ დაიჯერო, საბალია, არაფრის დიდებით არ დაიჯერო! ტყუილია, ტყუილი! ეგ რომ მართალი იყოს, შენ ახლა კისერი მთლად მოღლეტილი გექნებოდა!

უუჰ, რა ყბედი ვარ! როგორ გადავყევი ხელს ნაშალ ფარასავით ამ ლაპარაკში! ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ მეტად მიყვარდა მე მამა საბა სტრატილატესთან სიარული.

მას ერთი მოლეული ეზო ქონდა, ისე პატარა, რომ მზიან დღეში ჯორი თავს რომ ასწევდა, მისი ცალი ყური მთელ ეზოს ჩრდილავდა.

დიდი წუწკი კაცი იყო ეს რჯულძალლი და კრიჟანგი. ჭკუა, მართალია, არ ქონდა, მაგრამ ეშმაკობას მაინც ახერხებდა.

მისი სული ისეთი დიდი ცოდვებითაა დამძიმებული, რომ თუ ისე მოხდა რომ მე მასზე ადრე მოვკვდი, გემუდარებით, ცოდვით გიბარებთ, ნუ ატირებთ მას ჩემ კუბოზე, თორემ ვიცი, ხუთი თითივით ვიცი, სწორეთ იმისი ცრემლები დამლუპავენ და ბოლოს მომიღებენ. მე კიდევ მაქვს იმედი რაიმე შეცდომის ანდა სხვა დამსახურების გათვალისწინებით სამოთხეში შესვლისა. ეს ვაჭრობის საქმეა და ვაჭრობა კი ვიცი ღვთის შეწევნით. სახვადგეში მეტი რა მიკეთებია და მეც ვივაჭრებ ურიასავით! სადაც ყაფანია და სასწორი, თუნდაც ღვთის სამჯავროსი იყოს იგი, იქ ვაჭრობაც შეიძლება და მისგან დატირებულს კი, ვიცი, არაფერი მეშველება. სად გაგონილა რომ ქათამი მელიამ დაიტირა? სწორედ ასე იქნება ჩემი საქმეც, თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ სწორედ ამ ცოდვებისთვის მიყვარდა მე იგი.

როცა ვესტუმრებოდი, რაღაც ეშმაკად იმ დღეს უნდა გამწარებულიყო ის მამალი მგელის შესაჭმელი ტურა და საწყალი ხუცესისათვის ქათმები შეეჭამა, მაგრამ ეს არაფერი, სწორედ იმ დღეს დაურჩებოდა მწყემსს თხები სადღაც დასაკარგავში გარეკილი, ძროხასაც იმ დღეს გაუშრებოდა რძე, გაუშრა მის პატრონს თავში ტვინი, ანდა, რომელიმე, ჯერ კაცის ყურით გაუგონარი წმინდანის მარხვა იყო და საწყალმა საბამ არ იცოდა რით ეცა ჩემთვის პატივი და იძულებული იყო სამარხვოთი გამმასპინძლებოდა. თუმცა, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ღვინო მუდამ უხვად იღვრებოდა მის სუფრაზე და კარგიც იყო ის დალოცვილი! ალისფერი ჩხავერი ჭიქაში საამოდ ფუცხუნობდა და ყელში რაც იქნებოდა, იმას თქმაც არ უნდა.

ფოფოდია სწუხდა, მუხლის თავებზე ხელებს იცემდა სჩიოდა რომ შესაფერის პატივს ვერ მცემდა. მას სული არ ჰშურდა ჩემთვის, მაგრამ ის სულწაწყმედილი ხუცესი ისე ხელმომჭირნედ იყო, რომ იძულებული ვიყავ ბედს შევრიგებოდი.

— ბაბაია ბიჭი!—მართობდა ბაასით საბა და თან ფეხებში მიცქეროდა, როდის წავიდოდი და გადავშენდებოდი მისი ოჯახიდან.—შერემეტიევი რომ მომ-

კვდარა, გაიგე? კაი კაცი იყო ცხონებული, დიდი სარდალი! — ამბობს ფეი და თან თავს სინანულით აკანჩურებს.

— შენ ნუ მომიკვდე, თუ ცოცხალი იყო, არც ის ვიცოდი! ცოცხალი რომ ყოფილიყო, ასე არ დაგწყდებოდა გული, ალბათ, ჩემი ხორცის მჭამელი იყო, ასე რომ გენანება.

— აა, ელაპარაკე შენ ახლა ამ ყაძახს! — აღმოხდა ხუცესს აღფშფოთებისაგან და მუხლებზე ხელი დაიკრა, მაგრამ მე იმედი ჯერ მთლად კიდევ არ მქონდა დაკრეფილი და ამიტომ ბაასი დაუყვავე.

ვლაპარაკობდით ჩვენ ამ მთისას, იმ მთისას და აი, როცა საბა შეატყობდა რომ სტუმრობა გამიგრძელდა და ვახშმობა ახლოვდება, მაშინ ის სიტყვას სარწმუნოებაზე თარსულად ჩამომიგდებდა. მე ვიცოდი რის ნიშანიც იყო ეს და ვცდილობდი, ვწვალობდი რამენაირად სიტყვა სხვა საკითხზე გადამეგდო, თუნდაც ისეთ სასიამოვნო რამეზე, როგორიც საკურთხია, ალაპი, შესაწირავი, ცხენები, წმინდა დღესასწაული, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. გაბამდა ეს სულწაწყმედილი მოშლილ წისქვილივით და არ იყო მისი საშველი! ან რამ გააჩინა, დასწყევლა ღიერთმა, ამდენი წმინდანები ჯერ წმინდა ნინოს ცხოვრებას დამიკაკლავდა თავიდან ბოლომდე, მერე წმინდა შუშანიკისას, მერე ცხრათა ყრმათა კოლაელთა, მერე აბო თბილელი, წმინდა გობრონი და ვინ იცის კიდევ ვის, და მე ვკვდებოდი, სული მხდებოდა ამ წმინდა ამხანაგებში, მაგრამ ჯინით მაინც არ მინდოდა ფეხი მომეცვალა, არ მინდოდა ამ კრიჟანგი ხუცესის სული გამეხარებინა, რომ მერე, ჩემი წასვლის შემდეგ, არ ეთქვა ფოფოდიასთვის:

— ხომ ამოვადგმევინე ფეხი მაგ ზარმაც ყბედსა და ნაცარქექიასაო!

ასე ვიჯექი მოფუყულ ყვავივით და თვალებს მუცელ ატკიებულ ხარივით ვქაჩავდი. როცა ქართველი წმინდანები შემოელეოდა, ახლა სხვა ქვეყნიდან წამოიხმარებდა ამ უჭკუო და ზარმაც ხალხს. ეს პავლე მოციქულიო და მისი სამოციქულო წერილები, ეს ოთხივე მახარობელი, ეს ვიღაც ნეტარი თუ სულძაღლი ავგუსტინე, ეს თომა აკვინელი, პეტრე ქართველი მაიუმელი და მე ვკვდებოდი ამდენ სისხლგამშრალ ხალხში, სული მძვრებოდა და მზად ვიყავ, მოთმინებიდან გამოსულს, ყელგამოჭრილ ღორივით მებღავლა, რომ ერთი რჯულზე აეჭრელებინათ ეს ზურგი და ფეხები ჩემი აქ მოთრევისათვის.

ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში ატენიდენო, ასე იყო ჩემი საქმეც.

ეს ღდინძაღლი ხუცესი კი იღრიჭებოდა ცბიერად, იქ, სადღაც ულვაშებში, უხაროდა რომ ასე განუკითხავად ვიწოდი ცხელ ტაფაზე და ზეიმობდა რომ მალე, სულ მალე ფეხს ამოვიდგამდი მისი სახლიდან, რომ დიდხანს ვერ გაუძლებდი ამ გამოჩერჩეტებული ხალხის ამდენი ნაბჟუტურევის მოსმენას.

ყოველივე ამის დასაგვირგვინებლად, ერთი საფლავის ქვასავით უზარმაზარი წითელ ხავერდში დაკანულ ეფისკოპოზის ქადაგებათა წიგნი ჰქონდა, იმას ხვნეშით გამოიტანდა, მსუქან მუცელზე დაიდებდა და მომიყვებოდა ამბავს, თუ როგორ აჩუქა ეს თავისი წიგნი ეფისკოპოზმა, როცა ის ჩვენი მრევლის დასათვალიერებლად ჩამოვიდა. მე ჭირივით მძულდა იგი. მან დაარტყა პირველად

ნაჯახი წყევითა და კრულვით იმ წმინდა მუხას, ჩვენი სოფლის სიამაყეს რომ წარმოადგენდა. მე არ ვიცი რაა ცრემლები, და ამხელა ყაჯახმა ვიტირე მაშინ შემეცოდა ის ათასი წლის მუხა, ისე ამაყად რომ გადაეშალა ტოტები. ირგვლივ ყაჭის ფთილა ეხვია და მთლად ბასკა ლურსმებით იყო მოჭედილი. მე ვერ გაუძელ მის ცქერას, ტყეში გავარდი და ვტიროდი გულამდეულრეებული და როცა წაქცეული ხის გუგუნი შემომესმა, მომეჩვენა, თითქოს ამ ეფისკოპოზმა გული ამომთხარა ფესვიანად.

და აი, ამ ჩემი ცოდვით სავსეს, საიდანღაც გაეგო რომ ჩვენი სულიერი მამა, ხუცესი საბასტრატილატე, არც თუ ისე უანგაროდ დასდევს სულის საქმეებს და, როგორიც სამწყსოა, ისეთივე ხუცესიც. ლოთობს, მახინჯობს, დანელობს და აი ერთხელ ბრაზით გაცეცხლებულმა, იმ დღეს, რა დღესაც მუხა უნდა მოეჭრა, საბა დაიბარა თავისთან. ხუცესმა იგრძნო თავისი ცოდვის დღის განკითხვის მოახლოვება და გასაპარსავად მოემზადა. დიდი შიში და ხიფათი გაიარა მაშინ საწყალმა საბამ, ჯავრით გათეთრდა და ის ერთი ფიორის ოდენი ჭკუა და მოსაზრებაც დაჰკარგა, რომ გააჩნდა. რა უნდა ექნა მერე საწყალს? მუშაობა არ შეეძლო და ვაჭრობა. და აი იმ დილით, როცა ის ეფისკოპოზთან უნდა წამდგარიყო, გზად მისი ლენჩი შვილის ბობოიას დაგებული მახეები ამოიარა, ერთი ათიოდე მწყერი გამოხსნა, ანაფორის უძირო ჯიბეში ჩაიყარა და ისე წავიდა ეფისკოპოზთან.

მისმა უსამღვდელოესობამ კარგა ხანს ალოდინა იგი კარებთან, ბოლოს როგორც იქნა, მიიღო და ისე განრისხებული და გაგოროზებული დახვდა, რომ საწყალ საბალიას სული ხორცში დამდნარ კარაქივით ეპარებოდა.

— შენ ეი, ხუცესო!—შეუტია ეფისკოპოზმა სრულიად არა ეფისკოპოზურად. ამბობენ მწყერები გყავსო ბლომად და როდის დააფრენ?

ხუცესმა თავი მომკვდარუნებულ მელასავით მოისაგვა და ისე მოეჩვენა, თითქოს ვერც მიხვდა თუ რომელ მწყერებზე ელაპარაკებოდა იგი, ჯიბეზე ხელი გაიკრა, ორი მწყერი ამოიღო და შიშით აკანკალებულმა ეფისკოპოზს წინ დაუდო.

— ოღონდაც, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, ოღონდაც, რომ ბლომად მყავს და აი თქვენი ჰირის სახაცვლოდ მომირთმევია!—უპასუხა მან.

ეფისკოპოზს გაელიმა, მაგრამ ულური მაინც არ გაიტეხა და ახლა კიდევ უფრო შეუტია:

— შენ, ჰეი, თავს ბებერ მელასავით ნუ იკატუნებ! მე სხვა მწყერებზე ველაპარაკები, ამას გარდა, კიდევ რომ გყავს ბლომად...

ხუცესმა კიდევ უფრო მოისაგვა თავი და მთლად მოსაწყლებულმა ბოდიშის მოხდით დაიწყო:

— მაპატიე, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ ყველა ერთად ვერ მოგართვი, მაგრამ თქვენი უწმინდესობის წინაშე დიდის მოწიწებისაგან დავიბენი, აი დანარჩენიც და ინებეთ, ესეც თქვენი სულის დასალხინებლად მომირთმევია!—და დანარჩენი მწყერებიც წინ დაუწყო. აქ კი თავი ვერ შეიკავა მისმა უსამღვდელოესობამ და ყოვლად უწმინდესი სიცილი დაიწყო. ხუცესი მუხლებში

ჩაუვარდა, ანაფორის კალთები მოწიწებით დაუკოცნა და ბოლოდ, ...ნადირივით, ცოდვათა მიტევებას ემუდარებოდა. ეფისკოპოსმა ...ია, ...ია შეცოდებანი და დაარიგა თუ როგორი სასოებით უნდა ეცხოვრა ამ ჩვენ წმინდა და უმანკო მწყემსს მრევლში და მწყრების დასაფრენად, იმისი კი არა, ყაებში რომ იყო, არამედ იმისი, თავში რომ ყავდა, ეს ჩემი სიცოცხლის მომნელებელი ქადაგებათა წიგნი აჩუქა და აი ახლა ეს წყეული ხუცესი იმ წიგნით იჯდა ჩემ წინ და მასწავლიდა თუ რაოდენ დიდი ჭეშმარიტებანი და წმინდა აზრებია დამარხული ამ წმინდა ქადაგებებში. მერე ყაჭის ფთილით ჩანიშნულ ადგილებს მოწიწებით გადაშლიდა და დაიწყებდა ჩემი ისედაც მრავალწამებული სულის ნელ-ნელა ამოხდას:

„სიტყვა გ-სა კვირიაკესა ზედა, თქმული ქუთაისსა ჩყიბ-სა წელსა. თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ. (მათ. ვ. ლგ.) ჰაზრი რომელი გამოსთქვა მაცხოვარმან სიტყვათა ამათ შინა დღეს წარკითხულისა სახარებისათა, არის ფრიად უცხო და განსაკვირვებელი კაცობრიობისა გონებისათვის. ჩვენ ყოველნი ესრედ ვფიქრობთ, რომელ ვინც ეძიებს მხოლოდ სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა, ესე იგი, ვინც მხოლოდ ზრუნავს მისთვის, რათა აღასრულოს სახარება ქრისტესი, მიიღოს ღვთისაგან შენდობა ცოდვათა თავისთა და ესრეთ აცხოვნოს სული თვისი, იმ კაცმა უნდა დაივიწყოს ყოველი სოფლიური საქმე და უნდა წინადვე მზად იყოს და იცოდეს, რომელ ამ ქვეყანაში მას არ აქვს ნაწილი და იგი ვერ შეიძენს კეთილდღეობასა და ბედნიერებასა, გარნა ისმინეთ, ძმანო ჩვენო საყვარელნო“,—და ასე და ასე... კითხულობდა იგი ნელა, დინჯად, ხანდახან გადმომხედავდა ისე, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ საკმაოდ ვეწამებოდი თუ არა. მე თავი მოვისაგვე და ყურს არ უგდებდი, ვფიქრობდი ჩემთვის ჩემ საქმეებზე. ის იღიმებოდა და მაინც კითხულობდა. მგლის თავზე სახარებასა კითხულობდენო, სწორედ ეს იყო.

მე გულს ბოლმით ვასკდებოდი, ტანს ჭირის ოფლს მასხამდა, ვწყევლიდი ამ ეპისკოპოზის გაჩენის დღეს. ვილანძღებოდი და ბოლოს, როცა მეტი აღარ შემეძლო, ქუდს ხელს წამოვაევლე და დამდუღრულ ძაღლივით მივრბოდი შინისკენ.

მასპინძლები ფეხზე წამოცვივდნენ, ჩოხაში მეტანებოდენ, არ მიშვებდენ და ფეხქვეშ ფიანდაზად მეფინებოდენ.

— რა დაგემართა, ბათა, კუმაზა ხომ არ შეგიძვრა, შეკაცო? ქრისტიანულად მაინც გამოგვეთხოვე!—ყბას მიქცევდა მამა საბასტრატილატე და თან ეშმაკურად მიღიმოდა და მე ბრაზით კიდევ უფრო ვასკდებოდი ჩემ გულს.

— არა, მთლად ვერ ვიუარებ, კუმაზასი რა მოგახსენოთ და რაცხა მართლა შემიძვრა და შენ იყო კაია!—უპასუხე ხუცესს და ჩასასვლელ კიბისაკენ გავემართე.

ხუცესს ჩემს პასუხზე ენა ჩაუვარდა და აივანზე გადმომდგარი ფოფოდია სიცილით ოხრავდა, კვნესოდა და მუცელზე ხელს იკიდებდა.

— ბათა, ჩემი ბატონი, ავათ ხომ არ ხარ? ცოტა მოგვიცადე და ბაცაა ვახშამიც იქნება!—თან იცინოდა, თან სწუხდა შაქრად დამდნარი, [illegible] და მე, ვფიცავ სინიდისს, ჭეშმარიტად ავათ ვიყავი,—ამ წვერგაბურძგნილ [illegible]-კოპოზის ქადაგებამ ჩამაშხამა ეს დღე და სიცოცხლე გამიმწარა.

— არა, ჩემი ბატონი!.. მადლობელი ვარ! დიდი მადლობელი... თქვენი პატივისცემას რა დამავიწყებს, მარა... დიდი საქმე მაქვს... ახლა გამახსენდა... ნატიემ მითხრა: დღეს კაი მთვარეაო და დღიურ მინდა სახლში მიუსწრო... მოზვრები მყავს დასაკოდავი... თორემ, მოგეხსენებათ, ტკბილია ჩემთვის საღმთო სიტყვების მოსმენა. ის მუდამ ჭეშმარიტ გზაზე მაყენებს და სულს მიტკბიბს, მარა სიტყვას საქმეც თან უნდა მოჰყვეს... შვიდობით ბრძანდებოდეთ, ქალბატონო ფოფოდია, შვიდობით საბა!..—ვეთხოვებოდი და ამ ქადაგების მოსმენის შემდეგ ისე ვიყავი გამწარებული, რომ დანა პირს არ მიღებდა და ისეთ გუნებაზე გახლდით რომ, მოზვერს კი არა, მთელ კაცობრიობას დავკოდავდი სიამოვნებით და ყველაზე ადრე ამ სულწაწყმედილ ხუცესს ვაბლავლებდი უღელზე წამოქცეულს.

ალაგეზე რომ გადაველი, ხუცემა ოდის აივნიდან გადმომძახა:

— ბათა, ბათა!

— რა იყო, საბა?

მოვიხედე, ვხედავ ხუცესი აივანს გადმოყრდნობია, ხელში ისევ ის წიგნი უჭირავს, თითზე იფურთხებს და ისე ფურცლავს.

— მეორეთ რომ მოხვალ, ერთი დიდებული ქადაგებაა, მოყვასის სიყვარულის შესახებ და იმას წაგიკითხავ,—გიამება ისეთია.

მე ხელი უსასოოდ ჩავიქნიე და სახლისკენ ძუნძულით გავიქეცი.

ქვეყანაზე ისეთი ტკბილი საღამო იყო, რომ მე გულწრფელად მიკვირდა ამ მშვენიერ მიწაზე ასეთი წიგნების არსებობა, როგორიც ეს დაწყევლილი ქადაგებათა წიგნი იყო.

გადაქანებული მზე ოქროს აკვანივით ირწეოდა და თაფლის სანთელივით იღვენთებოდა. ეეხ, ერთი შემაგდო ამ ცაში ჩემი მადლიანი ბორანით და გამაქანა, მაშინ გაყურებინებდით თქვენ თუ რა სარისტიანია ბათა, თქვენი თვალით ნახავდით როგორ მივაგდებდით ზედ მზეზე ამ ჩემ ბორანს!

სოფლის გზის ანწლიან ნაპირებში თხები ხის სარაკუნას წვერის ცანცარით მიაჟღარუნებდენ და უკანა ფეხებს ძლივს ადგამდენ, ისე ქონდათ ჯიქნები რძით გატენილი.

ჰაერში ანწლის მძაფრი სურნელება იდგა და ეს ბარაქიანი დედამიწა ტკბილად იფშვინებოდა.

ჩამავალ მზის ალერსით ოქროს ფრად ნავარაყევი ცად აჭრილ ალვის ხეები და ტირიფები ტკბილად გატრუნულიყვნენ და მიწაში ღრმად წასულ ფესვებით სწოვდენ წვენსა და მოწიფულ ქალიშვილებივით ივსებოდენ. მუდამ სავსე და ნაპირზე რძესავით მომდგარი რიონი ზანტად მიდუდუნებდა და შიში გიპყრობდა, რომ ერთი ფეხის ჩადგმაა საკმარისი და ნაპირები ვერ დააკავებენ ამდენ წყალს, გაშლიან კალთას და გადმოვა ეს ღვთის ბარაქა მიწაზე მადლი-

ვით, დაიღვრება ამ ჩვენ ნაწვავ-ნადაგ ყანებში, ვენახებში და საძოვრებში, მიწის ტკბილი წვენით რომ ვერ ძღებიან, და, ეჰეი, ხვავია, ეს ხვავი ეს დალოცვილი რიონი!

ახორხოტებული ბაყაყები ყიყინებდენ, აქა-იქ მათ სუნთქვაშეკრულ ყრუალზე შეატყობდი, რომ დროს ტყუილად არ ჰკარგავენ და ყელამდე მოწოლილ სიყვარულით ძღებოდენ.

მე კი ეს სულწაწყმედილი ეფისკოპოსი მიჯდა ტვინში და ბუტბუტებდა ქადაგად დაცემულივით:

„ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“!

იმდენჯერ უკითხავს იმ ყრუალა ხუცესს ეს ქადაგება ჩემთვის, რომ ზეპირად ვიცოდი ადგილები. მივდიოდი და ვფიქრობდი ჩემთვის: ადგილის კურდღელს, ადგილის მწევარი თუ დაიჭერს. ვიცოდი ჩემს მეტი მას კაცი ვერაფერს მოუხერხებდა და ვანგარიშობდი რა მომეგონებინა ისეთი, რომ იმ სულძაღლ ხუცესს ეს წიგნი არ ეკითხა ჩემთვის.

და აი ერთ დღეს, როცა ბორანზე ვიყავ და ნავებს ვკუპრავდი, ერთი აზრი დამებადა თავში: გადავწყვიტე საკითხავად მეთხოვა ეს წიგნი საბასთვის.

— ბახულია!.. ბახულია, ბაბა!—ვყვიროდი მე სიხარულით აჭყლოპინებული და სული მიმდიოდა როდის მოირბენდა ის ჩემი უმცროსი ბიჭი, ღელის პირას რომ სათამაშო დოლაბს აკეთებდა.

— აგერ ვარ, ბაბა!—მოვარდა იგი უსულოდ ხაბოზე გადმომდგარი.

— მოდი, ბიჭო, აგერ! საჩქარო საქმე მაქვს! მაგ ხაბოზე რომ გადმომდგარხარ, ბატონად კი არ მინდიხარ!—შეუტიე მე და ბავშმა ცოცხლად ჩამოირბინა ზლამიან ხაბოზე და ნაპირზე მიმდგარ ნავს მოეყუდა. მე გადავწყვიტე რომ უსამართლო იყო ჩემი შეტევა, თავზე ხელი ალერსიანად გადუსვი და მივეფერე. შვილებში მე ის ყველას მირჩევნია, იმიტომ რომ მთლად მე მგავს, ჩემი სისხლი და ხორცია, ამას გარდა, ყველაზე უმცროსია და ამიტომ მყავს ის სხვა შვილებში ასე გამორჩეული.

— ერთი, შენ გაზდას, ხუცესთან გაიქეცი და ჩემს მაგივრად უთხარი, ბაბას შეაცხელა, ძაან გლახათაა და, შენ რომ ეფისკოპოზის წიგნი გაქვს, ის გთხოვა წასაკითხავად-თქვა. არ დაგავიწყდეს, ბიჭო, უთხარი მძიმე ავათაა-თქვა!

ბიჭი შეფიქრიანდა, შეყოყმანდა, მერე უეცრად თვალები გაუბრწყინდა, ერთი ეშმაკურად, მესკია ჩიტმა რომ იცის ისე, ირიბულად ამომხედა და მიხვდა, მამაძაღლი, რომ მამამისი რაღაცას ყალთაბანდობდა, მაგრამ სიტყვა არ შემოუბრუნებია, ისე შეტრიალდა და გზას დაფიქრებული გაუდგა. ეტყობოდა, ფიქრობდა თუ რა საეშმაკო საქმეს აპირებდა მამამისი, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო.

— ჩქარა, ბიჭო, რავა მიიზლაზნები!—შეუტიე მე და ის ერთი კალმახივით შეხტა, ჩიტივით შეფრთხიალდა და, ერიჰაა, ისე გაიქცა, რომ შიშველი ფეხის გულები დუნდულში ხვდებოდა.

აბა ერთი ახლა თქვენ თვითონ მითხარით, როგორ არ უნდა მიყვარდეს

მე ასეთი შვილი? აკი მიყვარს კიდეც! ვერცერთ შვილებთან მე ვერ გავქელი და ახლა მასთან ვცხოვრობ. მე მისთვის სული არ მშურდა, [illegible]—მაურიან ჯაყვა-დანას მისთვის ვყიდულობდი, როცა ტყეში ვიყავ, ტირიფის საპირინოს უკეთებდი, სიმინდის ნედლი ღერებისაგან სათამაშო ურემს უთლიდი, მე მუდამ მქონდა მისთვის ჯიბეში კენჭი შაქარი და ბოლოს ჩემი უსაყვარლესი საქმე, ბორანზე მუშაობა, მას ჩავაბარე. ახლა ის არის ქვეყნის ხიდი და ბოგირი.

მე ნავში ვიჯექ, კანაფით ღრეჩოებს ვეშანავდი და კუპრს უსვამდი, თან მხიარულად ვფიქრობდი,—მიხაროდა რომ მალე, სულ მალე ეფისკოპოსი მისი კაცმოყვარე ქადაგებებით ჩემ ხელში იქნებოდა და მერე მე ვიცოდი მისი პატივისცემა. სიხარულმა ამიტაცა და ეს ამდროული კაცი შევხტი, ვაციევით შევკუნტრუშდი და შემოვძახე:

ვაი ხუცესს, ვეი ხუცესს,—
რა გააღლებს ბათას მუცელს!

ღიღინს რომ მოვრჩი, ძირს დავიხედე და ვაი ამ დახედვას: მთელი კუპრი შალვარზე გადამსხმოდა. ერთხანს ვიწუხე, ვიდარდე, მაგრამ რას ვიზამდი, წამხდარ საქმეს რა გაეწყობოდა? წუწუნს თავი ვანებე და ბედს შეურიგდი.

ჩემი სული თან გაყვა იმ ბაღანას. ნავის კაბრაზე ჩამოვჯექი და უცდიდი გულგადალეული.

უეცრად გამახსენდა: ვაი თუ ის მუცელგასახეთქი ხუცესი მიმიხვდა ეშმაკობას და წიგნი არ გამოატანა. ავწრიალდი, ხან აქეთ ვეცი ნავის კაბრას, ხან იქით, ერთ ადგილას ვერ ვისვენებდი, ვოხრავდი, ვიწყევლებოდი, ბოლოს გულმა არ მომითმინა, ნავიდან გადმოვხტი, ხაბოზე ავირბინე და ვხედავ,—რას ნახავს კაცის თვალი ამაზე უკეთესს, ამაზე მშვენიერსა და გულის გამხარებელს?—ჩემი ბახულია, ჩემი მწყაზარი ბიჭი, თიკანს რომ ჰგავს, მოდის ხვნეშით და ის უშველებელი წიგნი, ტილოში საფაზიაროდ გახვეული მხარზე მოუდვია, წელში ოთხად მოღუნულა და ძლივს მოათრევს.

— კუსუბოს მოტეხს, აგი ნავარი, ბაღანას!—გავიფიქრე.

მართლაც და უსინდისობაა, კაცმა რომ თქვას, ასეთმა მოსიყვარულე მამამ, როგორიც მე ვარ, ასეთი განუზომელად დიდი ტვირთი ავკიდო ზურგზე ჩვილ ბავშს, როგორიც ამ ეფისკოპოზის კაცთმოყვარე ქადაგებაა, გავექანე, წიგნი ჩამოვართვი, ტილოდან გამოვხსენი, დავხედე და მიამა, სიხარულით გულში მივიკარ და წამოველ ნავისკენ.

ბახულია ფეხშიშველი ჩემ გვერდით მოტანტალებდა და ტიტინით მიამბობდა, თუ როგორ გაჰკვირებოდა პირველად ხუცესს ეს ჩემი ყოვლად მოულოდნელი სურვილი კეთილმორწმუნე ქრისტიანეთა გზაზე დადგომისა. ღღინში ჩასდია თურმე ბაღანას:

— მართლა ავათაა, ბოშო? იქნება, სხვა რამე დაგაბარა?

მაგრამ ჩემი შვილი არც ისე სულელია, რომ იმ წვერაამეტას გაებრიყვებინა და სიმართლე ეთქმევინებინა,—ის ჩემი სისხლი და ხორცია,—სულ გაი წყვიტა თურმე ბავშმა ფიცი-სალავარდით ყველაფერი, რომ მე მართლა ავათ ვიყავი.

აქ თურმე ფოფოდიაც წამოექომაგა. ის ნამეტანი შეწუხდა ჩემი სულის ცხოვნების გზაზე დადგომის გამო. ალბათ, მას თავისი საქმეები [illegible]. ბოლოს, კარგა ხნის ფიქრის შემდეგ, ხუცესს ეთქვა:

ბიბლიოთეკა

— დღეს საღამოსვე ვინახულებ, იქნება, სული გავარდეს და ცოდვაა იმ სულწაწყმედილის უზიარებლად მოკვლა.

მე წიგნი მაშინვე ბორანზე ჩავიტანე, ნავის კაბრაზე ჩამოვჯექი, გადავშალე და პირველი, რამაც ჩემი თვალები გაახარა, ეს თვითონ ეფისკოპოზის ნახატი იყო. რა წვერები, რა ჩიჩილაგივით გაპენტილი წვერები ქონდა იმ კვერთხკურთხეულს! მე შემებრალა მისი მოხუცებულობა, კუპრში თითი ჩავყავ და წვერულვაში შავად შეუღებე. რომ დავხედე, ჩემ აღტაცებას საზღვარი არ ქონდა, ის უნიშნო შავი კურატივით გამოიყურებოდა.

ბახულიამ აღტაცებით ტაში ტაშს შემოჰკრა, კუნტრუში დაიწყო და ნავი ისე დაირყა, რომ ორივე წყალში კინაღამ ვადავცვივდით.

— რავა ვაცივით ხტიხარ, ბიჭო? წყალში კიღამე გადამაგდე! ეფისკოპოსის დაცინვა ვინ გაიგონა? ღმერთი გიწყენს! ეხლავე სახლში გაიპარე!—შეუტე მე, ბავშმა შუბლი შეიკრა და გამებუტა, მერე ნელა, ზანტი ნაბიჯით ნავიდან გადავიდა და სახლისკენ გაუდგა.

თვალს მიეფარა თუ არა, წიგნი მაშინვე დავბურე, კარავში უსულოდ ავირბინე, ერთი აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედე, ვინმე ხომ არ მიყურებდა, და ბურულ ქვეშ საიმედოდ ამოვდე, რომ კაცს ვერ მიეგნო.

— შვიდობით ახლა, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ!—გამოვეთხოვე მას გრძნობა მოჭარბებული.—ისე შენი მტერი არ იქნა, რამდენი შენ ამას იქით მზის სინათლე არ იხილო და ჩემმა ყურებმა შენი ტკბილი სიტყვა არ გაიგონოს!

ასე გადაუხედე მე მას სამაგიერო ჩემი წამებისათვის.

მერე თაბიაზე ავფორთხდი, წამოვწექი და თავი ფიქრებს მივეცი. მზემ მადლი უხვად დამაყარა და, მის სხივებში გახვეულს, ტკბილად მიმეძინა. მზე კარგა გადახრილიყო, როცა გამომეღვიძა. ძირს ჩამოველი, სადურგლო ხელსაწყოები კარავში დავაბინავე და თავმოავადმყოფებული სახლში ლასლასით წაველ. ოჯახში მისელისთანავე ლოგინად ჩავწექი და, მღვდლის • მოლოდინში, მძიმე ავადმყოფი ვოხრავდი, ვკვნესოდი და საწოლში ერთ ადგილას ვერ ვისვენებდი.

გვერდით ჩუმად ღვინით სავსე პატარა ტიკჭორა მოვიწვინე და, როცა ხელსაყრელ დროს მოვინადარებდი, ვწრუპავდი ნელნელა.

— რა წელკავი დაგეტაკა, შე სულწაწყმედილო ყაძახო, ასე უცებ?—სჩიოდა ჩემი ცოლი გაკაპასებული.

— ვაი! ვაი! ვკვდები კაციშვილი, ვკვდები!..—ვკვნესოდი მე და შუბლზე კომბოსტო მხალს ვისწორებდი, სიცხის გამოსანელებლად რომ მეფარა.

— ნუ გეშინია, არ მოკვდები, კაი ძაღლი ხარ!..—ნუგეშს მცემს ჩემი საყვარელი მეუღლე და ხმის კილოში ვატყობ რომ ეშინია. ეს განგებ იქცევა ასე,

არ უნდა მაჩვენოს, თუ რამდენად უყვარვარ და ხმაში მაინც ეტყობა რომ შეფიქრიანებულია.

რატომაც არ იქნება შეფიქრიანებული. მთელი სოფლის ულამაზესი ჩემზე ირეოდა. ტრაბახობად არ ჩამომართვათ, და ვინ იყო ყველაზე რჩეული ამ არემარეში?—ბათა ქექია, ვინ იყო პირველი მარულაში?—ბათა ქექია, ვისი იყო წმინდა გიორგის ლელო?—ბათა ქექიასი, ვის ლექსებს მღეროდენ სოფლის ქალები ჩონგურზე?—ბათა ქექიასას, ვინ იყო ყველაზე ტკბილი და დაუვიწყარი?—ბათა ქექია, ბათურა და რატომ არ იქნება შეწუხებული ეს ჩემი ცოლი, რომელსაც ასე ბრუტიანი ბუზივით ჩაუვარდი თვალში ბედნიერებასავით და ისიც მომდგა რჯულზე. განა მან არ გამომტყუა ცხრა შვილი,—შვიდი ვაჟი და ორი ქალი? მაგრამ მე მაინც სავსე ვიყავ ვნებით, ხალისით და, ვინ მოსთვლის, ვინ გაიგებს, ამ სოფელში რომ ახალგაზდობაა, ვისი შვილები არიან ისინი, ბათასი თუ თავისი მამების?

თუ საღმე ოდიშში კარგი ცხენი იქნებოდა, მე უნდა მომეპარა, კარგი უნაგირი ჩემი იყო და ულამაზესი ქალის პირველი ვნებიანი კოცნა ჩემი უნდა ყოფილიყო. ეეხ, ახლა რაღაა ჩემი სიცოცხლე!—დავბერებულვარ, გავტეხილვარ, ჭაღარა თმებით შევმოსილვარ!

— რა უბედურება წაეკიდა ამ ყაძახს!—სჩივის ჩემი თანამეცხედრე და არ იცის რით მასიამოვნოს. მხოლოდ ყველაფერს, რასაც მიკეთებს, თავისი მწარე ენით პილპილს აყრის და ისე მემსახურება.

მე ვოხრავ, ჩუმად ალადასტურით ყელს ვისველებ, მკერდს ვიღელ და ვყვირი სულშეჭირვებულ ავადმყოფივით.

ჩემი უმცროსი ბიჭი ბახულია იქვე, ძირს, ჯორკოზე ზის და ისეთი თვალებით მიცქერის, რომ იცის მაგ მამალი მგლის შესაჭმელმა, კარგად იცის რომ რაღაცას ვეშმაკობ.

ზის, ცოცხალი სინიდისივით თვალებში მიცქერის და თან ფიქრობს თუ რა საეშმაკო საქმე მაქვს განზრახული. ეს მე ხელს მიშლის, მაწუხებს და ვეხვეწები წავიდეს სადმე. ცოდვაა ბალანა, ვინ გაიგონა, რომ ნორჩი ბავში სახლში ავადმყოფთან მარტო იჯდეს?—დაიჩაგრება და მე, მოსიყვარულე მამა, ურჩევ გადავიდეს მეზობლებში, მონახოს ტოლ-ამხანაგები (ღვთის მადლით, მამამისმა საკმაოდ იზრუნა იმისთვის, რომ ამხანაგები ბლომად ჰყოლოდა), და ითამაშოს რამდენიც მოეგუნებება, მაგრამ არავითარი ხვეწნა, არავითარი რჩევა მასთან რომ არ გადის! მოუქცევია კისერი მესკია ჩიტივით და მიცქერის ჭკვიანი, შავი და ეშხიანი თვალებით.

— დასწყევლა ეშმაკმა ამის დამსმელი!—ვბრაზობ მე გულში.

— წადი, ბაბა, წადი ბალნებში, ითამაშე, გული გადააყოლე! მამაშენს რას უყურებ, შვილო? მამაშენი დღესაა და ხვალ აღარ იქნება. ხვალე შენია, ბაბა, და წადი, ითამაშე, ჩემო ბახულია!—ვემუდარები მე მას და, როცა არც ხვეწნამ და არც მუდარამ არ გასჭრა, მოთმინებიდან გამოსულმა, იქვე, ბუძუძზე ჩამოდებული შინაურ საპნის ნაფრეხს ხელიდ წავწვდი და ვესროლე.

— დაიკარგე, შე ლორის დასმულო, აქედან! ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს ამ არე-მარეზე! დაუტატანე მე მას. ბიჭმა გამოქანებული საბრძოლველად ამოჯვედ აიცდინა და მოთმინებიდან გამომყვანი ზლაზვნით გარეთ გავიდა.

მე დრო ვიხელთე, ერთი რჯულზე კიდევ მოვწოვე ტიკჭორას ფუცხუნა ალადასტური და გავყუჩდი.

ცოტა ხანს შემდეგ, როცა ალაგეზე მომდგარი მღვდლის ჯორის ფეხის ხმა მომესმა, თავი მთლად უარესად მოვისაგვე, ავკვნესდი, ავბღავდი დასაკლავ მოზვერივით.

— დი, გეძინა მეგონა და გღვიძავს?—კვიროობს ჩემი ცოლი და ხუცესის შესახვედრად გაემართა. მე კიდევ უფრო ავზმუვდი და, როცა მღვდელი ფაცხაში შემოვიდა, უკვე ვბოდავდი.

— მართლმადიდებელნო, ძმანო ქრისტიანენო!.. ვაი!.. კაცი უნდა ჰბრძოდეს სიკვდილსა, რომელსა, შინა იგი ხედავს მრავალთა ცოდვათა, ვაი, ვაი!.. მიშველეთ ხომ ხედავთ, რომ ვთავდები კაციშვილი!.. ნულარას სცოდავ, რათა არა უძვირესი რაიმე გეყოს შენ, ვაი, ვაი!..—მოვთქვამდი ქადაგად დაცემულივით, ვბორგავდი და ლოგინში ერთ ადგილას ვერ ვისვენებდი.

— რავა ხარ, ბათაია? რა შემოგახდა, შეკაცო, ასე უცებ?—მეკითხება შეფიქრიანებული საბა და თან საზიარებელ წმინდა ნაწილებს ჯორკოზე ალაგებს.

— ვკვდები, მამაო, ვკვდები და აგია!.. მოიწია ჟამი ჩემი განკითხვისა!—უპასუხებ სულშეჭირვებული.

— რა გტკივა, შეკაცო, რა დაგემართა? იქნება, უკმური ამოგყვა რიონიდან?

— ეეხ, მამაო, შენ რომ ჩემი გაჭირვების ამბავი იცოდე!.. ვაიმე!.. ვაიმე!.. რაღა ბევრი დაგიმალო, ჩემო საბალია, საიქიოს გზას დავდგომივარ... სულიერი მამა ხარ... ვინ იცის, საბალია, ვინ იცის, ამაღამ გავაწევ თუ არა, ვაიმე ვაიმე!.. მიშველეთ, თაკარა მომენთო გულბოყვში, თაკარა!.. მოიწიე აქეთ, საბა.., აგერ ჩამოჯექი ლოგინზე, შეკაცო, რას მერიდები?.. ჰოო, ასე!.. ჰო!.. ოჰ!.. ოჰ!.. ოჰ!..

მღვდელი ლოგინზე ჩამოჯდა და გაფითრებული სახით მიცქერის. მე მეღიმება და ფახცის ეს ბნელი კუთხე რომ არ მშველოდეს, შემიტყობდა წუნკალი ეშმაკობას.

— ჰო, და ასე, მამაო... ძაან გულით მინდა გითხრა, ერთი სული მაქვს, სანამ გეტყოდე, მარა ვერ გიბედავ... ვერ მომიხერხებია, მე სულ წაწყმედილსა და ცოდვილს, და რა ვქნა, მითხარი?.. მანუგეშე ეს დაბნეული ცხვარი მართლმადიდებელი ეკლესიისა, დამაიმედე! უჰ, რავა იღუპება ჩემი სული, რავა იღუპება!

— სთქვი, ბათა, სთქვი... გაბედე. არ არის ქვეყანაზე ცოდვა, რისი მონანიებაც არ შეიძლებოდეს! სთქვი, ნუ გეშინია... ჭირის დამალვა ვინ გაიგონა, შეკაცო? მითხარი, ნუ გეშინია, არ გაგამხელ...

— მაშ კარგი, მამაო, კეთილი! ოო, რა კეთილი ხარ, მამაო, რა სათნო!.. ვაიმე! ვაიმე! ვაიმე!.. ხომ არ გამამხელ, მამაო? სამარეში ხომ არ ჩამატან ჯავ-

რად?..—ვემუდარები მე და ვხედავ, ხუცესი შეკრთა უეცრად. ეტყობა, ეჭვმა გაურბინა თავში, ხომ არ მატყუებსო და მე ამ ეჭვის დასაფარავად [illegible] ცოდავად ავბღავდი, რომ კედელზე ჩამოწყობილმა ქოთნებმაც კ[illegible] [illegible] ადგადმოჰყარეს.

— თქვი, შეკაცო, თქვი!..—მეუბნება საბა გულგახეთქილი და ვხედავ რომ სული მისდის, სანამ ჩემი გაჭირვებას ვეტყოდე, თვალებში ვატყობ სულწაწყმედილს, რომ რაღაც საშინელ ამბავს მოელის და ახლავე ფიქრობს, იმის ზომვაშია, თუ როგორ მოჰფინოს ჩემი საჯაყი სიკვდილის ამბავი მთელ დუნიას და ამ ქვეყანაზე გამომაჭენოს.

— მაშ კარგი, მამაო, გეტყვი!.. რახან ასე უკუღმართად წავიდა ჩემი სიცოცხლე, გეტყვი, რას იზამ კაცი, უნდა ვთქვა!..

— თქვი მერე, შეკაცო, რა იქნა ასეთი უსაშველო!—მოთმინებიდან გამოდის ხუცესი.

— ორსულად ვიყავი, მამაო, ორსულად, მე სულწაწყმედილი!

მღვდელი შეხტა და ერთი გზობა უნდობლად შემომხედა. მე ვწევარ არხეინად, ულვაშებში ვიღიმი და ისე შევცქერი ხუცესს.

— დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!..—ბურტყუნებს ხუცესი და გამალებული პირჯვარს იწერს.

— კვდები, შეკაცო, და თვალი კიდევ ეშმაკისაკენ გიჭირავს?—მეკითხება იგი გახცვიფრებული.

— რა ვქნა, მამაო! როცა შენ ღმერთისკენ დარჩი, ვიფიქრე, ხუცის ღმერთი რას გამახარებს მეთქი და ამიტომ ეშმაკი ვაჯობინე... დღეს, როგორც იქნა, მოვლოგინდი, ბიჭი შემეძინა, მამაო, ბიჭი!.. აბა შეხედე!..—წამოვიძახე მე, საბანს გადავწიე და ხუცესს ჩემი პირმშო შვილი, ღვინით სავსე ტიკჭორა დავანახე.

— წყეულიმც იყავ შენ, შე სულწაწყმედილო ყაძახო! რა არის ეგ?

— ეს ჩემი ოფლია, საბალია, ჩემი ოფლი! შენ ხომ გიყვარს სხვისი ოფლი? აბა ნახე რა ტკბილია!—უპასუხებ მე ხუცესს.

— სალომე!.. სალომე!.. მოდი ერთი, ჩემო ტურფავ, და, თუ ღმერთი გწამს, ერთი ორი ჭიქა მოგვიტანე, ხუცესს კოტოში უნდა დამაყაროს!—გავძახე მე ცოლს, რომელსაც თურმე ბახულია შვილებთან გადუგზავნია, მამას რამენაირად ცოცხლად მოუსწარითო და თვითონ ლაფაროში მოთქვამდა.

ცოტა ხანს შემდეგ მე და ხუცესი, ტკბილად შეზარხოშებულნი, ტიკჭორას მუცელს უჩუტავდით. ჯერ იმ ეფისკოპოზის სადღეგრძელო დავლიეთ, მერე მისი მშობლების, მერე მისი ცოდვების, შემდეგ მისი სამწყსოსი და ასე, განა ვისაც სმის ხალისი აქვს, ცოტაა ამისთვის ქვეყანაზე მიზეზები?

— ჩემ წიგნს მაინც რა უყავი, შე ყველიერის ბერიკავ?—ეს მეათედ მეკითხება ხუცესი და სულ ერთსა და იმავე პასუხს ვაძლევ:

— რამდენჯერ უნდა გითხრა, მამაო? სული ვიცხონე, საბა, შენი წიგნით, სული! მაშ როგორ გეგონა? გეგონა ასე შევარჩენდი, მან რომ ჩვენი სოფლის

მუხა ოჭრა და მე სიცოცხლე გამიმწარა? მისი შიშით შენს ეზოში ფეხი ვერ ჩამომედგა. შენ რომ მოყვასის სიყვარულის ქადაგების წაკითხვას თამპირდი და ვერ მოასწარი, სულმა არ მომითმინა და იმის წაკითხვა მომინდა. ხვალ იერუსალიმში მივდივარ ბერად და თან უნდა წავიღო. შენ კი ბერიკას მეძახი! რატომ არ გრცხვენია, მამაო? თუ, მართლა ბერიკა ვარ? რა ვიცი, რა ვიცი!— ასე ვესიტყვები ხუცესს და თან ვქირქილებთ ორივე შეზარხოშებულნი და ლოყაწითლებულნი.

და ჩვენ, ასე მხიარულად რომ ვქირქილებთ, ჩემი ულამაზესი (დასწყევლა ეშმაკმა მისი ჩემზე გადამკიდებელი!) სჯულიერი მეუღლე დადის სახლში, ფუსფუსობს და ბუზღუნობს. მწყევლის, ამომიღო კვინკვირში. გულზეა გახეთქილი, რომ სიკვდილის შიშით მთელი თავისი სიყვარული და მზრუნველობა გამოამჟღავნა ჩემდამი. ახლა შვილებიც დაურჩა მოპატიჟებული, ამ მღვდელსაც პატივისცემა უნდა, მერე ის მამალი მგელის შესაჭმელი ძროხაც მოუწველავია, ყველი მისადგმელი, ბატები დაუბინავებელი, ვახშამზეც მან უნდა იზრუნოს და გაჩენის დღეს იწყევლის. მე რა ვქნა მერე? მე ჩემი საქმე მომითავებია, მან თავისი საქმე იცოდეს. ნუთუ მე ახლა, მთელი დღის ნამუშევარს, არა მაქვს ნება რომ ცოტა ჩემი ჭიაც გავახარო?

მე და ხუცესი ასეთ ყოფაში რომ ვართ, კარებში ხუთი ვაჟკაცი და ერთი ქალი შემოეყუდა (ორი ვაჟი აქ არ არის, უფროსი ქალაქშია, მისი მომდევნო სალდათში, ერთი ქალიშვილიც ხორგაში მყავს გათხოვილი. ვინმე ხომ არ გამომრჩენია, ხომ ყველა ჩამოვთვალე? დანარჩენი? დანარჩენი ვინ იცის სად მყავს მითესილი და სად ახარებენ ბათა ქექიას სისხლს! ისინი მე არ მეკითხება.) თქვენ ერთი ამ ვაჟკაცებს შეხედეთ როგორ არიან ისინი ჯანღონით სავსენი! ეს ბახულიაც რომ ვაჟკაცობს, ეს ქრისტეს ხორცის მჭამელი! აბა ერთი ამ ჩემ ქალიშვილსაც შეხედეთ, დასწყევლა ღმერთმა, რა ძვალმსხვილია, რამსისხო გავა აქვს, ლოყებიც ბროწეულივით აჭღუენია! შეხედეთ რა გოროზი ძუა იგი, თვალდასკურული,—ეს დედისაა და პირი მოცინარი,—ეს ჩემია. თვალები, თვალები როგორ ეშმაკურად უციმციმებენ,—ესეც ჩემია, თოთო ბავში გულში მიუკრავს, მეორე კაბის კუდში ჩაფრენია და როგორ არ მიხაროდეს, ერთი მითხარით, ამის შემდეგ?

— ჰეი, შენ, ალაჟვერა!—მიტევს ქალიშვილი ომახიანად.—რა ამბავში ხარ, კაცმა რომ იკითხოს?

მათ დანახვაზე მთლად ვირევი და ვყვირი:

— სიბერეში ფეხი ჩავდგი, შვილო, და მინდა რჩევა გკითხოთ! აბა რა ვქნა, შვილებო, რა ვქნა, როცა ეს დედათქვენი გადაყრუვდა და მაინც არ მისვენებს? თუ ასე უქმად ვიქენი, ვიცი მიღალატებს და ამიტომ გადავწყვიტე გავახალგაზდავდე და რას მირჩევთ?

— შენი გაახალგაზდავებას ღმერთს ახლის გაჩენა ურჩევნია! შენ გაკეთებაში ერთხელ იზარალა და სულ ასე ზარალში ხომ არ დარჩება?—მიპასუხებს იგი და მე თავს ვიკატუნებ:

— აბა კაი, რახან ასეა მოვკვდები ისევ! რა უყო, ჩემ [illegible]ონდა და მაგ ნატვრასაც შეუსრულებ. დედაკაცს, როცა ქმარი [illegible]ა, ქმარი რომ მოუკვდება, ამირანთ ამირანია. ჩემს ხელში ვერ გაიხარა საწყალმა და მინდა მის სიცოცხლეში ერთხელ მაინც გაიხაროს, მოვკვდე და გავაამირანთამირანო.

— კაი ახლა, კაი, ბევრს ნუ დვარდვალობ!—ჩამოერია ჩემი ცოლიც, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევ და გავყვირი, რაც ძალი და ღონე მაქვს:

— მოდით, შვილებო, შვილიშვილებო, შენც, ჩემო სიძევ, შენც მოდი, შეკაცო! ფუი, როგორ ჩამოგიშვია ეგ ცხვირი გლახა ჭაკი ცხენივით! გახსენი, ბიჭო, ეგ სახე! მოდით და მაკოცეთ ამ გამოჩერჩეტებულ ბერიკაცს, ხომ ხედავთ, რომ სულმთლად გამოვტვინდი, დავბერდი. მოდით და მიყურეთ როგორ გადირია მამათქვენი, მოდით, გამაძღეთ თქვენი ცქერით!..

— ერთი ამ ბებერ მელას დამიხიდეთ რა ამბავშია? ჰაიტ, შე ხრონცო, შენ!—მიტევს ჩემი ქალი ღიმილით და მე პასუხად ვკოცნი მას, ვეხვევი შვილებს ყველას სათითაოდ და მერე, რომ დავწყნარდი, ცოლს მოუბრუნდი:

— სალომე!.. სალომე!.. რას გაჩერებულხარ, დედაკაცო, და მიყურებ გაშტერებული? ჩემ ალერსს ამაღამაც მოესწრები! აბა ვახშამი, ვახშამი! შენ, შვილო, წადი და ჩხავერი მოხადე! რათ გვინდა ალადასტური, თქვენზე უკეთესი ვინ მომივა, რომ შეუნახო? კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ბაბა, ჭკუას წაართმევს და ცოლს მისცემს. მეც ასე დამემართა. მე ცოლს არ დავჯერდი და შვილებიც გამოვტყუე. რას იზამ, შვილებო, კურდღელმა რაც იკოკნა, ის იხტუნაო. შვილებო, შვილიშვილებო, დამიჯერეთ, ცოლს ჭკუა არაფრის დიდებით არ კითხოთ, ცოლი რომ ჭკუის საკითხავი იყოს, გვერდში კი არ გამოუღებდა ღმერთი ადამს, თავიდან ამოაძრობდა. გვერდში იმიტომ გამოუღო, რომ ჭკუას ნუ კითხავ, გვერდში ისე მოიწვინეო! ხომ ასეა, საბალია! ჰაიტ, შე ჩემი ცოდვით სავსე ხუცესო, შენ!..

— ჩუმათ იყავი, თვარა ჩემთან, რომ წავიყვან დედაჩემს, მაშინ ვნახავ, რაც ვაქკაცი იქნები!—მემუქრება ჩემი ქალი და მე ხელებს სასოებით ვაპყრობ მისკენ მუდარით:

— მი'ველე რამე, ჩემო შვილო, მიშველე, წაიყვანე! წაიყვანე და არ იზარალებ. დიდებული მეოჯახეა, გარჯილი, დაუზარებელი. ცივ ქვაზე დაასახლებს კაცს. ჩემი ქება რათ უნდა, შენც უკეთ იცი! მეცოდება, მენანება, მაგრამ მაინც წაიყვანე. იყოს ასე: ჭკუა ხომ წამართვა იმ დალოცვილმა ღმერთმა და ცოლი მომცა? ბარემ ახლა ეს ცოლიც წამართვას და მაშინ, ჰეჰეიტ, დავჯდები ამ ხელის გულზე და, საითაც ქარი წამომიბერავს, იქით გავფრინდები! ფრთა რათ მინდა?—უფრთოდ გავფრინდები!

— მაინც საით გაფრინდები, ბაბა?—მეკითხება უფროსი ვაჟი უთუთია გადაკრულად, მაგრამ სიდუს სახელს რას ვახსენებდი? სიყვარულს მალვა უნდა, მეც ვმალე იგი და ვმალე იმდენხანს, სანამ ძუნწი დედაბერივით არ დამავიწყდა სად მქონდე დამალული. შეშინებულმა ცოლს მოვხედე, შვილს თვალი ეშმაკურად ჩაუკარი და ისე ვეუბნები:

— ერთი რუსის ქალი მყავს ქალაქში დატოვებული და ჩემ დაქვრივებას უცდის ის თვალდასავსები! ძუძუები ისრიმივით მოუტეხავ ექვს და ოქმ განიერი. ის რომ აგუნგრავდება, რას ნახავს კაცის თვალი მასზე უკეთესს?

— ის შენი რუსის ქალი, თუ ჯერ კიდევ არ ჩაძალლებულა, ახლა ბარე ორმოცდაათი წლის იქნება!—მიპასუხებს შვილი დაცინვით, მაგრამ მე ცალს მაინც არ უგდებ:

— რა უყოთ მერე, შვილო? სიყვარული ძნელი ყოფილა, ძალიან ძნელი! ეეხ, სიყვარულმა ხანი არ იცის! აა, ბაბა, საბალიას კითხე როგორი რუსის ქალი მყავდა ქალაქში, მაგას ავართვი და მე შევიყვარე! რას გაჩუმებულხარ, ხუცესო, ქადაგებაზე ხომ არ ფიქრობ? რა დროს ქადაგებაა, შეკაცო, როცა სიცოცხლე მოდიდებულ წყალივით გადმოდის გულიდან და ლამის წამლეკოს! ეეხ, რას იზამ, საბალია, სიცოცხლე სიყვარულია და, ვისაც სიყვარული არ გამოუცდია, იმას არ უცხოვრია!—ამოვიოხრე მე და, რუსის ქალზე რომ ვლაპარაკობ, თვალწინ სიდუ მიდგას. ეს ოხერი, ხომ დავბერდი?—გული მაინც მისკენ რომ მიმიწევს!

— ალბათ, ძაან უყვარხარ იმ თვალდასავსებს!—ჩამოერია ლაპარაკში საბალიაც.

— რატომც არ უყვარვარ, უყვარვარ! სანამ მაგას მოვიყვანდი, ამ ოჯახში კიდევ დადიოდა თითო-ოროლა სტუმარი და, ეგ რომ მოვიყვანე, ყველა შიშით დაიზაფრა, სათოფედ არავინ მეკარება.

სალომე მხოლოდ ახლა მიხვდა რომ მასზე ვლაპარაკობ და მომდგა:

— ფუი, ფუი, დასწყევლა წმინდა გიორგიმ შენი სახსენებელი. რატომ ის დღე არ დაიქცა, შენ რომ ცოლად წამოგყევი, შე ენაგატლეკილო, შენ, რავა მთლად ენათ ხარ მოქცეული!—მლოცავს რაც შეუძლია ჩემი ცოლი და თან კერიაში რაღაცას ფუსფუსობს, ვახშმის სამზადისშია. და მე რომ ასე ვოხუნჯობ, ყველა საქმიანობს, ქიონია დედას ეხმარება, ვაჟები, ზოგი მარანზეა ღვინის ამოსაღებად და ზოგი დაკლულ თხას ატყავებს.

ცოტა ხანს შემდეგ, როცა ჯალაბობამ ვახშამი მოგვართვა და დავსხედით, ღვთის საქმეს შეუდექით: ვჭამთ მდევებივით, ვსვამთ ხარებივით, ვღრეობთ და დროს ვატარებთ. ეს ღვინოც ნელნელა სინათლესავით შედის თავში და ასე განათებული უცქერ მათ,—ცოლ-შვილს, სტუმარს, ჩემს მონაგარს,—და ცქერით თვალი ვერ ძღება. სიყვარულითა და ღვინით დამთვრალმა, არ ვიცი რა ვქნა, როგორ გამოვხატო ჩემი აღტაცება, ბოლოს სიხარულით გადარეული ლოგინში წამოვვარდი, ძირს გადმოვეშვი და დავსჭყივლე:

— ჰოუ, ჩაგუნაუ-და!..

— ჰოო-ჰო-ჰო!—მომძახიან შვილები და ფაცხა ააქვს ცად აგუგუნებულ სიმღერასა და ტაშს.

— ჰოუ, ჩაგუნაუ-და!—შევძახე მე კიდევ ერთხელ.

— ჰოო-ჰო-ჰო!..—მაქეზებენ შვილები და ნიფხავ-პერანგის ამარა უვლი კერიის ირგვლივ ჩაგუნას, ვცეკვავ, ვბუქნავ, ფეხებს უსვამ, როგორც მეხერხება. ყველა ტაშს უკრავს, სიმღერა გუგუნებს და მე ღვინით ატაცებული უვლი, რაც შემიძლია, გადავირიე ეს ბერიკაცი.

— ჰაიტ, შე მართლა ბერიკავ, შენა!..—მომძახის ხუცესი, ხელები ფეხებთან მომიტანა და ტაშს ისე მიკრავს.

— გადირია, ნამდვილად გადირია, აგი წყეული!—იძახის ჩემი ცოლი და თან გაოცებული, მოსიყვარულე თვალებით მიცქერის. მე ეს კიდევ უფრო მაქეზებს და ვყვირი:

— ჰოუ, ჩაგუნაუ-და!..

— ჰოო-ჰო-ჰო!.. გუგუნებს ჩაგუნა და ეს ჩაგუნა მე ვარ, მე ვარ ეს ხატი აგუნა, ეს მე ვარ, ის მართლაც ღორის თავი, ახალწელიწად ღამეს თავს რომ საწნახელს ურახუნებს და, თუ არ გჯერათ, აბა ერთი ამ ჩიჩილაგივით წვერებს შეხედეთ და მაშინ დაიჯერებთ.

— ჩაგუნაუ, ჩაგუნაუ-და!..—მომძახიან შვილები და მე ქალიშვილთან მივიჭერ, საცეკვაოდ ვიწვევ, ის ცოტა განაზდა, მერე ბავში დედამისს სიცილით გადასცა და წამოვიდა ჩემკენ მალალ თეძოების რხევით. მე უკან ვიხევ, მერე ისევ უტევ, ის მკლავებ ქვეშ მისხლტება და აგერ, ჰეე, ფაცხის ბოლოში ირხევა ფეხის წვერებზე შემდგარი. მე მოვწყდი ადგილს, მისკენ გავექანე და ასე უვლით მე და ჩემი ქალიშვილი ფაცხაში. მისი ქმარი გვიცქერის გაოცებული თვალებით და არ ესმის რა ხდება მის ირგვლივ. ან რას გაიგებს? ის უცხო თესლისაა. მან არ იცის ჩვენი გვარის ამბავი. რა იცის ქექიების სისხლის ხალისი? ეს ჩვენ გახლავართ ძირი და ფესვები ამ ქვეყანისა. ჩვენ გლერტა ბალახივით ვართ, სამ წელიწადს რომ ყვავის ბუდეთ იყო, მერე, ძირს რომ დავარდა და ფესვი მიწას მოსდო, აღმოხდა:

— ეეხ კინაღამ არ მოვკვდიო!

ეს ჩვენ ვართ ის ქვიშა, წყალში რომ რჩება: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

მაშ მოდით და გამხადეთ ფეხზე ეს დედამიწა, ხომ ხედავთ რომ მიჭერს და შიგ ვერ ვეტევი, გადამხადეთ თავზე ეს ცა და მე გავფრინდები!

— შვილებო, შვილიშვილებო, ცოლებო, დებო, გაუმარჯოს ამ ქვიშას, ჰაჰაიტ, მარჯაჰ!

3

მას მერე ამეკიდა ეს სულწაწყმედილი ხუცესი შავი ჭირივით და დღე ერთი იყო და კითხვა ათასი:

— რა უყავი, შე ხრონცო, ჩემ წიგნს, როდის დამიბრუნებ კაცმა რომ იკითხოს?

მე ფიქრადაც არ მომსვლია ამ წიგნის უკანვე დაბრუნება, გამიკვირდა მისი გულუბრყვილობა და ქათამივით ირიბულად ზემოდ ავხედე.

— მაგ ჯორზე აბრაგივით რომ აყუდებულხარ და ისე მელაპარაკები, რათ კადრულობ, ხუცესო? ჩამოქვეითდი და მერე ვნახოთ. ბათა ჯერ ისე არ დალაბებულა, რომ კაცს ღვინო ვერ დაალევინოს და კეთილი გულით პატივი არ სცეს.

— აუუ, შენ თუ გიყურე, ამიშენდება ოჯახი! საღამოზედის ეზეთ ფეხვარდვალებ, რომ სულს არ ჩამათქმევიებ! სად მცალია ეხლა შენთან სალაპარაკოთ? მამასახლისთან მეჩქარება, ბალანა უნდა მოუნათლო და დიაკვანი მიცდის.

მე ახლა მივხვდი, რომ ის ემბაზი იყო, დიაკვანი რომ მიათრევდა შუკაში მზეზე აელვარებულს.

— არ მიყურებ, თვარა, მე, ვიცი ჭილვებზე დეზები გამოგებმება! — შეუტია ხუცესს, მერე თავი მოვისაგვე და ისევ დავიწყე ჩემი წილადობილა: — სანათლავი კი არა, საბალია, მონათლული ვარ და საცაა წავწყმდები. მომხედე, შეკაცო, ერთი ამ საწყალ გზადაბნეულ კრავს! ხომ ხედავ რა განუკითხავად ვეღუპები მართლმადიდებელ ეკლესიას. ჩამოდი, შეკაცო, რა იქნა ასეთი უსაშველო? ჩამოდი, საბალია, ჩამოდი მაგ ჯორიდან. ისეთი ჩხავერი მაქვს რიონში ჩაციებული რომ მკვდარს გააცოცხლებს და სულელს ჭკუაში ჩააგდებს. თუ სიცოცხლე არა, ჭკუა მაინც არ გაწყენს. დავჯდეთ აგერ და ვიბაასოთ ტკბილად. რაცხა ღვთის მადლია, თუ ღვთის რისხვა, ამ არემარეზე შენს მეტი ხუცესი არაა და სად წაიყვანს ის ჩემი ცოდვით სავსე მამასახლისი იმ ბალანას? — ეეხვეწები ხუცესს და ანაფორაში ჩაფრენილი, ჯორიდან ძირს ვეწევი, მაგრამ არ მნებდება. გარდაქეშანივით ზის ამ მამალი მგლის შესაჭმელ საქონელზე და იქაჩება. მიხვდა, წუპაკი, რომ ის ახლა ჩემთვის ციდან ჩამოვარდნილი მადლივითაა და ფასს იდებს, იპრანჭება.

დასწყეველა ეშმაკმა, რა გლახა შაბათი გამითენდა! აგერ საცაა გადაშუადღდება და ჯერ გული ვერ მიჯერებია ლაპარაკით, ყველას საქმეზე ეჩქარება! ზოგი ყანაში მირბის სიმინდის სამარგელად, ზოგი ტყეში შეშის საჭრელად, ზოგი ნარიონაში ხვალინდელ უქმე დღისათვის თევზის საჭერად და არავის ჩემთვის არ სცალია.

ახლა სოფელში კაცის ნატამალი არაა, ყველა გარეთ არის გასული სამუშაოდ და სოფელი დარჩათ დავლად ბალნებსა და დედაკაცებს.

აჰაიტ, დაუდგა სიბერეს თვალები! ახალგაზდობაში ყველაზე უფრო ეს დრო მიყვარდა, როცა გლეხები თაღარაში ბელტებს სამოყიან თოხს უბაყუნებდენ, მე მაშინ ჩემ ბორანს თავს ვანებებდი და გადავდიოდი სოფელში.

სახლებში კაცის მურუჟი არ იყო. ბალნები ეკლესიის მინდორში ბუკუნტალს თამაშობდენ და მათი დედები და დები, ოჯახში მარტოდ დარჩენილები, კაბააკარწახებულნი საქმიანობდენ. და მე ამ დროს ატრუებულ მოზვერივით გადავიდოდი ოლაგეზე ჩუმად, მეზობლებს რომ არ დავენახე, და ვინ იყო, ერთი მითხარით, რომელი ქალი იქნებოდა, რომ სიყვარულზე უარს მეტყოდა?

— რას შობი, ბათურია?.. მოიცა, შე სასიკვდილე!.. მაცა, ვინმე არ წამოგვესწროს!.. შენ არ მოკვდი, ბათურია... შენ არ მომიკვდი!.. — ჩურჩულებდა ენებით სულშეტაცებული ქალი და გახურებული ნალივით ცხელი ტანით, ტუჩებით, მკერდით მეკვროდა და მე ვბღღვინავდი დათვივით, ვრუტუნებდი ხვადი კატასავით და, ეეხ, ეს ქალები, ეს კერიის ცეცხლზე მიფიცხებისაგან წვივაჭრელებული სოფლის დედაკაცები!

ახლა? ახლა დაუდგა სიბერეს თვალები. ახლა მე არ ვიცი სიმარტლისაგან ვის დავეტაკო და ამ მამალი მგლის შესაჭმელ ჯორზე ვაუდგეთ ხუცესს შევლაციცებ თვალებში, ვემუდარები ცოტა ხანს მაინც დარჩეს სალაპარაკოდ და ის ისე აგდებულად მელაპარაკება ზემოდან, თითქოს მე ბათა კი არა, ვილაც დაჩიავებული ქონდრის კაცი, ან ბუზი ვიყო.

დასწყევლოს ეშმაკმა, ვფიქრობ და ვერაფერი გამიგია რათ ხდება ასე? როცა კაცი მაღლა დგახარ, თავს ბატონად გრძნობ, და, თუ დაბლა დარჩი, რათ ხდება რომ ვაჟკაცობა გინახევრდება და დაბეჩავებული თვალებით იცქირები ცაღლა, თუნდაც იქ მამალი ინდაური იჯდეს. მე დავკვირვებივარ, ოდის შენების დროს, ერთი მაღლა მდგომი ხურო, თუნდაც ის შეგირდი იყოს, მუდამ ამაყად დასცქერის ქვემოდ მდგომ უსტიას და აგდებულად ეყაყანება:

— ერთი ჭიბოშანი მომეცი, თუ კაცი ხარ! ეს რაა, ქოშის ლურსმანს რომ მაძლევ, ბასკა ლურსმანი მომეცი! —მიზეზიანობს ის ამპარტავანი, დიდგული და უკადრისი.

მეც ასე ვარ ახლა. ეს წყეული ხუცესი ბაყბაყ მდევივით იბერება უნაგირზე და ორიოდე სიტყვას ძლივს იმეტებს საპასუხოდ. ამიჩაგირა ამ სულწაწყმედილმა! მე გული მომდის, ვბრაზობ და მზად ვარ ძირს ძალით ჩამოვათრიო და იმდენი უბასკუნო, სანამ დიაკვანი და ის მოსანათლი ბალანა მოეხმარებოდენ.

— კაი ახლა, შეკაცო, ჩამოდი! ცოტა ხანს მაინც დაჯექი ჩემთან! სამუშაო არაფერი მაქვს და რა მაყურყუტებს აქ მარტოხელ კაცს?—კი არ ვეხვეწები, ვემუდარები, მაგრამ ამ წყეულმა, რახან ერთხელ გასდო კუდი ყავარზე, რას ჩამოიღებს! დაახრჩვე, თუ გინდა, რაც არ უნდა,—არ უნდა! გადგა გაქირზე მისი ჯორივით და არაა საშველი. რას მოაცდევინებ ახლა? ბაწრით რომ დაბა, აიწყვეტს და მაინც მამასახლისთან გაიქცევა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მამასახლისს პრისტავი ჰყავს ნათლობაში დაპატიჟებული, იმანაც იკადრა მისი ხელქვეითი, გააპატიოსნა და ესტუმრა, ესტუმრა, მაგრამ მარტო კი არა,—ჩაფრების მთელი რაზმით. ალბათ, იფიქრა, თუ გაპატიოსნებაა, ბარემ მთლად გაპატიოსნება იყოსო. და განა ხუცესს ახლა პრისტავთან ყოფნა არ ურჩევნია? თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო. მე კი?.. მე უნდა ვიჯდე და უყურყუტო ამ რიონის პირას ორიოდე მგზავრს გადასაყვანად. მე იქ ვინ მიმიშვებს, კუბაკი ვარ და შორიდან უნდა უგდო ყური მათ ქეიფს და სული ამომხდეს მოწყენილობისაგან. ბადე მაინც მომცა დახეული, ამოვკემსავდი!

სხვა რომ არაფერი გამივიდა, თავი მწუხარედ ჩავკიდე. მინდა დავლონდე, მაგრამ ვერ ვახერხებ. რაც არ შემიძლია, არ შემიძლია! ულურს მაინც არ ვიტეხ და ერთხანს ისე ვარ თავჩაღუნული, მოკატუნებული, მერე თავი ავიღე და მწუხარე თვალებით გადავხედე ამ ქვეყანას, ამ თაღარას, ამ მთებსა და წყალს, ამ ცას და, ვატყობ რომ მეტი წუხილი არ შემიძლია, გული სიხარულით მევსება.

ვდგავარ გახარებული და მგონია, რომ ამ მიდამოებს, ამ არემარეს პირველად ხედავს ჩემი თვალები. მიკვირს, მიხარია, ჩემს აღტაცებას არა აქვს საზღვარი, რომ ეს კურთხეული ცისქვეშეთი მუდამ სხვანაირია. კაცი მოხედვას ვერ მოასწრებს, რომ ის იცვლის სახეს. დახუჭავ თვალებს, გაახელ და ხედავ

რომ კიდევ სხვანაირია, კიდევ უფრო ლამაზი და მშვენიერი! ღმერთო, ჩემო გამ-
ჩენო, (მე არ ვარ ღვთის გაჩენილი, მე, ალბათ, ეშმაკმა გამაჩინა), რა ბადლო-
ბელი ვარ რომ ეს თვალები მაჩუქე, ეს ყურები მომეცი, ეს ხელები, ეს ენა და
ეს თავი! რა უყოთ რომ ქარიანია, მე ამას ოდნავაც არ ვწუხვარ! მაინც მად-
ლობელი ვარ ამ თავის და მიხარია, ძალიან მიხარია, რომ მკერდ ქვეშ ეს ამო-
დენა გული მისვენია და ამ გულში ამდენი სიყვარული, ამდენი სიხარული და
ხალისი ეტევა და მაინც არის კიდევ ბლომად ადგილი. მოდით, მოდით, ჩემო
ყანებო, ჩემო მთებო, ჩემო მიწა-წყალო! თქვენც: ცავ, მზევ, ტყევ და ადამიანე-
ბო, მოდით, ნუ გერიდებათ, ყველა დაეტევით ამ გასახეთქ გულში! ეს გული
სავსეა თქვენი სიყვარულით და განა ეს სიყვარული თქვენ არა ხართ? ნუ გე-
შინიათ, ყველასთვის მაქვს ადგილი ამ გულში და კიდევ ორმოცი ქვეყანა
რომ გაჩნდეს ორმოცი ცით და ორმოცი მზით, ორმოცივეს დავიტევ ამ გულში.
მაგრამ, ღმერთო, (ეშმაკს ამ საკმეში ხელი არ ურევია და ახლა მასთან არც
საქმე მაქვს, ღმერთსაც, კაცმა რომ სთქვას, ღმერთი სადაა?), ერთი რამ მაინც
მაქვს შენთან სასაყვედურო, მოდი აგერ კუთხეში და იქ გეტყვი: ეს ქვეყანა ასე
ცვალებადი რომ გააჩინე, ასე ნაირნაირი ყოველ წუთს, რათ დამტოვე მერე
ასე გულნაკლულად? გემდური შენ, ღმერთო, გემდური, რამდენი მშვენიერება,
რამდენი სილამაზე დამეკარგა მე, ჩემ დაბადებამდე რომ ჩაიარა, და რამდენს
დავკარგავ კიდევ, სიკვდილის შემდეგ. აბა იანგარიშე, ჩოთქში ჩააგდე! რატომ
მიშვები მერე ამას, რას მერჩი? აა, ვიცი, ვიცი! შენ გეშინია, რომ ამდენი სი-
ხარულით გული არ გამისკდეს, არა? ნუ გეშინია, ნუ შიშობ! ბათა კებერია,
ბათა კემუტი კაცია, ბათა ქექია კაი მაგარი ყაძახია, რომ ამისთანებისაგან
გული გაუსკდეს! შენ არ იცნობ მას! ის ყველაფერს გაუძლებს! შე დალოცვილო,
ამ შენ უჭკუო წარმომადგენელს უძლებ, აგერ რომ ჯორზე აყუდებულა, იმ
მამასახლისსა და პრისტავს ვიტან, შენ რომ პატრონად მოგვიჩინე, და მაგას
როგორ ვერ გაუძლებ! და მე პრისტავი და მისნი ძმანი რომ მახსენდებიან,
გულს ვასკდები, სულ მადლსა და მირონს ვაგინებ მის გამჩენს. მისი გამჩენი
შენ ხარ და შენ იქ, ცაში, კი არ ზიხარ, შენ აქ ხარ, მიწაზე. ტყუილია, თით-
ქოს შენ სამპიროვანი იყო, მარტო სამი პირი რომ გქონდეს რა გვიჭირდა! მა-
შინ რამენაირად კიდევ ამოგივსებდით ამ პირებს, ჩვენ შესაჭმელად რომ
დაღებულა, მაგრამ შენ მილიონჯერ მილიონი პირი გაქვს და იმდენზეა დაბჩე-
ნილი ეს პირები და ისე უძირო რომ, ახლა საქმე ასე დგას: ან შენ უნდა იყო
ამ ქვეყანაზე და ან ჩვენ. ამიტომ მე ასე ვარჩიე და ვამჯობინე, რომ თუ ყოფნაა, ისევ
მე ვიყო და არა შენ! მაპატიე, ღმერთო, ნუ მიწყენ, თუ შენ თავს ჩემი თავი
ვამჯობინო. რას იზამ, ანგარიში ასეთია და ანგარიშს სად წაუვალთ? მე ვიცი,
ის პრისტავი ჩემი მოყვასია, მაგრამ, როცა ეს მოყვასი შეჭმას მომინდომებს,
შემინდე, მომიტევე ცოდვანი ჩემნი ნებსითნი და უნებლიეთნი, თუ მაშინ მე
თვითონ მოვინდომე მისი შეჭმა და შევჭამ, იცოდე, შევჭამ ისე, რომ უკან არ
მოვიხედავ! ახლა რა უყო, იქეიფოს იმ პრისტავმა, დრო ატარონ იმ მამასახ-
ლისმა და ხუცესმა, რას ვიზამ, სამართალი ძალამ იცის და ეს ძალა ახლა მათ
ხელშია. მამასახლისი მძულდა და ახლა პრისტავიც აქ მომიყვანა! რას ვი-

ზამ, სუსტი ვარ, უჭკუო ვარ და ვფიქრობ ჩემთვის: ურიას ლორი ემძიმებოდა და გოჭი ზედ დაუდესო. რა უყო ახლა, შევეპამ [illegible]—მე ხომ ურია არა ვარ. მე ბუნების შვილი ვარ, მე მიწის ხვავი და ბარაქა უნდა მოვიყვანო და ვაჭამო იმათ, სხვა მე არ მეკითხება. ცხოვრებას მე ვინ დამაწყობინებს, მე ცხოვრების დალაგებს არ მეკითხებიან, ისინი ალაგებენ ისე, როგორც მათთვის სჯობია. მე ბუნების ენა ვიცი და ასე ვართ ჩვენ ერთად, ვცოცხლობთ და უყურებთ ამ ბჯღალებს, როდის წამოგვეზრდება. მე მიწის შვილი ვარ და მხოლოდ მისი ენა მესმის: თუ ყანჩები გაფრენის დროს მაღლად მიდიან მწყობრად, კარგა ამინდი იქნება, თუ დაბლა წამოვიდენ არეულად,—ავდარი, თუ კიბო ნაპირს მოეძალა,—ამინდი წახდება, მთვარემ თუ ერთი ბაკმი შემოივლო, წვიმა ან თოვლი მოვა, თუ ორი,—ყინვა იქნება, ხის მწვანე ბაყაყის კრუალმა წვიშა იცის, ზამთარში ყვავის სიმრავლემ,—სიმშილი და, რა ვიცი, რა ენით არ გველაპარაკება ჩვენ ეს მიწა და, თუ მიწის ენა იცი, კარგია, მაშინ ამინდი და ტაროსი ხელში გვიჭირავს! ეს ყველაფერი მე ჩემი გამოცდილებით ვისწავლე. რა უყოთ რომ ბევრჯერ ვტყუვდები და პირიქით ხდება. მაშ ისე ხომ ვერ ვიცხოვრებ? მე ხომ პიროტყვი არა ვარ, ასე ჰაერზე ვიცხოვრო? მე ადამიანი ვარ და რალაცა ხომ უნდა მქონდეს სახელმძღვანელოდ? ცრუ იყოს ეს, ტყუილი იყოს, უკეთესი მე არა მაქვს და ჯერჯერობით ამას ვჯერდები.

შეხედეთ ამ მზეს ცაში რთგორ ცეცხლის კრუხივით გაფოფრილა და გვასხამს ადუღებულ ბაჯაღლოს, შეხედეთ ამ მთებს, მდევებივით რომ დაყუნტულან. აბა ყური მიუგდეთ, როგორ დაჟინებით ჭრიჭინობს ჭიჭინობელი აი იმ თხმელაზე და როგორ შეუმჩნეველად მიიპარება ზედ ვენახი! სულელი, ჰგონია, ვერ ვატყობ, ჰგონია, არ ვხედავ, როგორ ივსება მისი მტევნები ტკბილით, თაფლითა და ზირხოშით. სულელი ხარ შენ, ვენახო, სულელი! გინდა მოგვატყუო, მაგრამ ვერ მოგვატყუებ, მაინც მოგაგნებთ მაგ ბარდში, დაგწნეხთ, დაგწურავთ და დავითვრებით მაგ შენი ტკბილი წვენით! შეხედეთ, ხის ჩეროებში ჯერ კიდევ არ გამშრალა დილის ცვარი და ბავშის ცრემლებივით ციმციმებენ მწვანე მოლზე. ეს შაშვიც, ეს შავი შაშვიც, ეს სულელი შაშვი, რა უნდა ნეტავ, კაცმა რომ იკითხოს? რას ჭახჭახებს იმ ეკლის სიხშოში? რა უხარია ამ სულელს, რა ახარებს, თუ არა ის, რომ ცოცხალია? შეხედეთ ამ რიონს, როგორ დიდგულად მიატლაშუნებს ტალღებს, ზუთხებსა და ქვეყნის ამბებს. ის ახლა ბავშივით ჩვილია და ნებიერი, მაგრამ აბა ერთი გაბაფხულზე ნახეთ, როდესაც ის აიყრის ფაფარს და პირდობლიანი ზავთით, ღრიალით მოედება ამ არე-მარეს და აბრაგივით დაიტაცებს და წაიღებს ამ ფაცხებს, ბოგირებს, ყანებს, ხულებს, ნალიებს, საწნეხლებს, ბავშიან აკვნებსა და აბლავლებულ ძროხებს. ახლა ის ისე სუფთაა, უმანკო და უცოდველი! ვიცით ჩვენ, ვიცით, რიონო, რა შვილიცა ხარ! გვახსოვს შენი ამბები! შეხედეთ ამ თაღარას, როგორ სავსეა იგი ხვავით, ბარაქით, როგორ ბიბინებს შიგ ლორთქო სიმინდის ფიმფა და ფოჩი. ხალხნო, ჯამაათნო, მიშველეთ, მომხედეთ, მეტი არ შემიძლია, მე ენა მივარდება მუცელში და, თუ ეს ოხერი ენა ჩამივარდა, მერე რათ მიღირს ეს სიცოცხლე? ამ ენით ვარ რომ ვძლებ ამ ქვეყანაზე, დასწყევლა ღმერთმა, ეშმაკმა და ჭინკამ ეს ხუცე-

სი, რა დროს მასთან ლაპარაკია! გამიშვით, ამიყვანეთ, ბაბა, ჩემს თაბიაზე და გადმომახედეთ იქიდან! გამაძღეთ ამ ქვეყნის ცქერით, გამაძღეთ ... ეგანია შუადღის გუგუნის მოსმენით! სადღაც მუცელ გახურებულ ... ბოლოს ... ველი კაკანობს ალაოში, ხვითოს თუ სვამს?..

— ო-დო-ი-ა-დო!.. ო-დო-ი-ა-დო!...—გუგუნებენ ყანებში გლეხები, ებრძვიან მიწას, იწვიან თაკარა სიცხეში და რწყავენ ამ მიწას ხვითქად ჩამოდენილი ოფლით.

აბა ერთი გულზე ხელი დაიდეთ და ისე სთქვით, რა დროს ლაპარაკია ახლა, როცა ეს უნაპირო მსუქანი მიწა შენია, როცა ეს დოვლათით სავსე წყალი შენ გუკუთნის, როცა ეს ტყე, ეს მთები, ეს ცა, ყველაფერი შენია? შეხედეთ, შეხედეთ, როგორ გატრუნულან მზის ქვეშ ეს სულელი, ეს შტერი თხმელები და ბეოლები! გატრუნულან და სწოვენ ძუძუზე დაკონებულ ბავშვებივით ამ ხვავს, ამ ბარაქას, ამ მიწას, ამ მზეს. ივსებიან წვენით, სიცოცხლით, ფესვები მიწაში გაუყრიათ და ტოტები ცაში შეუბჯენიათ! მიმიყვანეთ მათთან, მიმიყვანეთ! მე არ შემიძლია ჩემით სიარული, იმიტომ რომ მე ხე ვარ, მე მიწა ვარ, მე ცა ვარ, რა ვიცი, რა არ ვარ მე, და როდის იყო რომ ხე, მიწა და ცა ფეხით დადიოდა? რა იცის ამ სულელმა ხუცესმა, რა მშვენიერია ეს ქვეყანა? მას ის ქადაგებათა წიგნი ურჩევნია და აბა, ერთი თქვენ თვითონ მითხარით, როგორ შემიძლია მე მას ის ქვეყნის მაწყევარი წიგნი დაუბრუნო? რათ მინდა თქვენი ქადაგება? თავზე გადიხიეთ! არ მინდა მე თქვენი სამოთხე! თქვენ თვითონ წადით იქ, თუ კარგია, და მე აქ დამაყენეთ. გთხოვთ, გემდურებით, დამაყენეთ ამ მიწაზე და გამაძღეთ თქვენი ცქერით, თქვენი სიყვარულით. მომეცით ნება რომ მიყვარდეთ,—არ მინდა მე თქვენი ცხოვნება! მაჭამეთ ეს ხვავი, მასვით ეს წყალი, მაცოცხლეთ თქვენი სიყვარულით და სხვა არაფერს არ გთხოვთ ქვეყანაზე. ეს ცხოვრება მე ისე მყოფნის, როგორც ერთი ბათმანი ქერი მუტრუკს. მაჭამეთ მე დღეევანდელი კვერცხი და ხვალინდელი ქათამი თქვენთვის დამითმია.

აი ვდგავარ და უცქერ... ღმერთო ჩემო! უცქერ და მესმის!.. რა არის ეს?.. რა ამბავია?.. ნუ მომკლავთ!.. მითხარით რა არის ეს?.. რად წივის ასე განწირული ხმით ჩემი მეზობელი, წვრილ შვილის პატრონი ქვრივ-ოხერი კესარია?.. აჭუუ, დევიღუპეთ, დაგვექცა ოჯახი, დაიქცა მათი ჩამომყვანის ოჯახი და სახლკარი!.. ეს მამასახლისია, ეს ჩაფრებია, გადასახადს ძალით კრეფენ! სოფელს ართმევენ მარჩენალ ძროხებს, გოჭებს, ინდოურებს, ქათმებს და, თუ დასჭირდათ, სულსაც წაგვართმევენ, ვენაცვალე მათ ამოხდილ სულს, უეჭველად ამოხდილს, ისე რათ მინდა მათი მურდალი სული? მაშ რა ჰქნას იმ სულძაღლმა მამასახლისმა? რა უქნას ამ პრისტავს, მღვდელსა და ჩაფრებს? განა მათ პატივისცემა არ · უნდა? განა ისინი მარტო მამასახლისის სტუმრები არიან? თავისი ჯიბით ხომ არ აჭმევს და ასმევს იმათ? განა ის ისე სულელია, განა ჩვენ თვითონ არ დავცინებთ მას ამისთვის? რა უყოთ რომ მან დაპატიჟა ისინი? მისი დაპატიჟებული სტუმრები, ჩვენი დაპატიჟებულია და რა ქნას საწყალმა მამასახლისმა? რა ქნას სოფელმა, რა უნდა ვქნათ ჩვენ? რა ვქნა მე, მითხარით,

რა ვქნა ახლა მე? ისინი მალე ჩემთანაც მოვლენ, მეც მომადგებიან, ეს მე ხუთი თითივით ვიცი, ვისწავლე, უფრო, მასწავლეს, მეც გადმომიბრუნებენ ფეხებს და ჩემი და ჩემი შვილების ოფლით, ჩემი მოხუცი მარჯვენით ნაშოვარ ალალ გროშებს გადმომათვლევინებენ. არ მინდა მე ეს, არ მინდა და რა ვქნა? აბა როდის იყო, რომ თხას ტყავის გახდა უხაროდა და არ პეტელობდა? გამანებეთ თავი, დამაყენეთ ჩემთვის, დამანებეთ ეს ეზოსავით ლურჯი ცა და მე ხბოსავით ვიკუნტრუშებ, მომეცით ეს მიწა და ცოცხალი ზედ დავწვები, მოვკვდები, ზედ წავიყრი! მიმიშვით ამ ხეებთან, ამ წყალთან, დამაყენეთ ამ ქვეყანაზე ჩემ შვილებთან, მე არავისი პატრონობა არ მჭირდება, იმიტომ რომ, ვიცი, ნაანგარიშევი მაქვს და კარგა ვიცი, თუ რა ფასიც მიჯდება მე იგი. მე პატრონი და ქმაგი უფრო ძვირი მიჯდება, ვიდრე პირდაპირი მტერი. მაცხოვრეთ ამ ჩემ მეზობლებთან სიამტკბილობაში და, სანამ ეს წუპაკი მამასახლისი ჩემთან არ მოსულა, ნუ მიხსენებთ მის სახელი. მინდა ერთ ხანს მაინც დავივიწყო. ჯავრათ და გულის სახეთქად ის მაშინაც მეყოფა, როცა ჩემთან მოვა, და ნუ მიხეთქთ ამ გულს წინდაწინვე! ამიტომ მე განგებ ახირებულად, აგდებულად, ისე, თითქოს არც ვიცოდე, თუ რა უბედურება ხდება ჩემს ირგვლივ, ვეკითხები ხუცესს, გაოცებული რომ დამცქერის თავისი ჯორის სიმაღლიდან:

— ა, ხუცესო, ა, რავაა ჩვენი საქმე? —ვბუტბუტებ მე დასაკლავად გამზადებულ კრავივით და ვატყობ რომ ისიც წახდა ერთი პირობა მამასახლისის თარეშზე, იმასაც გადაჰკრა ფერმა, იმიტომ რომ შეეშინდა, ეს მამასახლისი ისე ერთგულად და პირწმინდად ატყავებდა სოფელს, რომ მას არაფერი დარჩებოდა. ასე ვიყავით ჩვენ ორ წყალს შუა და რა უნდა გვექნა? მამასახლისს გადავრჩენოდით, თუ ხუცესს? ეს ორი მუცელი გვჭამდა ჩვენ და ჩვენთვის რა ნუგეში იყო, რომ მათ ერთი მეორე სძულდათ. მუცელი მუცელს არას არგებსო, მაგრამ ორივე ჩვენ გვინელებდა და სიცოცხლეს გვიმწარებდა. ჩვენი საქმე სწორედ ისე იყო: ყადმა რომ აგიკლოს, ვისთან იჩივლებო? მაგრამ ეს სულწაწყმედილი ხუცესი თავისას მაინც რომ არ იშლიდა, მაინც რომ არ ავიწყდებოდა თავისი წიგნი! მე კიდევ უფრო მოვისაგვე თავი და, კი არ ვეუბნები, შევჩივი:

— რა იქნა, შეკაცო, ასე უსაშველო ეგ შენი წიგნი, სული რომ ამომაძვრე პირში? ცეცხლი ხომ არ გეკიდება? ერთი სული მომათქმევინე! მაცა, ერთი გავძღე მისი აზრებით, ხორცს რომ ასე საამოდ აძინებს და სულს ფრთას ასხამს. ეს ერთი უკულმართი და ყოვლად მაკვარანცხი კაცი, როგორც იქნა, მეშველა, სულის საქმეს მოვეკიდე და შენ, იმის მაგიერ რომ დაბნეულ კრავს მოეხმარო და სულს სწორი გზა უჩვენო, მაბნევ და სიცოცხლეს მიმწარებ?

— ისე ჩემი მტერი არ იქნა, რამდენი შენ ცხონებას არ ეღირსო. როგორც აქლემი ვერ გაეტევა ნემსის ყუნწში, ისე არც შენი საშველი იქნება! —გადამიწურა წყალი სულმთლად ხუცესმა და ეს სიტყვები ეკალივით მომხვდა ყურებში, იმიტომ კი არა, რომ მართლა მჯერა სამოთხის ამბავი, არა, მე ვცნობ ამ სიტყვებს, ეს სიტყვები იმ ქადაგებიდან არის ამოღებული და ამ სიტყვების გაგონებას, მე სიკვდილი მირჩევნია, მაგრამ ულურს მაინც არ ვიტეხ, თავს

შეწუხებულივით ვისავათებ, სიმწრით მუხლებში ხელებს ვიცემ და სამოწარკვეთილი ძლივს ვბუტბუტებ:

— ვაი შენ, ჩემო საცოდავო თავო, ვაი შენ, ჩემო წყეულიანო ბუნებავ! აბა, რა მეშველება მე სულშეჭირვებულს, მამაო? შენ ხომ ძმობილი ხარ, დედა-ჩემის ძუძუნაწოვარი და მასწავლე, ჭკუაზე დამარიგე, რა გზას დავადგე, რომ სული მაინც მოვიპოვო, თორემ, ხომ ხედავ, ეშმაკს ენაზე ვაზიავარ და როდის გადამყლაპავს არ ვიცი.

ხუცესმა ერთი დაეჭვებით გადმომხედა, წარბები ზემოთ აჰქაჩა, ისევ გადმომხედა, მერე უნაგირზე შეირხა და, თვალებში შევატყე, მიმიხვდა წყეული ეშმაკობას.

— არაფერია, შეკაცო, რამ შეგაშინა? ეშმაკი ეშმაკს რას გადაყლაპავს! — მანუგეშებს იგი.—როგორც უღლიანი ღორი ვერ შევა სამოთხეში, ისე არც შენი საშველი იქნება და ნუ მაცდენ, თუ ღმერთი გწამს, დამიბრუნე ის ჩემი წიგნი.

მე ამ სიტყვებზე ბზიკნაკბენივით შევხტი. მომწყინდა ეს ამბავი. უეცრად მუსაიფის კეხი შევაბრუნე და უტევ ხუცესს:

— შენ, მამაო, მუცელში ალხათ ხომ არა ხარ? რამ გაგამწარა ასე, შე მართლა წვერცამეტავ, შენ? რომელ სამოთხეშიც შენ შეხვალ, ის, ალბათ, საღორე იქნება და, თუ რაიმე მიზეზით იქ ეშმაკებს წმინდანები ეყოლათ დაბმული, შენი ღრუტუნის გაგონებაზე, ჯაჭვით რომ იქნან დაბმული, მაინც აიწყვეტენ და ცხრა მთას იქით გადიკარგებიან. ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს, ადამიანი მაიმუნისაგან წარმოდგაო, შინი წინაპარი, ალბათ, ღორი თუ იყო, კურთხეული, თორემ ასე რამ გაგასუქა? შენ მამასახლისთან მიგეჩქარება და მე არ მკითხავ რა ცეცხლი მიკიდია? ხომ გაგიგონია ჩვენებური:

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
— ალაპი არის რუსეთსა.
— თუ არ გვეკორებაო,
კი არ გვეშორებაო.

— ასეა ჩვენი საქმეც.—დავათავე ლექსით ჩემი სიტყვა და თვალებმოკუჟული შევცქერი ხუცესს, სიმწრის ოფლი რომ ხვითქად ასკდება შუბლზე. მან არ იცის რა მიპასუხოს და ოხრავს, ქსიტინობს გაჭირვებულად.

ერთხანს ჩუმად ვართ. მე ყურს უგდებ და გული მიკვდება, რომ ეს ჩაფრების ხმაური ეზოდან ეზოზე ნელნელა გადმოდის, თანდათან მიახლოვდება და რა ვქნა, რომელ მეზობელს შევჩივლო ჩემი შავი დღე, როცა ყველა ჩემზე უარეს დღეშია? ჩვენი საქმე სწორედ ისე იყო: თევზმა თევზს უთხრა: „იქით მიიწიეო“. „საით მივიწიო, ორივე ერთ ტაფაში ვიწვითო?“ დაწიოკებულ სოფელში ჟრიამულია და ერთი უბედურება. მეტის მოთმენა არ შემიძლია, ბოლმა ყელში მაწვება, მაგრამ ჯერ კიდევ თავს ვიკავებ, ვცდილობ ეს ხუცესი ჯერ შხამიანი სიტყვებით მოვწამლო და მერე მთელი რისხვით დავემხო თავზე.

— დღეს რომ ნათლობაზე არ მიდიოდე, საბალია, სადილად გესტუმრებოდი. კარგა ხანია, რაც მე და შენ სულის საქმეებზე არ გვილაპარაკია და მომენატრა. ქალბატონი ესმა რავა ბძანდება?

ხუცესი შეშფოთდა, შედრკა უნაგირზე. წელში გაიმართა, რატომღაც ანაფორა გაიბერტყა და ჯორი დაფრთხა მის ფართხუნზე, შეშინებულმა თავი დასწია და ხუცის ხელზე გადაკიდებული სადავე ისე დაიქნია რომ წაინდა პატრონს მკლავი კინაღამ ჩამოაგლიჯა. ამან ის კიდევ უფრო გაამწარა და მისდგა საწყალ ჯორს:

— არ გაჩერდები, შე მამალი მგელის შესაჭმელო, არ გაჩერდები!..—იძახდა ხუცესი ბრაზმორეული და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჯორს ცემა დაუწყო. პირუტყვი ფრუტუნებდა, ერთ ადგილას ტრიალებდა და სიმწარისაგან კბილდაღრჭენილი ლაგამს ღეჭდა.

მე მოშორებით ვიდექი და ეხედავდი, ხუცესი ჩემ გულის ჯავრს ჯორზე იყრიდა. გამეღიმა, თავი ვერ შევიკავე და ცემაში გართულს მივაძახე:

— არ მოკლა, შეკაცო, ეგ საცოდავი! რას ერჩი? სამოთხეში წასვლა არ გინდა მერე?

ხუცესი შეჩერდა, ჯორს თავი გაანება, რისხვით ავსებული თვალებით შემომხედა, ბრაზით ენა აერია და მერე, როგორც იქნა, აბლუკუნდა:

— არ დამეთხოვი ახლა, შე ენატლეკილო? ხომ ხედავ, არ მეკილაკოზება.

— არ გეკილაკოზება, თვარა, მე ვიცი, კათალიკოზობას მოგცემენ! შეუტია ხუცესს გულმოსულმა.

— მაგას შენ კაცი არ გეკითხება. ჩემ მრევლში კათალიკოზიც ვარ და პატრიარქიც!—და ეს სიტყვები სწორედ იმ დროს იქნა ნათქვამი, როცა ჩემი ყურის მეზობლის ეზოში დედაკაცის კივილი გაისმა. მივიხედე და თვალთ დამიბნელდა, ის აყუდებული მამასახლისი და ჩაფრები რომ დავინახე წითელი აპელატებით მხრებზე.

— ვაი შენს ბათას, მეც ეს დღე მომელის!—გამიელვა თავში, იმიტომ რომ, ვიცოდი, არაფერი არ გამივიდოდა არც ხვეწნით, არც მუდარით და ყველაფერს ამაღლეტდენ, რისი წაღებასაც მოისურვებდენ. მგელმა სთქვა: ჩემ დამჭერ ძაღლს ერთი შეხედვით ვიცნობო, მეც ერთი შეხედვით ვიცან ისინი. მე ხომ მელია არ ვიყავი, თავი მომემძინარებია და მეთქვა: სიზმარი იქნებაო. ეჰეიტ, ბაბა, რა დრო დაგვიდგა!—და მოახლოვებულ უბედურებით გამწარებული, ხუცესს შემოუბრუნდი:

— ყველაფერი შენ რომ ხარ, მეც ეგ მაქ სადავო. ბრმა რას სჩიოდა და ორთავ თვალის სინათლესო. ყველაფერი შენ რომ ხარ, მეც მაგას ვტირი, შე მდულარეში გასაპუტავო! ხედავ როგორ დათარეშობს სოფელში მამასახლისი ჩაფრებით? რა ქნას, ერთი მითხარი, საწყალმა სოფელმა, ა? ის ღარიბია და გაუნათლებელი, ყრუ და საწყალი. ამას ქვია ხომ მოყვასის სიყვარული?—და მე გამახსენდა ჩემი თითო კაპეიკობით, ოფლით, ვარამით ერთი მეორეზე ნაწებები და შვილივით ნალოლიავები ოქროს თუმნიანი, ნიფხვის უბეში რომ მქონდა შავი დღისათვის ჩაკერებული. სიმწრისაგან თვალთაგან კურცხალი წამვარდა, და გული დამეთუთქა. რას შემარჩენდა ის წყეული მამასახლისი ახლა ამ ჩემი ოფლით მონაგარ ცინცხალ თუმნიანს! ხუთი თითივით ვიცოდი არ შემარჩენდა და გული დამეწვა, გავბოროტდი და მთელი ეს მოგროვილი ჯავრი და ბოღმა ხუცესზე ამოვიყარე:

— დასამაბიდან მოყოლებული, დღევანდელ დღემდე, ყველაფერი შენ და ის მამასახლისი რომ ხართ, ეს მწვავს გულს, სხვა რაფერი! ვინ გვაქვს ცოდვის მომკითხავი? ერთი სცოდავს, მეორე ხსნის ამ ცოდვებს და ხარ[illegible] ბიძია, ერთად მიდიხართ, მიიმღერიხართ,—ერთი ხემწიფე, მეორე კათალიკოსი, ღმერთი შორსაა და ისე შორს რომ, მგონია, არც უნდა არსებობდეს. და ჩვენ, ეს საცოდავი გლეხები, ვაკვდებით ამ მიწას, ვირჩობით ამ წყალში, ცეცხლში რომ იშოვებოდეს რამე, ცეცხლში შევიდოდით. ჯაფით ჭირის ოფლი გვასკდება და თქვენ, დაწყებული შენით და იმ წუპაკი მამასახლისით, გათავებული კათალიკოსითა და რუსხემწიფით, ყველა ერთნაირად გვაძრობთ სულს პირში, ცოცხლად გვხდით ამ ტყავს და, როცა ჩვენ ვყვირით სულშეჭირვებულნი, თქვენ ძმურ ნუგეშს გვცემთ, ნაობახში გვაგდებთ, ციმბირში გვასახლებთ, თუ საჭირო იქნა, ჩამოგვარჩობთ კიდევაც, იმიტომ რომ ჩვენ სულელი ცხვრები ვართ და ჭკუა უნდა ვისწავლოთ და ის, ჩვენ ახალ გახდილ ტყავს ორთქლი რომ ასდის და ტყავგახდილნი ვტირით, ეს არაფერია, ეს ორთქლი კი არ არის, ეს ჩვენი სულია, ცოდვებისაგან განთავისუფლებული და საიქიოს მიემგზავრება საინეტაროდ. თუ ასე იქნა, ვიცი, კარგათ ვიცი, რომ ჩვენი საშველი არ იქნება. ჩვენ ყრუები ვართ, თქვენ კიდევ უფრო გვაყრუებთ, ჩვენ უსინათლონი ვართ, თქვენ კიდევ უფრო გვაბრმავებთ, ჩვენ უთქმელი ვართ, თქვენ მთლად გვამუნჯებთ და მერე, როცა ამდენ ყრუ-მუნჯებს პატრონი დაგვჭირდება, თქვენვე გვპატრონობთ, გვმწყემსავთ, რომ მგელმა არ მოგასწროთ ჩვენი შეჭმა. შენ გვიქადაგებ, მამასახლისი თავში გვიბასკუნებს და ორივე ერთად ტკბილად, ძმურად გვაძრობთ ტყავს და ჩვენ, ამ საწყალ ცხვრებს პეტელის ნებაც არა გვაქვს. ამდენ მუქთახორას გინახავთ და ჩვენი საშველი მაინც არ არის. ვირმა სთქვა: ასი მუტრუკი გავზარდე და ჩემი საპალნე მაინც არ მომშორდაო. ჩვენც ვამბობთ: ამდენ ზარმაცებს გარჩენთ, გინახავთ და თქვენ კიდევ უფრო უარესად გვაწვებით ზურგზე. ჩვენ ეს ზურგი, ბიძია, იმიტომ კი არა გვაქვს, რომ თქვენ გვაჯდეთ. ეს ზურგი უსაქმობის დროს საფხანად გვაქვს და თქვენც გვფხანთ, როგორც შეგიძლიათ, მაგრამ არა ხელებით, — მათრახებით. ხომ ასეა, ხუცესო? იმ შენ წიგნში სწერია: ხორცი ცოდვააო, სამოთხის გზაზე დამდგარ ცხვარს დუმა ამძიმებსო, თქვენც ზრუნავთ ჩვენთვის, სჭამთ და ისე გვაშორებთ ამ ცოდვებით სავსე ხორცს. თქვენ გეშინიათ, ძლიერ გეშინიათ რომ ეს სამოთხის გზაზე დამდგარი ცხვრები დუმამ არ წაგვაქციოს და გვათლით, როგორც შეგიძლიათ. მაშ რა უნდა ჭქნათ, დუმის გულისთვის სულს ხომ არ დაღუპავთ? და ჩვენ რომ გაჭირვება გვაპეტელებს, ეს არაფერია, სულისთვის ყველაფერი უნდა მოვითმინოთ. დუმა რომ შამოგელევათ, მერე კიდევ უფრო ღრმად წახვალთ ხორცისკენ და, ე, მამაო, მაშინ ფრთხილად! მე გირჩევთ, ჩემო საყვარელო მწყემსებო, ფრთხილად იყოთ. ცხვარი ცხვარია და, თუ გაცხარდა ცხარიაო. ახლა? ახლა რას ვიზამთ, ჩემო საბალია? ახლა მართალი ისაა, ვისაც მარჯვენა ხელში მათრახი უჭირავს და მარცხენაში სახარება. მაგრამ მე არც ისე ბრიყვი ვარ, შენ რომ გგონია. მე ვიცი რომ ჩვენ ქონით სავსე გუდა ვართ და მე რომ გუდა ვარ, მეშინია ეს ქონი უქმად არ გამდინდეს და საცა ნახვრე-

ტი გამიჩნდება, მაშინვე კიპსი უნდა გაუყარო. შენ თავს რომ გამაყრევინებდენ, კაი კი იქნებოდა, ეს ოხერი.

— თოიტ, შე ყიამყრალო, შენ! ჩემ თავს შენ ვინ დაგანებებს? რა იცი, შე ყუბაქო, სახარების ამდენი, ამსიგრძე ენა რომ გადმოგიგდია და რას დვარდვალობ არ გესმის? შენ, კუჭში რომ ქარი გიდგას, ის სული გგონია და კიდევაც იმიტომ ხარ ასე ენამყრალი!

მე არ მინდა შევარჩინო ხუცესს ეს სიტყვები და ერთი ორიდ უბრუნებ ხურდას:

— რა უყოთ მერე, ჩემო საბალია, იდგეს ის დალოცვილი ამ მუცელში, თუ ხელით არა, ოყნით ხომ მაინც მივაგნებ! მე ეს არ მედარდება, ჩემი დარდი შენ ხარ, ჩემო საბა, შენმა ჯავრმა გამითეთრა თმა, თორემ ისე რა მიჭირს! მთელი შენი სიცოცხლე რომ რაღაც უხილავ სულსა და მიუწვდომელ აზრებს დასდევ და ამ ორი დღის სიცოცხლეს ისე უგემურად აღამებ, რომ მე მადა მიფუჭდება. ღმერთი შენი მადლიერი არაა და კაცი. დაგდებულხარ ამხელა მძორი სულის საქმეებზე ზრუნავ და ის კი არ იცი, რომ ღმერთს შენთვის სული მარილის მაგიერ ჩაუბერია, ცოცხლად რომ არ ამძორდე და ქვეყანა არ აამყრალო. ჩვენი ცოდვილი სულის ზრუნვაში შენ ისე დამრგვალდი, რომ წინ და უკან სად გაქვს კაცი ვერ გაიგებდა, გულზე ჯვარი რომ არ გეკიდოს. მიკვირს, საბალია, ძალიან მიკვირს, ეს საცოდავი ჯორი ცოდვის დღესავით ძლივს დაგათრევს და ანგელოზებთან ფრენას რა ჭკუით ფიქრობ იმ სამოთხის ბაღში? თუ იქაც ჯორით გინდა იჩაჭჩაქო? მე ვიცი, ჩემო საბალია, კარგათ ვიცი, როცა ხუცესი დაიბადება, დედამისი უკანალზე დაჭკრავს ხელს და ეტყვის: ბრიყვებმა გარჩინოსო. ეხ, დედაჩემო, რატომ მეც არ დამკარი უკანალზე ეგ შენი კურთხეული ხელი, თუ ამ სულძაღლივით უდარდელად ვიცხოვრებდი! სამაგიეროდ ახლა, რაც ცხონებულმა დედაჩემმა დამაკლო, პრისტავი და მამასახლისი მინაღდებენ ერთი ორად. მცემენ და მცემენ, ხელით კი არა,—მათრახებით და თან მეუბნებიან: ბრიყვი ხარ და მარჩინეო! ეეხ, ჰე-ჰე!..

— ვწუხვარ, ჩემო ბათაია, ვწუხვარ, რომ ცოტა გხვდება ეგ მათრახები! შენ რომ ენის პატრონი ხარ, დილიდან საღამომდე უნდა გირტყამდენ და ის იქნებოდა მადლი! ამ თემშარაზე რომ გადმოგიგდია ეგ ძირში მოსაჭრელი ენა და რას ტარტალობ არ იცი, რას ფიქრობ?

— რას იზამ, ჯიმა, ენას ცხრა საბრუნავი აქვს და მეც ვაბრუნებ ამ დალოცვილს, როგორც შემიძლია და სხვა რავქნა? ეეხ, თუ ერთი იმ ერთობის ბაღნებმა გაიმარჯვეს, მერე მე ვიცი რასაც დავაბრუნებ და ახლა რა ვქნა, ენის მეტი რა დამრჩენია! თუ გავიმარჯვეთ, მაშინ უყურე სეირს ცხვარივით რომ წამოგაქცევენ და გაგკრეჭენ! არა, ჩემო საბალია, არა, სად მცალია მე ახლა სულისთვის, როცა ხორცსაც არ მანებებენ, სად უნდა ჩადგეს ის დალოცვილი!— ავიგდე მთლად ხუცესი და ის ოხრავს საცოდავად, კვნესის და, ძველი დრო რომ იყოს, თუნდაც დადიობა, ვიცი, კარგათ ვიცი, ან გახურებულ ნალს დამარტყამდა უკანალზე, როგორც ღვთის მაწყევარს, ანდა თათარში გამყიდდა ორ არშინ აბრეშუმზე ან ფარჩაზე.

ერთხანს კიდევ ვიდექით ჩვენ და კარგა ბლომათ ეხარკვა ეს ჰაერი. რატომაც არ ვიდავებიდით? ფილტვები მაგარი გვაქვს და ენა ბლომადა. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ხუცესმა ჯორი წყევა-კრულვით შეაბრუნა და არ გამომთხოვებია ისე წაჩაქჩაქდა ბურდღუნით, გინებითა და ჩემი სახელის თრევით.

მე ღიმილით გავხედე თუ როგორ მიჩაქჩაქებდა იგი, გულმა არ მოთმინა და გავძახე:

— საბალია, საბა!

ის გულმოსულია და ყურიც არ მათხოვა.

— საბალია, შეკაცო, მომხედე ერთი, საქმე მაქვს! —გავძახე მე კიდევ ერთხელ საქმიანი კილოთი.

— რა გინდა, შე ეროყია, შენ?—მომიბრუნდა იგი და ძაღლივით შემომღრინა.

— იმ შენი წიგნს ნათლობაზე გამოგიგზავნი და ერთი ქადაგება იმ პრისტავს წაუკითხე, იმის ჯინი მაქვს.

ხუცესმა ერთი ღონივრათ გადააფურთხა და მერე ისევ ბურდღუნით, ლანძღვითა და გინებით გაუდგა თავის გზას.

მარტო დავრჩი.

სოფელს ყური მიუდგე,—სიწყნარეა.

— ალბათ, დავავიწყდი იმ წუპაკ მამასახლისს!—გავიფიქრე და სიხარულით ქირქილი დავიწყე, კარგ გუნებაზე დავდექი. რატომაც არ დავდგებოდი კარგ გუნებაზე? თუ ეს მამასახლისი არ მესუტუმრა, ენა ისე მოვიფხანე, რომ ერთ კვირას მეყოფოდა და კმაყოფილმა ამ ქვეყანას მადლიერი თვალებით გადავხედე.

ეს ოქროს რახტივით დაფანჩული მზე ისევ ისე ეკიდა ცაში, ისევ ისე ტკბილად მიდუდუნებდა ეს რიონი.

რომ შევხედავ ამ დალოცვილ წყალს,—მიხარია, ეს ამოდენა წყალი გაშლილა ღვთის კალთასავით ასე სავსე და ასე მღვრია, ზანტი და განიერი! ამ კალთაში ირწევა ჩემი ბორანი აკვანივით, კალთაში ვწევარ მე და ხარბი თვალებით, უძირო მადით გავცქერ ამ ქვეყანას და, მგონია, ეს რიონი, იქ კი არ მიდის, მიწაზე, ის ჩემშია, მისი სათავე ჩემი გულია და მისი დასასრულიც ჩემს გულშია. ეს ჩემი სისხლია, ჩემი ოფლი, ჩემი ცრემლები, ჩემი სიცილი, ჩემი რისხვა და ჩემი ფიქრები. ეს ფიქრები მიდიან ულრან ტყეებში, ანჯელში, სირიაჩქონში, ქვალონში, ჭალადიდში, მიდუდუნებენ თვალუწვდენ ეწერზე, ჭილოფითა და ლელიანებით რომ არის დაფენილი, მიდიან ეს ფიქრები რიონივით და იქ, შორს, ზღვის ლორთქო ტალღებს შეერთვიან.

შეხედეთ ამ ცას, თავზე რომ გობივით გვახურავს, შეხედეთ ამ აბიბინებულ ყანებს, ამ თაღარას, ამ მინდვრებს, ამ კვატაცით დაფენილ ჩქონებს, ნადირით ფრინველით, შეშით, ჭაობებითა და ციებით რომ არის სავსე და მონადირენი, მეთევზენი, ტყის მჭრელნი და ყანის მუშები ვერ ასდიან ალაფობას! ყური დაუგდეთ როგორ ზუზუნებენ ბუზანკალები, ჭიაღუები, როგორ იბრძვიან, სჭა-

მენ ერთი მეორეს, პეპლაობენ, ნაყოფიერდებიან და იხოცებიან. გველის თავის მპარსველი დაფარფატობს გამჭვირვალე ფრთებით და სადღაც ლელიანში გველი ბაყაყს გუდავს და კვნესის იგი სულშეჭირვებულად. იქ, ზეცოთ, ცენიწყალი ბებუთივით ესობა ხორცში რიონს და მერე მიდიან ერთად კაციას ფონზე, კოდორზე, სირიაჩქონში, მიდუდუნებენ. ხედავთ, როგორ ირწვევა წყლის ზედაპირზე მწარე კვახები ზუთხის ანკესებით და ნაპირზე შრება ჩემი ფარონი ბადე? საძოვრებში ხვადგები გატრუნულან ხვატში, ალხში და თვალების ლულვით იცოხნებიან, სადღაც ანწლებში თხა სარაკუნას აჟღარუნებს და ისმის მისი პეტელი. ხედავთ, როგორ ფარფატით მოდიან ცაში თეთრი გედები, მოაქვთ ზურგით მზის სხივები და ქალის თეთრი პერანგებივით ეშვებიან რიონში? იქ ტყეა, ტყის იქით სოფლები, — მთელი ოდიში, მთები და კავკასიონი კლუხორისა და მამისონის გადასავლებით, მე რომ ყმაწვილობაში ყაბარდოულ ცხენებისა და ოსური ხარების საპარავად მინავარდია. აქეთ ეწერია, ეწერს იქით უსიერი ტყეები და ტყეებს იქით ისევ ეწერი თვალგადუწვდენელი ტბით და ტბაში წევს წყალში წასული ძველი ქალაქი, მერე ისევ ტყე, ხე და მიწა, მიწის იქით ზღვა და ზღვას იქით ცა და ყველაფერი ეს ჩემია, ყველაფერი ეს მე ვარ, და რათ მინდა სხვა სამოთხე? არ მინდა იმ ხუცის საიქიო, მე ესეც კარგად მყოფნის, მე აქ ცხოვრება მირჩევნია, ამ მიწასთან, ამ ცასთან, ამ პირუტყვებთან და ამ ფრინველებთან ერთად და, როცა ალიონზე ვდგები, გამოვალ, სახეზე წყალს შევისხამ და გავძახი ამ ფრინველებს, ამ პირუტყვსა და მთელ ქვეყანას:

— გძლიე!.. გძლიე!.. გძლიე!.

და მე ვიცი, რომ იქ, სამოთხეში, არ იქნება არც ეს საჯავახოს ლაინის ფერი მთები, არც ეს რიონი. არ მინდა მე არც იქაური ანგელოზები, მე ჩემი სოფლის წვივმაგარი დედაკაცები მირჩევნია, მე ისინი მწყურია და მე მათ ვწყურივარ და ეს ამოდენა ბალღები, ჩვენი სოფელი, ჩემი დავაჟკაცების შემდეგ რომ აივსო, ეს ხალისიანი ახალგაზდობა, ყველა ჩემი შვილებია, ტყეში და მურყანონში, ბოსტანში და შვიარებში ქმრების ნამალავად ნაკეთები... ეს დედაკაცები ჩემი ცოლებია, მე კმაყოფილი ვარ მათი და ისინი ჩემით. მე დავაოკე მათი ამ მიწასავით ავარდნილი ენება, მე მათი ბათურია ვარ და, როცა მათ ქმრებს ვხვდები, ახლა ჩემსავით დაბერებულებს, მეღიმება, იმიტომ რომ მათზე ნაკლებ არ ვიცი სადა აქვთ მათ ცოლებს ტანზე ხალი ან სხვა ნიშანი. მე ვიცი როგორ მძიმედ სუნთქავენ ისინი ნეტარების დროს და ახლა, როცა ჩვენ ენებაშენელებულნი ვხვდებით ერთი მეორეს, ისინი აკარწახებული კაბის კალთას ძირს კოპწიად უშვებენ, ისწორებენ, ჩამქრალ თვალებს ერთს მადლიერად შემომანათებენ და სალამითა და მორიდებით გვერდს ჩამივლიან:

— დილა მშვიდობისა, პატონი!

ეს იმიტომ რომ მათი შვილები ჩემი შვილებია.

ამიტომ მიყვარს მე ჩემი სოფელი და ნუ მიკითხავთ მე იმ ქადაგებებს მოყვასის სიყვარულზე. ჩემი გული ისედაც სავსეა ამ სიყვარულით, მე თვითონა ვარ ეს სიყვარული და მე, ამ უმანკო კრავს რიონის ნაპირებისას, არ მანებებენ ერთი

რჯულზე გაეძღე ამ სიყვარულით. ქადაგებით სულს მხდიან, არ მაცლიან თავისუფლად უცქირო ამ ქვეყანას და ჩემსავით ადამიანები, გადასახადს ამაძევებენ იმაში, რაც ჩემთვის არ მოუციათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მართლა ისე უდარდელი კი არა ვარ, თავს რომ ვიკატუნებ! მართალია, ბედოვლათი ვარ, მაგრამ ეს მე ერთი შეხედვით ვარ ასეთი. მართლა ასე კი არ არის ჩემი საქმე! ეს მე ასე მომწონს, ასე მინდა რომ ვჩანდე, თორემ ისე მე დანგით დანგამდე მაქვს ყიელაფერი გამორწყული და გამოანგარიშებული. მე ისიც კი ვიცი ახლა, გაისად რომ გადასახადს ამაძრობენ ზურგზე, რამდენი მათრახი მომხვდება მაშინ.

ეს მე ისე, ქვეყანას ვატყუებ რომ სულელი ვარ, ცრუ და დიდი მხარჯველი. მომწონს, როცა ჩემზე ასე ფიქრობენ, იმიტომ რომ მაშინ ბევრს გაპატიებენ და ბევრი შეგრჩება.

ჩემმა ცოლმა და ქალიშვილმა კარგად იციან ჩემი ამბავი და, როცა მე გადავირევი და ვარ ერთ ამბავში, ისინი მაშინვე პირში მეცემიან, მლანძღავენ, მათრევენ და ეშმაკობას საქვეყნოდ მიმეღავნებენ. მათ კარგად იციან, რომ ყოველი გროში, ყოველი დღე და საათი თითზე მაქვს ნაანგარიშევი, იმიტომ რომ მე არც ისე სულელი ვარ არ ვიცოდე თუ რისი პატრონი ვარ და რამდენის აწევა შემიძლია. ასე რომ არ ვყოფილიყავი, განა მე ცხრა შვილის გამზრდელი ვიქნებოდი?

მე ისე ხელმოკლედ ვცხოვრობდი, რომ ყოველ აღდგომის პარასკევს ვიჯექი და მთელი დღე ცოლთან ერთად ვანგარიშობდი ცხრა შვილში რომლისთვის ახალი წყლა უნდა მეყიდა, რომლისთვის ძველი გამომეკერებინა და, ბოლოს, ამდენ შვილებსა და გაჭირვებას თავს რომ ვერ გავართმევდი, ანგარიშში შვილებიც წამომეხმარებოდენ, შვილებს მეზობლებიც წამოეწეოდენ და ამითაც რომ ვერ გავარკვევდი ვერაფერს, მოთმინებიდან გამოსული, მთელ ჯალაბობას ბაზრობაზე თხებივით დავირეკდი და იქ ვმოსავდი, იმიტომ რომ ჭკუა ვისწავლე: ერთხელ ისე ამერია სათვალავი, რომ ერთ შვილს ორი წყვილი ახალი ფეხსაცმელი უყიდე და ცოლი მთლად ფეხშიშველი დამრჩა.

მე რომ მართლა ასე უთავბოლო მხარჯველი ვყოფილიყავ და ზარმაცი მაშინ ამდენ შვილებს ჩემი ტყავი კი არა, კამბეჩის ტყავი რომ მქონოდა ზურგზე გადაკრული, ის არ ეყოფოდა.

ამიტომ არის რომ ჩემი ქალი ქიონია მუდამ კრიჭაში მიდგას და, რომ ავტრაბახდები, პირში მეცემა:

— თოიტ, თოიტ, შე ცრუო! გაჩუმდი, სულერთია, არ დაგიჯერებთ და თავს ტყუილად ნუ იწუხებ. ძალიან გინდა რომ ხელგაშლილი და ფართო ცხოვრების მოყვარულ კაცად მოგვაჩვენო თავი, მაგრამ ვერ მოგართვეს! კარგა ვხედავთ შენ ფანდებს და ვერ მოგვატყუებ! ვიცით, ჩემი ბაბაია, კარგად ვიცით, ვისწავლეთ რაც შვილი ბრძანდები!—და ჩვენ ვიცინით, ვქირქილებთ ერთად, ის სავსე ლიტრასავით, მე გაბზარულ კოკასავით, თან ერთი მეორეს ეშმაკურად უცქერით და ვიცით, ორივემ კარგად ვიცით ერთი მეორის ამბავი. რატომაც არ გვეცოდინება?—ის ჩემი გაჭედილი ხატია და მე მისი შშობელი. მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად ვჩუმდები, თავს ისევ ბებერი მელასავით მოვიკუნტავ და ეკითხრავ, ეკვნესი სულშეჭირვებული, ვჩივი აწუწუნებული:

— ეეხ, ეეხ, არაა ჩემი საშველი და ესაა! ჩემიანი მე ნამუსს არ მინახავს და სხვა რას დამინდობს? ხეს უთხრეს: „ხედავ მაგ პირძაღლ ცულს, რას გიშვებაო?“ ხემ ამოიკვნესაა და უპასუხა: „ეხ, ჩემო ძმაო, ცულს რა უთხრა, როცა ჩემი ტოტი შიგ ტარად გაჰყრია და ის არ მინდობსო!“ ასეა ჩემი საქმეც!

მართალია, მიყვარს ხუმრობა, ოხუნჯობა, მაგრამ მე არც ისე წყალწალეგული კაცი ვარ, რომ ქვეყნის საქმეები არ მედარდებოდეს. სხვა არა იყოს რა, ეს აკეთილშობილებს ადამიანს და ხასიათს ბუხარივით უწმენდს. ამიტომ, როცა ბაზრობიდან მოვალ და ბუხართან დავჯდები, ყველა შვილები ირგვლივ შემომისხდებიან და მიცქერიან პირში უსიტყვოდ, ეშმაკურად, თუ რას ვიტყვი იხალს. მეც გადავხედავ მათ, ერთს ღრმად ამოვიოხრებ და დავიწყებ თვალცრემლიანი:

— ეეხ, რავა იქცევა, ბიჭო, ქვეყანა? ბაზარი კი არა, ნამდვილი აფთიაქია, აფთიაქი! ცეცხლი ეკიდება ყველაფერს! რაცხა საკაბე მინდოდა მეყიდა ცოლიზა და იმდენი დამიფასეს რომ ამხელა ცრემლი ვღვარე, ჰა!. რას მიყურებთ, თქვე ბალაგარებო? მართლა ვიტირე!—შემოუტიე შვილებს, როცა დავინახე რომ ისინი ისევ ისე ეშმაკურად მიცქერიან და ერთი სიტყვა არ სჯერათ ჩემი. და მე რომ ასე უტხვდი შვილებს, უეცრად ცოლმა მჭადის ზელას თავი გაანება, შვილებს მივარდა და ცომიანი ხელების ქნევით აკაპასდა:

— ცრუობს, ცრუობს, არ დაუჯეროთ მაგ სასიკვდილეს, არ დაუჯეროთ! ერთი სიტყვა მაგას არ დაეჯერება! იტირა კი არა, ის არ გინდა ახლა!

მე ხასიათი წამიხდა, მთხლეზე დაჭერილი ქურდივით უმწეო თვალები შვილებს მოვავლე და, როცა შევატყე რომ არცერთი მათგანი ჩემ მდგომარეობაში არ შედის, შემეცოდა ჩემი თავი და გული საყვედურით ამევსო.

— არა, მართლა კი არ მიტირია, ოჯო!—ვთქვი საქციელ წამხდარმა, მერე უცებ გული მომივიდა და ხმას აუწიე: —რაა, დედაკაცო, ყოველთვის პირში რომ უნდა მეცე და სიცოცხლე გამიმწარო? სულ მართლით სიარული სად გაგონილა? შენ რა გენაღვლება, ერთი მითხარი თუ შენ მართლა ავი და ბოროტი არა ხარ? რა წაგიხდება იმით, რომ დამიჯერო? ვთქვათ, არ მიტირია, რა გინდა მერე? რომ დამიჯერო, ოჯო, ქვეყანა ხომ არ დაიქცევა? ტყუილი კაცმა იმიტომ გამოიგონა, რომ უმისოდ სიცოცხლე არ იქნება. კაცი ტყუილით ისევე ცოცხლობს, როგორც სიმართლით. ტყუილი ხიზილალაა და ხიზილალა, მოგეხსენება არც თუ ისე უვარგისი საქონელია.

შვილები იცინიან და თან დედას აქეზებენ:

— არაფერი არ შეარჩინო, დია, მაგას! აჰ, ეგ ხრონცი და ცრუპენტელა ეგა! ამ ცრუობითა და ენითაა, თავს რომ ინახავს. შენ რომ დაგაბერა, ახლა მოგვდგა და ჩვენ გვიპირებს დაბერებას.

— ჰაიტ, შე ზანტაკო ეროყიავ, შენ! აბა რავა ბგონია? შენ გინდა იცრუო, გული იჯერო და ჩვენ სულელებივით თავი გიქნიოთ, არა? ვერ მოგართვეს! ჩვენ არც ისე სულელები ვართ!—წამოეხმარა ძმებს ქიონიაც. მე მთლად წავხდი კაციშვილი, ჯორკოზე საცოდავად მოვიბუზე და ალბათ, ნამეტანი საბრალო შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახედაობის ვიყავი, ჩემი ქალი რომ უეცრად მოლბა, თავზე ხელი ალერსით გადამისვა, მერე გულში მიმიკრა და შომეფერა:

— არა, ბაბა, არა! მოდი ერთი თვალებში გაკოცო! საწყალი ბაბა, საწყალი! რა ქნას საწყალმა, ყველა ამას ერჩის და რა უნდათ, ნეტა ვიცოდე?—მეალერსება იგი და თან გულში მიხუტებს, თვალებში მკოცნის. მე ბედნიერებით გული ყელამდე მევსება და ბავშვივით ამიზეზებული ვიმუქრები:

— რა ვქნა, ბაბა, დავბერდი და ახლა რა! ახალგაზდა ვიყო, მე შენ გაყურებინებდი მაგის კრიახს! ახლა რა გაეწყობა, დავბერებულვარ და კაცად რომ აღარ ვარგივარ, მომდგა რჯულზე. ახლა რა ძალა მაქვს, როცა რქები ძირში მომატეხა, რით ურქინო? ცხრა შვილი ცხრა ხვითოს კაკალივით გამომტყუა, მარა მაინც რომ მიყვარს მაგ წყეული! თურმე ჩვეულება სიყვარულის ოდენს იწონის! მეც შევეჩვიე და ვერ ვიმეტებ. რატომაც არ უნდა მიყვარდეს? თქვენ რომ მყავხართ, ეგ მეხმარებოდა, ძალიანაც მეხმარებოდა, სულო ცოდვილო!..—ვამბობ მე, მაგრამ ეს ყელკურთხეული ისევ წამოვარდა და ისევ აკაპასდა თავისებურად;

— ხმა გაკმიდე, ხმა, შე ბინძურო ბერიკაცო, თვარა მოგკალი და აგია!

— არა, სალომე, არა!—ვამშვიდებ მე ალერსით და თან ულვაშებში ვიღიმი.

— მიეფერე, ჰო, მიეფერე, ბებერო!—მაქეზებენ შვილები.

— აბა გარეთ, გარეთ გადით ყველა!—აყვირდა ქიონია.—ნეფე-დედოფალი მარტო დატოვეთ, ხელს ნუ უშლით!..—და არის საერთო სიცილი.

ასე ვიქცევდით ჩვენ თავს ჩვენი პატარა სიხარულით, როცა დრო გვქონდა, მაგრამ ამასაც რომ არ გვანებებენ, ესეც რომ ეხარბებათ იმ სულბინძურ მამასახლისსა და ხუცესს!

ბიძიებო, შვილებო, დამანებეთ მე ეს ქვეყანა! თქვენ არ ხედავთ ჩემს უბედურებას, არ ხედავთ და მე კი სულ ვხედავდი. ამდენს რომ ვქაქანობდი, ცალი თვალი სულ მუდამ გვერდზე მეჭირა და აი ამ ჩემი დასავსები თვალებით ვხედავ, როგორ მოაჭენებენ თქარა-თქურით ცხენებს ჩემკენ ეს მამასახლისი და ჩაფრები. მოდიან, მოდიან ჩემი მწყემსები, რომ მიხსნან მგლისაგან. ღმერთო, ღმერთო, რათ არ ინებებ და ასე ერთიანად არ მიირთმევ მათ? მიირთვი, ღმერთო, ჩვენი ძღვენი იყოს, მიირთვი ისინი და ნუ დაგვიბრუნებ. ამბობენ, ღმერთს კაი უყვარსო და ინებე ისინი. წაიყვანე, კარგები არიან, აპელატები მხრებს უმშვენებს, ძალა აქვთ, წარჩინება და, ერთი მითხარი, რას უწუნებ, რომ არ მესმის! მიირთვი ისინი, ინებე და შენც კმაყოფილი იქნები და მეც შენი მუხლების მკოცნელი. როგორ შევცდი! მეგონა, დავავიწყდი მეთქი, მეგონა დაავიწყდათ უმანკო კრავი რიონის პირას და მიხაროდა. და აი არ დამცალდა მე ეს სიხარული. სად წავიდე ახლა, რა მიწა გავითხარო? სად დავემალო ამ მოახლოებულ უბედურებას? წავალ, გავიქცევი და ჩავჯდები ჩემ ბორნის ნავში, იატაკ ქვეშ დავიმალები და ვიყვირებ, რომ აქ არა ვარ, რომ მე მოვკვდი, მაგრამ ვინ დამიჯერებს? ეს წუპაკი მამასახლისი არც ისე სულელია! ქვესკნელში რომ ჩავძვრე იქიდან ამომათრევენ და მაინც წამართმევენ ამ ჩემი ოფლით ნაბანსა და ჯაფით აბზინვებულს შვილივით ნალოლიავებ წითელ თუმნიანს. სად წავიდე ახლა, რას

დავეტაკო? ღმერთი მაინც იყოს, შევჩივლებდი, მაგრამ ისიც რომ არ არის! რომ იყოს კიდეც, მერე მე რა, ის ხომ ჩემთვის არ იქნებოდა? ღარიბი, და საწყალი ღმერთსაც ეზარება და კაცსაც. ღმერთი იმათია, ვინც სჯერა—ვისაც სჯერენ, ღმერთს იმასთან რა უნდა? იცით რა, ამ სიმწარეში ერთი ანეკდოტი გამახსენდა. რა მეარაკება ახლა, მაგრამ, რა ვქნა, ჭირი ისედაც მეყოფა და, სანამ ეს ჭირი სულს ამომხდიდეს, თავიც არ გავირთო? მე რომ ჭკუა მქონდეს, ხეს უნდა ვცემდე თავს და ტვინს ზედ ვასხამდე; მაგრამ რადგან ტვინი არა მაქვს (სულ ამას ჩამჩიჩინებს ჩემი ცოლი და, რა ვქნა, მეც დავიჯერე), ამიტომ ტყუილ-უბრალოდ რაღას უთათქუნო ეს ოხერი თავი ამ ხეს? ახლა ჩემი თხოვნაა, სანამ ის წუპაკი მამასახლისი მოვიდოდეს, ერთი ანეკდოტი კიდევ მათქმევინოთ. ეს ჩემი ანდერძი იყოს და მერე, ამ თუმნიანს რომ ამომჭვალავენ პირში, მას ჩემი სულიც თან გაჰყვება და აღარ იქნება მერე ბათა და, თუ დარჩა, რაღა დარჩენა იქნება ეს? ასეთ დარჩენას არ დარჩენა სჯობია.

ერთხელ თურმე ღმერთთან ერთი ბეკეკა თხა მივიდა და თვალცრემლიანმა შესჩივლა:

— მამავ ზეციერო, თუ მაჩენდი, ისე რად გამაჩინე რომ ყველას საჭმელი მე ვიყო და ყველა მე მერჩოდესო?

ღმერთმა თხას თავზე ხელი დაყვავებით გადუსვა და ანუგეშა:

— რა ვქნა, ჩემო შვილო, მე რა შემიძლია, როცა შენ ისეთი კარგი ხარ და გემრიელი, რომ შენ დანახვაზე მეც კი მელვიძება მადა შენ შესაჭმელადო.

ეს თხა მე ვარ ახლა, ყველა მე რომ მერჩის, ყველას ჩემი შეჭმა უნდა და ვის შევჩივლო ახლა, ვის მივადგე თხოვნით, რომ გამომექომაგოს და დამიცვას?

— ხალხნო, ჯაამათნო, მიშველეთ!—მაგრამ ვინ მიშველის, როცა ყველა ჩემ დღეშია, ყველას თავისი ჯავრი აწუხებს და სტკივა? მე რომ ვამბობ, მდიდარი ვარ-თქო, მართლა ასე კი არ არის ჩემი საქმე! მე გულით ვარ მხოლოდ მდიდარი და მდიდარ გულს (მე ასე ვანგარიშობ) რაც უნდა იყოს, მაინც მდიდარი ჯიბე! სჯობია. მე ღარიბი ვარ, ღატაკი, მე ცხრა შვილისა და უთვალავი შვილიშვილების პატრონი ვარ და ამითი ვარ მე მდიდარიცა და ღარიბიც. მათ მოვლა უნდა, პატრონობა, გაზრდა და აბა, ერთი თქვენ თვითონ მითხარით, სად შემიძლია მე ამდენი გადასახადების გაძლება? დამეხსენით, დამეთხოვეთ, ნუ მოდიხართ ჩემთან! ამ საცოდავს, ამ სულივით ტკბილსა და სულელ კაჭალ თუმნიანს, ჩემს გარდა, ათასი დაბჩენილი პირი უცდის და თქვენც, ჰაიტ, თქვე წუპაკებო, წუნკლებო, თქვენც რაღას დაგიღიათ პირი? აახ, საწყალი თუმნიანი, სულელი თუმნიანი! ალბათ, იმიტომ არის ასე წითელი, ასე ლამაზი, რომ ყველას ის უნდოდეს! და რა ვქნა მე ახლა, მითხარით? დამარიგეთ, ბაბა, ჭკუა მასწავლეთ! ხომ ხედავთ, რომ ყველამ მე ამიჩაგირა და ყველას ჩემი წახდენა უნდა. ღმერთო ჩემო, ჩემო გამჩენო, დიდი, ძლიერ დიდი მადლობელი ვარ, რომ ეს ქვეყანა მაჩუქე, რომ ყველაფერი ეს ჩემია, მაგრამ ეს მამასახლისი, ეს ხუცესი და ეს ჩაფრები რათ მინდოდა? ესენიც რომ მაჩუქე რა შავი, ჭირად მინდა ისინი? ისინი არ არიან ჩემი, მე უარს ვამბობ მათ საკუთრებაზე! ღმერთი, რჯული მე სრულიად არ მე-

საჭიროება ისინი! პირიქით იმათ ვეჭირდები და იმიტომ მოდიან ისინი ჩემთან. მე რომ ისინი მართლა მჭიროდეს, განა თავისი ფეხით მოვიდოდენ ჩემთან? —მაშინ მე თვითონ უნდა მერბინა მათთან. მე არ მინდა ისინი, მე უმათოდაც კარგად ვგრძნობ თავს. არ მოტყუვდე, ღმერთო, მე უმათოდაც კარგად მოუვლი ამ ჩემ თავს. აი მე ვიხედები ჩემ სიგელში, ჩემ გუჯარში, ჩემ ნასყიდობის ქაღალდში და შიგ წერია რომ მე მაქვს ორი ქცევანახევარი საყანე მიწა, იმის ნახევარი საეზოვე, მერე ეს ბორანი და არც ეს მამასახლისი, არც ეს ხუცესი და არც ეს ჩაფრები შიგ არ არიან, არ სწერია, რომ ისინი მე მეკუთვნიან. სად წავიდე, სად დავემალო მე ახლა ასეთ საკუთრებას? რით გაუძლო ამდენ გადასახადებს? ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში ატენდენო, ასეა ჩემი საქმეც. მე ისიც არ ვიცი რისთვის მახდევინებენ ამ გადასახადს. რა საჭირო იყო, შე დალოცვილო, ასეთ მშვენიერ ქვეყანაზე ამ უწმინდურებსა და ძახთაპირებს რომ აჩენდი? ვის უნდა ეს მამასახლისი, ეს ხუცესი და ეს ჩაფრები? სად არის სამართალი, სად არის კანონი, აგი ნავარი? მითხარით, მე ყრუ ვარ და არ მესმის, მე ბრმა ვარ და ვერ ვხედავ. შემაგნებინეთ, ვერ გამიგია, ეს ამბავი ჩემ თავში ვერაფრით შესულა, თუ ყველაფერი ჩემია, მაშინ რა შუაშია აქ ეს გადასახადები? ამიღეთ და გადამაგდეთ ამ რიონში,—მე თევზად გადავიქცევი, ამიღეთ და მისროლეთ ცაში,—მე ჩიტად ვიქცევი, ამიღეთ და ჩამაგდეთ ცეცხლში,—მე სალამანდრად ვიქცევი, დამმარხეთ ცოცხლად მაწაში,—მე თხუნელად, ფუღუდ ვიქცევი, მაგრამ ამ ხელის გულივით მიწაზე რომ დამსვით, ერთი თქვენ თვითონ მითხარით, რად გადავიქცე მე, რომ ამ ნაგაზმა ჩაფრებმა ვერ მომაგნონ? მე ვიცი, კარგად ვიცი, ვისაც ვკითხო,—ახალ თაობის კაცებმა იციან ეს და, თუ ვისწავლე, მაშინ,—ჰაიტ!—შვიდობით, თქვენ მაშინ უყურეთ ბათა ქექიას! მანამ რა ვქნა?— ვჩივი, ვკვნესი მძიმე ავადმყოფივით ამ ბორანზე ბებერ მელასავით თავმოკატუნებული.

მე ცოდვა ვარ, საწყალი ვარ. ვინ მომცა მე იმდენი შეძლება, რომ ამდენ გადასახადს გაუძლო? მე ყოველ დღე თითო საქალამნე ტყავი მძვრება ხელის გულებზე ამ ბორნისა და თოხის ქაჯაბით. მე ვდგავარ ამ გაგანია სიცხეში და ვმუშაობ, მზე მწვავს, წვიმა მასხამს, ქარი მიბერავს, ოფლი ხვითქავთ მდის და თქვენ გინდათ ეს უკანასკნელი პერანგიც გამხადოთ? გინდათ, ტყავი გამაძროთ და ისე გამიშვათ? მე არ მინდა თქვენი სამწყემსავი ვიყო, თქვენ მგელზე უარესი ხართ და რა მგელს შეუჭამივარ და რა მგლის ფერ ძაღლს! გამიშვით, ჩემო კეთილებო, გემუდარებით, გამიშვით იმ მგელთან, მე მინდა რომ იმ მგელმა შემჭამოს და დამეხსენით! ჩემი თხოვნაა, ნუ ერევით ჩემ საქმეში, თორემ ცხვარი ვარ, ღმერთი, რჯული, ცხვარი ვარ, მაგრამ, თუ გავცხარდი გავმგელდები და მაშინ... მაშინ თქვენ აგეთ პასუხი თქვენი საკუთარი სულით. მაშინ დაყარეთ ეგ ბინძური სული ფალიაზე და აფეთქდით. გამიშვით, გეხვეწებით, გამიშვით, ბაბა, იმ მგელთან! მე მირჩევნია მარტო ერთთან მქონდეს საქმე, ეს უბრალო ანგარიშის საქმეა, ორ შემჭმელს ერთი ძვლის მტეხელი მიჩევნია, - ასე ვანგარიშობ მე ჩემი ჭკუით. რა უყოთ რომ მოკლეა ეს ოხერი ჭკუა, იყოს, თქვენ რა გინდათ? ცოდვა ვარ, ბაბა, ძალიან ცოდვა. ამ ოხერ გულში ამოდენა

სიყვარული მომზღვავებია და ესენი საშველს არ მაძლევენ, უნდათ რომ ეს სიყვარულით სავსე გული რისხვით აღავსონ.

— აბა, შენ, ეი, ენაგატლეკილო, გადასახადს ჩამოდი და ბერიკაკი არ იყოს! —მიტევს მაქსიმე მამასახლისი და მე გაშტერებული, ჭკუადაკარგული უცქერ მათ. ეს ჩაფრები, ეს წყეული ჩაფრებიც, შეხედეთ, როგორ შესაჭმელ ლუკმასავით მიცქერიან და მსუნაგად ინერწყვებიან!

— რა გინდათ ჩემგან, ბაბა, რას მერჩით მე საცოდავსა და დაჩიავებულს? ნუ შემჭამთ, ჩაფრებო, ნუ მომინელებთ ასე უდროოდ ამ ბერიკაცს! ნუ შემჭამთ, ცოდვა ვარ! მე ძვალი მაქვს და ამ ძვალმა დახრჩობა იცის!—მინდა ასეთი სიტყვებით მივმართო მათ, მაგრამ თავს ვიკავებ, ჩუმად ვარ, იმიტომ რომ სიჩუმე ძუძუა და ფესვები რისხვისა, და ოთხად მოღუნული, ვდგავარ მორჩილი და უმწეო, უნუგეშო და საბრალო და ვხედავ როგორ იწკვერტავენ თავმომწონედ ულვაშებს ეს წითელ აპელატებიანი ჩაფრები, მათრახს ჩექმის ყელებზე ირტყამენ და ვიცი, იმ ჩექმის ყელიდან ჩემ ზურგამდე არც თუ ისე დიდი მანძილია და კიდევ უფრო საწყალი ხმით ვეუბნები მამასახლისს:

— ლანძღვას რატომ იკადრებთ, უფალო მამასახლისო? ფული მე ვინ მომაშავა? ამ ბორახს თუ ხედავ, აგი ეშმაკისაა, ყველა ნისიად გადი-გამოდის ზედ და ბათას უჭირსო, კაცი არ ფიქრობს. აა, ბატონო მაქსიმე, ერთი ამ ხელის გულებს დამიხედე, ტყავი მაქვს ამ ბერიკაცს ზედ გადამძვრალი და ჩემი საშველი არ იქნა, გოჭის კუდივით არც დავგრძელდი და არც დავმოკლდი და შენ კიდევ ახლა რას მემართლები? შენ ხომ ჩვენი სისხლი და ხორცი ხარ? მტრის გასახარად ნუ გაგვიმეტებ, ნუ დაგვაწიოკებ!—ვემუდარები მე ამ აყუდებულ მამასახლისს და ვატყობ, —ამაა რა დიდი შეტყობა უნდა?—რომ ჩემი ხვეწნა არ ეკარება ნის გულს. ულვაშები ვირის ყურებივით გაუწკვერტია და ქალალ თვალებს ხარივით ქაჩავს.

— ფულს ჩამოდი, ფულს! შენი სალაგლაგოდ სად მცალია მე ახლა? სახლში სტუმარი მიცდის! პარონს რომ დაგიბეჭდავ და ხაბაკს წაგართმევ, დაჯექი მერე და იქაქანე რამდენიც გინდოდეს!

— ცოდვა ვარ, მაქსიმე ცოდვა! წართმევას რას მემართლები? კაცი მე არ მომიკლავს და არ გამიცარცვავს. ამ ბორნის დაბეჭდვას რომ მემუქრები, რა ვქნა მერე ამ ბერიკაცმა? მოვხუცდი, ყანაში მუშაობა მე არ შემიძლია და ტყის ჭრა.

— ჰე-ჰეიტ, ჩაფრებო!— შემოტრიალდა ირგვლივ მამასახლისი, თვალები კიდევ უფრო დაქაჩა და ულვაშები ააცმაცუნა.—ამ ჰარალეს თუ უყურეთ, გაისათ ვერ მივალთ სახლში!

— რა ვქნა, ჩემო მაქსიმე, ჰარალეს კი არა, თარალესაც ვიტყვი, თუ ამით ჩემ გაჭირვებას რამე ეშველება.

— თარალე კი არა, მრავალჟამიერიც, რომ შეგოსძახო, შენი საშველი მაინც არ იქნება!

დასწყევლა ეშმაკმა და ჭინკამ ამ გადაბმული კაცი სახსენებელი და აქ მოთრევის საათი, სიგრძესთან ერთად გულიც რავა დაგრძელებია!—ვიგინები გუნებაში და ვიცი არაფერი გამივა და, შესაძლებელია, ერთი-ორი მათრა-

ხიც გამოვტყუო ამ დროულმა კაცმა, და კვნესით, ოხვრით ნიფხვის უბეში ჩაკერებულ კაჭალ თუმნიანს ვიღებ და აკანკალებული ხელით ვაძლევ მამასახლისს და საწყალი თუმნიანი ობლის ცრემლივით აცინცხალდა მამასახლისის ხელში და წავიდა ჯიბეში, ჩემსაში კი არა, მამასახლისისაში.

— ეჰეიტ!—ამოვიოხრე მე გულდათუთქულმა, რომ ამ დროს უკანიდან მოთქმა წყევა-კრულვა, მათრახების შხუილი და ურმის ჭრიალი შემომესმა. მოვიხედე,—ჩაფრებია, წართმეული ბარგი-ბარხანა მიაქვთ ურმებით და მათრახებით ერეკებიან მოთქმა-კივილით ადევნებულ დედაკაცებს. მე ვიცან ეს ჭრელი ზანდუკები, ეს ნოხები, ეს სარკეები, ეს აკვანი, ეს მარჩენალი ძროხები, ხბოები, გოჭები, ინდოურები და გულზე სისხლი გადამეევლო.

ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს არ მესმის! რატომ არის, რომ ყველა ჩვენ გვერჩის? მოსავლის მესამედი ბატონს, გადასახადი რუსხემწიფეს, ხორცი მის პრისტავსა და ჩაფრებს, სული ხუცესსა და დიაკვანს და, ნეტავ ვიცოდე, რას გვიტოვებენ ჩვენ?—ვფიქრობ მე და უეცრად გამახსენდა, შუბლში ხელი გავირტყი, მოვტრიალდი და კარავში გავიქეცი. ცოტა ხანს შემდეგ, ჩემი საქციელით გაოცებულ ძამასახლისს იმ ხუცესის ქადაგების წიგნი მოურბენინე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, მის ფეხებში მიწაზე დავანარცხე. წიგნი გასკდა და ფურცლები სულ ცალ-ცალკე დაცვივდა.

— აა, ჩემი ბატონი, ნახე რა რბილია, რა სასიამო! მთლად აბრეშუმივითაა იგი ნავარი! სუფრაზე გამოგადგება, ზოგი ხელის შესახოცად, ზოგი თუთუნის ქაღალდათ!—ვეუბნები მამასახლისს და ერთ დიდ დასტას ხელში ვაჩეჩებ, მერე ერთ ფურცელს ვიღებ სამყურად ვკეც და ვასწავლი როგორ მიიტანოს სუფრაზე ხელსახოცის მაგიერი.

— აა, ჩემო ბათა, ყოჩაღ, ყოჩაღ, მადლობელი ვარ, ჩემო ბათა, მადლობელი! სამაგიერო პატივისცემა ჩემზე იყოს!—მეუბნება მამასახლისი ღიმილით და მაკრატელივით ულვაშების კმაყოფილი ცმაცუნით ქადაგების ფურცლებს ილლიაში იჩრის.

— იმაზე დიდი პატივისცემა რა იქნებოდა, ჩემო მაქსიმე, მეორეთ ასეთი სტუმრებით რომ არ მოხვიდე!—ვექილიკები მე და მაქსიმე ილიმება.

— ეშმაკი ხარ შენ, ბათა, დიდი ეშმაკი! ენაგრძელი, მაგრამ მაინც კაი კაცი ხარ!—მეუბნება ის და მხარში ხელს მეგობრულად მარტყამს. მე ოთხად ვიღუნები და უცინი ამ ჩაფრებს თავაზიანად. ისინი ქორებივით წამომესივნენ, იფიქრეს ყვავს კაკალი გავაგდებინოთო და მეც, ეს სულელი ყვავი, ყველას ურიგებდი თითო ბღუჯა ქაღალდს თუთუნის გასაწყობად.

— წაიღეთ, ბაბა, წაიღეთ და წაიკითხეთ. ამ წიგნში დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი. აქ ერთი ქადაგებაა მოყვასის სიყვარულზე, მის წაკითხვას არაფერი სჯობია. წაიკითხავ თუ არა, სამოთხის კარი თავისით გაიხსნება!..—ვლაპარაკობ მე, ვარიგებ ქადაგების ფურცლებს და თან ვფიქრობ ჩემთვის:

— ახ, რა მიხარია, რა მიხარია, რომ იმ სულელ კაჭალი თუმნიანისაგან გამანთავისუფლე, უფალო მამასახლისო, თორემ ჩემი სული დამძიმებული იყო იყო ამ ქვეყნიური ზრუნვით. ახლა ჩემი სული ლაღად არის, მსუბუქად და ის მიხარია, ბატონო მაქსიმე! რათ მინდა წმინდა ქადაგება, მე ისედაც გაწმენ-

დილი ვარ თქვენი შეწევნით. მირტყით მე ყუბაქს, მირტყით, განა ეს ზურგი იმიტომ არა მაქვს, რომ თქვენ მირტყათ, ეს კისერი, რომ ულელი დამდგათ? სხვა რა მოსახმარია? მცემეთ, რაც შეგიძლიათ! მე ყუბაქი ვარ, მაინც არ მეტკინება, დალიეთ ჩემი სისხლი, მე ძროხა ვარ და ის რძესავით მდის, წაილეთ ჩემი ნაწვავ-ნადაგი,—მე რას მოვიხმარ, წაილეთ ეს ქადაგებაც მოყვასის სიყვარულზე, მე მაინც ურჯულო ვარ და ვერაფერს გავიგებ. ახ, ვინ გამაკეთა, ვინ გამაკეთა, ნეტავ ვიცოდე, ასე შავი დღეზე დაბადებული? ალბათ, ვირის დასმული უნდა ვიყო, «თორემ რათ უნდა მიბასკუნებდენ ამდენს, რათ უნდა მაძრობდენ ამ შვილივით ტკბილსა და თბილ ტყავს?—ვფიქრობ და ვარიგებ ამ ქალალდებს. ორიოდე ფურცელი ჩემთვის შევინახე და ის ხავერდის ყდა ღრანჭმოქცეულ ჩაფრების უფროსს ვაჩუქე, იმიტომ რომ ნამეტანი მომეწონა მისი სასოებრივი ლაპარაკი, პირში ჩაუძვერი და მაინც ვერ გავიგე საიდან ამოდიოდა მას ასეთი მყრალი და წამბრჩვალი ხმა, პირიდან, ცხვირიდან, თუ ის ყირაზე იყო დაყენებული, შარვალი თავზე ჰქონდა ჩამოცმული და, მე რომ თავი მეგონა, ალბათ, ის სხვა იყო. ვერაფრით ვერ მიუხვდი რა ჩემი ცოდვა ჰქონდა ყელში წაჭერილი.

— აბა ახლა შვიდობით, ჩემო ბათა, ნახვამდის!

— ნახვამდისო, რატომ იკადრებთ, ჩემი პატონი? შვიდობით, მაქსიმე, შვიდობით! — ვეთხოვები მე მამასახლისს თვალცრემლიანი, რომ ასე ობლად მტოვებს. მაშ რა უნდა მექნა? ეშმაკი რომ ხელს გამოგიწოდებს, განა შენც ხელი უნდა მისცე, კუდი უნდა გაუქიცინო და ხელები შორს გასწიო, რომ არ ჩაგაფრინდეს და პირისკენ არ გაგაქანოს. მეც კუდს უქიცინებდი მამასახლისს, სხვა რა უნდა მექნა, ან რა ძალა მქონდა?

— ჰაიტ, შე ენაგატლეკილო, შენ!—მიტევს ის ალერსიანი ხუმრობით და ძე ვთბები მისი ხუმრობით, მზესავით უფიცხებ ზურგს და თან თვალი მარჯვედ მიჭირავს, რომ მზის სხივების მაგიერ, მათრახი არ მომხვდეს.

— აბა შენ იცი, თავი არავის დააბრიყვებიო! ი შენი ვაკი რომაა, მურზა, უთხარი თავს ნუ იგდებს. ახლათაობის კაცებში რომ დაძვრება, მიფრთხილდეს! სხვა რა გიყო, თუ ვინმემ რამე გაგიბედოს, ხომ იცი, შენი ქომაგი ვარ!—მეთხოვება მამასახლისი, მეთხოვებიან ჩაფრები და მე ყველას ორივე ხელებს ვართმევ მოწიწებით და თან მისი სიტყვებით შეშინებული უსაზღვრო მადლობით მივმართავ ისე, როგორც ეს უმანკო კრავს შეჰფერის:

— მადლობ, გმადლობ, უფალო მაქსიმე! მადლობ, ჩემო საყვარელო, ჩაფრებო! თქვენი იმედით ვარ მე ამ ქვეყანაზე, თქვენ რომ არ მწყემსავდეთ, ვიცი, ვიცი, რომ უფრო სხვანაირად იქნებოდა საქმე, მაგრამ, ეეხ!..

მამასახლისმა ერთი დაეჭვებით შემომხედა, მერე სულ ახლოს მივიდა ჩემთან, თვალებში ჩამომხედა და ისე შემეკითხა:

— შენ, როგორც გატყობ, იმ შენი შვილის კვალს მიყვები! რა გინდა მაგ სიტყვებით რომ სთქვა?

— რა უნდა მინდოდეს, შეკაცო? მე რომ ვიცოდე რა მინდა, მაშინ არც შენ მეყოლებოდი პატრონად. მე ყრუ ვარ, ბეჩა მაქსიმე,—შენ ხარ ჩვენი ყური, მე ბრმა ვარ და შენ ხარ ჩვენი თვალი, მე რა ვიცი, მოდი და გვიპატრონე, მოგვხედე!—უპასუხე მე ოთხად მოღუნულმა და ვხედავ იამა წუნკალს ჩემი ქება,

წელში ამაყად გაიმართა, მერე ერთი გარდაქცეშანიეთ შეტრიალდა, ბაგრამ არ დასცალდა სულძალლს თავის ბოლომდე მოწონება, აგი ნავარე [illegible] ფეხებში ლორის ულელივით წამოედო და ერთი ისეთი თხლეშა მოადგა [illegible] მიწაზე სული თუ დაჰყვებოდა არ მეგონა.

მე მაშინვე მივვარდი, ჩაფრებიც მოცვივდენ და ეს აყლაყუდა კაცი როგორც იქნა ფეხზე კიბესაეით დავაყენეთ.

— ხომ არაფერი გეტკინა, მაქსიმე?—ვეკითხები მე დიდად შეწუხებული, თან გულში მჯიღს ვიცემ და ვფიქრობ:

„რატომ აგაყენა ცოცხალი იმ დალოცვილმა წმინდა გიორგიმ!“

— არაფერია, ჩემო ბათა, არაფერი!—მანუგეშებს ის და მე კი, ამ გულუბრყვილო კაცს, ყველაფერი მინდოდა რომ ყოფილიყო!—აგი შუბარძამი ლეკური, რავა სულ ფეხებში მედობა! აღმოხდა მას და მოღუნული ხმალი ქარქაშიანად გამართა, გაასწორა. მერე ცხენს მოახტა, ერთი კიდევ მოწყალედ გადმომხედა და წავიდენ ჩემი ბატონ-პატრონნი, წავიდენ ჩემი მხსენელები და წაიღეს ჩემი ცინცხალი ოუმნიანი, პირში სულივით რომ ამომჭვალეს. წაიღეს და თან გაიყოლეს ეს ალაფით დატვირთული ურემი და ურემს თან გაყვენ ლოყების პოტვნია და მოთქმით დედაკაცები, მიტანტალებდენ ზლუქუნით ფეხშიშველა ბალნები და სადღაც, ეზოში, ისმის ყვირილი: ვიღაცა დედმამის სულს უბრუნებს ამ მამასახლისს, პრისტავს, რუსხემწიფეს და მის გამჩენსა და მომგონს.

მე მარტო დავრჩი და ყურს უგდებ ამ გინებას, ამ მოთქმა-კივილს, უსმენ, როგორ ყეფენ ჯერ კიდევ აწრიალებული ძაღლები, კრიახობენ გულგახეთქილი ქათმები, ეივიან დაწიოკებული ბალნები და იქ, თაღარაში, არაფერი იციან გლეხებმა, არ იციან რომ მათ ოჯახებში ახლა ქრისტეს ტირილია. ისინი თოხნაში არიან გართული და ისმის საღამოთრელეს გახურებული „ოდოია“.

მე ხელი ჩავიქნიე და ბრძნულად აღმომხდა:

— გმადლობ შენ, ჩემო გამჩენო, რომ უარესი დღე არ გამითენე! მერე გალახულ ძაღლივით ჩემ თაბიაზე ავფორთხდი და ვფიქრობ წამოწოლილი:

— ქათამმა სთქვა: ძროხა დაკლეს, მე წამაკლესო, ცხვარი დაკლეს, მე წამაკლესო! ასეა ახლა ჩემი საქმეც: პრისტავს მოეხალისება, მე მომადგება და ამაძრობს ამ ტყავს, ხუცესს დასჭირდება, ისიც ჩემი ტყავის მოიმედეა. ეეხ, ჩემო ტყავო, ჩემო ტკბილო ტყავო, რამდენი კბილი უნდა გაგკრან შენ კიდევ!

ასეთი ფიქრებით გავიქერ მე წყალს და ვხედავ როგორ ხტებიან წყლის ზედაპირზე და როგორ ეთამაშებიან ვერცხლის ფორეჯიანი ტანით მზის სხივებს მსუქანი კობრები და იქ, რიონის პირას რომ ტირიფი სდგას, ზედ მოკუჟული ლაჟო შემჯდარა და ჟღურტულობს ტკბილად. ეეხ, რას ჟღურტულობს ნეტავი, ალბათ, მას არ ჰყავს უფალი მამასახლისი და სულის მოამაგე ხუცესი!

4

მას შემდეგ მთელი დღე ბორანზე თავაუღებლად ვმუშაობდი, გული მაძღარი მქონდა ხუცესთან ქაქანით და ჯიბე ცარიელი მამასახლისის მოკითხვით.

ჯერ ხარკალას საპონი წავცხე, მერე ბორანთან მისადგომი ბოგირები შევაკეთე, ნავებიდან ლაპოტით წყალი ამოვხაპე, მზეზე გამშრალი ფარონი ბადე დავკეცე და დავაბინავე,—ამასობაში მზეც გადიწურა.

საღამოთრელე ხალხმაც იმატა, მოდიოდენ გლეხები თაღარადან, ტყეებიდან, ტბიდან, მხარზე გადებული თოხებით, წალდებით, ბადეებით და მე გავდიოდი და გამოვდიოდი ამ ეზოსავით ფართო წყალზე და ვეფერებოდი ამ ხალხს,—ჩემ მეზობლებს, ნათესავებს, მოყვარეებსა და მოკეთეებს.

ბრუნდებიან სოფლებში მთელი დღის შრომით დაქანცული მეთევზეები, ტყის მჭრელები, მთიბავები, მწყემსები ჯოგებით, ყანის მუშები და მეურმეები. ყველას სახლში ეჩქარება, ყველას ოჯახი ელის და ეს ოჯახი დახვდებათ დაქცეული, დაწიოკებული და იავარქცეული. გულს ბოლმა შემოახდებათ და იყაყანებენ ამ ქვეყნის უკულმართობაზე, მამასახლისის წუპაკობაზე, დაიწყებენ ლანძღვა-გინებას, გლეხის გაჩენის დღის წყევა-კრულვას, მერე ივახშმებენ და დაიძინებენ ოხვრით, კვნესით, იმ იმედით, რომ ხვალ კვირა დღეა, წავლენ მამასახლისთან და შეეხვეწებიან, რომ ცოტა მაინც ადროვონ, შეშა აქვთ მოჭრილი, თიეა აქვთ, თევზი, გაჰყიდიან და გადაიხდიან, როგორც იქნება, იმ გადასახადს. ორშაბათ დღიდან ისევ ჩაუდგებიან ამ ყანას, ამ წყალს, ამ ტყეს, ამ ხვადგებს და მერე... მერე, ჰაი-და-ჰაა, სამი ალაბი მიწა, წივილი, კივილი, აღაპი და ოჯახის დაქცევა, და ვის გაახსენდება მერე, მიწას რომ წაგაყრიან?

ეს ხალხი, ეს ჯოგი, ეს ურმები, ეს შეშა და ეს თევზით სავსე გოდრები მე უნდა გავიტანო გალმა. მე მარტო ვარ, ჩემი შვილები თაღარაში არიან, საცაა დაკვირაძალდება და მე ვჩქარობ, ვტრიალებ ჯარასავით ამ წყალზე, იმიტომ რომ ამ ქვეყნის ხიდი და ბოგირი მე ვარ და ჯერ კაცს არ გაუგონია რომ ხიდი დაღლილიყოს. ხიდს შეუძლია დაინგრეს, დალპეს, წყალმა წაიღოს, მაგრამ ხიდის დაღლა არ იქნება.

— ბათაია, ჰაუუ!—მეძახიან გალმიდან მეზობლები და მე, მუშაობაში გართული, გავძახი:

— ჰოო-ჰო!

— ერთი, თუ კაცი ხარ, პარონი აქეთ მოაყენე!

— მოიცა, ჰო, შეკაცო, მოვდივარ!—და ბორანს ისევ უკან ვაბრუნებ. ჭრიალებენ ნავები, ღუღუნობს ფოლადის სინაზე გაგორებული ბჟოლის ხის ხარკალა და მიდის ეს დალოცვილი, ეს კურთხეული ნელი ზოზინით და, მგონია, ეს,—ბორანი კი არ მიდის, ნაპირი მოდის ჩემთან და მოაქვს თან ეს სიმინდით გადალურჯებული ყანები, ეს საძოვრები, ეს ტბა, ეს ხალხი და მე მზად ვარ სინას ხელი უშვა, ხელები გავშალო და შევსძახო:

— მოდით, მოდით, ჩემო ყანებო, ჩემო ტყეებო, ჩემო წყალო და ჩემო კეთილებო! მოდით, ჩემო შვილებო!.. სადა ხართ ამდენხანს, სად ხართ, თქვე ულმერთოებო? თქვენ რომ აქ არ იყავით, ჩვენი სიმწრით ნაშოვი და შენაძენი სოფელი დაარბია იმ მაწაუკი მამასახლისმა. მეც, მეც ამიჩაგირეს, ეს საწყალი ბერიკაცი და ახლა რა, რა დამრჩენია, გარდა იმისა, რომ მიყვარდეთ!—და ასეთ ფიქრებში გართული, სიყვარულით სავსე გულით ვასკდები ამ ნაპირს.

— რას შობი, კაცო, პარონი არ დაამტვრიო!—მიტევენ გლეხები და უცდიან როდის შემოვა ბორანზე ეს შეშით გაძეძგილი ურემი თავისი კაბელა ხარებით, რომ მერე თვითონაც თან შემოჰყვენ.

წყლის გრილმა ნიავმაც საამოდ წამოუქროლა, გაღეღილ მკერდს ტკბილად ეალერსება და აგერ იქ, მოსილულ კუნძულზე, მზე რომ ბროწეულივ[illegible] ჩაღვრილა, ირაოდ წამოსულმა მიმინომ კამარა შეჰკრა, მერე ცა[illegible] [illegible] წყალს გულმკერდით აელამუნა და წავიდა ისევ ლაღი და ფრთა აწურული სიმაღლეებში.

— აში, ხარო, ჰო!.. ხხიი, მოო!.. უტეევს ხარებს ცახოცით თავწაკრული მეურმე და კოპიტის წნელს ნელი დაყვავებით უცაცუნებს ზურგზე ხარებს და ისინი იძაგრებიან ულელში ისე მონდომებულად, თითქოს ურემს კი არა, სივრცეს აწვებიან და ფიცრის იატაკზე ბრაგუნით, ჭრიალით, ვაივაგლახით შემოდის ურემი, ბორანი დრკება გაძეძგილ ურმის სიმძიმის ქვეშ და, შეტორტმანებული, ერთი მტკაველის სიღრმით იძირება წყალში. ურემს ხალხი ამოჰყვა და ყველა მოხერხებულ ადგილს ეძებს გასაჩერებლად.

როცა ბორანი ხალხით ივსება, მე, რაც ძალი და ღონე მაქვს, ვაწვები სისინას და, სანამ ბორანი მისცურავს ნელი ტაატით ამ წყალზე, დროს არ ვკარგავ და სიყვარულით უცქერ ამ გლეხებს, მთელი დღე თოხის ქაჯაბით მკლავები რომ დასძაგრვიათ, ოფლად გაღვრილან, გული მოუღეღიათ, თვალები იქ, სიღრმეში, მუგუზლებივით ანთებიათ და მზისგან გარუჯული სახე ჯაფითა და ზრუნვით დაჭლარვიათ. უცქერ მათ და ვატყობ, მე ბებერი მელა ვარ და ჩემ თვალებს არაფერი დაემალება, რომ ეს გლეხები დიდხანს ვერ მოითმენენ და, თუ ადგენ, მერე, შვიდობით, ქუდი ჭერში და სული ჰაერში! ეს ჩემი შვილია, ჩემი მურზა, მათ რომ ცეცხლს უნთებს და, მართალია, ბებერი მელა ვარ, მაგრამ არც ის მამასახლისია ბრმა და ჩემზე ნაკლებ არ ამჩნევს ამ ამბავს, ამიტომ ემუქრება ის ასე იმას და მე გული მეკუმშება.

მერე უკან დატოვებულ ნაპირისაკენ ვიხედები და ვხედავ, კიდევ მოგროვდენ გლეხები და მათ შორის დგანან და ყაყანებენ ჩემი შვილები (იმათაც ჩემსავით მაგარი ფილტვები აქვთ და ჩემსავით უყვართ ჰაერის უხვად ხარჯვა), დგანან ახალგაზდა მუხებივით და მოსიყვარულე თვალებით, პირზე ღიმილით მიცქერიან ამ საწყალ ბერიკაცს, მათ ბაბას, თვალყურს მადევნებენ როგორ ვმუშაობ, როგორ ვიდგამ წელებზე ფეხებს, როგორ ვექაჯაბები ამ ფოლადის ბაგირს. ისინი მეტისმეტად მიფრთხილდებიან, ყანაში თოხზე არ მამუშავებენ და ახლა არ მინდა შემატყონ რომ აქ მუშაობაც მიჭირს, სინას მარჯვედ ვეწევი და გავყვირი რიხიანად:

— ჰოო-ჰო-ჰო!..

აგერ ბახულიაც გამოჩნდა სიმინდებში, ჩემს ქურანაზე უბელოდ გადამჯდარა, წინ გამოთოხნილი ლორთქო სიმინდის ჩალა გადაუწყვია, თხები დაურეკია და მოდის სიმღერით. მისი ხმა ზარივით წკრიალებს ჰაერში და, რომ უყურებ, გული სიხარულით მევსება, ისე პატარა და შესაქცევი მოსჩანს იგი ამ ცხენზე, ის ცხენზე შემჯდარ სიხარულივით შემოდის ჩემ გულში და მამაშვილური გრძნობა მერევა, მავიწყდება ყველაფერი, სინას ხელი უშვი და ბორანმა ტორტმანი დაიწყო.

— ჰაა-ჰა, რას შობი, კაცო, ჰეჰეი!... —მიტევენ გლეხები.

—ჰაიტ, შე ბეხრეკო! დაიღალე, ბაბა?—მომძახიან შვილები წაქეზებით ნაპირიდან. მე დარცხვენილი ბორანს გეზს უსწორებ და ისე, გაძახი, ვეუბნები:

— ნუ გეშინიათ, ბაბა, ნუ შიშობთ, აქლემი ისე არ დავარდება რომ ვირის საპალნე ვერ ზიდოს! თუ ღმერთი გაწყრა და საპალნე ვერ ვზიდე, ვირობას ხომ მაინც ნაღდად გავწევ!

ყველა იცინის, ლაზღანდარობს და ამ საერთო სიცილში, ოხუნჯობაში ბორანს ნაპირზე ვაყენებ. ხალხი გადადის, ადის ხაბოზე და ეს ხაბო ქვემოდან ისეა, თითქოს ცის კალთაზე იყოს შეგდებული. ისინიც ისე გამოკვეთილად მოსჩანან ამ ცაზე, რომ, მგონია, როცა ხაბო მოილევა, მერე ისინი ცას შეუდგებიან ალმართ-ალმართ თოხებით, წალდებით და ამ ურმით.

— მალე, ბაბა, მალე!—მეძახიან შვილები.

— რას უყურებ მანდ, შეკაცო, ხახა რომ დაგიბეჩენია?—მეკითხებიან მეზობლები. მე თავს ვიქნევ მათ ძახილზე და ღიმილით გავძახი;

— რას უყურებ და იმას უცდი, ჰე! უყურებ, როდის ჩამივარდება ხახაში ის დიდი ლუკმა, ეგერ, ცაში რომ ფარფატობს! —და მაღლიდან წამოსულ წეროზე მიუთითებ, მერე ბორანს ისევ ვაბრუნებ და უკან მოვდივარ, იქ შვილები მელიან, მეზობლები, რა მოლევს ასე მალე ამ ყანებიდან წამოსულ ვაჟკაცებს? რის მაქნისი იყო მაშინ ამ ქვეყანაზე ბათა ქექია, რას აკეთებდა, თუ არ ამ ვაჟკაცებსა და ამ ხალხს? ეს მხიარული სიცილი ვაჟკაცებისა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ჩასკვნილი ტანადობა, ეს კისკისი ლორთქო ქალებისა, ეს ხარბი და გაუმაძღარი თვალები, ყოველივე ეს განა ჩემი დათესილი არ არის? და მე გულს მიხალისებს ეს უხვი მოსავალი, ამ ყანებიდან მიწის მოსავალთან ერთად რომ ვეზიდები და ზიდვას ვერ აუდივარ. ვინ იცის ვინ არიან ეს ახალგაზდები, ასე მხიარულად რომ ოხუნჯობენ და იცინიან ისე, რომ მათი ხმა მაღლა ცას სწვდება? ვინ იცის ვინ არიან ისინი,—ჩემი შვილები თუ მხოლოდ მეზობლები? აბა, ერთი თქვენ თვითონ მითხარით, რომელ სოფელში გინახავთ თქვენ ამდენი ხალისიანი, ამდენი მხიარული, მკვირცხლ გონებიანი და კეიმატი ახალგაზდობა? ეს ჩემი სისხლია, რომ იცინის, ეს ჩემი თესლია, რომ მხიარულობს, ეს მე ვარ, ამ ახალგაზდობაში რომ ვკისკასობ და, ჰერიდაჰაა!—მივქრიავართ, მივცურავთ ამ წყალზე გაქნეულები მე და ეს ბორანი შვილებთან, მეზობლებთან! ჰაიტ, ჯიმა ღურიელი, ვინ დასთვლის მათ! ისინი მე ვთესე ასე უხვად, ისინი მე მიკეთებია და არც ღონე, არც მონდომება არ დამიშურავს მათ კეთებაში. მთელი გულით, მთელი სულით ვაკეთებდი, მათ და ახლა ჩემ ბებერ გულს ძალიან უხარია, როცა მათ სიხარულს უცქერ, სწუხს, როცა მათ რამე აწუხებს, იმიტომ რომ მათი ბედხიერება ჩემი ბედნიერებაა და მათი ჭირი ჩემი გასაჭირი.

აგერ, დგანან ისინი ჩემს მოლოდინში თოხებზე დაყრდნობილნი, ღონიერნი და იმედითა და ჯანით სავსენი რაღაცას ყაყანობენ. აგერ, ეხედავ, როგორი ალერსიანი მზრუნველობით ჩამოიყვანა ცხენიდან ჩემი ბახულია მისმა უფროსმა ძმამ უტუნამ და თავზე ხელი გადუსვა მოფერებით. ის კი, ის ეშმაკის ფეხი, ისე ილებს ამ ალერსს, თითქოს მთელი ქვეყანა ვალდებული იყოს რომ მას ეა-

ლერსებოდეს. ის სულ უკანასკნელი ნამუშევარია ჩემი, ყველაზე უმცროსი ძმებში, და ამიტომ არის ისე განებივრებული. დგას აყაყანებულ მეზობლებში, ყურები ყურდგელივით გაუცქვეტია და ყურს უგდებს, თუ რას ყაყანობენ მისი მეზობლები და ძმები. ხელში სადავე უჭირავს და ცხენი ზურგს უკან ალერსიანი ხვიხვინით ეთამაშება, ფრუტუნობს და ჩარბებით ფრთხილად, რომ არაფერი ატკინოს, მკლავში ჰკბენს და აი, ჩემი შეძახება მოესმა თუ არა, შეფრთხა, ყურაქცვეტილმა თავი მაღლა აიღო, უაფარი აიყარა და ისეთი განცვიფრებული თვალებით იცქირება ჩემსკენ, თითქოს ცხენი კი რა, ადამიანიშვილი იყოს. სისვია ჩემი ქურანა, ყაბარდოული ფაშატისა და ნამარგალი ულაყის ნარევია იგი და, როცა ზედ მოვაფრინდები, ჰაჰაიტ, მარჯაჰ! სდიე მერე ქარს ტრიალ მინდორში.

— გამარჯობა, ბათა!—მესალმებიან მეზობლები.

— გამარჯობა, ბაბა!—მესალმებიან შვილები.

— იცოცხლეთ, შვილებო, იცოცხლეთ, ჩემო მეზობლებო!—ვესალმები მეც მხიარულად და ბორანს ნაპირზე ვაგდებ.

— ხომ არ დაიღალე, ბაბა? თუ გინდა, მოგეხმარებით!—მეუბნებიან შვილები და მე თავმოსავათებული საწყლად ვეუბნები (მიყვარს, აგი ნავარი, თავის მოსაწყლება):

— რა მიჭირს, შვილებო, რა დამღლის! ვაგდივარ ჩემთვის ამ წყლის პირას და მეშინია ამდენი წყალში გდებით თევზივით ფხა არ გამომებას და არ ავცურდე. წყალში კი არა, ბაბა, თქვენ სიყვარულში.

— ჰაიტ, შე ბებერო, შენ!—მიტევენ ისინი ალერსიანად და მე განვაგრძობ:

— აბა რა ვქნა, შვილებო? სანამ ეს წყალი არ გამოილევა აქ უნდა ვეგდო, სად წავალ? ან რა ჭურჭელია ის დალოცვილი ამდენ წყალს რომ იტევს? მოდის, მოდის და არ ილევა, ღვინო მაინც იყოს, დროს გავატარებდი.

— ღვინო რომ იყოს, ბაბა, შენ მაშინ კამბეჩივით დღე და ღამე შიგ იქნებოდი ჩაწოლილი.—მიპასუხებენ შვილები და თან გზას უთმობენ ბახულიას.

— ეეხ, შვილებო, ღვინო რომ იყოს, მაშინ მე აქ ვინ დამაყენებდა მებორნედ? მაშინ თვითონ ხემწიფე' იმუშავებდა და, ეეხ, რატომ ასე არაა, იქნებ ისე დამთვრალიყო, რომ შიგ გადავარდნილიყო და ჩამხრჩვალიყო!—უპასუხებ მე მათ თავის კანჩურით და ამ ლაპარაკში ბახულიამ თხები ბოგირზე შემორეკა და მოდიან ბორანზე ეს წვერცანცარები ფეხების ბაკუნით, მოდიან და ეს ბახულიაც თიკანივით არის ამ თხებში შერეული. ის ბერითხა, რქა რომ მოსტეხია. და ამ ნეზვ თხებს მაინც რომ პატრონობს, ის მე ვარ, მე ვარ ის ბერი ბეკეკა. ეს თხაც, ეს ეშმაკის ფეხი, ხედავთ რა ამბავშია? თავი აუღერია და რქებით ხარკალას ებრძვის, ღონე ერჩის და მაშ რა ჰქნას? და ასე, როცა ბახულიამ თხები ბორანზე შემორეკა, მას ხალხი შემოჰყვა. ივსება ბორანი ხალხით, საქონელით, იტვირთება ხვავით, დოვლათით. ბახულია მაინც არ სცხრება და ახლა ცხენის ამოსაყვანად გადარბის ნაპირზე.

— ნელა, ბახულია, ნელა! ე, ბიჭო, მიეხმარე მაგ ბალანას!—გავძახე ჩემს ვაჟს უთუთიას და ის მირბის ბალანასთან, ცხენს ართმევს და ბორანზე შემო-

ჰყავს. ბახულიას ეწყინა, რომ ცხენი არ ანდეს და დაღვრემილი ბოლანტალობს ბორანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გული დამწყდა მის დაღვრემაზე და განზრახი მხიარულებით ვეკითხები რომ გული მოუგო:

— ხომ კარგად აბალახე, ბაბა?

— კი, ბაბა! ჩვენი ნაძველახი რომაა, იქ მყავდა. აქამდია ჰა, ბალახი!— მეუბნება იგი მოცოცხლებული და თავის წელზე მიჩვენებს ბალახის სიმაღლეს. ყველა მხიარულად უცქერის მას და სახეზე ღიმი ეფინებათ.

— თუ მაგ შენ წელამდია, ბაბა, მაშინ ვერ ყოფილა მაინცდამაინც კაი ბალახი!—ვეუბნები მე და ყველა იცინის.

ბალანამ ერთი მოლუშული წარბებით ქვევიდან ამომხედა, მერე სხვებსაც გადახედა და ბუტბუტით დაგვემუქრა.

— კი გავიზდები მეც, კი...

— ღმერთმა გაგზარდოს, ბაბა! გეხუმრები, შეკაცო, არ გცხვენია? ვეალერსები ბახულიას.— ვხედავ, შვილო, ვხედავ! აუჰ, რავა გასისინებულა!—და ამ სიტყვებით ცხენს გავაზე ხელს უსვამ, ხალხს თავმომწონედ უცქერი და სახეზე მაწერია: —შეხედეთ, მეზობლებო, შეხედეთ, რა შვილები მყავს, რა ბედნიერი მამა ვარ და, ერთი მითხარით, როგორ არ ხარობდეს ამათი შემხედვარე ეს გული?..

— კაი ცხენი გყავს, ბათა, კანჯარია დალოცვილი, ნამდვილი კანჯარი. კაი მოვლილიცაა... დადიას ეკადრება, მისანაა!—მიქებს ცხენს ჩემი ყურის მეზობელი.

— აში, ხარო, ჰო!...—მოისმა ამ დროს გზიდან სიმინდებში ვიღაც მეურმის ხმა და, ცოტა ხნის შემდეგ, სიმინდების სიხშოდან მეურმემ ლაფში ამოქვარცნილი ხარ-ურემი ჭრიალით ამოიყვანა. ურემი ისლით იყო დატვირთული და გადმობურულ ისლში დამალული ხარები პატარა სათამაშოებივით მოსჩანდენ. მეურმემ გამოგვხედა და, რომ დაგვინახა წასვლას ვაპირებთ, დაგვიძახა:

— მოიცადე, ბათა, პატარაც მომიცადე; არ წახვიდე!

მე ვიცან იგი, ეს ჩვენი მისანი ნატიე არის, სიზმრების ამხსნელი, მთვარის გუშაგი და მოანგარიშე, კვიმატი დღეებისა და ტაროსის ზესაიდუმლე, კაცისა და საქონლის ექიმი, მას სახლში სოლომონ ბრძენის კარაბადინი და ეფუთი აქვს და თვითონაც სოლომონ ბრძენივით ჭკვიანია და დარბაისელი. ყველა პატივს სცემს და, თუ ვინმეს მოზვრის, ან ულაყის დაკოდვა უნდა, ან სისხლის გამოშვება, ან წურბლის მიყრა, ან ყანაში თესლის ჩასაგდებად გასვლა, ან შორი გზას უნდა დაადგეს, ის ნატიესთან მიდის, იმიტომ რომ ის ხელის გულზე ხედავს ყველა უიღბლო და კვიმატ დღეებსა და მომავალს.

— აბა მალე, ჩემო ნატიე, ცოტაც მოუჩქარე!—გავძახი მე მას და, როცა სახლის ოდენი ურმით ბორანს მოადგა, მე უტევ ბიჭებს:

— აბა, ბიჭებო, ჰაიტ, თქვე ზანტაკებო! ყველაფერი მე უნდა გასწავლოთ? რომ გაჩერებულხართ, რას უყურებთ? მიდით და იმ ბერიკაცს მიეხმარეთ, ურემი ნაორდალში არ ჩაუვარდეს. შენ, ბახულია, მაგ ცხენი და თხები იქით მიაყენე

ბიჭები დაფაცურდენ, ზოგი სარქეს ეწევა, ზოგი ურმის [illegible] ნაწილებს და არის ყიჟინა:

ბიბლიოთეკა

— ჰე, ბიჭებო, ჰე!..

— ჰოო-ჰო-ჰო!—უპასუხებენ დანარჩენები.

— აში, ხარო, ჰო, შე მამალი მგელის შესაჭმელო!—უტევენ ისინი და ხარები სისხლით გატენილი თვალების ბრიალით გაჭირვებისაგან უღლით დამძიმებულ კისრებს მაღლა სწევენ და ისე აწვებიან ქედით.

— ჰე, ბიჭებო, ჰე! შეკაცო, რა უსაშველოდ გაგიძეძგია ეს ურემი!—ვეუბნები ნატიეს, ბორანს ნაპირზე ვამაგრებ და ბოლოს, როგორც იქნა, ყვირილით, ჟრიამულით ურემი შემოაგდეს და ბორანი წავიდა კიდევ უფრო ღრმად რიონში, ჩაჯდა ყელამდე წყალში.

— ყოჩაღ, ბაბა, ყოჩაღ!.. მადლობელი ვარ, შვილებო, დიდი მადლობელი! მოვხუცდი აგი ბერიკაცი და სიბერეს მაინც ტოლს არ უდებ!—სჩივის ნატიე და ხარებს უღელთან წინ უჩერდება, რომ საქონელი წყალმა არ შეაშინოს და არ დაზაფროს.

— აბა, ახლა გაუდგეთ, ბიჭებო!—დავძახე მე, ბორანი აუშვი და სინას, რაც ძალი და ღონე მქონდა, მივაწექი, მაგრამ ეს ოხერი ისეა დატვირთული რომ ძლივს ვერევი.

— მაცალე, ბაბა, მე წავიყვან!—მეუბნება უთუთია, მე იქით მიმწია და სინას თვითონ მიაწვა ღონივრად და ნაპირი მოშორდა ბორანს, წავიდა სრიალით უკან ეს ყანები და ისევ მიხარია, ვქირქილებ სიხარულისაგან, იმიტომ რომ მე ამ ორ ნაპირს შუა ვარ ჩაწოლილი ნებიერი ქმარივით და, როცა ერთი მშორდება, მეორე მოდის ჩემთან, ის მიწვდის ხელებს. ეს ორი ნაპირი, ორი კალთაგაშლილი მიწა მოსიყვარულე ცოლებივით არიან და ედავებიან ერთი მეორეს, ხელში სტაცებენ ჩემ თავს. როცა ერთი მტოვებს, მეორე მიხუტებს და მმალავს თავის უბეში და, როცა მე ასე ვარ, ამ ორ ცოლს შორის ალერსში და ლოლიავში, შეშინებულ თვალებს აქეთ-იქეთ ვაცეცებ, რომ ის, მესამეც (ნამდვილი ცოლი, დასწყევლა ეშმაკმა და ჭინკამ!) არ გამოჩნდეს და არ ჩამაშხამოს ეს ნეტარება.

— ა, ბათა, ხედავ, რა კობრებია? ეს ჩემგან მიირთვი და ამალამ, ღვინო თუ დალიო, დამლოცე!—მომმართა მეურევეზე ყარამანა ბარამიამ და ურემში გამოჭვალულ ისლზე ლაყუჩებით ასხმული ხუთი მსუქანი კობრი მომაწოდა.

— იცოცხლე, ბაბა, იცოცხლე, ეს ცოტა და სხვა მრავალი!—ვმადლობ მე ყარამანს და თევზს ვართმევ.

— რაი, ბათა, დაჭერა თუ ჩუქება?

— ორივე, ბაბა, ორივე! თუ არ დაიჭერ, რას გასცემ? მაგრამ, ხომ შეიძლება, ბევრი დაიჭირო და ცოტა გასცე? მეც იმიტომ გლოცავ, რომ გულნაკლულად არ დამტოვო.

ბორანი ჭრაჭუნობს, ხარკალა ღუღუნებს და, ჰეიდაჰაა! მიდის ეს დალოცვილი ამ გაშლილ რიონზე და მიაქვს ეს ზურგზე გაწყობილი ისლით დატვირთული ურემი, ეს თევზით სავსე გოდრები, ეს ჩემი ცხენი, ეს გლეხები, თხები,

შვილები, მეზობლები, ეს ჩემი კეთილი და მოყვარე და ვინ იცის რა არ შიაქვს მას კიდევ? რამდენი ფიქრი, ზრუნვა და სიყვარული? თუნდაც ეს ჩემი თავი, ამ ურემზე ნაკლებ რომ არ არის დატვირთული,—რა უყოთ რომ ქაოიანია? თუნდაც ეს ჩემი გული, ამ ბორანივით რომ არის სავსე სიყვარულით და ეს სოფელი, ეს ხალხი რომ ზის შიგ. ჰაიტ, ჯიმალეფი, თუ მოვკვდი (რა მომ-კლავს ამდენ სიყნარულში?), თქვენ ნუ გეშინიათ, თქვენ სიყვარულს მაინც არ ჩავიტან ამ გულით სამარეში. ის აქ დარჩება და ეს გული თქვენ იქნებით, ჩემო შვილებო, შვილიშვილებო, ფაცხებო, წყალო, მთებო, ხევ და მიწავ!

ბორანი მიღულუნობს ამ სინაზე, ხარკალა მიგორავს და მზე სანთელივით იღვენთება. ურემში შებმულ ხარებს თვალები მიულულიათ, იცოხნებიან და აქ გაჩერებული ურემი შინ მიტანილი ჰგონიათ. ეს ხალხიც დაიღალა. მათ მთელი დღე იმუშავეს თაღარაში, თაკარა სიცხეში, თავის დაუზოგავად აკვდებოდენ ამ მიწას, ოფლს კვირახ-კვირახ ჰღვრიდენ და განუზომელი ჯაფით წელი წყდებო-დათ. აი ესენი ტყიდან მოდიან, შეშის საჭრელად ყოფილან, ესენი მეთევზენი არიან, თევზით სავსე გოდრები რომ ძირს ჩამოუდგამთ და ყველა დაკბენილია კოლოებითა და დედაბერა ბუზებით, ყველა დაკაწრულია ეკლიან ბარდებში და ხსტეებში სიარულით, ისინი ღონივრად დგანან ამ ბორანზე და დაკარწახებული ფეხები და მკლავები კუნთებით აქვთ დაწნილი და ძარღვებით დაძაგრული.

მე გული არ მითმენს, მინდა გამოველაპარაკო და უთუთიას ვეკითხები:

— რავალი სიმინდი გვაქვს წლეულს, ბაბა?

უთუთია სინას, რაც ძალი და ღონე აქვს, აწვება და ისე მეუბნება:

— თუ დარი შეგვეწია, ბაბა, გადასარევი სიმინდი გვექნება! ჯერ ოცი დღის არაა და იტყვი: მუხის შტოაო. კაცი გავა ზედ ისე, რომ არ მოტყდება!

— ჰეპე მარჯა, როდის მოვესწრებით იგენის წყრთაზე უგრძეს ტაროს!— აღმომხდა მე ნატვრით.

— მერე, ბაბა, — ჩამოერია საქმეში ჩემი ბახულიაც.— იმისანა შავია, ბაბა, იმისანა შავი, რომ ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს!

— რა იცოცხლე, შეკაცო, მერე ამდენი, ამხელას რომ იმუქრები?—გავე-ხუმრე შვილს. ბახულია გაწითლდა და თავი მორცხვად ჩაღუნა. მე ხელით მხარში წავეტანე და გული რომ არ დაეჩაგროს მივეფერე.

— ერთი წვიმას რომ დასცხებდეს, ავშენდებით!—სთქვა უტუნამ.—ის ერ-თი ქცევა მიწა დღეს საღამომდე გამოვიყვანეთ ღვარძლისაგან.

— თუ ერთი ზღვის პირი მოიღურბლა, მერე წვიმა ტარშია!—სთქვა ნიტიემ.

— თფრრრ... თფრრ!..—ფრუტუნებს ჩემი ცხენი პასუხად.

— ფვიტ!.. ფვიტ!.. ქურანა!.. ფვიტ!..—ვეძახი ცხენს დაყვავებით და მან სიხარულით უფრო ხმამაღლა დაიფრუტუნა. ალბათ, ცხენის ეშმაკს თუ შეუ-კურთხა თავის ენაზე, მერე ფაფარი გაიბერტყა და ალერსით ეშხმორეულმა თა-ვის კოპწია ქნევით ბორნის იატაკს წინა ტორებით ცემა დაუწყო.

— უჰ, შენი გულისა, რა ცხენი გყავს, ბათა!.. კანჯარია დალოცვილი!— ამბობს ნატიე აღტაცებით.—ავ თვალს არ დაენახება იმისანაა! ან რა ფეხები აქვს დალოცვილს, რა მკერდი, რა თავის დაჭერა!..

— აბა შენ ერთი ამის ჭენებაც ნახე და ქება მაშინ სთქვი. ვერც ერთი ცხენი ამ არე-მარეზე მკერდით შეჯახებას ვერ შეუბედავს. დადია რომაა, იმას არ ყავს ამისანა ცხენი!..—თავს ვიწონებ და ასე ლაპარაკში უკვე ნაპირს მივადექით.

ყველა ნატიეს ეხმარება ურმის ჩატანაზე და, როცა ჩაგორდა, ნატიეს ჩივილით აღმოხდა:

— მომკლა ამ შუბარძამმა, მომკლა აგი ბერიკაცი! იმისანა ჭონჭყოა, რომ ხარები მუხლებამდის ედობოდა!

— რა უჭირს მერე, კაცო! რაცხა მადლია, ამოგიტანია და აწი ბედს რაღას ემდური?—ეუბნებიან გლეხები და ურემი შეუდგა ჭრიალით ამ ხაბოზე სილიან აღმართს და ურმიდან მიწამდე დაშვებული ისლი ებრეშუმივით მიშრიალობს.

მე მოვბრუნდი, გაღმა ნაპირს შუბლზე ხელაფარებულმა გავხედე და, როცა დავინახე, რომ გადმოსაყვანი არავინ არის, ნატიეს მივმართე:

— შეასვენე ცოტა ეგ ხარები, ნატიე! რა გეჩქარება, ხვალეც ამ თვისაა! თუთუნი დაელიოთ, თქვენც რა გეჩქარებათ ამ სახლში, არ ვიცი! ნუ გეშინიათ, თქვენი ფაცხები წასაღებად არავის შეეხარბებოდა! შეისვენეთ ცოტა, თქვე ოჯახაშენებულებო, დაღლილი იქნებით ამდენი თოხის ქაჯაბით!—ეეპატიჟები მათ და თან მოდიდებულ რიონისაგან დატოვებულ თეთრი ვერხვის გაქლეტილ მორზე ვჯდები. როგორც ეტყობათ, იმათაც დაუჯდათ ჭკუაში ჩემი სიტყვები და ყველა ეწყობა ისე, როგორც მოეხერხება, ზოგი ჯირკზე ჯდება, ზოგი მიწაზე. ნატიემ ურემს ქვეშამდგა შეუყენა და მერე ჩემ გვერდით ღრმა ამოხვხეშით ჩამოჯდა.

— თუთუნს გიქებენ ნატიე! ვისაც ჩიბუხი არა გაქვთ ქაღალდი ჩემზე იყოს!—ვამბობ მე და თან ბახულიას გავძახი:—ბახულია, ბაბა, ერთი კარავში გაიქეცი და, ბუძუძზე რომ ქაღალდებია ჩამოწყობილი, აქ მომიტანე!—ბახულიამ კარავში აირბინა და თვალის დახამხამებაში იმ ხუცის ქადაგებათა წიგნის ნარჩენი ქაღალდები გამომიტანა და, როცა ქაღალდებს მაძლევდა, თვალებში ისე შემომხედა ეშმაკის ფეხმა, რომ მიხვდა თუ რა ქაღალდებიც იყო. მე გული მომივიდა, ქაღალდი ხელში გამოვგლიჯე და შეუტიე:

— ამ თვალებში რომ მომჩერებიხარ, რას მიყურებ, თუ იცი? წადი სახლში და ის საქონელი ანგვარში შერეკე, ის გირჩევნია! ა, ეს კობრებიც თან წაიღე და დედაშენს უთხარი კაი ვახშამი დაგვახვედროს!—ბავში შებრუნდა, თხები დაირეკა, ცხენი სადავით წაიყვანა და წავიდა ნაწყენი და გაგულისებული.

— იყოს, ბაბა, ჩვენთან! რას ერჩი? ერთად წავალთ მერე!—მეუბნება უთუთია.

— კაი აბა, როგორც გინდა, ისე ქენი!—უპასუხე მე მოტეხილი ხმით, იმიტომ რომ, მართალია, ბაღანაა, მაგრამ მაინც არ მინდა ჩემზე გულნაკლულად იყოს.

— მოდი, ბახულია, მოდი და მერე ერთად წავიდეთ!—დაუძახა უთუთიამ ბალანას და, როცა ის შეჩერდა და ჩვენთან შორი-ახლოს დადგა მორიდებით, გული მეტკინა, მაგრამ მაინც არ მივეფერე, იმიტომ რომ ნაბეტანი ალერსი ბავშს აფუჭებს.

— ა, ჩემო კეთილებო, ყველას გეყოფათ, ყველამ გაიყავით!—და ამ სიტყვებით ქალალდებს ვაწოდებ.—ეს ბათას თქვენთვის უჩუქებია! ეს ჩემი მოსაკითხი იყოს!—ვამბობ მე და გლეხები წამოესივნენ ქალალდებს, ერთი მეორეს ხელში გლეჯდენ და თვალის დახამხამებაში ისე დაიტაცეს, რომ ერთი ფურცელიც არ დარჩენილა.

— ბათა, შენ, მგონია, კაი აბედი გაქვს, ჩემი წყალში დასველებულა და ცეცხლი არ ეკიდება!—მომმართა მეთევზე ყარამანა ბარამიამ. მე ფიცხლავ ჯიბეზე ხელი გავიკარი, კვეს-აბედი ამოვიღე, დავკვესე და ყველამ ერთად ავაბოლეთ. მე და ნატიე ყალიონს ვეწევით, დანარჩენები ქალალდში გახვეულ თუთუნს. მე უცქერ მათ და ცქერით თვალი ვერ ძღება, ვტკბები, რომ ასე გემოზე აბოლებენ ისინი ეპისკოპოზის სიყვარულის ქადაგებაში გახვეულ თუთუნს.

— თუ ღმერთმა ქნა და ერთი წვიმა დაასახა, მეტი არ უნდა, მგონია, ივარგოს წლეულს ყანებმა.—ამბობს ნატიე ცოტა ხანს შემდეგ დინჯი კილოთი.

— ერთი პირი წვიმა და მერე ერთხანს ღამის ცვარიც ეყოფა.—დაემოწმა უთუთია ნატიეს.

— რა ვქნა, ჩემო ნატიე, პირდაპირ არ ვიცი, გლახათაა ჩემი საქმე!—ჩავერიე მეც ლაპარაკში,—ეს ოხერი, თუ დიდი წვიმები იქნა, მე ვიღუპები, თუ არა და ის ჩემი სიძე. იმ ჩემი ცოდვით სავსეს, ყველა ყანები ზეგანში აქვს დათესილი და, თუ ნოტიო ზაფხული არ იქნა, დაიღუპება. ასე რომ წლეულს ერთერთს ოჯახი უეჭველად უნდა დაგვექცეს. მე დარს ვევედრები ღმერთს და ის წვიმას. საწყალი ღმერთი, რა ქნას არ იცის, ტვინი დაებნა. მოდი და ასიამოვნე ახლა შენ ყოველი კაცს. საცოდავი წლეულს ან მე უნდა ვაგინო და ან ჩემმა სიძემ და, ხომ იცი, ჩემი მტერი ჩავარდა ადამიანის პირში, მერე ყველაფერი მყრალად გადის.

გლეხები იცინიან, მე ვზივარ ჩემთვის და ჩაკიდულ თავს მწარედ ვიქნევ.

— არაფერია, ბაბა, ნუ გეშინია!—მაიმედებენ შვილები,—ისე გვაქვს გამოთხნილი, რომ ერთი ღერი დოლოკეტი არ დაგვიტოვებია.

— კაია, ბაბა, ძალიან კაი, მაგრამ ყველაფერი ჩვენ ნებაზე ხომ არაა აგი ნავარი, ის მაწუხებს, სხვა არაფერი!—ვოხრავ მე და სიტყვის დამთავრებაც ვერ მოვასწარი, რომ მამასახლისის ეზოდან სიმღერა მოგვესმა.

— აგი რა სიმღერაა, ნეტავი?—ყურები სცქვიტა უთუთიამ.

— აგი, ჩემო შვილო, მამასახლისთანაა, ნათლობა აქვს, იმ ჩემი ცოდვით სავსეს და ლხინობენ!—ვამბობ მე და დღეს რომ მათი ოჯახები დააწიოკეს, იმას არ ვეუბნები. რაღა ჩემი პირიდან უნდა ამოვიდეს ეს გლახა ამბავი, როცა თავისითაც კარგა გაიგებენ, ვფიქრობ ჩემთვის.

— რა ენაღვლება, ბიძია, რა! ყანა მას არა აქვს სამარგელი და თივა სათიბავი! რატომაც არ იქეიფებს!—ამბობს უტუნა და ფეხზე დგება.

მე ვზივარ ჩემთვის, ჩუმად ვარ და ვფიქრობ სად უნდა იყოს ახლა მურზა თუ არ გავაფრთხილე, ვიცი, გლახათ გააბამენ მახეში, მაგრამ ~~ახლა ტარა~~ არის და უცდი. ამდენ ხალხში ხომ არ ვიკითხავ? თან ყურს უგდებ ამ სიმღერასა და მხიარულ ჟრიამულს, მამასახლისის ეზოდან რომ ისმის, უცქერ ამ გლეხებს და ხალისი მეკარკება. რა იციან საწყლებმა, რომ ეს მათი გოჭებია, მათი ინდაურები, ქათმები და ღვინო, ასე ტკბილად რომ მღერის. რა იციან რომ ახლა მამასახლისი მათ იფლში ნათლავს თავის შვილსა და ისე ღრეობს.

— ეეხ, ეეხ!—ამოვიოხრე მწუხარედ.

— რას ოხრავ, ბაბა, საოხრავი რა გჭირს?

— არაფერი, შვილებო, არაფერი, ეს ცხოვრება მაკვირვებს სხვა არაფერი!

— რას იღალავ მერე მაგისთვის ტვინს? მაგას, შენ კი არა, სოლომონ ბრძენი რომ ადგეს, ის ვერ გაართმევს თავს...—ამბობს ნატიე, წამოიწია, წელი ძლივს აითრია და ურმისკენ გაემართა.

— ეეხ, კი დავიღალავდი, ჩემო ნატიე, მაგრამ, ალბათ, არა მაქვს აგი ნავარი, თვარა ასე რავა უნდა ვიყოთ!—ვჩივი მთლად მოსაწყლებული.

— აჰუუ, დამიწყო ახლა ამან!—წამოიძახა ყარამანამ აგდებით.—აბა, მეზობლებო, გაუდგეთ ახლა სახლისკენ.

— წავიდეთ!—სთქვეს დანარჩენებმაც და ყველა ფეხზე წამოიშალა.

ნატიემ ყალიონი ურმის უღელზე დაბერტყა, მერე ტარით სარტყელში გაიყარა და წასასვლელად მოემზადა.

მე გული მწყდება რომ მიდიან, მაგრამ რას ვიზამ, უნდა დავრჩე და შეგვიანებული ხალხი გადმოვზიდო! ვდგავარ ასე და უცქერ დაღვრემილი ამ წამოშლილ გლეხებს.

უთუთიამ ბახულია ცხენზე შესვა და, როცა ბალანამ ცხენი წინ გაიგდო, გულმა არ მომითმინა და მივაძახე:

— წკნელი არ მოუქნიო, ბაბა, წკნელი, არ დაფრთხეს და არ გადმოგაგდოს.

— არა, ბაბა, რას ჩამომაგდებს!—მომძახის ის თავმომწონედ და მიდის ამ გზაზე.

— უთუთია, შვილო, უტუნა, ბალანას მიხედეთ, ცხენმა არ ჩამოაგდოს!

— არა, ბაბა, ნუ გეშინია!—მამშვიდებენ ისინი და დაიძრენ ადგილიდან.

— თფრრ!.. ტკვაფ!.. ტკვაფ!..—ფრუტუნობს ქურანა და თავმომწონე გოგმანით მიირწევა ამ გზაზე.

— ჰაიტ, რა ლამაზია დალოცვილი, კი არ მიდის, ცეკვაეს კურთხეული!—ალმომხდა მე და აღტაცებით გავსცქერ ქურანას, ჩემი პატარა ბახულია ზურგზე რომ შეუსვამს და მიაქვს დავლასავით.

გაგრძელება შემდეგ №-ში.

ᲨᲘᲜᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲐᲠᲐᲒᲓᲔᲚᲘ

რომანი

ნაწილი მეორე

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲔᲫᲕᲡᲔ*)

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ ᲑᲣᲜᲐᲒᲘ

მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს,
ღმერთი როგორ წაახდენსა!

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ.

შალვა ცხენს მოაგოგებდა ვიწროსა და ავ ალაგსა,
შალვას ცხენი წამოექცა ვიწროსა და ავ ალაგსა.

ᲨᲐᲕᲚᲔᲒᲝᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ.

ალგეთის ზეგანზე ხელუხლებელ უღრან ტყეში შავი ლეჩაქი თანდათან თხელდება. ღამის ბინდი ფეხაკრებით მიიპარება და მკრთალ რიჟრაჟს გაზაფხულის გრილი სიო, ხავსის ნესტი, ხევების ტენი და ათასნაირი ბალახ-ყვავილების მათრობელა სურნელი მოაქვს, რომელსაც თან ერთვის მძიმე სუნი სოკოსი და თრიმლისა, მურყანის და გვირილასი, მთის შროშანის და დუცისა.

საღლაც ქვევით, ცის კიდურზე, მტრედის-ფერი ზოლი ნელ-ნელა გაგანიერდა, გაწითლდა და ბოლოს მუქ ნისლიდან ჯიგრის-ფერი ბურთი ამოლივლივდა. ეს მზე ორბელიან-ბარათაანთ ეკუთვნის, რადგან იგი მათს მამულში ამოდის და მათივე მამულში ჩადის.

წელან ტყეში ჩამუნიც არ ისმოდა, შემდეგ კი აქა-იქ თითქო ხელის-ფათური, რაღაც ფრთხილი წრიპინი, ფრატუნი და უცნაური ფუსფუსი გაისმა. მერე მას თანდათან სასიხარულო ჟივილ-ხივილი, ტაშის მზგავსი ცემა, ონავარ ფრინველთა ყრიყინი, წვრილ-ფეხა ნადირთა წმუტუნი და უცნობ სულიერთა ფხაჭუნი და წივილი დაერთო, და როცა ჩამუქებულს ტყეში უცებ მზის ათასი თინათინი შემონაკადულდა და შუქის ნიაღვრებად შემოიჭრა, ფრინველთა, მწერთა, ბოვრთა და მხეცთა გუნდები ერთ სულიერად გადიქცნენ, რომელნიც ნიავთან ერთად მზის სხივებში გიჟური სიხარულით ბანაობდა, დახტოდა, დაძვრებოდა, დაჰქროდა, ნებივრობდა და ერთ მთლიან საგალობელს მღეროდა.

---

*) გაგრძელება, იხ. „მნათობი"—№ 3.

უცებ ამ საგალობელს ცხენების ფრუტუნი და ჭიხვინიც შეუერთდა და ზედ ძაღლის ყეფაც დაერთო. ყურშა მხიარულ წკმუტუნით გამოხტა ნამიან ბოლზე და ვეება პეპელას დაედევნა. იქვე ბუჩქის ძირში კურდღელი და ბაჭია თბებოდნენ და მზეზე პირს იბანდნენ. ძაღლის ყეფაზე ჯერ ყური ცქვიტეს, მერე ისკუპეს, ძაღლს ცხვირწინ გაუსხლტენ და მწვანე აღმართს შეუდგნენ. დაფეთებული ყურშა გაწაფული მისდევს, მაგრამ თვითონაც ესმის, რომ ნაგაზი კურდღელს ვერ დაეწევა და, შერცხვენილი, მალე უკანვე ბრუნდება. შემდეგ ანაზდად ამოფრენილ ფრინველს მისდევს—ბოლოშავას და ბოლოცეცხლას, რომელნიც კაკან-სიცილით უსხლტებიან ტორებიდან და იქვე დეკაზე სხდებიან. ყურშა ერთ ხანს უნდილად უყეფავს ქვევიდან და შემდეგ ლამობს ჯავრი ციყვზე ამოიყაროს, რომელიც მას კარგა ხანია აწვალებს, მაგრამ კურდღლის ნათესავი ფხაკუნით არბის ბებერ წიფელაზე და იქიდან მაიმუნივით ელიჭება.

ცაში არწივი ლივლივებს, მერე ქვესავით ეცემა მიწაზე და აწივებული ცხოველი კლანჭებით ააქვს პიტალო კლდეზე, სადაც მას მშიერი მართვები ელოდებიან. გაოცებული ყურშა ერთ ხანს თვალს ადევნებს ფრინველს, მერე კი, შერცხვენილი და თავჩაღუნული, ისევ მუხნარის ბურანში შედის, საიდანაც წეღან გამოვარდა.

იქიდან ბოლის ლურჯი ნაკადები ამოდის. უშველებელ ფესვების ხლართებში აქა-იქ ნაბდიანი ხალხი ჰყრია, თვითონაც შავ ფესვებს ჰგვანან და იმ ფესვებივით სძინავთ. წუხელის გვიან დაბრუნდნენ. როცა შავ ღამეში ამ უზარმაზარ კორდს უახლოვდებოდნენ, სადღაც შორს მეორეჯერ იყივლა მამალმა.

შეფიცულები გუშინ სათარეშოდ გავიდნენ. ქვეშეთის გზა მოინადირეს, მდიდარ ჩარჩებს წაართვეს, ღარიბ გლეხებს მისცეს, თეთრ წყაროს და სამშვილდეს ჩამოუქროლეს და დავლად აუცილებლივ საჭირო თოფის წამალი, იარაღი, თამბაქო, ქსოვილი და წვრილმანი ამოიტანეს. არსენაც იქ იყო, მაგრამ ალარ წამოჰყვა. ბანაკი და რაზმი ლაცაბიძეს ჩააბარა და თვითონ კი მარნეულის გზით მარაბდისკენ წამოვიდა, რადგან ბუნაგიდან გამოგდებული ნადირი ისევ თავის ბუნაგს დასტრიალებს ხოლმე.

ფრთხილი ლაშქარა აფრთხილებდა, დიდ გზაზე ნუ გავალთ, რადგან იგი ჯარით არის სავსე და მტერს მოვიზიდავთო, და იმავე მიზეზითა არც მარაბდაში ჩასვლა ურჩია. მაგრამ არსენამ არ დაუჯერა და გუშინდელი თარეშით მტრის მთელი ბანაკი წამოშალა: ჯარიც და მილიციაც, ქალაქიც და მაზრაც, თავადიც და მიკიტანიც, რომელიც ნიადაგ კუდში მისდევს ხოლმე ლაშქარს, როგორც მგელი ცხვრის ფარას.

გავარდნილები თავიანთ წინაპრებივით ცხოვრობენ, როცა ბარს მტერი დაიპყრობდა ან ჟამი დაერეოდა ხოლმე.

მათი დღე რიჟრაჟზე იწყება. ყველაზე ადრე ბელადი დგება და ყველაზე გვიან იძინებს. მორიგესაც არსენა ააყენებს, გუშაგებსაც ის შესცვლის და როცა დაბრუნდება, მარინე უკვე ზეზე დაუხვდება.

ლაცაბიძე ცეცხლთან ტრიალებს, მეშთა ცხენებს უვლის, ზურა ყველას ეხმარება და საბა დალაქი მჭრელ სამართებელს ჰმართავს, რომელიც იმ დროს

ქართულ ფოლადეულთან ერთად სახელგავარდნილი იყო ყველგან, მაგრამ შემდეგში, მრავალ სხვა ქართულთან ერთად, ისიც გადავარდა.

მიწურები შორი-შორს არის გამართული: თუ ერთს ხიფათი დაატყდა, მეორემ გამოსვლა და მიშველება უნდა მოასწროს. მაგრამ კარგ დარში „საწყალ ქალის“ მარინეს გარდა მიწურში არავის არა სძინავს, რადგან ბუჩქნარი და მუხის ფესვები ჭერ-კედელზე უფრო საიმედოა.

იქვე არსენას მკლავის-სისქო წყალი გადმოდის. რაზმელები გაპარსვის შემდეგ რიგრიგად იბანენ პირს და იიაკე წყალს დილის ყავასავით მიირთმევენ, რომელიც იმდენად ცივია, რომ ერთ მიყუდებაზე ერთ ჯამსაც ვერა სცლიან. ზედ ყველსა და პურს დაატანენ, ჩობან-ყაურმას ამოიღებენ, გუშინდელ მწვადსაც დააყოლებენ, ბანაკს მიალაგებენ, ცხენებს მოუვლიან და ნამდვილ საქმის ძებნას შეუდგებიან.

მაგრამ ტყეში საქმის პოვნა არც ისე ადვილია.

არსენა მრისხანე და მტკიცე ბელადი გამოდგა. გუშაგი ერთი წუთითაც ვერ ჩასთვლემავს, ბანაკს ერთი გოჯითაც ვერავინ ვერ გასცილდება, და უკანასკნელ დროს ნებადაურთველად სუნთქვაც კი ძნელდება, რადგან ბელადი ისე ფრთხილობს, როგორც შევარდენი თავის ბუდესთან.

რაზმი „საქმეს“ მოითხოვს, საქმე კი არსენას ხელებს, სახელს, თვალებს ტვინსა და ყურს თხოულობს, ნამეტნავ კი სახელს, რომელსაც მარაბდელი ბიჭი თვალის ჩინსავით უფრთხილდება.

ზაალმა და მაიორებმა ეს ლუტი ძმები საბოლოოდ გააბოროტეს, რადგან ნადირივით ტყეში გაჰყარეს და ყველაფერი წაართვეს: ოჯახიც და მოკეთეც, შრომაც და სიყვარულიც, უფლებაც და სიხარულიც. არსენამ კარგად იცის ეს და ამიტომ არ გაწყრება, მაგრამ არც მოიწონებს, თუ ტყის კაცი ხანგამოშვებით ადამიანურს მოინდომებს: ზედმეტს მიითვისებს, ქალსაც გაიხსენებს, ღვინოსაც მოინდომებს, სოფელში სადმე შეფერხდება და დავალებასაც შეაფერხებს. არა ჯავრობს ბელადი, მაგრამ ისეთ კილოზე იტყვის ორიოდე სიტყვას და ისე შეიკრავს წარბებს, რომ რაზმელს ისევ მისი ჭექა-ქუხილი და ლანძღვა-თრევა ურჩევნია.

ამ სამ თვეში უცნაური ამბავი მოხდა. ქვეით მარაბდაში არსენა ლაცაბიძეზე უფრო ლაღი და ჩქარი მოსჩანდა, აქ კი თითქოს ერთმანეთი შესცვალესო: თანაშემწე ლაცაბიძე ფიცხობს, ყოველ დღე ახალ საქმეს მოითხოვს, მუდამ შარა გზაზე უჭირავს თვალი და თავგამწევ ცხენივით მიიწევს, თავადებზე და ჩაფარ-ბოქაულებზე. ბელადი კი ლაგამივით ამოედო ამგვარ საქმესაც და ლაცაბიძესაც. ერთ თარეშზე მთელ დღეს ჰფიქრობს, სამ დღეს ჰზომავს და ერთ კვირას უვლის გარშემო. სამაგიეროდ უკვე გაზომილ-გადაჭრილს ფოცხვერივით ასკდება და კამეჩივით აწვება.

არსენა ფრთხილობს, რადგან იცის, რომ ვინც პასუხს არ აგებს, ის ქურციკივით დახტის, ხოლო ვინც ვალს კისრულობს, ის ზურგზე რკინის კლდეს იკიდებს.

როცა სადმე ქვეით საქმე გამოჩნდება და არსენას საბუნაგე დაიცლება, ბანაკში სადარაჯოდ დარჩენილს სამოიდე რაზმელს თავიანთი თავი კატორღაში

ჰგონია. სამაგიეროდ როცა თარეშის შემდეგ იგი ხელახლა ივსება, რაზმს გამოულეველი მასალა ეძლევა: ისინი დაწვრილებით უამბობენ ერთმანეთს, თუ ვინ როგორ ესროლა, ვინ როგორ დაჰკივლა, შეაშინა, მოიტაცა, შეუტრეს და შეუტია, გააქცია და გამოიქცა.

თარეშის შემდეგ რაზმი ისვენებს. ბელადები თათბირს მართავენ.

ოძელაშვილი ამბობს, ტყვილა ჯდომას ტყვილა საქმე სჯობიაო. უსაქმო კაცი მალე მოდუნდება, დალაჩრდება, გამძორდებაო, და ამიტომ ნამდვილ საქმესაც იგონებს და გასართობსაც.

— თქენ ენაგეთში ჩახვალთ და ქავთარაშვილს თივას მოუთიბავთ. დავრდომილია და ულპება.—ეტყვის ხოლმე ერთ ჯგუფს.—შენ კი ფარცხისელ ქვრივს ბაბალეს შეშას ჩაუტან, მადლია... თქვენც პაპა სეხნიას მკაში მიეშველებით, თორე ავად არის და ცოდოა.

და რაზმელებიც გუნდ-გუნდათ ჩადიან ქვეით და ხნავენ, მკიან, სთიბავენ და ქვრივ-ობოლს ათას წვრილმანში ეხმარებიან.

დიდი ხანია თრიალეთი გაუკაცურდა. ალგეთისა და მის ტოტების სათავეებში ორი დღის სავალზე ბოლიც კი აღარ მოსჩანს (მხოლოდ მთის წვერვალებზე დაცოცავს მეცხვარე, ისიც მხოლოდ ხაფხულობით), ამიტომ ხმაურობა ბანაკსა და მიდამოში სრულებით უხიფათოა. და ბანაკიც ხშირად ხმაურობს: ხეს სჭრიან და აკეთებენ ურმის თვლებსა და ხელნებს, ფიწლებსა და არნადებს, კევრებსა და ყველაფერს, რაც კი გლეხის უბრალო მეურნეობას სჭირდება, აკეთებენ და საწყალ გლეხებს მუქთად ურიგებენ, შეძლებულს კი პურსა და სანოვაგეში უცვლიან და არასოდეს შევაჭრების ნებას არ აძლევენ.

ზოგჯერ ცხრა მუხის ძირში დუდუკი ბუტბუტებს ან სტვირი სლუკუნნბს. დოლიც ბათქა-ბუთქით ბუხუნებს და მქუხარე ტაში ფეხდაფეხ მისდევს. რაზმელები დავლურსა და ლეკურს უვლიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან და საწყალ მარინეს ცეკვით სიქას აცლიან. ზოგჯერ კი თავს მოიგიჟიანებენ, ქალის ნაცვლად წრეში თვითონვე გადიან და უფრო ხშირად კი კოჭლ კარპიჩას შეაგდებენ ხოლმე, რომელიც ქალივით იპრანჭება და ულრანი ტყეც სიცილ-ხარხარით და ასნაირ კივილით ივსება.

მთის მყუდროებას დუდუკის მაგიერ ზოგჯერ ზურნის საჭიდაო გაჰკვეთავს ხოლმე. ჭიდაობას არსენა მეთაურობს. მკერდ-მაღალი ტალიკი ბიჭები კი არსენობენ და მათ მიერ ნახმარი მისი ფანდებით ხშირად თვითონ ბელადსაც კი აოცებენ.

როცა აქა-იქ ბანაკისთვის ჭურჭელს, იარაღს და წვრილმანს აგროვებდნენ, არსენამ დათუნასგან წიგნებიც დაიბარა, რომელსაც მარინე ინახავს და ისე უფრთხილდება, როგორც არსენა თვითონ მარინეს და თოფის წამალს. წიგნის კითხვასაც თავის დრო აქვს. ძმები მუხის ძირში მოგროვდებიან, მარინეს შუაში ჩაისვამენ და სმენად გადაიქცევიან.

არსენას ცოლი მკაფიოდ და გრძნობით კითხულობს—როსტომის, ამირანის, ყარამანის, ვეფხის ტყაოსნის და ციკლოპურ დევების გმირულ თავგადასავალს. სულგანაბულ ძმებს ხანჯლებზე უწყვიათ ხელები და ვაჟკაცურ ამბებს აღფრთოვანებულ კიჟინით ეგებებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგრე, გენაცვალე მაჯაში!.. უუჰ, შენი ჭირი მე, შენი!.. მიდი... დაჭკა! ასჩეხე!.. აჭკაფე!

და წაკითხვის შემდეგ ლაცაბიძე როსტომობს, როსტომი ტარიელობს, ზურა ამირანობს, კარპიჩა კი ყველას დასცინის და მეოცეჯერ უამბობს პუგაჩოვის ამბავს, რომელიც უკვე ზეპირად იციან და იგი ისე იფურჩქნება და სივდება, რომ იმ ტყეშიც კი ველარ ეტევა.

მაგრამ მარინეს სამიჯნურო ვისრამიანიც აქვს, რომელიც მსმენელთა შორის ოხვრა-კვნესას იწვევს, და სიბრძნე-სიცრუისა და მელიას წიგნებიც მოეპოება, რომლის კითხვასაც ისეთი სიცილ-ხარხარი მოჰყვება ხოლმე, რომ გაოცებული ყურშაც კი ფეთდება, ყეფით და წკმუტუნით დარბის და ამ ხალხის გაგიჟების მიზეზს ტყესა და ბუჩქებში დაეძებს.

როცა ყველა წიგნები მოისმინეს, მარინეს მიაძახეს:

— მეორეჯელაც წაგვიკითხე, დაო მარინეკ!

და ერთხელაც რომ დაასრულა, ისევ დაუყვირეს:

— კიდევ წაიკითხე, კიდევა!

და ერთხელაც რომ დაასრულა, ისევ დაუყვირეს:

— თავიდან დაიწყე, მარინე, თავიდან!

მარინეც იწყებს და აღარ ახსოვს, მეხუთეჯერ თუ მეშვიდეჯერ კითხულობს.

ზოგჯერ მარინე ოდნავ შეფერხდება, მაგრამ ვინმე მსმენელი ეშველება და ზეპირად აგრძელებს:

ხელში ნაჭერი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა.
ნახეს და ნახვა მოუნდათ უცბოსა სანახავისა.

წიგნის კითხვას შაირობა და სალმუნობა მოსდევს და ვაჟკაცობის ქებას დასასრული აღარა აქვს. ზურას და ზოგ ჭაბუკს ყბებიც, ჯიბეებიც და უბეებიც შაირით აქვსთ გამოტენილი, ექსპრომტით სალმუნობა კი მხოლოდ არსენას, მარინეს და „ლაყე-ბიჭს“ ეხერხებათ. მარინეს მეტად მწვავე ენა ჰქონდა და მოსალმუნეს უმალვე სჯაბნიდა და აწითლებდა. უკანასკნელი შეტაკება მოკლე და საბოლოო გამოდგა. ერთხელ ლაყე-ბიჭმა მოულოდნელად მიახალა:

წუხელია სიზმარშია ბაბილოს ქვეშა მეძინა.
ქვეშ ბეგო კარგი ორხუა, ზედ ღერებული მეხურა.
გვერდ მეწვა ქერა გოგონა, მკლავი-მკლავ გადამეხვია.
წითელ ქურანზე ვიჯექი, ლუოჯა მარქაფად მეჭირა.
ნახტომი ჯიხვი მომეკლა, ტახტაზე ჩამომეკიდა.

სთქვა და გაჩუმდა. ყველამ მარინეს გადახედა, რომელსაც ეს ლექსი უნდა გაეგრძელებინა. ტყის პოეტი ცოტა ხანს სდუმდა. შემდეგ სახეზე ცულლუტი ღიმილი აისახა და მოუჭრა:

ნუ სტყუი, ბიჭო, ნუ სტყუი. ხალოვრის კარსა გეძინა.
ქვეშ გეგო ჩალა-ჩულანი, ზედ ნაბდის ფიჩვი გეხურა.
გვერდ გეწვა ძაღლი ყურშაი, მკლავი ზედ გადაგეხვია.
წითელ ტურაზე იჯექი, მელა მარქაფად გეჭირა,
ნახტომი კუი მოგეკლა, კისერზე ჩამოგეკიდა.

ლაყე-ბიჭი ისე გაიქცა თითქო ქურდობაზე დაიჭირესო, მაგრამ მარინეს ნესტარს ერთხელ კიდევ წააწყდა. მას ქისა დაჰკარგოდა. მთელი ბანაკი გადააბრუნა და ვერ იპოვა. თანაც ფიცულობდა, შიგ დიდი მარგალიტი იდოო. მერე სუფრაზე გადასწვდა ტყის დას:

ვაჰ შენ ჩემო ქისავ, ფერად ნარინჯისა!
შიგ ნადები მარგალიტო, ფასო ხმელეთისა!

ქისა მარინეს ეპოვა. გადაუგდო და მიაყოლა:

ბიჭო, შენი ქისა ბუშტი არის თხისა.
შიგ ნადები მარგალიტი კენიწი მარილისა.

ქისა მართლა ბუშტი გამოდგა, შიგ კი მარგალიტის ნაცვლად მარილის ნატეხი აღმოჩნდა. მასხარად აგდებულმა ლაყე-ბიჭმა სადილი ველარ დაასრულა და სალმუნობაც დაივიწყა.

დრო-გამოშვებით გალმა სადმე ან მთის წვერზე თოფი დაიჭექებს, ზოგჯერ კი ზედიზედ სამჯერაც გავარდება ხოლმე.

პირველ ხანებში თოფის ხმაზე ან ყალბ განგაშზე მთელი ბანაკი უმალვე აიშლებოდა და სამიოდე წუთში ყველა რაზმელი, თავით-ფეხამდე იარაღში ჩაჭედილი, თავ-თავის ალაგას იჯდა ხოლმე—ზოგი ჯაგში, ზოგი მუხის ტოტზე, ზოგი კლდის ნაპრალში და ზოგიც ჯებირ-საფარში, რომელიც უხვად ჰქონდათ წინდაწინვე გათხრილი. გუშაგი გუშაგობდა და მზვერავიც მზვერაობდა, მტერი კი არსად არა სჩანდა. მხოლოდ მერე გამოირკვეოდა ხოლმე, რომ არსენა ნალარას განგებ აკვრეინებდა რათა რაზმის მზადყოფნა გამოეცადა, თოფებს თურმე როსტომი და მისი გუნდი სცლიდა, რომელიც გალმა ტყეში ან მაღლა მთაზე ნადიროობდა.

შემდეგ მათს თოფის ხმას თანდათან შეეჩვივნენ და ათიც რომ გავარდნილიყო ერთად, მონადირეთა ნასროლს სხვის ნასროლისგან უმალვე გამოარჩევდნენ ხოლმე.

მარინეს ძმა დაუღალავი მონადირე იყო და რაზმს ხორცით მარტო ის ჰკვებავდა. ხელცარიელი მხოლოდ მაშინ ბრუნდებოდა, როცა ბანაკი რამდენიმე დღით იყო მომარაგებული. მაშინ ჯორჯიაშვილი სადმე სოფელში დაეხეტებოდა, სადაც არსენას ათასობით ჰყავდა დამხმარე და მზვერავი, მორჩილი და ისეთი ერთგული, რომ ყველა მათგანი მარაბდელისათვის თუნდ ღმერთსაც შეეჭიდებოდა. იქიდან ჯორჯიაშვილს ახალი ამბებით გამოტენილი ყბები და სულის საფუვარით სავსე გული მოჰქონდა, რომელიც მოარულივით ედებოდა ბანაკს და ცეცხლივით მწვავე იმედით და ხანჯალივით მპრელი რწმენით ჰკვებავდა.

მონადირეებს უფრო ხშირად შველი, ტახი, ჯიხვი და არჩვი მოჰქონდათ. დათვს ერიდებოდნენ, ტურა-მგელზე ტყვია არ ემეტებოლათ და კურდღელიც უწმინდურ ცხოველად მიაჩნდათ.

— კაცო, რამ გაგაგიჟათ, კურდგელზე უკეტესი რაგა იკნება!..—ამბობდა კარპიჩა და მის ჭამას ნატრულობდა.

ერთხელ ნატვრა შეუსრულეს: ორი კურდღელი მოუკლეს, მიართვეს და თვითონაც შემოეხვივნენ. ქართველები კურდღელს არ კადრულობდენ და მხოლოდ

გაგონილი ჰქონდათ, რომ რუსებმა მის ჭამას ზოგი ქართველი თავადიც მიაჩვიესო, და ახლა ჰსურდათ მისი მჭამელი თავისავე თვალით ენახათ, [illegible] ენახეს, შეშფოთდნენ, ამოაბოყინეს, კარპიჩაც უწმინდურად ჩასთვალეს [illegible] ხანს ახლოსაც აღარ ეკარებოდნენ.

როცა მონადირეებს ბედი არა სწყალობდათ და ბანაკშიც მარაგი გამოილეოდა ხოლმე, როსტომი ზევით საბალახოზე ავიდოდა და მეცხვარეებს ეწვეოდა. არსენას ხსენებაზე ყოველ ბინიდან ათიოდე ცხვარს მოერეკებოდნენ, ამბავს კითხულობდნენ და ოხრავდნენ:

— როდისღა, როდის?

როსტომი ამხნევებდა, აიმედებდა და ბანაკში ათიოდე ჭედილა მოჰყავდა.

არსენას ნათლიმამა და მოზიარე ფარსადან ბოდბისხეველი თაფარავანის ტბასთან დაბინავებულიყო და ოძელაანთ სამასი ცხვარიც იქ მიერეკა.

ერთხელ როსტომმა დრო იხელთა, ოსმალეთის საზღვრებზე გადავიდა და ფარსადანს ანგარიში მოსთხოვა. ბოდბისხეველმა კინალამ ტირილი ამოუშვა და უთხრა, ოძელაანთ ცხვარი ზოგი მგელმა შეჭამა, ზოგი ყაჩაღებმა მომტაცა და დანარჩენიც ჭირმა დახოცა და კლდეზე გადაცვივდაო.

— თავი დაანებე.—უთხრა არსენამ ამის გამო როსტომს,—მამა-ჩემმა და ფარსადანმა იციან, როგორც უნდათ-ისე გასწორდნენ.

მაგრამ ტყის ძმებს ხშირად აკლდებათ წვნიანიც და ნადირიც, ცხვარიც და ფრინველიც, და არსენას საბუნაგოში დიდი მარხვა იწყება: მაშინ ძმები ზედიზედ რამდენიმე დღეს სჭამენ ხმელ თევზს ბოლლამოს, სისირს, ღვინოში ამოვლებულ პურს ბოლლიწოს, სირსვალს, შინდის შეჭამადს, ღოლოს, ლობიოს და თან ლაცაბიძეს ულრენენ.

მზარეული თვითონაც იღრინება და ბურტყუნებს:

— თქვენი დედა ხომ არა ვარ, ბოშო, რომ კიდევაც გიშოვოთ, კიდევაც მოგიხარშოთ და კიდევაც პირში ჩაგიყაროთ. მიშოვეთ რამე და დაგიმზადებთ.

და რაზმელებიც შოულობენ—ნადირობით, ქურდობით, ტაციობით, ხარკით, ძღვენით და შემოწირულებით.

არსენას რაზმის უსაქმურობისა და დაზანტებისა ეშინიან, და რადგან იცის, რომ უქმი და ზანტი კაცი ან უნდა გაჯიბგირდეს (თუ ლაჩარია), ან კიდევ გაყაჩაღდეს (თუ მარჯვეა), ამიტომ ის მუდამ ცდილობს ყველას საქმე გაუჩინოს.

ყოველ დილით, ბანაკი რომ დალაგდება, მედოლე და მებუკე მწვანე ფორზე გავა და დოლს ბარაბანსავით ააბრახუნებს, ან ბუკს დააყვირებს. აკვართული ძმები სამიოდე წუთში ლარივით ჩამწკრივდებიან ფორზე. არსენაც გამოდის და პატარა რაზმს რუსულ წესზე სწრთვნის:

— ერთი, ორი! ერთი, ორი! მარჯვნივ! ერთი, ორი!

და თანაც მათთან ერთად დაალაჯებს, ოფლს იწურავს, იცინის და თავს იმართლებს:

— ვინ იცის სად გამოგვადგების!

მერე ცოტას შეისვენებენ. შემდეგ ცხენებს გამოიყვანენ და ჯირითობენ: ზედ რკალივით გადადიან, ნავარდით მიჰყავთ და თითონაც ფეხდაფეხ მისდევენ,

გაჭენებულ ცხენებს უნაგირს მოხსნიან და ისევ შეჰკაზმავენ, დაჰლლიან, დაიღლებიან, შეისვენებენ და ახალ ვარჯიშობას შეუდგებიან: ხანჯლებს შემოიღებენ, ათიოდე ნაბიჯზე ესვრიან ხეს და ერო გოჯზე არჭობენ.

თოფის წამალი და ტყვია ძნელი გასამეტებელია, მაგრამ ზოგი ახალმოსული კარგ მსროლელად ვერ ჩაითვლება, ამიტომ ქავთარი და მცირე გუნდი ხშირად რჩებიან მოლზე და ვარჯიშობენ, ნიშანში ესვრიან, მერე კი ისევ ბანაკს უბრუნდებიან და ქალამნებს ჰქსოვენ, ჭურჭელს ხეხავენ, იარაღს ჰფერავენ, საცვალს რეცხავენ და მზარეულს, ხაბაზს, ჭონსა და მეჯინიბეს ეხმარებიან.

ყველაზე მეტი საქმე მარინემ გაიჩინა. როცა რაზმელები სავარჯიშოდ გავლენ, მარინეც ბანაკს მოსცდება და სამკურნალო მრავალძარღვას, მარგალიტას, თვალურას, რძიანას და ათნაირ ბალახას აგროვებს. მერე ახმობს, ხარშავს, ნაყავს, ერთმანეთში ურევს და მალამოებს ამზადებს.

ქალ-ექიმბაშს უკვე დაჭრილიც ჰყავს და ავადმყოფიც. მან მკურნალობა კნეინა ხორეშანისგან ისწავლა და თავის საქმეს პირნათლად და თავგამეტებულ ერთგულებით ასრულებს.

როცა არსენამ პირველად გაუშალა ნაბადი მუხის ძირში და ზედ რომ პირველად გააგორა მარინე და თვითონაც მიუგორდა, მარინეს ეგონა, ამ მწვავე სიტკბოებას დასასრული აღარ ექნებაო. მაგრამ ტყის კანონმა მალე მიახვედრა, რომ გახიზნულთა ბუნაგში დედაკაცს, ისიც ერთად-ერთს, გაცილებით უფრო მეტი საქმე უნდა ჰქონოდა, ვიდრე კნეინა ტასოს მოახლეს ჰქონდა.

რამდენიმე დღიის შემდეგ არსენას ცოლმა თავის გამწყრალ დედის სახლიდან ხურჯინით ამოატანინა მატყლი და ძაფი, ბორბალი და საჩეჩელი, ხელწალი და საპენტელი, სართავი დაზგა და საკერებელი, ნემსები და ქარგა, და იმ დღიდან მის ხელსაქმეს, მალამოების ზელას და არტაშანების დამზადებას ბოლო აღარ უჩანდა.

რაზმელები თავს ევლებოდენ და მუდამ ხელებში შესცქეროდნენ, რათა ყოველი მძიმე საქმე ჩამოერთმიათ მისთვის და მხოლოდ ქალური დაეტოვებინათ, თანაც ეღრიჯებოდნენ ხოლმე:

— დაო მარინე, პერანგი დამეხა.

— პაიჭი დამერღვა.

— ღილი მომწყდა.

და ტყის დაც აკერებდა, ჰქსოვდა, ჰქარგავდა, დობას უწევდა და ეუბნებოდა:

— ძმებო, თუ გაქვთ რამე შესაკერი ან დასაკერებელი, მოიტანთ.

ძმებსაც მიაქვთ, გარშემო უსხდებიან და ზოგჯერ საათობით ესაუბრებიან: უამბობენ საკუთარ ვარამს, თავგადასავალს, ზღაპრებს და თანაც მის ცისფერ თვალებს სვამენ, სადაც მუდამ და-ძმური სიყვარული და სუფთა ნდობა ლივლივებს.

ძმებსაც და-ძმურად უყვართ ბელადის ცოლი და ამ სიყვარულში ისეთი რამეც ურევია, რაიც ტკბილად სტანჯავს გავარდნილებს, აფორიაქებს და ძილს უფრთხობს, მაგრამ ყველას მაინც სუფთა სინდისი აქვს, რადგან იმ რაღაცაში ერთი ბიწიერი ბეწვიც კი არ ურევია. უყვართ და ამ აზრს არა თუ ერთმანეთს,

საკუთარ თავსაც კი არ უზიარებენ, რადგან მეგობრის ცოლი საკუთარ დედაზე უფრო უბიწოა და ურგები.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და რადგან უყვართ, კიდევაც ზრუნავენ: ვინმე მათგანი ისე ორიგინალურ დაბრუნდება ბანაკში, რომ მოვი ან შეიდიში, ხილი და ტკბილეული, იაფი სამკაული და საამური რამ არ მოუტანონ. ამიტომ „ჩვენ დას“ მუდამ მოეპოება ქოხში ხილი და ალვახაზი, ყანდის შაქარი და გოზინაყი, ფალუსტაკი ფელამუში და ყოველგვარი ტკბილეული, რომელსაც თვითონაც ციყვივით ახრამუნებს და ძმებსაც ურიგებს ხოლმე.

არსენამ დაიჭინა, ჩემი ცოლი მე უნდა მგავდესო. სანადიროდ დაჰყავდა, ხმალს აწვალებინებდა, აჯირითებდა და ერთხელ ხელში თავის ვეება თოფიც კი ჩასჩარა და გაასროლინა. მაგრამ კონდახმა შეგირდს ისე მაგრად დასცა ფაფუკ მხარში, რომ მარინე მიწაზე დაეცა და ნატკენი ალაგი ძლივსღა დაიდუმა.

ქმარი ცოლის გაამორძლებას მაინც არ იშლიდა, მაგრამ ბოლოს ბუნება მასზე უფრო ძლიერი გამოდგა. მან არსენას ხელი ააღებინა მარინეს წვალებაზე და „საწყალი ქალი“ თვითონვე დაიჩემა.

მარინეს და ბუნებას ურთერთისთვის რაღაც იდუმალი თილისმა აქვთ. ერთმანეთს იზიდავენ, ხიბლავენ, ჩურჩულებენ, ერთი მეორეში იღვრებიან და ერთმანეთს მუდამ ფეხდაფეხ დასდევენ.

იქვე ახლოს ყაფარი კლდე აყუდებულა, სადაც ნიადაგ არსენას მჭრელთვალა ებგურია ასვეტილი. შემდეგ ფოთლის ტალავარი თავდება და ისეთი საძოვრები იწყება, რომ ასფეროვან ყვავილებში მარინეს თავიც მოძრავ ყვავილად მოსჩანს ხოლმე.

აგერ დიდყვავილა დეკა.

„ერეკლემ სთქვა, ღმერთო ისე ნუ მომკლავ, რომ დეკაზე ნახუხი მწვადი ერთხელ კიდევ არ მაჭამა და ზედ თოვლის ნაჟური არ დამალევინაო“.

არსენამ ეს თქმულება გაიხსენა და სცადა: დეკის ცეცხლზე არჩვის მწვადი შეხუხა, ტყის ძმებს აჭამა და ზედ თოვლის ნაჟური დააყოლებინა. და მას შემდეგ ტყის ძმები სხვანაირად შემწვარ მწვადს აღარ ეკარებოდენ.

აქა-იქ არყი და ცირცელი გაბნეულა. დაბალი კეწერა მიწაზე გართხმულა. მთის მოცვი, ჟოლო, მაყვალი, უფრო ქვეით კი—პანტა, მაჟალო, კუნელი, ზღმარტლი, ისრიმი, თიმელი, შინდი, თხილი, წიფელი და კაკალი—ყველა თავის დროზე დამწიფდება, გამოდგება, იჭმება, ახლა კი მარინეს ყოველ დღეს მოაქვს არდაგით ბეგ-ქონდარა და სვინტრი, მჟაუნა და წართხალი, სატაცური და ჭინჭარი, სვია და ღანძილი. მოაქვს და ამბობს:

— აჰა, ძმებო, შეგერგოთ.

და საჭმელ ბალახეულის გარდა კალთებში სურნელოვანი ყვავილებიც უყრია: მთის შროშანი და დიყი, ქარცხვი და ასკილი, მთის კრაზანა და ზამბახი.

მის ქოხს მუდამ საამური სურნელი ასდის, ხოლო თავსა და მხრებზე ყვავილების აკიდოები აქვს დაყრილი და თაიგულის ლანდივით დაბორიალებს.

ტყის დას ზოგჯერ მყრალი დიდფოთოლა დუციც მოაქვს და ამ „მთიულების კიტრითაც“ ჰკვებავს თავის ძმებს.

შხამაც გამოსადეგია: მის ბოლქვებს მოხარშავენ და ქეციან ცხენებს უწამლავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მთის კრაზანაა დასაწუნი. მას დახალულ ნიგვზის სუნი აქვს და ბატონების ჩაის მაგივრობას გასწევს.

წართხალიც გამოდგება, ხურტკბილიც, შავი ხუნწიც და მრავალი სხვა ყვავილიც, ბოლქვიც, ფოთოლიც და ნაყოფიც—ზოგი საჭმელად, ზოგი სამკურნალოდ და ზოგიც დედინაცვალ ცხოვრების დასამშვენებლად.

სამხარი ან სადილობა რომ მოვა, მიწაზე მწვანე სუფრას გაშლიან—ვეება ფოთლებს დაჭყრიან—და გარს მოუსხდებიან. კარპიჩა ხმიადს მოარბეინებს, ლაშქარას წყაროში გაციებული ღვინო მოაქვს, მორიგე რაზმელი ყველს, მწვადებს და ზოგჯერ ხმელ თევზსა და ხილსაც გადმოჭყრის (მეგობარი მრავალი ჰყავთ და ღძენად უგზავნიან) და იწყება სადღეგძელო მათი გამარჯვებისა და მტრის გასრესისა, ბატონის დაქცევისა და გლეხის თავისუფლებისა, ობლისა და ქვრივისა, ჩაგრულისა და საწყლისა, საქონლის ჯანღონისა და ისეთი მოსავალისა, რომ გლეხი მის აკრეფასაც ვერ მოჰრეოდეს.

ნასადილევს ოდნავ თვალის მოტყუება ოღონდაც რომ საჭიროა: ვინ იცის ბანაკს რა მოელის და რა სწერია ბედის კარაბადინში? იქნება ხვალამდე თვალიც ველარ მოხუჭონ.

საღამოს ჟამს ბანაკი ხელახლა ცოცხლდება. თამაშობენ ოთურმას და სალაობას, „დამიკარის“ და ჩალიჩს, აგანგალას და ჩილიკაობას, თანაც ბალღებივით იცინიან, დარბიან, ოხუნჯობენ და ისევ ჭიდაობენ და მღერიან, მღრიან და ჭიდაობენ.

ღამე ფეხაკრებით მოიპარება და ისე უცბად ატყდება იქაურობას, თითქო ქვეყანას სიბნელისგან მოქსოვილი და ვერცხლის თვალებით მოქარგული მანდილი გაადაფარესო. ორიოდე ალაგას ქონის ფილთა და ნაძვის მკვარი ციმციმებს. მუხის ძირში ვინმე ზღაპარს ბურტყუნებს. ყველანი დაჭყეტილ თვალებით უსმენენ და ახალ-ახლებს იგონებენ.

მათი ზღაპარი მრავალფეროვანია, მაგრამ ყველა ერთ ღერძზეა შემდგუმლი: ბოროტი მუდამ მარცხდება, კეთილი კი იმარჯვებს; ძლიერი იღუპება, საწყალი კი რჩება; ავი ადუღებულ კუპრში ვარდება, მართალი კი ბედნიერად ცხოვრობს.

დღე როგორ გავა, რომ ტყის ამბოკარებმა გული არ გაიღელონ და ერთმანეთს მეათეჯერ არ გაახსენონ თავიანთი ვინაობა და თავგადასავალი, ტკბილი ბავშობა და ყრმობა, დიდი ვარამი და პაწია სიხარული.

მათი თვალის არე მხოლოდ სოფელია. მათი სიტყვა მხოლოდ მიწიდან ამოდის, მათი აზროვნება მხოლოდ ბატონყმობაზე ტრიალებს და მათი გულიც მარტო გლეხისთვის ჰფეთქავს.

ქალაქელს ხუთი გრძნობა აქვს, გლეხს კი ექვსი და მეექვსე მიწის გრძნობაა. და ეს გრძნობა მათ საუბარსაც, ნატვრასაც და სიზმარსაც ოხშივარივით ასდის და ტყის სურნელში იღვრება.

ტყის ხიზნები ისე პირს არ დააღებენ, რომ ხორბლის ნაკადივით არ გადმოუშვან დარი და მოსავალი, ბაღ-ვენახი და ხოდაბუნები, ნახირი და ტურამგელი, ცის თაღი და მიწის გული.

სოფლურ ამბებს თავისთავად მოსდევს გლეხური ნატვრაც: ნეტა ბატონყმობა გადავარდებოდეს და გლეხი თავის თავადად გადაიქცეოდეს. ნეტა მოხელეც წავიდოდეს და გლეხი თავის მსახურს თვითონვე აირჩევდეს. რა დიდებული გუბერნატორი იქნებოდა არსენა! ღვთისავარს სარდლად აირჩევდნენ, ლაცაბიძეს მდივანბეგად დანიშნავდენ, როსტომი მსაჯულად გამოდგება, მეშთას ცხენოსან რაზმს ჩააბარებენ, კარპიჩა საუკეთესო მნე იქნებოდა, ქავთარს ბოქაულობა დაჰშვენდებოდა და ჭაბუკ ზურასაც იასაულობა მოუხდებოდა.

მაგრამ ეს ხომ შორეული ამბავია! ახლა კი რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ცოლიანები თავიანთ ცოლშვილს დაუბრუნდებოდნენ, უცოლონი კი საკუთარ ოჯახს აიშენებდნენ; რომ ქვეყანაზე სამუდამო მშვიდობა ჩამოვარდებოდეს და გლეხს თავის ნაოფლარი თვითონვე შერჩებოდეს; რომ გადასახადს აღარ გაიღებდეს და ძლიერი უღონოს აღარ დასჩაგრავდეს; რომ ნიადაგი მუდამ მაკე იქნებოდეს, საწველი საქონელი არ ბერწდებოდეს, ჭირიც არ უჩნდებოდეს და ქურდი და მგელიც აღმოიფხვრებოდეს; რომ ცა და დედამიწა გასწორდებოდეს, გონჯი აღარ იბადებოდეს, ქვრივ-ობოლი აღარ იქნებოდეს, სიხარული ციდან ქვეით ჩამოვიდოდეს და სამუდამო ძმობა, ერთობა და თავისუფლება დამყარდებოდეს.

და განდეგილებს ნატვრის ჟამს შინ-დაბრუნების წყურვილი აწამებს. მაგრამ ხიდი სამუდამოდ ჩაუტყდათ და გაღმა გაბრუნებას ისევ ტყეში სიკვდილი ურჩევნიათ.

ასეთ დროს ტყე მწუხრით ივსება. ბანაკს მძაფრი კაეშინი აწვება. ძმები ავად იღრინებიან და ისე დაბორიალებენ, თითქო ყოველ მათგანს ზურგზე ზირბითის კლდე აწევსო. ბოლოს მაინც ერთად იყრიან თავს და გაუძლებელ სევდას ისევ სევდიან სიმღერებით იქარვებენ. ვილაცამ ლექსი მოიგონა და ამ ლექსს ნელ მაყრულის ხმაზე მღერიან:

სოფლიდან, შინიდან
გაგვეთიშეს, გაგვაგდეს.
სიხარულ წაგვართვეს,
ამ ბუნაგს შეგვაგდეს.

ყველას პანაშვიდის იერი აწერია, თითქო შუაში ცხედარი უდევთ და ჰგლოვობენო. ზოგი მათგანი განზე გადგება და ქურდულად იხოცავს თვალებს. ყველანი ტირიან—ზოგი ცრემლით და ზოგიც უცრემლოდ, ტირიან და ბელადს ემალებიან, რადგან მას ჩამოშვებული ცხვირი და დარდიანი თვალები არ უყვარს.

ტყის ძმებს მაინც სხვებზე მეტად სწყურიათ ადამიანური ლაღობა, რადგან ბატონებმა ყოველივე ადამიანური აუკრძალეს და სიხარულის უფლებაც კი აართვეს. სწყურიათ და ხანდახან ამ წყურვილს, ცეცხლივით მწვავე წყურვილს, ულრან ბუნაგშიც კი იქროობენ ხოლმე.

ლაშქარა ქვეიდან რამდენიმე ტიკ-ღვინოს, ნაზუქებს და დედლებს ამოიტანს. როსტომი ზევიდან ჯიხვს, შველს ან ხარ-ირემს ჩამოიტანს და ბანაკი იმ ერთ ღამეს სიფხიზლესაც ჰკარგავს და სიფრთხილესაც ივიწყებს.

არსენას ნადიმი სუფრულით იწყება. შიგადაშიგ მოსდევს „შევსვათ წითელ-წითელი“ და „მურმანო“, „ზამთარია“ და „ცანგალა“. სიმღერას ზედ ერთვის

ბიბლიოთეკა

ლოლი და დუდუკი, ლეკური და დავლური, და ბოლოს, კარგად რომ შელამდება, ცხრა მუხის ქვეშ ვეება კოცონს აანთებენ და მის გარშემო ჭაბუკ-ფერხულს ჩააბამენ.

ღვინო, ცეკვა და სიმღერა ჟინსა და წყურვილს ახურებს, სისხლსა და ხორცს ადუღებს, და ბანაკის მძვინვარებაც ცეხლმოდებულ თივასავით მირბის და ედება, იზრდება და გიჟდება.

ფერხულს ორპირად მღერიან, კუდიანებივით დახტიან, ერთმანეთს აფიცხებენ და ურთერთს პირიდან აცლიან ლექსს:

შალვა ცხენს მოაგოგებდა, შავლეგო!
ვიწროსა და ავ ალაგსა, შავლეგო!
შალვას ცხენი წამოექცა, შავლეგო!
ვიწროსა და ავ ალაგსა, შავლეგო!
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო!

კარპიჩას სმენა არა აქვს და უწყალოდ სტყუის.

— კარპიჩავ, გაჩუმდი!—უყვირიან ყოველ მხრივ, მაგრამ ამაოდ.

— გმერტმანი არ შემიზლიან გაჩუმდე.—უპასუხებს რუსი და მისი წვრილი ხმა მთელ გუნდს ჰფარავს.

ერთ გუნდს ჯერ არც კი გაუთავებია, რომ მეორე ართმევს და უჩქარის:

თავსა თურქი წამოადგა ვიწროსა და ავს ალაგსა.
— დამკარ, თურქო, რასა ჰშიშობ, თუ გული გაქვს მამაცისა!
დაჰკრა თურქმა, დასჭრა შალვა თეძოსა და ავ ალაგსა.

შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო!
შალვა, შენი ყაწიმები თურქის წვიეებზე ვნახეო.
შალვა, შენი თეთრი ჩოხა შავად შეგიხამებია.
შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო!

ერთი გუნდი მარცხნივ მიიწევს, მეორე კი გარს შემორტყმია და მარჯვნივ ტრიალებს. შემდეგ რიგს იცვლიან და ბოლოს ერთი მათგანი მეორეს სართულივით ადგება მხრებზე და ორივე გუნდი, ავ მხურვალებით შეპყროობილი, ქადაგივით ჰბოდავს: „შავ-შავლეგო, ლეგო, ლეგო, შავლეგო!“

ჰბოდავენ და იმდენ ხანს უვლიან კოცონს, სანამ ქანცგამოლეულნი მუხების ფესვებში იმავე ფესვებივით არ ჩაეყრებიან და დაკლულ ბუღებივით არ ახრიალდებიან.

იმ ღამეს მხოლოდ საწყალი მარინე ფხიზლობს, დილამდე დალასლასებს, ძმებს წყალს აწვდის, ნაბდებს ხურავს და ბურტყუნებს:

— ლოთებო! ყაჩაღებო! სალახანებო!

„სალახანები“ მხოლოდ შუადღეს იღვიძებენ, იზლაზნებიან, იზმორებიან და თითო ხელადას კიდევ თხოულობენ.

მაგრამ კმარა! გათავდა! ორიოდე კვირით მაინც გათავდა!

პირველ ხანებში ზოგ რაზმელს ძალიან უყვარდა ბნელ ღამეში გახსენება ალის და ქაჯისა, ეშმასი და კუდიანისა, მაგრამ არსენამ ავ სულებსაც შეუტია და მათ მონებსაც:

— ვისაც ქაჯი და ლანდი სჯერა, ვაჟკაცად ვერ გამოდგების.—

განაცხადა მან და მორწმუნეთა თავებიდან მოჩვენებათა განდევნას შეუდგა. შეუდგა და მალეც განდევნა: ავი სულების მოშიშარს ხშირად ჰგზავნიდა შუალამეს ძველ სასაფლაოზე, მინგრეულ ციხე-კოშკებში და თავისებურ ეკლესიამონასტრებში, რომელიც ირგვლივ ასობით იყო გაბნეული. ჰგზავნიდა და იქ ნიშნის დატოვებას აბარებდა.

მორწმუნე შიშით მიდიოდა და სიცილით ბრუნდებოდა. შემდეგ კი სიბნელეს დღესავით შეეჩვივნენ და ისევე სჯეროდათ კუდიანის და ალქაჯისა, როგორც მგელს ჯოჯოხეთი და მეორედ მოსვლა.

კარგა რომ დაბნელდება, ბელადი ბანაკს ჩამოივლის, გუშაგებს გამოსცვლის, ყოველ წვრილმანს შეამოწმებს, უკანასკნელ ბრძანებას მისცემს და დაიძახებს:

— ღამე მშვიდობისა, ძმებო!

— ძილი ნებისა, არსენ!—

მიაძახებენ რაზმელები და ნაბდებში გაეხვევიან და ხმელ მიწაზე ან ალერდზე კუნძებივით მიეყრებიან.

ტყე გრილი ნესტით სუნთქავს. ჰაერი სთვლემს. წყაროს ძილი ერევა. სადღაც სირინოზი გალობს, სადღაც ალი ხითხითებს. ხევში როკაპი ჩიფჩიფებს. ხის ტოტებში მთავრე მობობლავს. იქვე ტყის ნაპირიდან, საცა პიტალო კლდე იწყება, საქართველოს მორღვეული კარი—ბორჩალო და მარაბდის ველიც—ვეება ნისლოვან ტბასავით მოსჩანს, ნამდვილი კუმისის ტბა კი მარცხნივ ვერცხლის მოლივით ლაპლაპებს.

შავი და რბილი ცა ისე ახამხამებს ვერცხლის უთვალავ თვალებს, თითქო ის თვალები დედამიწის დარდით და სიხარულით ღელავენო. შორს სადმე მგელი დაიყმუვლებს. ქვეით ხევში ჯერ ერთი ტურა ატირდება, მერე ჩაიცინებს და მესამეც აკვნესდება.

დროგამოშვებით ცხენი ფრუტუნებს. ყურშა ძილში ნადირს ეომება, ნაზმანებს დასდევს და ტყის ძმებიც ომობენ: სიზმარში უცნაურს ჰბოდავენ და ჰკივიან, ოხრავენ და უტევენ, მარცხდებიან და იმარჯვებენ.

ზოგი შვილს თუ უცინის, ზოგი ცოლს ეალერსება; ერთი დანიშნულს ეჩურჩულება, მეორე კი ალბათ ბატონს ულრინავს; ვინმე ხარ-კამეჩს ესაუბრება, ვინმე მკვდარს თუ დასტირის, ვინმე ურმულს ღიღინებს, ვინმეც სუფრულს გაიძახის და ზოგიც ბორკილის მსხვრევაშია.

ჭაბუკები ძილს ვერ ერევიან: ბნელ ჩრდილებსა და მთვარის ზოლებში ლანდებივით დაბორიალებენ და აღარ იციან, აღტაცებით იკივლონ თუ სიმწვავით იტირონ, ქვევით ბარში ჩაუცვივდნენ გოგოებს თუ გულმკერდი გაიფხრიწონ და ხორცი დაიკაწრონ.

ზოგი გუშაგი მთვარეულივით მიიპარება, ზოგიც ქვის ძეგლივით ატუზულა.

შუალამეზე ბელადი მოჩვენებასავით ჩაივლის და ისევ გაჰქრება.

ზოგჯერ მოულოდნელად ქარი დაჰქროლავს, ბანაკს ღრუბლის ნახირი მოასკდება და ირგვლივ ისე ჩაბნელდება, რომ რაზმელები ერთმანეთს ხელის ფათურითაც ვეღარ პოულობენ.

მუხა ჰგმინავს, წიფელი ბურტყუნებს, თელა ჰკვნესის, იფანი შიშინებს ხმელი ჭრიჭინებს და ნედლი ოხრავს.

ტყე ჰქუხს და ტირის, სისინებს და ჰბღუის, შრიალებს და მოსთქვამს.

ბელადი კი მაინც მიიპარება. აყბედებულ რაზმელს გააჩუმებს, დაბდიანს ანუგეშებს, გადახდილს დახურავს და ისევ გაიპარება.

ღრმა ძილშია და მაინც ფხიზლობს არსენას ბუნაგი.

... არსენამ ქვეშის გზიდან რაზმელები ტყის ბანაკში გამოისტუმრა, თვითონ კი შარა გზას გადაუხვია, რომელიც ომის გამო სალდათებით იყო სავსე, და ხრამის წყალს გავიდა, ბოლნისი გადასჭრა და თეთრი ხიდისა და ოფრეთის გზით სოფელ წერაქვისკენ გამოსწია. ამას წინად აქედან მოყვარე ანდრია ბურძაძისგან საჩივარი მოუვიდა, ბატონმა მეტის-ნეტად შეგვაწუხა და გვიშველეო.

ნასოფლარ გორულს რომ მიუახლოვდა, ტაფობზე მაღალი თეთრი კოშკი და ძველი ეკლესია აესვეტა. წვიმა მოდიოდა და არსენამ გაიფიქრა, თავს ამ კოშკს ან ძველ ეკლესიას შევაფარებო. კოშკიდან ბოლის წვრილი ხვეული ამოდიოდა, ხოლო მის კარებში ვილაც გამოჩნდა და ისევ სწრაფად მიიმალა. „ალბათ მწყემსები იქნებიან“.—გაიფიქრა მარაბდელმა, და ლურჯა ჯაგზე მიაბა, თვითონ კი დაბალ კარებში შეალაჯა.

შეალაჯა და უმალვე ინანა: მკერდზე ღრენით ვეება ძაღლი აებობღა და ყელთან გოჯის სიგრძე კბილები აუწკაპუნა. იმაეე წამს თავის საფეთქელთან დამბაჩაც დაინახა და ბინდიდან მრისხანე ბრძანებაც მოესმა:

— ზმობილო, ჩქარა დაზექი, თორე გათავდი!

არსენა მიხვდა, რომ ხაფანგში გაება. თითიც რომ გაენძრია, თათარი მაშინვე გაათავებდა. ტყვიაც რომ აეცილებინა, ეს საზარელი ძაღლი მაინც გაჰგლეჯავდა. გარდა ამისა, კუთხეში ცეცხლთან ორი კაცი კიდევ მოსჩანს. საოცარია, რომ არცა დგანან და არცა სხედან, არამედ ისე წვანან პირქვე, თითქო დახოცილები ჰყრიანო.

— დაზექი მეთქი!—წვრილი ხმით შესძახა თათარმა.

არსენა ჩაჯდა და ძაღლის კბილები აიცილა, რადგან იცოდა, რომ იქაური ძაღლები ასე იყვნენ დაგეშილები: გაქცეულს გაჰგლეჯავდნენ, მდგომარეს კბილებს ჩასჭიდებდნენ, მჯდომარეს ზედ დაადგებოდნენ და მწოლარეს კი იქვე მიუწვებოდნენ და ხელის განძრევის ნებასაც კი აღარ მისცემდნენ.

თათარმა არსენას ისე მარდად აართვა ორივე დამბაჩა, თოფი, ხანჯალი და ხმალიც, რომ ოძელაშვილი გაოცდა. შემდეგ ჭარქაშებიც ასეთივე სისწრაფით ჩამოხსნა, ჯიბეები დაუცალიერა, ხელები თოკით შეუკრა, ცეცხლთან მიიყვანა, პირქვე დააწვინა და ორ უცნობ მწოლარეს გადაიბა, თვითონ კი დოინჯი შემოიყარა, ბინდში დიდრონი კბილები გააელვა, ჩაიცინა და სთქვა:

— ყოჩაღ, დალი ჰასან! ერთმა პატარა კასმა სამი ვაჟკაცი იშოვა.

არსენამ ცალი თვალით ახედა მას და წელანდელზე მეტად გაოცდა. გაოცდა და იცნო, რადგან ათი წელიწადია ამ ჭინკას სახელი ესმოდა. დალი ჰასანი ძალიან დაბალი იყო, თითქმის ჯუჯა, კეტივით გამხმარი, ყორანივით შავი და შუა შუბლიდან ყურამდე ღრმა ჭრილობით დასერილი.

შარშან ალგეთელი ბიჭები ბოლნისის დღეობაში იყვნენ. დალი ყაჩაღიც თავის რაზმით დალი ხაჩში*) მოსულიყო. მის ერთ რაზმელს როსტომ ჯორჯია-

*) დალი ხაჩი—გიჟი ხატი. ასე უწოდებენ თათრები ბოლნისის მონასტერს.

შვილთან ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი. თათარმა დრო ისარგებლა და როსტომს ღამის-თევის დროს შემოუტია. რაზმელს ბელადი ჰასანი გამოესარჩლა და როსტომის ხანჯალს წააწყდა. არსენა რომ არ მიჰშველებოდა, მის ცოლის ძმას ერთ წუთში აჰკუწავდნენ.

ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა და გათავდა, რომ არსენამ თავგაჩეხილი დალი ჰასანის თვალის მოკვრაც ძლივს მოასწრო. თათრებმა ალგეთელებს თავი მიანებეს, უგონო ბელადი ცხენზე აიტაცეს და გაჰქრნენ. მაშინღა დაედევნენ ბოქაულები, ჩაფრები და ყაჩახები, მაგრამ გვიანღა იყო: თათრები ან მიწამ ჩაჰყლაპა, ან ეშმაკმა აიტაცა ცაში.

მას აქეთ ამ ბრბოს მუქარა როსტომს და არსენასაც მუდმივ თან დასდევდა. ზოგი მათი მზვერავი რამდენჯერმე მარაბდისა და ენაგეთის მიდამოებშიც ენახათ, მაგრამ თათრებმა მაინც ვერ შემოუბედეს. ეხლა კი არსენა ამ ყაჩაღს ასე უბრალოდ ჩაუვარდა ხელში. ალბათ ოძელაშვილს არ იცნობს, თორემ აქამდე გაამჟღავნებდა.

დალი ჰასანი ჩაკუნტდა და არსენას დააშტერდა. მერე ჰკითხა:

— სადაური ხარ, ზმობილო?

— მარაბდელი.

თათარი წამოხტა, კბილები და თვალები გააელვა, მერე ისე ჩაკუნტდა ხელმეორედ, თითქო წაიქცაო, და—

— იავაშ ყარდაშ!—მოისა ძმობილო!—რა გორისა ხარ?

— ქავთარ სულხანიშვილი,—მიუგო არსენამ და წამოჯდა.

— არსენა ოზელაშვილს იცნობ?

— ძალიან კარგად.

— მაშ ისი რას გეტხვი?—ქოსა წვერი მოიწიწვნა და დაუმატა:—ის არსენა დამაჩერინე და გაგიშვებ.

— არსენა დაგაჭერინო?—და გულიანად ჩაიცინა.

— რად ისინი, ბიჩო?

— იმიტომ ვიცინი, რომ არსენა მე თვითონაც დამიჭერს და შენც შეგბოჭავს. გარდა ამისა, ის კაცი უკვე დაჭერილია და შეკრული ზის.

და ჭორი მოიგონა: გუშინწინ ბოლნისში მითხრესო. მაგრამ თათარს ამავე დროს მართალიც უთხრა, რადგან ეხლა მართლა დაჭერილი იყო და შეკრული იჯდა.

თათარი თავს აქნევდა და რაღაცას ნახობდა.

— რა გენანება, ჰასან?—ჰკითხა ოძელაშვილმა.

— თურმე ზალიან ვაჟკაცი იყო. მთელი დუნია აქებს. მახლას! მაშ არსენას დამჩერი ათ თუმანს მიიღებდა.

— ათი კი არა, ორმოცდაათი მიუღია.—

წყენით მიუგო არსენამ, რადგან ათ თუმნად შეფასებულს კაცს ვაჟკაცადაც არა სთვლიდა. მართალია, თვითონაც ათად იყო შეფასებული, მაგრამ შემდეგ ფასი თანდათან აუწიეს და რამდენიმე თვეში ოცდაათად დააფასეს. და თუ ეხლა მარაბდელი ამ თათარს თავს დააღწევს, თავის ფასს მალე ათას მანეთამდესაც ააწევინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დალი ჰასან, მითხარი,—ჰკითხა ოძელაშვილმა, — არსენა შენ რომ დაგეჭირა, შეგერგებოდა, სახელს მოგიმატებდა?

ყაჩაღმა ცოტა მოიფიქრა და მიუგო:

— ვალლაჰ, არ შემერგებოდა. არსენას პირისპირ ვერავინ ვერ დაიჩერს.

— ეშმაკობით?

— ეშმაკობით რომ დავიჩირო, მაგ ზაღლის სახელი აჯობებს ჩემ სახელს.— მიუგო თათარმა და გარეთ გავიდა, თანაც იფურთხებოდა და თათრულად აგინებდა იმას, ვინც მას არსენას დაჭერაში დაასწრო.

ძალიან დახურდავებულა სარაჩლოელი თათარი. ან ათი თუმანი ებეევრება, ან არსენა ეცოტავება. მას ალექსანდრე ბატონიშვილის კაცად მოაქვს თავი და არსენას კი დასდევს, ხალხს ატყვევებს და ახალციხეში ჰყიდის.

არსენამ წამოიწია, ძალიც ღრენით წამოვარდა და კბილები ყელთან გაუელვა.

— დაჯექი, თორემ შეგეპამს. სულ ერთია, არ გამოვა-რა.—ურჩია ერთმა ტყვემ.

არსენამ ორივე ტყვე შეათვალიერა და სწრაფად გამოჰკითხა ვინაობა. ერთი მათგანი უკრაინელი აღმოჩნდა, სახელად ოსტაპი. ისიც კარპიჩასავით ნასალდათარი გამოდგა. სასოწარკვეთილი იჯდა და დაღლილ ირმის თვალები ცეცხლზე ჰქონდა მიბჯენილი. იმდენად განიერი კაცი იყო, რომ მის ნაჯდომზე ორიც ადვილად დაეტეოდა. მაჯის სისქე შავი ულვაშები დალალებივით ჩამოეყარა მკერდზე და მკლავის სისქე მაჯები მორგვის-ოდენა მუხლებზე შემოეხია.

მეორემ ეხლაღა გაახილა მიბნედილი თვალები და ჯერ გაოცდა, მერე კი უზომოდ გაეხარდა, მტკივნეულ ღიმილით წამოიწია და ამოიკვნესა:

— არსენ, შენა ხარ?

— სუ, გაჩუმდი! არ გამცე!— და პირზე ხელი მიაფარა.—სადაველი ხარ, ვინა ხარ?

— სუმბათაანთ ყმა ვარ, ქვიშხელი, სიმონა ცხოვრებაძე მქვიან. ამას წინათ მარაბდაში ვიყავი და იქა გნახე.

— მეც გამახსენდი.—ჩურჩულითვე მიუგო ოძელაშვილმა.—სუმბათოვს ახლდი, არა? მერე, რა დაგემართა?

— სუმბათოვს ვახლდი და იმ ულმერთომ ჩემი თავი ელიზბარ მალალაშვილს მიჰყიდა.

არსენას ელიზბარზე უწინაც ჰქონდა გაგონილი, ჩუმ-ჩუმად გლეხებს იჭერს და ჰყიდისო. ისიც იცოდა, რომ საქართველოს უწინდელმა ხელისუფლებამ და ეხლანდელმაც აკრძალეს ამგვარი სამარცხვინო საქმე, მაგრამ ზოგი თავადი და აზნაური მაინც არ იშლიდა და კვლავინდებურად წუნკალობდა.

ლეკებმა, ოსმალებმა და ქართველებმაც აღმოსავლეთის ბაზრები აქაურებით გაავსეს, ზოგი უშნო ჯიშიც და მუქთი ყმებიც გაიჩინეს. დათუნა ბარნაველი ეუბნებოდა არსენას, სულ უწინდელი გაყიდულ-მოტაცებულიც რომ ვიანგარიშოთ, იმდენი ათასი გამოვა, რომ მაგოდენა თმაც არ ფექნებაო. რაღა შორს წავიდეთ, თვითონ არსენასაც მოსტაცეს ღვიძლი ძმა. მაშინ ხუთი წლისაც ძლივს იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი გუშინდელივით ახსოვს. ლეკებმა თრიალეთს და

ბორჩალოს შემოუტიეს. ალგეთელებმა ბირთვისის, კოჯრის, ფარცხისისა და სამშვილდეს ციხეებს შეაფარეს თავი. მარაბდელებიც მიუვალ ბირთვისში შეიხიზნენ. ლეკებმა იქაურობა იავარ-ჰყვეს, მოითარეშეს და წავიდნენ. ოოკა ხალხი გამოიკრიფა ციხე-კოშკებიდან, ოძელაშვილებიც გამოვიდნენ, მაგრამ ლეკების ჩამორჩენილ ასეულს წააწყდნენ. ღამე იყო და საზარელი ფორიაქი ატყდა. მდევარი მოეშველათ, მაგრამ დაგვიანდა. ლეკები გაიქცნენ და რამდენიმე გაიტაცეს, მათ შორის არსენას ძმა ედიშერაც მოხვდა, რომელიც მასზე სამი წლით იყო უფროსი. ღვთისავარი შვილის ძებნით დაიღალა და ამ ძებნით გაღარიბდა, მაგრამ ველარ იპოვა და სამუდამოდ დაიკარგა.

მაშ არსენასაც ედიშერის და იმ უთვალავ უბედურის ბედი ეწვია? მაშ ასე წუწკად დასრულდა და ასეთი მოკლე გამოდგა მისი შარა გზა, რომელიც დღითი-დღე ფართოვდებოდა და მალე მთელ ქვეყანას უნდა მოსდებოდა? მაშ ამ წუნკალმა ყაჩაღმა უნდა ჩაუშალოს ის დიდი საქვეყნო საქმე, რომელიც რკინის ულელივით დაიკისრა? მაშ ეს იყო და მეტი არაფერი ვილაც იდუმალის ნაჩურჩულევი, მისი შემაწუხებელი შთაგონება და მწვალებელი აღტაცება? მაშ ამისთვის გავარდა ოძელაშვილი და სხვებიც ამიტომ გაიტაცა? იმისთვის დაეთრევა ნადირივით ტყე-ღრეში და იმისთვის ეხოვრობს ძაღლურად, რომ ამოდენა ვაჟკაცი ასე უწმაწურად გაიტაცონ და სადმე სტამბოლში ქათამივით გაჰყიდონ?

არა, რა დასაჯერებელია! ეს ხომ უკმურია, რაღაც ავი სიზმარია და ეხლავე გაიფანტება. ხა-ხა, რა ტუტუცი ყოფილა ბედი, თუ არსენაც ტუტუცი ჰგონებია! ასეთი ბედი მას ფეხებზე ჰკიდია. არც აქამდის ემორჩილებოდა მას და ეხლა ხომ აინუმშიაც აღარ ჩააგდებს. ბედი ბედოვლათს მიათრევს, ვაჟკაცი კი ბედს ლურჯასავით მოაქანებს. აბა რის მაქნისია ის კაცი, ვინც მას დედაკაცივით დაუწვება და აწუწუნდება, ბედმა დამჩაგრაო. ფუჰ, ასეთ ცოხნიას!

ამ მოგონებამ და მსჯელობამ არსენას ერთ წუთში გაურბინა. შორეულს აღარ გაჰყვა, ფიქრებსაც თავი მიანება და ორივე დაჭერილს მიჰმართა:

— ამ ურჯულოს როგორღა ჩაუვარდით ხელში, ძმობილებო?

სულ უბრალოდ. ელიზბარს ეს ვილაც ოსტაპი მეჯინიბედ დაექირავებინა და წერაქვში ამოეყვანა. ნაყიდი სიმონაც იქ მოიყვანა და წუხელის ორივენი ამ თათარს მიჰყიდა.

— ეხლა რაღას აპირებთ?

— ხაი პომე ჩორტ!—მიუგო უკრაინელმა და ჰასანას კვალს მიაფურთხა.

— ხელის განძრევას არა ფიქრობთ?

— დავაპირეთ, მაგრამ აჰა, შემოგვხედე.—და სიმონამ თავის ხელები და ფეხები აჩვენა.

არსენამ ეხლაღა დაინახა, რომ ორივე ტყვე უწყალოდ იყო დაკბენილი და ნაცემი. დიდხანს აღარ უფიქრია და უკრაინელს მიჰმართა:

— ამ ძაღლს ვერ მოერევი, ძმობილო?.

— ოღონდ შენ ეს ხელები გამიხსენი და მაგ ძაღლს კი არა, ლომსაც მოვერევი.

და მართლაც მოერევოდა.

სამივეს ხელები ზურგზე ჰქონდა შეკრული. არსენა ზურგით მოუწვა უკრაინელს და უბრძანა:

— აბა, ეგ სამგლე კბილები გაანძრიე. სიმონავ, შენც ბრუნდი.

ოსტაპმაც ისე გაანძრია კბილები, რომ თითის სისქო მავთულსაც კი გადაღრნიდა. ძაღლი ილრინებოდა, რადგან რაღაცას ჰგრძნობდა, მაგრამ არ ერჩოდა, რადგან მიწაზე ეყარნენ და ადგომას არ აპირებდნენ. ორიოდე წუთის შემდეგ სამივენი მორჩილად ისხდნენ, ხელები ისევ ზურგზე ჰქონდათ დაწყობილი და დალი ჰასანის დაბრუნებას ელოდებოდნენ, რომელიც თავის მხრით ვიღაც თათარ მუშტრის მოსვლას ელოდებოდა. ის თათარი უკვე შეპირებული ჰყავდა და ტყვეები ამ კოშკში უნდა ჩაებარებინა.

არსენამ ძლივს გაათავა ოსტაპის დარიგება, რომ ჰასანაც შემოვიდა, თან თათრულად ილრინებოდა იმის გამო, რომ მისმა მუშტარმა დაიგვიანა. კარგა ხანს ტრიალებდა მოშორებით, ხშირად იხედებოდა გარეთ, მაგრამ ტყვეებს ახლოს არ ეკადრებოდა და შეყენებულ დამბაჩას ხელიდან არ უშვებდა.

მერე არსენას მოუბრუნდა და უთხრა:

— ზმობილო, შენ უბრალო კასი არა ხარ, შენისთანა სხენი გურჯნისტანში არავის არ ეყოლება. რამდენს მომსემ, რომ გაგიშვა?

— ერთ აბაზსაც არ მოგცემ.

— ზმობილო, დალი ჰასანმა ხუმრობა არ ისის. ვივაჭროთ.

— არც მე გეხუმრები. ჯერ ხელები გამისხენი და მერე ვივაჭროთ.

— მე გიჟს მეზახიან, მაგრამ მართლა გიჟი ნუ გგონივარ. მართალი თქვი, ვინა ხარ, სადაველი ხარ მეთქი? დანარჩენი მე ვისი.

— მეც ვიცი: ჩემ ნათესავებთან წახვალ და თითისტარსაც აღარ შეარჩენ, განა!

— მაშ ზესხლით გათქმევინებ!—და მუგუზლის ასაღებად დაიკუზა.

არსენამ ისე ისკუპა, თითქო ხრახნილებზე იჯდაო. ჯუჯა თათარი უმალვე ქვეშ ამოიდო, მაგრამ იმავე წამს ზურგზე ძაღლის მძიმე ტორები და მწვავე კბილები იგრძნო.

დანარჩენიც ერთ წუთში გათავდა. ოსტაპმა ძაღლი კატასავით აიტაცა, უსასო სიმონაც ფეხებში მისწვდა და უმალვე გაჰგუდეს. არსენამ კი დალი ყაჩაღი მისივე თოკით შეჰკრა, კუთხეში მიაგდო, ზედ დამხჩვალი ნაგაზი დააგდო და უთხრა:

— დალი ჰასან, მე თვითონ გახლავარ არსენა.

— ვალლაჰ, მართალს უნდა ამბობდე,—ამოიკვნესა თათარმა.

— წელან გითხარი, არსენას ნუ დასდევ, თორემ თვითონვე დაგიჭერს მეთქი.

— ვალლაჰ, ეგეს მართალი გითქომს.

— ისიც გითხარი, არსენა უკვე დაჭერილია და შეკრული ზის მეთქი.

— ვალლაჰ ეგეს მართალია. ღაჩერილი მყავდი და აქვე იჯექი.

—ჰარამზადავ, ეხლა ყური მიგდე. ათი წელიწადია წუნკალ საქმეს სჩადიხარ.

— ვალლაჰ, ეგეს მართალია. მე თვითონას მომსხინდა.

— მაშ ხელი აიღე.

— ვალლაჰს ვფიცავ, ამიღია! მაგრამ სად სავიდე? ოსმალეთში? ცარსეთში? ვიყავი და უკანვე გამოვიქეცი. უსხო ხალხია, არ მომსონს, არ შემიბლიან. გურჯისტანი ჩემი ქოყანაა და აქედან არსადას არ სავალ. შინას ვერ დავბრუნდები, დამიჩერენ და სამ დღეში ჩამომახრჩობენ. შენი ვაჟკაცობა რომ გავიგე, ვთქი: დალი ჰასან, არსენასთან სადი მეთქი, მაგრამ ვიფიქრე, არსენა შენისთანა ყაჩაღს არ ენდობა მეთქი.

— ღმერთმანი, სწორედ გიფიქრია.

— აგრეა.—განაგრძო ყაჩაღმა.—აბა ეხლა რაღა გითხრა, რა ფისი მოგსე? ან რა დაეჯერება თოკით შეკრულ კასს? ხალხს იჩერს და ჰყიდის, ეხლა კი მას თავზე მკვდარი ზაღლიც დააგდეს. ვაი სირსხილო!

არსენამ ოსტაპს თვალი უყო. მან ძაღლი გადაათრია, სიმონამ კი სთქვა:

— ძმაო არსენ, ავჩქარდეთ, თორემ საცაა ამის ამხანაგები მოვლენ და ისევ გაგვთოკავენ.

— მოვიდნენ,—უპასუხა ოძელაშვილმა,—ისინიც იმასვე წაიღებენ, რაც ამან წაიღო.

—მოვიდნენ.—დინჯად დაუმატა გამარჯვებით მოსულიერებულმა უკრაინელმაც, რომელსაც თათრის მოკლე დამბაჩები, თოფი და ხანჯალი უკვე ზედ აესხა სათამაშოსავით და ლამობდა ერთი მტკაველი დაყირავებული ულვაშები როგორმე ზევით აეყირავებინა.

არსენამ ოსტაპი ღიმილით წააქეზა, წამომჯდარმა თათარმა კი გულწრფელად წამოიძახა:

— ვალლაჰ, თუ მოვიდნენ, მეს ვესვრი თოფს. ზმაო არსენ, შენი ვარ და სამიყვანე.

— ყური მიგდე, ჰასან,—უთხრა არსენამ და მის წინ ჩაკუნტდა, თანაც სიტყვა „დალი“ აღარ დააყოლა.— ყური მიგდე და დაიხსომე. მე ადვილად შემიძლიან შენი ამხანაგებიც გავაბა მახეში, როგორც შენ გაგაბი, და ყველას რიგრიგად გამოვეჭრა ყელი. ღმერთიც შემიწყალებდა და კაციც მაპატიებდა.

— ვალლაჰ მართალია!

— ან შემიძლიან ისინიც და შენი თავიც შულავერში მივგვარო მდივანბეგს.

— ვალლაჰ, სულ ადვილია.

— მაგრამ მე არც თქვენი დახოცვა მინდა და არც მდივანბეგის ნახვა, კისერიმც მოუტეხია! არსენას თავის სამართალი აქვს და მე ასე გადავჭერი: შენ აქ დარჩები და შენს ამხანაგებს ტყვეების ჭერაზე და გაყიდვაზე ხელს ააღებინებ.

— ყურან აჰკი, შევასრულებ!

— მერე აქაურ ყაჩაღებს დაუვლი და ღარიბების ჩაგვრაზე იმათაც ხელს ააღებინებ.

— აგრე იყოს.

— ჩემი სახელიც გამოიყენე და გადაეცი მათ, რომ თუ კიდევ გავიგე საწყალი ხალხის ჩივილი, თრიალეთიდან ჩემს ქორ-ბიჭებს გამოვაფრენ და იმ წუნკლებს თავიანთ გაჩენის დღეს ვაწყევლინებ.

— იავაშ ყარდაშ! რა საჩიროა ბიჩები!—და შებოჭილი თათარი ზეზე წამოიჭრა.—დალი ჰასანი აქ არ არის? შენი სიტყვა და ჩემი [illegible]

არსენამ გაიღიმა, რადგან იცოდა, რომ ამ ყაჩაღის ბრძანებას ყველგან ანჯალი მისდევდა ხოლმე, გაუღიმა და უთხრა:

— ეგ მერე იყოს. ეხლა კი მითხარი, ვინ მოგყიდა ეს ხალხი?—და ნატყვევარებზე მიუთითა.

— ელიზბარ მაღალაშვილმა.

— სხვა დროსაც გაუყიდია?

— ზალიან სოტა. სულ ოსდასხრა კასი მომყიდა.

— ოკდაცხრა ცოტაა? ეხლა სად არის ის ურჯულო, წერაქვში თუ სადახლოში?

— დღეს დილით სერაქველები აიკლო და ისევ ომში სავიდა. ზოგი ჯოხით ასემინა, ზოგი დაიჩირა და შულავრის სიხეში გაგზავნა და ზოგსაც საქონელი საართვა და გაუყიდა, რადგან ღალას არ მაზლევენო.

— მაშ კარგი. მე ბორჩალოში აღარ მოვიცდი და ჩემ გზას დავადგები. სიმონ, შენ ხელ-ფეხი გაუხსენი ჰასანას, შენ კი, ჩემო ჰასან, წელანდელის გარდა აი რას გავალებ: ყველა აქაური გლეხები ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარი, მხნედ იყავით, თქვენი მოსარჩლე მე და არსენა ვართ-თქო და თავი არავის არ დააბრიყვებინოთთქო. მერე იმ ელიზბარის დედას და შინაურებს ჩემი სახელით გადაეცი, რომ ის გლეხები სამ დღეში გამოაშვებინეთ და წართმეულიც დაუბრუნეთთქო, თორემ...

— თორემ ვისი, დანარჩენი მეს ვისი.

— ჯერ არ გამითავებია: ელისბარს ტყვეების გაყიდვაზე ჩემი სახელით უნდა ააღებინო ხელი, თორემ...

— თორემ ქიასარამ!—ყელს გამოვჩრი!—შესძახა თათარმა და ისე გააელვა მიმინოსებური თვალები, თითქოს ელიზბარი აქ მდგარიყო და მართლა მოსაკლავად მიეწოს.

— დაიცა, ჰასან. რამდენჯერმე გითხარი, ჩემი სახელით გადაეცი და გააკეთე მეთქი. შენ ყველას ყელის გამოჭრას უპირებ, მე კი ჯერ არავინ არ მომიკლავს და არც ვაპირებ მოვკლა.

— არ მოგიკლავს?—გაშრა გაოცებით დალი ჰასანა.—ჯერ არ მოგიკლავს? მაშ... მაშ როგორ გაიკეთე ეგ სახელი?

უსისხლო სახელი ბორჩალოელ ყაჩაღისთვის მართლა გაუგებარი რამ იყო. ჭკუას ძალას ატანდა და ლამობდა მშრალი წყალი ან ცივი ცეცხლი წარმოედგინა, მაგრამ ვერ დასძლია. არსენამ რომ ჰასანა არ მოჰკლა და არც კი დასაჯა, ეს გასაგებიც იყო და სამართლიანიც, ხოლო ყოვლად შეუსმენელიც იყო და უსამართლოც, რომ გავარდნილს არ ამოეხოცოს ყველა მტრები, არ გადაეწვას მათი სახლ-კარი და არ გაეტიტვლებინოს ყველა მგზავრიც და არა მგზავრიც, ვისაც კი შალვარი ან კაბა ეცვა.

— გაიგე რა გითხარი?—ჰკითხა მარაბდელმა.

— გავიგე.—იმ კატასავით ჩაიკნავლა ჰასანმა, რომელსაც ხორცის ჭამა აუკრძალეს.

— წელან მთხოვდი, წამიყვანეო. საქმე მაჩვენე, ღირსი გახდი და წამოდი. აბა, ეხლა კი მშვიდობით იყავი.

— დაისა! იავაშ ყარდაშ!—და თათარი ოსტაპს ეცა.—ესაბარეთ და-მიტოვეთ, თორემ ჩემ შესაფერს აქ ველარ ვიშოვი.

არსენამ უკრაინელს გადახედა და კამეჩი გაახსენდა, რომელსაც ჯიბის დანა ეკიდა. გაიცინა და უთხრა:

— ასტაპ, მიეცი, შენს შესაფერ იარაღს ხვალვე გიშოვი.

უკრაინელი აიმრიზა, მაგრამ ჯუჯა იარაღი ისევ ჯუჯა თათარს დაუბრუნა.

არსენამ ლურჯა სადავით წამოიყვანა და დალმა დაეშვა. გვერდით ორი ახალი მეგობარი მოსდევდა, მესამე კი, მეტად დაოსებული ქვიშხელი სიმონა, ლურჯაზე იჯდა. დალი ჰასანმა არსენა შულავრის წყლამდე ჩამოაცილა, კინალამ ატირდა და გაბრუნდა.

... იმ ღამეს მაიორმა თავის საკბილო საქმე იშოვა და თითისტარივით დატრიალდა. „ქარს მინდორში ვინ დაედევნებაო", უთხრა მან დაფეთებულ ზაალს, მაგრამ თავის მხნეობის მოსაჩვენებლად მაინც მდევარი დაადევნა არსენას.

კუჭატნელზე უკეთეს მდევარსაც ვერ იშოვიდა. გიორგიმ თორმეტი ცხენოსანი დაარჩია, ლეკი გამზათიც გაიყოლა და ალგეთის ჭალებში თქარათქური ასტეხა, მაიორი კი თავდაპირველად გუშაგ როსტიას დაეტაკა, მისი მოტყუება ხუთ წუთში გაიგო, მაშინვე ფიქრიას შეუვარდა, ტანგახდილი გოგო საკუთარ ხელით წამოაგდო ლოგინიდან და როსტიას ჰკითხა:

— ეს იყო?

— ეგ იყო.

ორივენი უმალვე დააპატიმრა და, რადგან ქართველებს აღარ ენდობოდა, დარაჯებად რუსები მიუყენა, თვითონ კი აწიოკებულ სოფელში გავარდა.

იქ უკვე ხშირი სროლა, კივინი, ქალების წივილი, ცეცხლის ტკაცუნი და ბალღების ღნავილი ისმოდა. შავი ლანდები ჭრაქებით და ჩირაღდნებით დაჰქროდნენ და გიგოლას მიერ ნაჩვენებ სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ. არლოვი ივანიჩას, ლომოვისა და მოზრდილ ამალის თანხლებით მირბოდა და მარცხნივ და მარჯვნივ სასიკვდილო ბრძანებას ისროდა და წარა-მარად გაიძახოდა:

— აჯანყება სათავეშივე უნდა ჩავაქროთ, თორემ მერე გვიანღა იქნება.— და თანაც გაოცებული იყო, რომ აქამდის არ მოჰყავდათ შეიარაღებული ტყვეები, რომელნიც უკვე განწირული იყვნენ დასახვრეტად და ჩამოსახრჩობად.

ხელქვეითები საწადელს მიუხვდნენ და დილამდე ერეკებოდნენ ბოსლებში ბებრუცანებს, დედაკაცებს, ჭაბუკებსაც და ორსულებსაც, ბრმებსაც და ყრუმუნჯებსაც. ყველაზე მეტ ერთგულებას მუდამივით გიგოლა იჩენდა. ივანიჩაც მარდ აქლემივით დასდევდა. სალდათების თანხლებით რიგ-რიგად უვლიდენ სახლებს და ყველას ბატებსავით მოერეკებოდნენ.

დათუნა, ღვთისავარი და ერეკლე საკაცეებით შეიტანეს საჯინიბოში და მელანოც იქ შეაგდეს. შემდეგ ისევ მღვდლის სახლს ეცნენ და ზურას მიერ დახოცილი სალდათები გამოასვენეს.

მღვდელი აბრამი დიდხანს ანჯღრიეს და ტახტიდანაც ჩამოათრიეს, მაგრამ მაინც ვერ მოასულიერეს. ბოლოს გული გაუსინჯეს და სთქვეს:

— ჩაძალლებულა.

და მაგდანასაც დაეტაკნენ. შებილწული ქვრივი თმებით ... გარეთ და მისივე თვალწინ მისი სახლი ჩალასავით ააპრიალეს, მერე ის ... კონდახებით გამოიგდეს წინ და იმავე გომურში შეაგდეს, საცა მამაკაცები იყვნენ დამწყვდეული.

სოფელი დღესავით განათდა, თონესავით გახურდა და სასაკლაოსავით აბღავდა.

ბოლოს ყოველ მხრივ დაგზავნილმა მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, ირგვლივ სიწყნარეა და მტერი არსად არ მოსჩანსო. მაიორი გაოცდა, რადგან ეგონა, მარბადა უთვალავი ლაშქრით იქნება გარემოცულიო, და აღარ იცოდა, გახარებოდა თუ დაღონებულიყო. შემდეგ ნამდვილ საქმეს შეუდგა: ჯერ მაგდანას სახლში დახოცილი სალდათები იგლოვა, რომელთაც „ერთგულად შეასრულეს უწმინდესი ვალი და მოწამებრივ დასდეს თავი თვისი მეფისა და სამშობლოსათვის“. მერე მოკლე პატაკები დასწერა, ჭორი, ტრაბახი და დაბეზღება შეაზავა, ქალაქსა და ერევნისკენ შიკრიკები აფრინა, თავდადებულთა დამარხვის გრძელი წესრიგიც შეადგინა, ტყვეებით სავსე გომურები დაიარა, ძლევამოსილი ჯარიც შეათვალიერა და სწორედ იმ დროს დაბრუნდა ზაალის ეზოში, როცა ხელცარიელმა კუჭატნელმაც შემოალაჯა.

— დაეწია? დაიჭირე?

— ხუთი სოფელი მოვირბინეთ,— მოახსენა გიორგიმ,—მაგრამ ჩემი ცხენები ლურჯას და თქვენს ცხენებს როგორ დაეწეოდა?

ის კი დაუმალა, რომ მარინეს სოფელ ენაგეთში ერთმა უნიფხო ბიჭმა კუჭატნელს ხარის ბეჭი მიართვა, რომელზედაც ბატიფეხურად ეწერა: „თუ გული გერჩის, ამ სოფელს გამოსცდი. ჩვენ ოთხი და თქვენ თოთხმეტი“.

კუჭატნელმა ბეჭი ხევში მოისროლა. გული ძალიან ერჩოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ზირბითის კლდეში თოთხმეტ მდევარს მარტო არსენაც ეყოფოდა. და ცხენს რომ ველარ დაეწია, უნაგირს დაეტაკა: დავლად მარინეს დედ-მამა და ნათესავები გამოირეკა და მაიორს მოჰგვარა.

— გომურში შერეკეთ!—ბრძანა მაიორმა და ზაალს გადარჩენა მიულოცა.

— რუსის მადლი აუწერელია, ვეჟო.—უილაჯოდ მიუგო უძილობით დათენთილმა ბატონმა და სოფელში გასასვლელად შეემზადა, თანაც დაურთო:— უთქვენოდ ეს ტეტიები აღა მაჰმადზე უარეს დღეს დაგვაყრიდნენ, დარაგოი მაიორ.

იქვე სოფელ მუხათში ბარათაშვილს აზნაური ჯორაშვილი ჰყავდა—უპატრონოდ გაზრდილი შვილი სახელოვან ხაქარია ჯორაშვილისა, რომელმაც თავის დღენი ალექსანდრე ბატონიშვილს შეალია და „მიწის მგელის“ სახელი მოიხვეჭა. მუხათელ მუქთახორას მეტსახელად „ცალყურას“ უწოდებდნენ.

ერთხელ, ხუთიოდე წლის წინათ, ამ ჯორაშვილმა ზაალს რაღაც აწყენინა. დიდმა ბატონმა ჯერ მრავალი იქექა, მერე უცბად დადუმდა და ფეხაკრეფით ჩავიდა ეზოში, სადაც მისი უკმეხი აზნაური მწვადებს სწვავდა მისთვის. ჯორაშვილი კვირაში სამ დღეს მაინც ატარებდა მარაბდაში და ნებაყოფლობით ზაალის შინაყმად იყო გადაქცეული: ხელზე ემსახურებოდა, ყალიონს აწვდიდა,

მოურაობდა და ლაცაბიძესაც ეჯიბრებოდა. შინაგნაური მწვადის შეწვას, კატლეტის მოხრაკვას და ჩიხირთმის მომზადებას არავის არ ანებებდა — მართლა საუცხოოდაც აკეთებდა.

აზნაური ჯორაშვილი ბატონის განრისხების შემდეგ ეზოში ჩასულიყო და ცეცხლს მისჯდომოდა.

ზაალი ფეხაკრეფით ჩაჰყვა, მიეპარა, ხანჯალი ამოიღო, ჩაუქნია და ცალი ყური ცეცხლში ჩააგდებინა.

აკივლებული ჯორაშვილი სისხლის შესაყენებლად კნეინა ხორეშანთან ავარდა, ზაალმა კი ხანჯალი გაწმინდა. ქარქაშში ჩააგო და არხეინად წარმოსთქვა:

„ჩავათალე ღორსავითა!"

და როცა კნეინები გამოცვივდენ და მოურავ-შინაყმებიც მოგროვდნენ, ზაალმა მტკიცედ დაუმატა:

„ვეჟო, ყმის ყურიც ბატონისაა და თავიც. მე მაგის თავი არ გავიმეტე და ყურიღა ჩავათალე, ამაზე მეტი რაღა გინდათ!"

ჯორაშვილს მართლა მეტიც არა უნდოდარა: ბატონისაგან ყურის მაგიერი უნაგირიანი ცხენი მიიღო და ერთგულებას მოუმატა.

ნამცეცობა დღეს ავად იყო და ბატონის ნადიმს ვერ დაესწრო, მაგრამ როცა მარაბდაში ალი ავარდა, ცხენს მოაჯდა და ზაალს ეახლა, თანაც კეტებით და ხანჯლებით შეიარაღებული ყმები ჩამოუყვანა.

— ვეჟო, ბატონზე ყმის სამსახური არ დაიკარგება.—უთხრა გამხნევებულმა ზაალმა და ცალყურა აზნაური გვერდით ამოიყენა. ამოიყენა და აკლებულ სოფელში გავიდა.

— ბატონო, ნუ გვლუპავ! ბატონო, რას გვერჩი!—ყოველ მხრივ ისმოდა დამწვართა და შებილწულთა გოდება.

— ვეჟო, საიმისო რა მოხდა?—გაოცებით ეკითხებოდა ბატონი.

— საიმისო რა მოხდაო, თქვენი დედა და მამა!—იმეორებდა ჯორაშვილიც და ყველაზე მათრახით მიიწევდა.

— ხელმწიფეს ბეგარა მიეცით, ბატონისაც გადაიხადეთ და ყველაფერი გათავდება,—ურჩევდა ზაალი და ისევ გაოცებით კითხულობდა:—ამაზე მეტი რაღა გინდათ, ვეჟო?

— ამაზე მეტი რა გინდათ მეთქი, თქვენი დედა და მამა!—გაჰკიოდა ცალყურაც და ისევ მათრახს ატრიალებდა.

ასეთი რჩევა-დარიგებით ჩამოიარეს დამწვარი სოფელი და შინ დაბრუნდნენ. ცალყურამ დაიმკლავა და მზარეულობას შეუდგა, ბატონმა კი ოდნავ თვალი მოატყუა და როცა წამოდგა, მაიორს სთხოვა:

— ვეჟო, ეს შინაყმები არ წამართვა, ციხეში არ ჩაჰყარო, თორემ დამლუპავ და დამაქცევ.—და ცხელ საუზმეზე მიიწვია, თანაც ეზოს გადასძახა:—ჯორაშვილო სადა ხარ? მწვადი არ დასწვა!

— არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონო.—და აზნაური ცხელი შამფურებით ამოძვრა ეზოდან.

გომურებიდან პატიმრები ზაალის საჯინიბოში გადმოიყვანეს, იქიდან ცხენები გამოიყვანეს, ეტლიც წაართვეს და ერთად-ერთი სანადურიც გამოუღესეს.

ბიბლიოთეკა

დიდი შენობა ისე გაიტენა ხალხით, რომ კარის შეღებაც კი გაძნელდა. შიგნით ქვესკნელისებური სიბნელე ჩამოწვა და საჯინიბო უზარმაზარ კუბოდ გადაიქცა, სადაც ასიოდე ცხენის ნაცვლად ხუთასამდე კაცი და ქალი ჩასჭედეს და ჰაერიც და სინათლეც დაუხშეს. პატიმრებმა აწივებული ბავშვები ბაგებში ჩაჰყარეს, თვითონ კი ზეზე იდგნენ, ერთმანეთს ვერც კი სცნობდნენ, იწყევლებოდნენ, იმუქრებოდნენ, ურთერთს უწმინდურებით სვრიდნენ და წყალსა და ჰაერს მოითხოვდნენ, მაგრამ პასუხად გარედან უშველი გინება და მუქარაღა ესმოდათ.

მოურავმა ბატონს მოახსენა: დაპატიმრებული დედაკაცები გთხოვენ, მამაკაცებს მოგვაშორეთ და სხვაგან დაგვაწყვდიეთ, თორემ ჩვენი შერცხვენა პატიმრობაზე უფრო უარესიაო.

— ვეჰო, მე რა მაგათი ვექილი ვარ?—წამოიძახა ზაალმა.

— რა მაგათი ვექილია ბატონი!—დააყოლა ჯორაშვილმაც.—თუ თავი გაგიმეტებია, წადი და მაიორს სთხოვე.

მოურავს თავის გამეტება არ უნდოდა და ამიტომ მაიორს ვერა შეუბედარა და ისევ დუმილი არჩია.

ასე გავიდა რამოდენიმე საათი. ოხვრა კვნესად გადაიქცა, კვნესას ჩივილი დაერთო, ჩივილს ყაყანი მოჰყვა და ბოლოს ამ საერთო საფლავიდან გმინვამ და მუდარამ ამოხეთქა.

რათა კნეინები სასაკლაოს ბღავილით და სალახის სიმყრალით არ შეწუხებულიყვნენ, ზაალმა თავის ჯალაბობა დილითვე ორბელიანებთან გაგზავნა კოდაში, კნეინა ხორეშანმა კი კარი ჩაიკეტა და მის სანახავად რამოდენჯერმე მოსული ზაალიც კი არ მიიღო.

ეხლა აივანზე ოთხნი დადიან ორ ჯგუფად: ზაალი და დავითი, არლოვი და ლომოვი.

— შვილო, არ შეგვრჩება, გადაგვიხდიან.—ეჩურჩულებოდა ზაალი თავის შვილს.

— ფეხებსაც ვერ დაგვჭამენ.—და რუსის ჯარის მიერ ზურგმომაგრებული დავითი მარაბდელებს უარესსაც ჰპირდებოდა:—ისეთ დღეს დავაყრი, რომ ქალამანი და ჭინჭარიც კი ენატრებოდესთ.

— ბატონო მაიორ,—ჩუმად ეუბნება არლოვს კაპიტანი,—ჩვენი მიზანი გლეხების აკლება კი არ არის, არამედ ბეგარაზე გაყვანაა. ასე მიბრძანეს შტაბში.

— და თუ არც ბეგარაზე გადიან და არც პურს იძლევიან?—გესლით იკითხა მაიორმა.

— მაშინ, რასაკვირველია, ძალა უნდა ვიხმაროთ, მაგრამ... აბა ყური მიუგდეთ, მგონი მზად არის.

და ყური მიუგდეს საჯინიბოს, საიდანაც გაურკვეველი ხმაურობა ისმოდა.

— ჩემს გამოცდილებას დაუჯერეთ მეთქი. ჯერ მზად არ არის.—მიუგო არლოვმა. ლომოვმა დაუჯერა და გაჩუმდა. ხმაურობა მატულობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მგონი მზად არის.—დროგამოშვებით ამბობდა კაპიტანი.

— ჯერ არა მეთქი.

ეზოში აფიცრები, ფელდფებელები, უნტერები, ბოქაულ-ბასაქალები, მოურავები და გზირები ტრიალებდნენ და ახალ ბრძანებას ელოდებოდნენ. ბოლოს, როცა საჯინიბოდან ბლავილი გამოვარდა, მაიორმა წარმოსთქვა:

— ეხლა კი მზად არის. დავიწყოთ.

და დაიწყეს. საჯინიბოდან რამოდენიმე კაცი გამოჰყავდათ და თითო-თითოდ შეჰყავდათ მაიორთან, რომელიც აფიცრებით იყო გარშემორტყმული და ფაშასავით იჯდა გამოჭიმული. თითო კაცზე თითო წუთი იყო გადადებული.

— ან ციმბირი ან პური და ურემი. აირჩიე.—ეუბნებოდა გლეხს დავითის პირით მაიორი:

— მე... შენი ჭირი მე... წვრილი ცოლშვილი მყავს და არაფერი არ მაბადია, ამიტომა...—ლულლულებდა ცრემლმორეული გლეხი, მაგრამ სათქმელი ერთმაც ვერ დაასრულა.

— ხმა, კრინტი!—შეუტევდა ხოლმე დავითი.—ციმბირი თუ ბეგარა მეთქი? ან ჰო, ან არა. სთქვი და გაათავე!

გლეხი ყოყმანობდა, ოხრავდა და ბუზღუნით ათავებდა:

— ციმბირს ისევ ბეგარა სჯობია. ცოლშვილს დავაგირავებ და პურსაც ვიშოვი.

— თუნდ დაგირავე, თუნდ გაჰყიდე. ჩემი ღალეპი?—ჰკითხავდა დასასრულ ახალგაზრდა თავადი და გაროზგვის, აკლების და გაციმბირების მუქარით ჯერ დაპირებას ამოჰგლეჯავდა და მერე გაუშვებდა. გადამწერი დაკითხულის ვინაობას ჩაიწერდა, გლეხი კი ქუდმოშვლეპილი გარბოდა, რათა თუნდ ცოლშვილიც დაეგირავებინა და პირობა კი შეესრულებინა: ან ცოლშვილიანად სადმე გადავარდნილიყო, ან არსენა მოეძებნა, გვერდით ამოსდგომოდა და თავის დაღუპვის ანგარიში ბატონებისთვის ოდესმე ხანჯლის წვერზე ეიერთმია.

ასე განახევრდა თანდათან საჯინიბო. მხოლოდ გაჯოხილები, მაგდანა, ფიქრია, დათუნა, ღვთისავარი, მელანო, ერეკლე და ოციოდე გაბედული და საეჭვო გლეხიღა დარჩა.

ეზოში სასწორი დადგეს და ჭირნახულის აწონას შეუდგნენ. გლეხები ორმოებს აცალიერებდნენ და უკანასკნელი სარჩო მოჰქონდათ. სახაზინო ხორბალს ცალკე ტომრებით აგროვებდნენ, ბატონისას კი დიდ ბეღელში ჰყრიდნენ. ვისაც საკუთარი ხორბალი არ მოეპოვებოდა, მას უკანასკნელი ძროხა, ხარ-კამეჩი ან ცხენი გაჰყავდა მახლობელ სოფელში და ჩალის ფასად ჰყიდდა, შემდეგ ოთხ მანეთად ყიდულობდა ხორბალს და მაიორს ექვს აბაზად აბარებდა.

მაგრამ ასეთი გლეხი ვაის რომ გაექცეოდა, უმალვე ვუის შეეყრებოდა. ხორბლის ვალს იხდიდა და უსაქონლოდ რჩებოდა, მაიორი კი ხვალ დილისთვის მის ურემსაც ელოდებოდა, რომელიც მოგროვილ ხორბლით და ათასნაირ საომარ მასალით უნდა დაეტვირთათ და ერევნისკენ გაეგზავნათ. გარდა ამისა ხვალ „კანონის“ დღე იყო და მინდორში გუთანი უნდა გაეტანათ.

გუშინ მარაბდელები ანგარიშობდნენ, სამ გუთნეულზე მეტი არ დაგვრჩაო, ხვალ კი, როგორც სჩანდა, ერთი გუთნეულიც აღარ დარჩებოდათ. გამ-

ძვინებული შიმშილი უკვე კარს უკაკუნებდა მათ, მაგრამ გლეხებს მისთვის აღარ ეცალათ და იმაზე-ღა ზრუნავდენ, რომ შინშემოჭრილი „ქერა ჭირი“ როგორმე გარეთ გაეყვანათ და თვითონ კი ჭალებსა და მინდვრებში დასულიყვნენ საბალახოდ, სადაც დღეს ან ხვალ ყლორტიც უნდა ამოსულიყო და ბოლქვიც უნდა გაჩენილიყო.

როცა მაიორმა მარაბდა მოდრიკა, ჯარი პატარა რაზმებად დაჰყო და მახლობელ სოფლებსაც შეუსია. მარაბდელების აკლების ამბავი შორს გაფანტულიყო და გლეხობა უკვე გაეტეხა სულიერად. ამიტომ მეორე დღიდანვე იქიდანაც იწყო დენა ხორბალმაც და ურმებმაც. რაზმების მეთაურები მაინც ჩიოდნენ, უამრავი ხალხი გაიხიზნა და მდევარი დავადევნეთო.

უკვე გახიზნული გლეხები დრაგუნების და ყაზახების მოახლოვებაზე ცოლშვილიანად გარბოდნენ ტყეში, ხოლო ბებრებს, საქონელს და წვრილმანით დატვირთულ ურმებს მდევარს უტოვებდნენ სადავლოდ. და რადგან ასეთი ნადავლი ჯერ არსად არ იყო აღრიცხული, ამიტომ მდევარი მას იქვე სადმე ჰყიდდა და ამგვარ ვაჭრობით და ცარცვა-გლეჯით მიიწევდა წინ. აქა-იქ ზოგი თავმომწონე ახალგაზრდა მაინც წინ აღუდგა მოთარეშეს და ალგეთის ხეობა დროგამოშვებით დამბაჩების ბათქით და თოფის გრიალით ჰქუხდა, ცეცხლი კი მხოლოდ ხუთიოდე სოფელში ავარდა.

როცა მაიორმა სული მოითქვა, სამართალს შეუდგა. საომარი წესი იყო და როსტია-გუშაგი სამხედრო სასამართლოს გადასცა.

სამი აფიცერი შეგროვდა. მათ შორის დავითიც ერია. ზაალის სახლში დასხდნენ, მდივნად მაიორის „თვალი“ ივანიჩა-აქლემი მოისვეს და ბრალდებული შემოიყვანეს.

როსტია მეტად მოკრძალებული ჭაბუკი იყო და ეხლაც სცხვენოდა ეღიარებინა, თუ როგორ გააბრიყვა იგი უცნობმა ქალმა. ბოლოს მაინც აღიარა და ისე გაილიმა თითქო ყველაფერი გათავებულიყოს. მეოთხე აფიცერი მას ბრალს სდებდა, მაიორი კი განზე იჯდა, წითურ წვერს იწიწკნიდა და ისე უბღვეროდა მოსამართლეებს, თითქო მათ როსტიაზე უარესი სიავკაცე ჩაედინოსთ.

შემდეგ მოსამართლენი მეორე ოთახში გავიდნენ და სამიოდე წუთის შემდეგ ისევ გამოვიდნენ. როცა თავმჯდომარე განაჩენს კითხულობდა, ყველანი ფეხზე იდგნენ და როსტიაც კონდახის წაკვრით ააყენეს. დავითმა განაჩენი ბორძიკით გადმოუთარგმნა:

— რადგან დიდი დანაშაული ჩაიდინე... საომარი წესების დროს... ვინაიდგან... ამიტომ... დახვრეტა გამოგიტანეთ.

როსტიამ ისევ წელანდელივით გაიღიმა. ამგვარი ღიმილით მხოლოდ ის იღიმება ხოლმე, ვინც მტკიცედ იცის, რომ მას ატყუებენ, იცის და თვითონაც ხუმრობს და მატყუარას ატყუებს.

როცა გაჰყავდათ, ისევ იღიმებოდა. მარანში რომ ამწყვდევდნენ, მაინც იღიმებოდა. ერთი საათის შემდეგ ისევ გამოიყვანეს და ალგეთზე ჩაიყვანეს.

„მაშინებენ“—ჰფიქრობდა კახელი და კვლავ იღიმებოდა.

რაც მარაბდაში ჯარი დარჩენილიყო, იქ მოეგროვებინათ. განწირული მილიციელი პანტის ხეზე მიაკრეს. ის კი მაინც ისე იღიმებოდა, თითქოს ამბობდა: ვერა, ძმაო, ვერ მომატყუებთო.

მის პირდაპირ მილიციელთა რაზმი იდგა. რადგან როსტია ყველას იცნობდა, მწყობრს თვალი მოავლო და ამათაც ჩაუღიმა, მაგრამ ვერაფერი ვერ დაუბრუნა. ყველა ისე მოღუშულიყო, თითქო საერთო ძმას ეარსებულიყო.

— დედ-მამასთან ხომ არაფერს არ დამაბარებ?—ჰკითხა მას მისმა აფიცერმა და მეზობელმა ჯორჯაძემ.

— რა უნდა დაგაბარო?—გაოცებით უპასუხა როსტიამ და დაუმატა:—საღდგომოდ ვნახავ და თვითონვე ვეტყვი.

ჯორჯაძემ გაოცებით შეხედა როსტიას და გატრიალდა.

როსტიამ უცებ თავის ძმას სულხანს მოჰკრა თვალი და იმასაც გაუცინა. სულხანიც მწყობრში იდგა და ისეთი ფერი ედო, თითქოს ეს-არის ალგეთიდან ამოიღესო, იდგა და ვითომ იმასაც თოფი უნდა ესროლა მისთვის! ეს კი მეტისმეტია!

„არც ასეთი ხუმრობა ვარგა.—გაიფიქრა როსტიამ.—თუმცა სულ ერთია, ჰაერში გაისვრიან, გამომცდიან. როგორი ვაჟკაციაო, და მერე ამის მიხედვით დამსჯიან“.

სულხანი ვერხვივით თრთოდა. უნცროს ძმას რაღაც ეჭვი შეეპარა და გაგზარულ ხმით შესძახა უფროს ძმას:

— ბიჭო სულხან, ეს რა ამბავია? მართალია თუ მატყუებენ?

პასუხი ბარაბანების რახუნმა ჩაჩქმალა. აფიცერმა როსტიას საჩქაროდ აუხვია თვალები. ჭრელ ხელსახოცს რაღაც საამური სუნი ასდიოდა.

— მითხარი მეთქი, კაცო, მართალია თუ მატყუებენ?—ერთხელ კიდევ შესძახა როსტიამ და თითონაც კანკალი აუვარდა.

დოლების რახუნმა ხელახლა ჩაყლაპა მისი ხმა.

იმ აფიცერმა, ვინც ამ სისხლიან ამბავს განაგებდა, მათი ძმობა არ იცოდა და სულხანის თრთოლა და ყვირილი უბრალო აღელვება ეგონა, ამიტომ ამ მილიციელს მკაცრად დაუბღვირა და რაღაც მიაძახა. შემდეგ ოდნავ განზე გადგა და ამოღებული ხმალი ჩაიქნია.

ათმა თოფმა ერთად დაიგრიალა. ქუხილის ანარეკლი ჭალაში გავარდა. როსტიამ ჩაიჩოქა და თავი მოჭრილივით ჩამოიგდო, ხელები კი უკან ხეზე დარჩა აკრული.

ამავე დროს სულხანი ისეთი ბღალივით გამოვარდა მწყობრიდან, თითქო ნასროლი იმასაც მოხვედროდა. გამოვარდა და საოცარი სისწრაფით შეუდგა თავის თოფის გატენას, თანაც დაჭრილ დათვივით ბურტყუნებდა:

— ოოჰ, ძაღლებო!.. მხეცებო!.. მე თქვენ გაჩვენებთ როგორ უნდა უბრალოდ კაცის მოკვლა!

ნამდვილი მკვლელები დაფაცურდნენ, მწყობრი კი გახეევებული იდგა და წელანდელზე უფრო მეტად ცახცახებდა, მხოლოდ ერთმა შესძახა:

— ძმა მოუკალით და მა რა ჰქნას!

— დაიჭირეთ! შეჰკარით!—ლაფეთდა მაიორიც და დაშბაჩა იძრო.

სულხანი დაიჭირეს და შეჰკრეს. ის კი, გავეშებული და ჩოხა-შემოგლეჯილი, გაცოფებულ თვალებით ჰბურღავდა მაიორს, ძალზე მიიწევდა მასზე და გარშემოხვეულ მეგობრებს ეხვეწებოდა:

— ძმებო, მიმიშვით! ერთი წუთით მაინც მიმიშვით!

შებოჭილი სულხანი იმავე მარანში შეაგდეს, საცა წელამდე ტალახში იყო დამწყვდეული, და თოფი გაუსინჯეს. იგი დაცლილი აღმოჩნდა.

როცა დამშვიდდა, გამოჰკითხეს, მაგრამ ნამდვილი ვერავინ ვერ გაიგო.

— არ ვიცი.—ეუბნებოდა ყველას.—მიბრძანეს და მეც ვესროლე ძმას. ვინ იცის, მოვარტყი თუ არა... თვალები დახუჭული მქონდა და მიზანში არ ამომიღია, მაგრამ...—და სათქმელს აღარ ათავებდა.

მაგრამ შესაძლებელია ძმამ ძმის სისხლი დაჰლვარა და ამიტომ დანარჩენ სათქმელს გულშიღა ათავებდა. მაიორმა მისი გასამართლებაც მოისურვა, მაგრამ ძლივს დააჯერეს, გახელებულიაო, და ხელი ააღებინეს. მაინც თავისას გაიძახოდა:

— მერე რა, რომ ძმა იყო? რაკი ბრძანება მიიღო, ძმა კი არა, თავის ცოლშვილიც უნდა დაეხოცნა და დედ-მამაც.

ოქმი მაინც შეადგინა და მეორე დღეს სულხანიც ქალაქში გაგზავნა.

გაროზგილი დათუნა, ღვთისავარი და ერეკლე ურმებზე დააწვინეს, ხელშეკრული სულხანი, მელანო, მაგდანა და ათიოდე ბრალიანი და უბრალო კი ფეხით გარეკეს ქალაქისკენ.

როცა კუჭატნელის რაზმით გარშემორტყმული პატიმრები დაძვრას აპირებდნენ, მაიორი აივანზე გადმოდგა და გაიბადრა. ფიქრია მიხვდა, რომ არლოვი მისთვის დაილრიჯა და თითქოს ეუბნებოდა: „ეხლა სადღა წამიხვალო.“ მიხვდა და ჯერ ძუ ფოცხვერივით შეუბღვირა და მერე ზურგი შეაქცია. მისი დედა იცრემლებოდა. ფიქრიამ მელანო შეანჯღრია და შეუტია:

— დედი, რა გემართება! მტერი თვალებში გიცქერის და ნუ გაახარე.

მელანომ ცრემლი შეიშრო, მაგდანამ კი ფიქრიას მაჯაში მოუჭირა ხელი და უთხრა:

— აგრე, გენაცვალოს მაგდო. გეტყობა, რომ შენც არსენას ჯიშისა ყოფილხარ.—და ორი ქალი ისე დაიძრა, თითქო სასეირნოდ მიდენილიყვნენ.

ზაალმა ძლივს გამოსთხოვა არლოვს თავის შინა-ყმები—მეშთა, ლაცაბიძე, კარპიჩა და ლაშქარა. გამოსთხოვა და მალე ინანა, რადგან სამიოდე კვირის შემდეგ, როცა მათ ჯიხის ნაკრავი მოიშუშეს, ერთ ღამეს ყველანი არსენასთან გაიპარნენ და სხვებიც „გააბრიყვეს“.

პატიმრები რომ გაისტუმრეს, მეორე დღეს მარაბდაც დაცალიერდა. მათი ხორბალი მათივე ურმებზე დაუდეს, მათივე ხარ-კამეჩი შეაბმეინეს და მათივე ხელით შორს ერევნისკენ გაჰგზავნეს.

ასი წლის მახარა დაზოგეს და გამოუშვეს. ერთ მშიერ კატის გარდა ერთი სულიერიც აღარ დაუხვდა. ყურშაც კი გაქცეულიყო. ერთად-ერთი მაკე ძროხა იმ დილას სალდათებს დაეკლათ, ორი ხარი და ერთი კამეჩი კი ერევნისკენ გაერეკათ.

პაპა დირეზე ჩამოჯდა. დიდ ხანს იჯდა გახევებული. მერე თავის გუთნისდედობა გაახსენდა და სოფელში გალასლასდა. იქ სამი დავარდნილი ხარიღა იშოვა. შემდეგ სოფელს დაუძახა. დედაკაცები და ბებრებიც იმ ხარებივით შეაბა და ამას წინათ გამართული გუთანი მინდორში გაიტანა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც გაიტანა, რადგან მხოლოდ სიკვდილს თუ შეეძლო გლეხისთვის ხვნა-თესვაზე აეღებინებინა ხელი.

* * *

ზაალს ნატვრა მალე შეუსრულდა. იმპერატორი ნიკოლოზი უკადრისობდა, რომ მისი ამპარტავანი და სახელოვანი სარდალი ერმოლოვი, რომელიც დეკემბრელებს აღმოსავლეთის ტახტზე ასასვლელად ჰყავდათ ამოჩენილი, ეხლა „წუნკალ“ სპარსელებსაც ძლივს იგერებდა. მეფე მისგან მხნე შეტევას მოითხოვდა, მაგრამ ლომისა და მელიის ნაზავი „იარმულა“ უკვე დაბერებულიყო და შემტევად აღარ ვარგოდა. აბუზღუნებული ნაგმირალი მარტის დამლევს პეტერბურგში გაიწვიეს და მისი თანაშემწე უკრაინელი პასკა ანუ პასკევიჩი, ზაალის „ფალავანი და მეგობარი“, მთავარმართებლად დანიშნეს.

ამ ამბავმა მარაბდის ბატონს ყმების დაქსაქსვის ჯავრი შეუნელა ზაალი და უმალვე პასკევიჩთან გაიქცა, რათა მისთვის ხელი ჩამოერთმია და გაფანტულ გლეხების დაბრუნება და არსენას დაჭერა ეთხოვნა, რომელიც მეტისმეტად გათამამებულიყო და მარაბდას ნიადაგ ქორივით დასტრიალებდა.

— დაიჭირეთ!—მოკლედ მოსჭრა ერევნის ოცნებით გატენილმა პასკევიჩმა.

— დაიჭირეთ!—გადასცა ქვეით იმ მოხელემ, ვინც ეს ბრძანება მიიღო.

— დაიჭირეთ!—კიდევ უფრო ჩააქვეითა მაიორმაც, რომელმაც პასკევიჩის ხელის ჩამორთმევაში და თავის გმირულ საქმეთა გამოფენაში ზაალსაც დაასწრო და სხვებსაც.

— დაიჭირეთ!—გადაუგდეს თრთიალეთის მდივანბეგსაც, რომელიც ქალაქში ცხოვრობდა. მან ბოქაულს მიუგდო, ბოქაულმა მაზასახლისებს დაურიგა და ეს „დაიჭირეთ“ იმდენ ხანს აბურთავეს, სანამ იგა ისევ გიორგი კუჭატნელს არ ჩაუვარდა ხელში.

არლოვს ეთქვა, არსენას მხოლოდ კუჭატნელი დაიჭერსო, და დამჭერი დაიბარა. ისიც მაშინვე შეუდგა საქმეს, მაგრამ ქართველ ჩაფრებს და მილიციელებს აღარ ენდო, რადგან ისინი გავარდნილ მარაბდელს უკვე მოხიბლული ჰყავსო, და მათ ნაცვლად მაიორს ათი ყაზახი მოსთხოვა. არსენას ბუნაგის ასაკლებად ბარემ ასიც არ ეყოფოდა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ომის გამო მეტს არ მისცემდნენ და ამიტომ მაიორს ათიც ძლივს შეუბედა, თანაც ანგარიშობდა: არსენა ზოგჯერ მარტო დადის და, თუ მოვასწარი, ათი კაციც თავსაყრელიაო.

არლოვს მარაბდელი პატიმრები ქალაქში ჰყავდა დამწყვდეული. მათი საქმე ჯერ ვერ დაეძრა. ძხოლოდ ერთხელ გამოიწვია ფიქრია და როცა მშიშარა სოფლელის ნაცვლად კლდე-ქალს წააწყდა, ჟინის დაცხრომა მცირე ხნით გადასდო. საცაა შულავერში უნდა გადასულიყო და საქმესაც იქ დაასრულებდა.

პასკევიჩმა მთავარი ლაშქარი 1827 წელს მაისის დამდეგს დასძრა შულავერის და მარნეულის მინდვრებიდან, მაიორი კი შულავერში გადასვლას ივლისშიც ძლივს ახერხებდა. მან კუჭატნელს ათი ყაზახი დაუთმო და ერთი საქმეც დაავალა: მარაბდელი პატიმრები შულავერში უნდა გაეყვანა და იქიდან არსენას საძებნელად თრიალეთზე გადმოსულიყო.

— ადვილი საქმეა.—მიუგო გიორგიმ.—ქალაქშიც მე ჩამოვიყვანე და აქედანაც მე წავიყვან.

და წაიყვანა. პატიმრებს ყაზახები შემოარტყა და გაზაფხულის მწვავე სიცხეში ორი დღის სავალზე ქალიც და მოხუციც ფეხით გამორეკა.

... მზე დასავალს იყო როცა გორულიდან წამოსული არსენა კოდას მოადგა.

— აი აქ გაიყარა ჩვენი გზები.—უთხრა მან ორ დაძონძილ კაცს, რომელნიც თან მოსდევდნენ.—თქვენ თელეთ-ორთაჯალის გზით უნდა წახვიდეთ ქალაქში, მე კი მარცხნივ უნდა გაუხვიო.

მარცხნივ აუხვევდა, კოჯრის ქვემოდ თაბორის ქედს გადმოლახავდა და ისიც საბაჟოსთან ჩავიდოდა. არსენა ამ ორ თვეში ქალაქში მეხუთეჯერ ჩადიოდა. ყოველ ჩასვლაზე მარაბდელი საპატიმროს დასუნავდა, როგორც მგელი სუნავს ხოლმე ფარეხს, და რაკი ნახავდა, რომ საპყრობილე მაგრად იყო ჩაკეტილი, მარაბდელ პატიმრებს რაიმე შვებას მისცემდა, ფულსა და საცვალს დაუტოვებდა და ისევ თრიალეთისკენ გამობრუნდებოდა.

დაძონძილი სიმონა და ოსტაპი მეათეჯერ შეეეედრნენ ოძელაშვილს:

— ძმაო არსენ, შენთან წაგვიყვანე და გვიპატრონე, თორემ ასეთ ძაღლურ ცხოვრებას ისევ ოსმალების ტყვეობა გვირჩევნია.

— არა ძმებო, არ შეიძლების.—ისევ უარზე შესდგა მარაბდელი.—სანამ ჩემ ერეკლესავით არ გაგიცნობთ, ვერ გენდობით. რომ კიდევაც წაგიყვანოთ, ტყის ძმები არ მიყაბულებენ. მაინც არხეინად იყავით. ჯერ ქალაქში თქვენს ვინაობას გავიგებ, მერე მოგძებნით და რაიმე სახიფათო საქმეს დაგავალებთ. თქვენც პირნათლად შეასრულეთ და წაგიყვანთ. ეხლა კი დუქანში შეეიდეთ, ერთი ჩვენებური სუფრა გავშალოთ და ერთმანეთს გზა დაულოცოთ.—უთხრა და გზატკეცილს ასცდა, სახლებს მოუარა და ერთ დუქანს მიადგა ეზოდან.

დუქნიდან ვიღაც დაბალმა და მეტად სრულმა ახალგაზრდამ გამოიხედა. მედუქნე ლოპიანა გრიგოლ ორბელიანის ნაყმევი იყო და მისივე შენობაში ვაჭრობდა. სანამ ომი დაიწყებოდა, მედუქნე ღვინოს ხელადობით ჰყიდდა და სულს ლოქოსავით ღაფავდა, ეხლა კი რუმბობით ასალებდა და თვითონაც სავსე რუმბს დაეშვანა.

არსენას დანახვაზე ლოპიანა ერთ ხანს პირღია გახევდა, მერე გარეთ გამოვარდა და მოკლე მკლავების ქნევით არსენას მარჯვნივ შესვლა ანიშნა, და როცა სამივე მგზავრი პაწია ფიცრულ ოთახში შეიყვანა, ნაშინდა ამოიღო ღვინით და ხრინწით გაკღენთილი ხმა:

— ვაა, არსენ, ასე აშკარა სიარული გაგიხდია?!

— რაკი დავდივარ, მაშ კიდევაც გაგონილა. აბა, მოიტა ღვინო, მწვადები, მწვანილი, თევზი, მოთალი და ახალი ამბები. ჩქარა ამოალაგე!

მედუქნე ისევ გაგორდა და მალე ფეხაკრეფით შემობრუნდა. სუფრა რომ გაშალეს და თითო ჯამიც დასცალეს, არესანამ შეშინებულ მედუქნეს ჰკითხა:

— როგორა გყავს საქონელი, ცოლშვილი და როგორ მიდის შენი დუქნის საქმე?

— ეჰ, ჩემო არსენ, ეს ომი რომ არ ყოფილიყო, დუქანს ისევ ხვნა-თესვა მერჩივნა.—მიუგო ლოპიანამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი ბიძაშვილი ბალო რასა იქს?

— რას უნდა იქმოდეს? სომეხია, მაგრამ დუქანი ჭირივით ეჯავრება, გამეყარა და ხვნა-თესვა დაიწყო. ღმერთს გეფიცები, ლამის ვიფიქრო, რომ ჩემს დეიდას ვინმე ქართველი მიეპარა და ბალო გააჩენინა.

დეიდის უდიერ გაბსენებაზე არსენამ შუბალი ფიცარა და საუბარი სხვა არხში გადააგდო:

— იქითა მხრიდან რა ისმის?

მედუქნემ უცებ ისე დაუწია ხმას, რომ თვითონაც ძლივსღა ესმოდა:

— რუსებმა თურმე ნახჭევანი, აბას-აბადი და სარდარ-აბადი აიღეს, გაგიგია?

— გავიგე.—უპასუხა მარაბდელმა.

— საცაა ერევანსაც მიადგებიან, ესეც იცი?

— ვიცი. შენ აქაური ამბავი მითხარი.

— აქაური რა გითხრა, არსენ-ჯან! შენი ბრძანება შევასრულე და პაპა-შენს ერთი თაღარი ხორბალი, ერთი გუდა ყველი, ერთი ქილა ერბო და ცოტა ღვინოც გაუგზავნე და არც „იქ" ვაკლებ. ამას წინათ ქიტესას იმდენა ნუზლი გავატანე ქალაქში, რომ თქვენიანებს ერთ თვესაც ეყოფათ.

— ყველანი კარგად არიან?

— ყველანი, არსენჯან: ღვთისავარიც, დედაც, დაც და ერეკლეც. შენ ისევ ქალაქში ხომ არ მიდიხარ?

— მივდივარ. შემატყობინეს, უნდა შულავერში გადმოიყვანონო. არ გაგიგია?

— არ გამიგია. ე მანდ გზაში არაფერი არ აუტეხო, თორემა...—და უცებ წამოიძახა:—ვაიმე! ჰარიქა, თავს უშველე!

არსენამაც გაიხედა სარკმელში და კინაღამ თვითონაც წამოიძახა „ვაიმე". ეზოში კუჭატნელის მეთაურობით ათიოდე ცხენოსანი ყაზახი შემოვიდა და შუაში-ჩაყენებული პატიმრებიც შემოიყვანეს.

არსენას თვალები ფოცხვერსავით აენთო, რომელიც ცხვარს ეპარება. ერთ წუთს ასე იდგა, მერე კარებისკენ გახტა, ხანჯალზე გაიკრა ხელი და მეგობრებს დაწოლა ანიშნა. ოსტაპი და სიმონა ქვებივით დაეცნენ იატაკზე.

— გადი და უთხარი, ჩუმი ხმით უბრძანა არსენამ ლოპიანას,—უთხარი, ამ ოთახში ვიღაც დიდ კაცს სძინავსთქო და ამაზე მეტი კრინტიც ალარ დასძრა. მერე შემოდი და მიამბე.

გაფითრებულმა მედუქნემ ფეხები ძლივს დასძრა და კარი ჩუმად გაიხურა, არსენამ კი კედელში ჭუჭრუტანა იპოვა და ზედ მიაკვდა.

აგერ ბამა მისი ღვთისავარი. როგორ გაჭაღარავებულა და რა გრძელი წვერი გაუშვია! მაინც ყოჩაღად ყოფილა. ხელები შეკრული აქვს, სიცხითაც დათენთილა, მაგრამ ცალ თვალს მაინც ბებერ ლომივით ატრიალებს.

გვერდით ერეკლე უდგას. თითქო კიდევაც დასრულებულა, მაგრამ ეს ხომ ხაშმის სისრულეა.

აპა მელანოც. საწყალი დედა, რამდენს დაიტანჯებოდა! ყველას დარდი ამან უნდა გამოიტიროს და ყველას ვარამიც მანვე უნდა ჰზიდოს. აკი უზიდნია კიდევაც: სულ მოხრილა, ჩამჭკნარა და ჩაზიდულა.

აი ფიქრიაც. "ყოჩაღ ქალო! ყველაფერში არსენობა გეტყობა". წარბიც არ შეუხრია. დედა მკლავით უჭირავს და ალბათ სიარულშიც, ბმგელოდა.

არც მაგდანა დაუვარდება ფიქრიას. ისიც მხნედ გამოიყურება და კაპას დედა-არწივს დაჰგვანებია. ყველას ალბათ არსენას მიერ უხვად მიწოდებული საჭმელი შეჰრგებია.

მაგრამ რა ღმერთი გასწყრომია დათუნას! ეხლაც კი დაყუდებულივით გულმშვიდია. გამხდარა, ჩაყვითლებულა და ნამდვილ „სულ ერთიად" გადაქცეულა. იმის მაგივრად, რომ ფიქრიასთან მაინც ვაჟკაცობდეს, თვითონვე მოსავლელი და სანუგეშებელი გამხდარა. „არა ჩემო დათუნი, შენ თვითონვე გახდები ჩემი დის საპატრონებელი".—გაიფიქრა არსენამ და შეკრთა, რადგან კუჭატნელმა ცხენი თავლისკენ წაიყვანა, იქ კი არსენას ლურჯა ება და მაშინვე იცნობდა.

მაგრამ—„ყოჩაღ ლეკო!"—გამზათმა ცხენი ჩამოართვა და საჯინიბოში შეიყვანა. „მიკვირს,—თვითონაც გაოცდა არსენა,—მიკვირს, ამოდენა დევი კაცი მაშინ როგორ წავაქციე. ნეტა იარაღზე რომ მივიდეს საქმე... მივა, ალბათ როდესმე მივა"—ჰფიქრობდ, ოძელაშვილი და ხვალინდელ მოპირდაპირეს ეხლავე ათვალიერებდა.

გიორგი შუა ეზოში იდგა და დაბალი ხმით იძლეოდა განკარგულებას. ყაზახებმა ცხენები გააგრილეს, წყალი დაალევინეს, თავლაში შეიყვანეს, პატიმრებიც შიგ შერეკეს, გარედან ერთი გუშაგი მიუყენეს და თამბაქო გააბოლეს.

ლოპიანა სწორედ ამ დროს მივიდა კუჭატნელთან, რაღაც უთხრა და დუქანში შეიპატიჟა. გიორგიმ თან გამზათი გაიყოლა და გაჰყვა.

კარგა ხანი გავიდა. არსენა ისევ კუთხეში იდგა და გამალებით იგრეხავდა ულვაშებს. წარბი აჩქარებით უხტოდა.

— კარგი დრო გაქვს, არსენ.—ჩურჩულით შემოგორდა მედუქნე.—ალბათ ყაზახები არ გიცნობენ. ცხენსაც ეხლავ გამოიყვანს ბიჭი. აბა, გასწი!

— არა, არ მივდივარ.—დინჯად მიუგო არსენამ.

— ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო!

— მე ჩემ ჭკუაზე ვარ.

— მაშ მე გამაგიჟებ.

— ნუ გეშინია, შენც შენ ჭკუაზე დარჩები. ეხლა წადი და თუ მოხდეს რამე, ისე დაიჭირე საქმე, ვითომ სულაც არ მიცნობდე. გაიგე?

მედუქნე ჯერ უარესად გაფითრდა, მერე კი გაიგო და გავიდა, ის კი ადრევაც იცოდა, რომ არსენასთან შეკამათება არავის არ გამოადგებოდა. ოძელაშვილმა ცოტახანს კიდევ იწიწკნა ულვაშები და უცებ სიმონას ეცა:

— სიმონ, ტყუილის თქმა შეგიძლია?

— შეთვინ რა არ შემიძლიან, ძამო!

— მაშ ყური მიგდე. დუქანში გადი, დაჯექი, ღვინო მოითხოვე და იმ დიდ კაცს, ეხლა რომ ეზოში იდგა, ყველაფერი უამბე რაც კი გორულში გადაგეხდა. ნურც ჩემ გვარს დამალავ, გაიგე?

— ძალიან კარგად გავიგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე პატარა ტყუილიც დაუყოლე. კოდასთან რომ მოვიდეთ, არსენამ ზევით აუხვია და კოჯრის გზით ქალაქში წავიდათქო. შეგიძლიან?

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი. შესძლებ მეთქი?

— მაგაზე ადვილი რაღა იქნება!

— მაშ, ჩემი ბედი და ხუთიოდე კაცის ბედიც შენზე ჰკიდია. ფაგრად იყავი. ტყუილი არ შეგატყონ. აბა წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს.—და კარი თვითონვე გაუღო და გაისტუმრა.

ოსტაპმა ვერაფერი ვერ გაიგო და ჯერ საჭიროც არ იყო. კარგა ხანი გავიდა. უცებ დუქნიდან გამოვარდნილმა ლეკმა ხუთიოდე ნახტომით გადასერა ეზო და თავლაში შევარდა.

„გასჭრა“!—კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა არსენამ და თვალი ჭუჭრუტანაში შეჰყო. გამზათს კუჭატნელი გამოჰყვა. სიმონაც თან მოჰყავდა და ეუბნებოდა:

— თუ მომატყუე, იცოდე, ხუთი შოლტის ტყავს გაგაძრობ.

— შე კაი კაცო, რა მაქვს მოსატყუებელი?—მიუგო ქვიშხელმა.

— გესმის?—დაუძახა ათისთავს კუჭატნელმა.—მე ისევ ქალაქში უნდა დავბრუნდე და სანამ არ ამოვიდოდე, ეს კაციც იმ პატიმრებთან ერთად შეინახე, აბა, დარიგება აღარ გჭირდება. ფრთხილად იყავი. თუ დილაზე ვერ ამოვედი, პატიმრები შულავერში აიყვანეთ და უკანვე გამობრუნდით. ეს კაციც თან წამოიყვანეთ, იქ არ დატოვოთ.—და სიმონაზე მიუთითა.

ლეკმა ორი შეკაზმული ცხენი გამოიყვანა. ორივენი მოასხდნენ და ქალაქისკენ გაუტიეს, არსენა კი გულში იცინოდა და ხელებს იფშვნეტავდა, რადგან ეშმაკობით ორი მთავარი მტერი მოიშორა, რომელიც იმის ანგარიშით ათს დარჩენილსაც უდრიდა.

— გასჭრა, ოსტაპ, გასჭრა!—ჩასჩურჩულა მან უკრაინელს და გაულიმა.—მართლა, მკლავი და გული როგორი გაქვს? კეტს ვერ დაატრიალებ?—და მკლავი გაუსინჯა.—ბიჭოს, კეტს კი არა, შენ ბოძსაც კი სახრესავით მოიქნევ. მაშ შენი იმედი მექნება.

ოსტაპმა ყურებზე გადაილაგა ულვაშები, მაგრამ ხელი რომ გაუშვა, ისევ დაყირავდნენ და სიმინდის ვეება ფოჩებივით ჩამოეშვნენ.

ლოპიანა დაფეთებული შემოგორდა:

— ვაა, ეს რა ამბავია! ბიჭო არსენ, გულში რაღაც ჩაგიდვია და ხელი აიღე.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ. ეს ყაზახები ეხლავე დუქანში შეიყვა და მოტკბო ღვინო მიართვი. რუსები არიან და უყვართ. მაგრამ სული არ მოათქმევინო. შენც მიუჯექი, დაუსხი და დაალევინე. როცა შეხურდებიან, მეც მოგეშველები. ხმელი თევზის გარდა მეტი არაფერი არ მისცე, თორემ ღვინო აგრე მალე არ გასჭრის. აბა, გასწი!

— დამაცა, მათქმევინე...

— გასწი მეთქი, თორემ გავჯავრდები!

— მივდივარ რაღა! ოღონდ შენ ნუ გაჯავრდები და თუნდ ჩემს მარანსაც დავაცლევინებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა და ჩაფების დაცლას შეუდგა. ყაზახები უფასო ღვინოს ხარებივით სვამდენ და მალე სიმღერაც დააყოლეს.

Нам ученье ничего,
Между прочим тяжело.
Перевернешься — бьют,
Недовернешься — бьют.

გარეთ გუშაგიც აღიღინდა. ოსტაპმა ლობიდან სამ-ადლიანი მარგილი ამოაძრო და დაბრუნდა. დაბრუნდა და შეამჩნია, რომ მარაბდელს თვალები ნაკვერცხალივით უკრიალებდა და ცალი წარბი გამალებით უხტოდა. არსენამ ოსტაპი დაარიგა და როცა დუქნიდან „ჩიკა-ჩიკაც“ მოისმა, უთხრა:

— აბა, ეხლა კი მომყე! — და ორივემ დუქანში შეალაჯა.

შეალაჯა, თავთ წაადგა და შესძახა:

— „ზდრასტი რუსო, — გამარჯობა“!

— ზდრასტი გრუზო, — გაგიმარჯოს!

— „კუდა იდოშ, — საითკენა“?

— „ერთი ბიჭი გამოგვექცა. სახელად ჰქვიან არსენა. თუ ვისმეს გაგეგონოს, გვინდა იმის დაჭერა“.

— არსენ ვის არ გაუგია, მაგრამ ყველას წაუგია. უგემნია აუგია ვისაც მახე დაუგია.

— სამოც თუმანს დაგვპირდიან, ერთი კაცი სად წაგვივა! მივესევით და შევბოჭავთ, თითო ლუკმა ძლივს მოგვივა.

— მაშ არსენა არ გცნობიათ, თქვენ ქარს დასდევთ მინდორშია. ცოლი, შვილი შეიბრალეთ, ნუ ჩადგებით ცოდოშია.

— ერთი ბიჭი ჩვენ რას გვიზამს, თორმეტი ვართ მგლებივითა!

— გეუბნევით, გონზე მოდით, ყველას გიფრენს შვლებივითა.

— ისე გვირჩევს ეს ვილაცა, თითქოს იყოს თვით არსენა.

„ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიცინა ნელა-ნელა“.

„ნაბადი გვერდზე გადიგდო, თოფი ფეხზე შეაყენა“, შეაყენა და იქექა:

— „მე თვით გახლავარ არსენა“. —

დასჭყივლა უცებ მარაბდელმა და ორი დამბაჩა დაუმიზნა. — აბა, დაწექით, თორემ გაგათავეთ!

ყაზახები წამოცვივდნენ, მაგრამ ისევ დასხდნენ და შემდეგ დაწვნენ კიდევაც, რადგან თოფები ზედ არა ჰქონდათ და ხმლით ვერ შეუბედეს.

სანამ დაფეთებული ყაზახები სკამების ქვეშ იხიზნებოდნენ, ოსტაპმა კუთხეში მიყუდებული მათი ცხრა თოფი ფიჩხივით ამოიჩარა იღლიაში, იქვე გარეთ გადაჰყარა და მარგილი დაატრიალა.

მხოლოდ ათისთავი და ორი სხვა ყაზახი გაკერპდა და ხმლები იშიშვლეს.

— ბიჭოს! — შესძახა არსენამ. — თქვენც ვაჟკაცები ყოფილხართ. მაშ განი! — დამბაჩები ოსტაპს მიაჩეჩა და: — მე სამიც მეყოფა, შენ კი ისტაპ, მაშინვე შუბლი გაუხვრიტე თუ ვინმემ წამოიწია.

თვითონაც გორდა ააკამკამა, თითისტარივით აიბზრიალა თავზე, შუა დუქანში გავიდა და სამივენი გაიწვია:

— ყაზახებო, სამივე ერთად გამოდით, თორემ ცალ-ცალკე თითო ლუკმადაც არ მეყოფით.

ეროვნული

დანარჩენი ყაზახები კედლის ძირში გაინაბნენ. ლოპიანი ... ქვემ შეძვრა. ოსტაპი არსენას მიერ გადაცემულს ორთავ დამბაჩას უმიზნებდა ქვედაყრილ ყაზახებს და განძრევის ნებასაც არ აძლევდა.

ათისთავმა ორ თანაშემწეს თვალი უყო და სამივე ერთად გადმოხტა. არსენამაც განზე ისკუპა და იმავე წამს ერთ მათგანის ხმალი ბზრიალით დაეტაკა დაბალ ჭერს და ოსტაპის წინ დაეცა, რომელმაც მაშინვე ფეხი დაადგა მას. იარაღაყრილი ყაზახიც უმალვე კედელთან მიწვა.

მეორე ნახტომზე ოძელაშვილმა მეორეს ყუით დაჰკრა ხმალი და კინაღამ მაჯა ჩაუმსხვრია. ამ ყაზახის ხმალიც კვნესით გასხლტა დახლის ძირში. ათისთავმა მარაბდელს გაშმაგებით შემოუტია და ხმლის წვერი ორჯელ გაუზუზუნა თავთან. არსენამ ძლივს აიცდინა და აღტაცებით შესძახა:

— ბიჭოს!

ათისთავმა მესამეჯერაც აუკრა ხმალი და ოძელაშვილი კინაღამ ხელცარიელი დასტოვა.

— ყოჩაღ!—შეჰყვირა მარაბდელმა და დაუმატა:—ეხლა კი ჩემი ჯერია და გამაგრდი!

და ცხვირ-წინ, თავზე და მკერდის ირგვლივ ფოლადის რკალები დაუტრიალა. მისი ხმალი ხან კრაზანასავით ბზუოდა, ხან წკეპლასავით შხუოდა, ხანაც გველივით სისინებდა და ყოველ წამს მზად იყო ყაზახისთვის ან თავი მოეკვეთა კიტრივით, ან იგი შუაზე გაეპო საზამთროსავით, მაგრამ ცხადი იყო, რომ არსენა ათის-თავს ინდობოდა და სხვა რამეს უპირებდა.

ყაზახი დაიბნა, ხმალს აღარც კი უმიზნებდა და უილაჯოდ იქნევდა. მერე იგი ხელიდან გაუშვა, ჩაიჩოქა და უმწეო თავი უმწეო ხელებით დაიფარა.

არსენამ მახვილი აღმართა და ჰკითხა.

— ცოლი ესტ?

— ესტ, ესტ!—დაიძახა რამოდენიმე ყაზახმა.

— შვილებიც ესტ?

— ესტ, ესტ!—უპასუხეს სხვებმა.

— კიდევ ხოჩიშ არსენა დაიჭირო?

— ნეტ, ნეტ!—ეხლა კი იკადრა ათისთავმა პასუხის მიცემა. .

— მაშ ადექი.

თვითონ კი ხმალი ჩააგო, გულხელი დაიკრიფა, შიშნაჭამებს გადახედა და შესძახა:

— ნას კაკოი ბიჭი ვარ, ეხლა ხომ სცანით არსენა!

რა თქმა უნდა იცნეს და ერბოსავით მოლბნენ.

ოსტაპმა ყველას ჩამოუარა, ხმალ-ხანჯალი აჰყარა, ისიც გარედ დადაჰყარა, დაიმკლავა და არსენას ჰკითხა:

— არსენ, ეხლა რა ვუყო ამ უნიფხოებს?

— რადგან შენც უნიფხო ხარ, ტანისამოსი და ჩექმები დაახდევინე. ჩვენს ბიჭებსაც გამოადგებათ და შენც მოგიხდება. მოშორებით იდექი და თუ ვინმე გაჯიუტდეს, შიგ შუბლში ჰკარი დამბაჩა. მეც ეხლავე დავბრუნდები.

თოფს ხელი დაავლო და თავლისკენ გაიქცა.

გაფითრებული ლოპიანა დახლიდან ამოძვრა, არსენას ეხვეოდა, — წინ გადაეღობა და —

— არა, გიჟი არა ვარ?! — ჰკითხა.

— ხუთი წელიწადია მეც მაგას გეუბნები, მაგრამ არა გჯერა. — მიუგდო არსენამ და გუშაგს შეუტია, რომელიც თავლის კარებში იჯდა და ხელადას სცლიდა:

— აქ მოიტა ეგ თოფი!

გუშაგი წამოხტა, მაგრამ არსენას ელვისებურ სილას დაეტაკა და მიწაზე გაიშოტა. მარაბდელმა უცბად აართვა იარაღი და თავლაში შეიჭრა.

— მამა-ჩემო! დედილო! როგორა ხართ? ფიქრიავ, შენ კი გენაცვალე შენა! რძალო მაგდა, რასა იქ? დათუნი, შენ რა ღმერთი გიწყრება! ერეკლე, გაიზარდე პაპა-შენის ხნისა, ბიჭი ხარ მეთქი, ბიჭი!

ყველანი გულში ჩაიკრა, გადაჰკოცნა და დაასრულა:

— აბა, გამოდით და თავს უშველეთ!

პატიმრები გონს ვერ მოსულიყვენ და ბურტყუნებდნენ:

— არსენა... ჩვენი არსენა... საიდან? როგორ? სად მიგყევხარ, ბიჭო?

— სიმონ, განა არ შეატყობინე?

— მე რა ვიცოდი, არსენ, რომ შენიანები არიან?

— აბა, ნულარ აგვიანებთ, გამოდით და ცხენებიც გამოიყვანეთ.

და ისევ გარეთ გამოვარდა. ათი საცვლის-ამარა ყაზახი რომ დაინახა, გადიხარხარა და შესძახა:

— აბა, ძმებო, თითო ჯამი დავლიოთ. მართალია, დაგატიტვლეთ, მაგრამ მაინც ძმები ვართ. თქვენი ხელმწიფე მდიდარია და ხვალვე ახლებს ჩაგაცმევსთ. აბა, დაისხით. სიტიტვლისა ნუ გცხვენიათ. დანიშნულები ვერ დაგინახავენ. ოსტაპ, დამბაჩა დაუშვი. ამათ სმის შეტი აღარაფერი არ შეუძლიათ და მგონი სმის თავიც აღარა აქვთ. არსენას დასაჭერად მოდიოდით? ვერ მოგართვით! გაჯობეთ და უკანვე გაგგზავნით. მეფის ტანისამოსი და ცხენ-უნაგირი კი, ეხლა რომ დაგაყრევინეთ, ჩვენზე უფრო უპრიანია. ვინ იცის საიდან სად მოსულხართ და საწყალ ხალხს სჩაგრავთ, თითონ თქვენ კი ალბათ ჩვენზე მეტად იქნებით დაჩაგრული. ალბათ თქვენც გეყოლებათ ბატონები და მდივანბეგები, და თუ გული გერჩით და ხმალიც გიჭრით, თქვენი ვაჟკაცობა ისევ იმათზე გამოიჩიჩნეთ, თუ არა და — ისევ ჩვენ ამოგვიდექით მხარში და გლეხური საქმე თუნდ აქედან დავიწყოთ. ჩემს დევნაზე კი ხელი აიღეთ და გლეხებსაც თავი დაანებეთ, თორე... მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ, ღმერთი როგორ გამიწყრესა! და ვინც მე დამიჭიროს, ღმერთიც იმას გაუწყრესა. ძმებო, ჩვენ ისევ ჩვენ-ჩვენი გზით წავიდეთ და გირჩევთ ერთმანეთს არსად აღარ შევხვდეთ და სამტროდ ნუ დამიხვდებით, თორე-ე-ე...

დალია, დაალევინა და განაგრძო:

— რაც გითხარით, დაიხსომეთ და გუდა-ნაბადი აიკრიფეთ. ეხლა კი თქვენებურ არსენას სადღერძელო დავლიოთ. ჯერ არა გყავთ არსენა? მაშ მალე გეყოლებათ. უწინ კი ვიღაც პუგაჩოვი გყოლიათ. კარპიჩამ მიმბო. არ გაგიგონიათ

პუგაჩოვის სახელი? ვაი თქვე უბედურებო! და თუ არსენა არა გყავთ, თქვენ თვითონ მაინც გაარსენდით. არც ეს შეგიძლიათ? მოინდომეთ და შესძლებთ. ჯარში რომ დაბრუნდებით, ჩემი ნათქმი უამბეთ და ყველანი ერთად, მაშ თქვენი გამარჯვებისაც იყოს. თუ მართალ საქმეს შეუდექით, ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ, და თუ მრუდესა, დღევანდელივით შეგარცხვინოსთ, ამინ! კიდე ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ ძალიან მეჩქარება და მერე შეგისრულებთ.

კიდევ დალია, დაალევინა და საქოს გადასძახა:

— მედუქნევ, ამ საწყლებს ყველაფერი მოართვი: ღვინოც, მწვადებიც, ყველიც და თევზიც. ნაბდები და მაზარებიც უშოვე და ქალაქში გაისტუმრე. არაფერი არ აწყენინო, თორემ არსენასთან გექნება საქმე და ვაი შენი ბრალი. ახლა კი მშვიდობით იყავით ყაზახებო!

ათისთავმა ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

— კარგი ჭკუა გვასწავლე, მაშ ერთ დარიგებას მეც მოგცემ. ჯერ ახალგაზრდა ხარ და იარაღს ეთამაშები. მაგრამ გაუფრთხილდი, თორემ ერთხელაც იქნება გიღალატებს. ვინც ხმალი ამოიღო, უნდა ყუა დაივიწყოს. რაკი იარაღი იშიშვლე, პირით დაჭკა, თორემ თამაშის დროს ან ვადაში გაგიტყდება, ან ხელიდან გაგივარდება და მაშინ შენი აღსასრულის დღეც დადგება. ეხლა კი შენც მშვიდობით იყავი. ჩვენ მოგერიდებით, მაგრამ ნურც შენ დაგვიწყებ ძებნას.

— მადლობელი ვარ დარიგებისათვის, მაგრამ სჯობია ისევ შენთვის შეინახო. ოსტაპ, წამოდი!

ეზოში რომ გავიდა, ფიქრია და მაგდანა ძლივსღა იცნო. ყაზახური ჩოხები ჩაეცვათ, იარაღიც აესხათ და იღიმებოდნენ. სიმონასაც ძონძები დაეყარნა და ყაზახური ჩაეცვა. ოსტაპმა ორი ჩოხა გაარღვია და არც მესამე გამოადგა.

— არ უნდა გაგეშვა რაზმის თავი. — უსაყვედურა მან არსენას კუჭატნელის წასვლა. — იქნება იმის ჩოხაში მაინც ჩავტეულიყავი.

წართმეული იარაღი, ტანისამოსი და ნაბდები წართმეულ ცხენებს აჰკიდეს, თვითონაც მოასხდნენ, ორი ცხენიც სადავით დაიჭირეს და მარაბდისკენ გამოსწიეს.

— რას დაღონებულხარ, მამა-ჩემო? — ჰკითხა არსენამ კარგა სიჩუმის შემდეგ.

— ეეჰ, შვილო, ნეტავი შენა! — ამოიოხრა ცალთვალამ. — სისხლი მაჭარივით გიდუღს და შენი სახელი ქალაქშიც კი მეხივით გავარდნილა.

— შენ რაღა გიშავს, მამა-ჩემო?

— ის მიშავს შვილო, რომ დღევანდელის პასუხსაც მარაბდელებს მოსთხოვენ და მძევლად ისევ ჩვენ ვეყოლებით.

— რატომ? განა არ გამომყვები?

— სად, ტყეში? მე და ეს დედაბერი? არა, შვილო, რაღა დროს ჩვენი ხეტიალა ტყეში.

— წამოდით მეთქი, ნუ გეშინიათ, თავადებსავით მოგიყვანთ. — შესთავაზა შვილმა.

ღვთისავარმა ჩაიცინა, მელანომ ჩაიხითხითა. მერე კი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იყუჩე შვილო.—მტკიცედ უთხრა მამამ.—სხვა რომ არა იყოს-რა, გავთეთრდით და სირცხვილია.

— ერეკლე?—ჰკითხა არსენამ მამას დუმილის შემდეგ.

— არც ერეკლეს გაგატან. ჯერ დაგვკალი და მერე წაიყვანე.

— ფიქრია?

— აქ ფიქრია ფათერაკს ვერ ასცდება. წაიყვანე და უპატრონე.

— ძალო მაგდან, შენ რაღას იტყვი?

— მეც მოვდივარ.—მოკლედ მოუჭრა ქვრივმა.—საცა ჩემი ზურა იქნება, მეც იქა ვარ, აქ კი კატაც აღარ გამაჩნია.

— დათუნავ, შენც გვითხარი რამე.

— სულ ერთია, დავრჩები.—მიუგო ყოყმანის შემდეგ „სულერთიამ".

ფიქრიამ დათუნას გადახედა, და რადგან უკვე ბნელოდა, მისი მწუხარება და თაკილიც ვერავინ ვერ შენიშნა. არსენამ კი მიუგო:

— შენი გულის ნადები მესმის, დათუნი. მაგრამ მოტყუვდები. რუსებმა სპარსელები დაიფრინეს და ალექსანდრე ბატონიშვილიც გაქცეულა.—და კინაღამ დაუმატა: „ტყეში კი ფიქრია გეყოლებაო".

— მე ბატონიშვილებთან რა საქმე მაქვს?—უპასუხა დათუნამ და გაჩუმდა.

იაღლუჯის მთებიდან მთვარე ამოგორდა და მარაბდა გამოაჩინა. უცებ მიწიდან ორი ლანდი ამოძვრა და ერთმა დაიძახა:

— არსენ, შენი ხმა ვიცანი.

— როსტომ, შენა ხარ? მეორე ვიღაა, ზურა ხომ არ არის?

— ზურაა, ზურა. ძალიან დაიგვიანე და შენს საძებნელად გამოგვგზავნეს. ყველანი კარგად არიან. გამარჯვება მძახლებო!

და სანამ როსტომი ღვთისავარს და მის ჯალაბობას მოიკითხავდა, მაგდანამ დუმილს ვეღარ გაუძლო და შესძახა:

— შვილო ზურა, ვერ მიცანი?

შვილი შეყოყმანდა, რადგან დედის ხმა იცნო, მაგრამ ვერ შეუბედა, რადგან ჩოხიანი დედა ვერ წარმოედგინა. მერე კი ცხენოსნებში შეერია და მაგდანა კინაღამ ცხენიდან გადმოიღო. შემდეგ გაახსენდა, რომ ტყეში გავარდნილ ვაჟკაცს დედა-შვილური გულჩვილობა არ შეეშვენოდა და ცხენიდან დედის ნაცვლად ერეკლე გადმოაგდო.

* * *

არსენამ როსტომს ტყის ამბავი გამოჰკითხა, ზოგი შესატყობარი შეიტყო და ცხენი დასძრა. როსტომი და ზურა წართმეულ ცხენებზე შესხდნენ და ბელადს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ.

— შინ დარჩები თუ არსენას გაჰყვები?—ჩუმი ხმით ჰკითხა დათუნამ ფიქრიას, რომელსაც გვერდით მოსდევდა.

— შინ რა მინდა?—მიუგო ქალმა.—მაიორი ხვალ ან ზეგ ისევ ამოვა და მომიტაცებს.—და სულ ჩუმად დაუმატა:—ერთხელ გადაურჩი და მეორეჯერ ვეღარ გადაურჩები. შენა?

— ერთი საქმე მაქვს, გავათავებ და მეც წამოვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა?—გაეხარდა არსენას დას.—ნამდვილად ამოხვალ?

— ნამდვილად. მელოდებოდე.—და გაჩუმდა, რადგან ფიქრიას მეორე მხრიდან ამოუყენა ცხენი.

როსტომმა საუბარი განაახლა. აკლებული ალგეთი უფრო ვეება სასაფლაოს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალი ხალხით დასახლებულ სოფლებს. დედებს შიშით და უჭმელობით ძუძუები დაუშრათ. ბალღები ხბოსავით სძოვენ ბალახს. მამაკაცები საფლავიდან ამოსულ ლანდებს დაემგვანენ. აქამდე ალგეთზე ხუთიოდე გიჟი იყო, ეხლა კი ორმოციც იქნება. „ზეკუციის“ შემდეგ ვინ იცის რამდენმა დედაკაცმა გაიფუჭა მუცელი და თან რამდენი გადაჰყვა. ოლონდ მურდალი თესლი მოიშორონ, და მზად არიან სიცოცხლეც კი გასწირონ. საბას ცოლმა სხვა რომ ველარა მოახერხა-რა, მუცელზე ხელსაფქვავი დაიტრიალა და წამებაში მოკვდა. ბერუას რძალი ადუღებულ ბალახ-ბულახში ჩაწვა და გაიფუფქა. გუშინ წინ დამარხეს. პაპუნას გასათხოვარი ქალი ალგეთში გადავარდა. ნასყიდას ქეთომ თავი ჩამოიხრჩო, ედიშერის დანიშნული მელანო კი გაგიჟდა. თითქმის შიშველი დარბის მინდვრებში და ჩიტებს უსტვენს.

როსტომი გაჩუმდა. სხვებიც დამწუხრებით სდუმდნენ და ვარამს გულში იტრიალებდნენ, თანაც როსტომის ნაამბობი ავი რამ ნაზმანები ეგონათ.

მცირე რაზმი ოძელაანთ სახლის წინ შესდგა. პაპა მახარამ დერეფნიდან გამოიხედა და კინაღამ ჩაიკეცა. ღვთისავარი, მელანო, ერეკლე და დათუნა ჩამოხტნენ, არსენამ კი დანარჩენებს ჩუმათ მიუგო:

— თქვენ ნუ ჩამოხვალთ. დრო არ არის. გამარჯვება, პაპილო! აბა, ვინცა რჩებით, მშვიდობით იყავით. მალე გნახავთ... დედი, რა დროს ტირილია!—და კინაღამ თითონაც ატირდა. ცხენიდან დაიხარა და ოთხივენი დაჰკოცნა.—ერეკლე, არ შემარცხვინო... მამაჩემო, ყოჩაღად იყავი, კისერი არ მოიდრიკო... დათუნი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს... დედი, კმარა, მარაბდა ცრემლის ზღვაში ნუ დაახრჩე. აბა, ეხლა კი მომყევით.—და ლურჯას უმიზეზოდ გადაუჭირა მათრახი.

უკვე ბნელოდა, მაგრამ ჯერ გვიან არ იყო და ცხენების თქარუნმა მაიორზაალის მიერ ნამუსრი სოფელი გარეთ გამოჰფინა.

— შვილო არსენ... ძმაო არსენ.—მოისმოდა ყოველ მხრივ.—სად მიეჩქარები, ბიჭო?.. მოგვიკითხავდი მაინცა... შენ კი გენაცვალე, შენა... ორიოდე სიტყვა მაინც გვითხარი... შენი იმედით ვართ და არ მოგვატყუო.

— მხნედ იყავით... ჩემი იმედი გქონდეთ... ეხლა კი არა მცალიან... მომიკითხეთ ყველანი.—ისროდა აქეთ-იქით მარაბდელი და ცხენს ზაალის სასახლისკენ მიაქანებდა, თანაც როსტომ ჯორჯიაშვილს რაღაცას ჩასჩურჩულებდა. მერე რაზმელებს მიუბრუნდა და ჩუმი ხმით მიუგდო:

— დამბაჩები დაამზადეთ, მაგრამ სანამ არ გეტყვით, არ გაისროლოთ.

და შავი რაზმი ზაალის აივანს მიახალა. მიახალა და დამბაჩა დააქუხა. დააქუხა და თითონაც დაიქუხა:

— ჰეი, ბარათაშვილო! გარეთ გამოდი, არსენა ვარ და შენი ნახვა მომწყურდა.—და სანამ ვინმე ჯამოვიდოდა, ჩუმი ხმით დაუმატა:—ფიქრიავ, მაგდა-

ნავ, დამბაჩები ან ქვევით დაუშვით ან ზევით ასწიეთ, თორემ გაგვარდებათ და ფათერაკს წავეკიდებით.—და გრიალით მიაყოლა:

— თქვე ჰეი, მოურავებო, გიგოლებო, გზირებო და [illegible] სოროებიდან გამოძვერით და დამენახვეთ. რას მიმალულხართ სოროებში, რისა შეგეშინდათ!

არსით არავინაც არ გამოძვრა. პირიქით, უფრო ღრმადაც შეძვრნენ. ცალფეხშიშველა გიგოლა გაიქცა, წაიქცა და მესერში გაძვრა, ფირუზა მოურავი სათონეში შევარდა. ბოლოს აივანზე კნეინა ხორეშანი გამოფარფაშდა და ზევიდან გადმოსჩიფჩიფა:

— შვილო, არსენა ხარ? რას გვერჩი, რა გინდა ჩვენგან?

— დიდ კნეინას ვახლავარ. მე დედაკაცებისათვის არც მირჩოლია და არც ეხლა ვერჩი. ზაალი მინდა, ზაალი! ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი და გამოვიდეს.

— შვილო, თუ დაგიშავა რამე, მისი თავი მე მაპატიე.

— დიდო ქალბატონო, ჯერჯერობით მიპატიებია, მაგრამ სიტყვა მაქვს მეთქი სათქმელი და ე მაგ აივანზე გადმოდგეს.

— ხომ არას დაუშავებ, შვილო?

— არა, დედი, არაფერსაც არ დაუშავებ.

ხორეშანი გაბრუნდა და ერთი წუთის შემდეგ ზაალი გამოიყვანა.

— გამარჯვება, ბიჭო არსენ!—გაბზარულ ქოთნის ხმით ჩამოსძახა ბატონმა.

— შენი გამარჯვება ღმერთმა ჩემ მტერსაც ნუ მისცეს, ზაალო.—ასძახა მარაბდელმა.—ეხლა ყური მიგდე და შემისრულე, თორემ მალე აგიტირებ მაგ კნეინებსა. რაც მაიორის წყალობით მარაბდელებისთვის სარჩო წაგირთმევია, ერთ კვირაში უკლებლივ უნდა დაუბრუნო. სთქვი, დაუბრუნებ თუ არა?

— დავუბრუნებ, ჩემო არსენ, შენი ხათრით დავუბრუნებ.

— აგრე. ეს ერთი.—და „ხათრის“ გამო გულში ჩაიცინა.—ამას იქით მარაბდელებს ბისტის ოდენა ღალასაც აღარ გამოართმევ, ყმებსაც გაანთავისუფლებ და სადავო მიწებზედაც ხელს აიღებ. დღეის იქით შენვე მოხანი, შენვე დათესე და შენვე შეხეთქე. მითხარი აგიღია ხელი თუ არა?

— ამიღია ჩემო არსენ, ამიღია.—კანკალით ჩამოაგდო ბატონმა.

— აგრე. ესეც ორი. რაც ხალხი დააჭერინე, ერთ კვირაში ყველა გამოაშვებინე. დღეს ჩემიანები მე თითონვე გამოუშვი და ყური უგდე, რომ ხელახლა აღარ დაიჭირონ. სიტყვა გიჭრის და გამოიყენე, თორემ... პირობას მაძლევ თუ არა?

— გაძლევ, გაძლევ.—ჩამოიკნავლა ზაალმა.

— აგრე. ესეც სამი. რაც განჯინაში ორქო-ვერცხლი მოგიგროვებია, სულ ჩვენი ნაოფლარია. ქვეყანაზე ათასი ქვრივ-ობოლია და იმათ უფრო შეერგების. საცა სამართალია, გლეხისა ისევ გლეხს უნდა დაუბრუნო. მაგრამ ეხლა იმას პატრონი აღარ უჩანს და ისევ შენ შეხეთქე. ეხლა კი მამა-ჩემის ნაპოვნი ხაზინა უნდა დამიბრუნო. სთქვი იძლევი თუ არა?

ბატონს გული გაუსკდა. შარშან ღვთისავარმა ბირთვისის ციხეში ერთი კოჭობი ოქრო და თვალი პატიოსანი იპოვა, მაგრამ ზაალმა გაუგო და წაართვა, რადგან უძველეს კანონში ეწერა: ყოველივე ყმისა ბატონისა არისო.

ზაალი ყოყმანობდა. ხორეშანმა რაღაც ჩასჩურჩულა მას.

— იძლევი მეთქი თუ არა?—ისე ასძახა არსენამ, რომ ზაალსაც კი მისცემდა, და ძლივსღა ჩამოიხრიალა:

— ვიძლევი, ჩემო არსენ, ვიძლევი.

— აგრე. ესეც ოთხი. იმავე განჯინაში ძველი დროშა გიყუდია. თქვენ დაბერდით, დაძაბუნდით და ველარ ატარებთ, ჩვენ კი ეს-არის ეხლა დავიბადენით, მკლავიც გვიჭრის, გულიც გვერჩის და თქვენზე უკეთაც მოუვლით. იძლევი თუ არა?

— ვიძლევი, ვიძლევი!—თითქმის სიხარულით ჩამოსძახა მეწინავე დროშის გუშაგმა.

— აგრე. გაამოს. ესეც ხუთი და უკანასკნელი. ეხლა როსტომი ამოვა ხურჯინით და განჯინის კარი გაუღე, ის დროშა კი შენვე ჩამოიტანე და შენვე ჩამაბარე. მოდიხარ თუ არა?

— მოვდივარ, მოვდივარ!—ჩამოჰკვნესა ბატონმა და შინ შეეარდა.

ხურჯინიანი როსტომი იმავ წამს აივანზე ავარდა და ფეხდაფეხ შეჰყვა. ხუთიოდე წუთის შემდეგ დატვირთულმა ჯორჯიაშვილმა უკანვე ჩამოირბინა და ზაალიც ხვნეშით ჩამოჰყვა. ჩამოჰყვა და ხალთაში გახვეული დროშა არსენას მიაჩეჩა. მიაჩეჩა და თითქმის სირბილით გაბრუნდა.

— აგრე.—მადიანად განიმეორა არსენამ, დროშა მხარზე გაიდო, ლურჯა მოატრიალა და თავისიანებს მიაძახა:—მომყეთ!

რაზმელები თავქვე დაეშვნენ და ალგეთს რომ გავიდნენ, ოძელაშვილმა მოიხედა და უწინდელივით ამოსძახა:

— ბარათაშვილო, პირობაზე მტკიცედ იყავი, თორემ დედას გიტირებ, დედასა!—და ცოტას რომ გასცდნენ, უწინდელივით ალგეთური დასძახეს:

კიდევაც დაიბრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი;
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი.

როცა ჭალებში სიმღერა შესწყდა, გაღეღილმა და გაცარცულმა ბატონმა თამამად გამოალაჯა აივანზე და შესძახა:

— ფირუზ, გიგოლა, თედო! სადა ხართ, ხალხო?

— აქ გახლავართ, ბატონო.—და ისინიც თამამად გამოძვრენ.

ზაალმა ხელები გაასავსავა და თითქმის ტირილით შესჩივლა:

— ვეჟო, ასეთი ამბავი გაგონილა?! ბუნტია, მაშ რა ჯანდაბაა!

— ბუნტია, შენი ჭირი მე, ბუნტი.—დაუმოწმეს ყმებმაც და ცხვირები მიწას ჩააბჯინეს.

მეექვსე თავის დასასრული.

ს. თალაქვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი აზვირთეგა

ر ო მ ა ნ ი*)

5

... ქუჩაში დაკავებული ამხანაგები — კოჩუბინსკი, ასკანაზი და მურადბეკოვი, საქმის გაცნობის შემდეგ ჟანდარმერიამ დაპატიმრებულად გამოაცხადა და საპოლიციო ნაწილიდან ადგილობრივ საპყრობილეში გადაგზავნა.

თუმცა ისეთი საშიშარი რამ დოკუმენტებით დამტკიცებული არაფერი არ უნახავთ მათვის, მაგრამ ეს ეჭვი, რომ სახელმწიფოებრივ წესიერებისა და სიმშვიდისათვის ისინი მავნებელი იქნებაო,—ძალაში დარჩა, და ამ „საბუთის“ ძალით რამდენიმე ხანი ციხის დაკეტილ საკანში გატარება მაინც მიუსაჯეს.

სამწუხაროდ მხოლოდ ამით არ გაუთავებია ჟანდარმერიას საქმე.

კოჩუბინსკის შიში გამართლდა...

მის ბლოკნოტში ჟანდარმებმა ნახეს ეჭვების აღმძვრელად ჩაწერილი ზოგიერთი ამხანაგების გვარები და იმათაც ჩასჭიდეს ხელი.

მეორე ღამესვე დააპატიმრეს ისინი და მოათავსეს იმ საპყრობილეში, საცა ზემოდ ხსენებული ამხანაგები ისხდენ.

ეს კოჩუბინსკის ბლოკნოტით „დასჯილი“ ამხანაგები იყვნენ სულ ხუთნი. მათ შორის სპირიდონიც.

გადარჩენილი ამხანაგებისათვის ეს შეიქნა „ჭკუის მასწავლებელი“, და ახლა თავიანთ პარტიულ-რევოლიუციონურ ყოველდღიურ საქმიანობაში იჩენდენ მეტ სიფრთხილეს, მეტ წინდახედულებას.

ერიდებოდენ ისინი ბლოკნოტებზე თუ უბის წიგნაკებზე ამხანაგების გვარების აღნიშვნას; აგრეთვე ღამე თუ დღე ქუჩაში ჯგუფებად გავლას და „წესიერების დამცველთან“ შეხვედრებას.

ამ დანაკლისებით სარატოვის ორგანიზაციას მუშაობა არ შეუნელებია. პირიქით უფრო მეტად აღიჭურვენ ორგანიზაციაში შემავალი ამხანაგები პასუხისმგებლობის გრძნობით და გაზარდეს ენერგია.

შეარჩიეს მათ რევოლიუციის მუშაკები. გადაახალისეს კომიტეტის შემადგენლობა. გასწმინდეს იგი ლიკვიდატორულ და ყოველგვარ მერყეე თუ უუნარო უსიცოცხლო, მოდუნებულ ელემენტებისაგან. გარდაქმნეს სრულებით მუშაობა თავიანთ რიგებში ახალი რევოლიუციონური აზვირთების პირობებთან შეფარდებით.

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაახალისეს აგრეთვე რედაქციაც. გააუმჯობესეს გაზეთი, როგორც ტექნიკური გამოცემის მხრივ, ისე შინარსით. განამტკიცეს მასში იდეოლოგიური ხაზი, ბოლშევიკური ხელმძღვანელობა.

მთელი დღე პართენი რედაქციაში არის, სარედაქციო საქმეების კეთებას უნდება...

იგი ხომ ალარ მუშაობს ახლა ქარხანაში... იქიდან დაითხოვა ქარხნის პატრონმა... რედაქციის ღარიბი სალაროდან მიღებულ გროშებით სცხოვრობს და ასაზრდოებს ოჯახს.

კიდევ უარესი,—წინანდელ ლეგალურობასაც მოკლებულია. გვერდს უხვევს ხალხით სავსე ფართე ქუჩებს. თავისუფლად, წელში გამართული ვერ დადის. ვიწრო, ყრუ და ბნელი დაკლაკნილი ქუჩა-მოსახვევების „სტუმარია"... იცის პართენმა, რომ ადგილის დაკარგვასთან დაკავშირებით შენიშნულიც არის „დამცველთა განყოფილების" აგენტების მიერ. ხშირად ამიტომ შინ, ოჯახში—ცოლთან და შვილებთან არ რჩება; ნაცნობ-მეგობრებთან ათევს ღამეს.

რედაქცია ნახევრად არაოფიციალურად არის მოწყობილი.

იგი ერთ შეუმჩნეველ, პასიურ ამხანაგის ბინის მეზობლად, პატარა ნესტიან და სარდაფულ ოთახშია მოთავსებული.

დღითი ყოველთვის, პართენთან ერთად აქ შეიძლება ნახვა თან ნადეჟდასიც—წინ მაგიდაზე დაყრილ საწერ-ქაღალდებით და კალმისტარით ხელში.

რედაქციის მესამე წევრი კი იშვიათად სჩანს აქ. იგი უმეტესად მზა-მზარეულ გაზეთის მასალებს შემოიტანს და გაქრება. არ ჩერდება. ამ მხრივ ეს კოლეგა სტუმარია რედაქციის.

რედაქციის მასპინძლებს და მის შინაურებს ნადეჟდა და პართენი წარმოადგენენ.

რედაქციის მთავარ პასუხისმგებლობასაც ამიტომ ეს ორნი ზიდავენ.

სადილის ჭამის შემდეგაც ხშირად შემოდიოდენ ნადეჟდა და პართენი რედაქციაში და განაგრძობდენ მუშაობას...

შემოდგომის გრილი, ოდნავ მსუსხავი საღამო იყო.

მზეს, მხოლოდ რამდენიმე წამის წინ აეკრიფა სხივები დედამიწიდან და თითონაც დასავლეთის თვალით გაუჭრელ წითელ სივრცეში ჩაგორებულიყო. მაგრამ იგივე სხივები მას ახლა ზევით აესროლა და ობლად დამცურავი ღრუბლების ნაკვეთები ცეცხლის ფერად შეეღება...

პართენი და ნადეჟდა მუშაობას მორჩენ და ქუჩაში გამოვიდენ.

— არ გამაცილებ?—უთხრა ნადეჟდამ პართენს და შედგა, ცქერა დაუწყო აქ იყოფოდა მათი გზები.

პართენი ბინაზე არ ბრუნდებოდა. იგი ღამის გასათევად სხვაგან მიემართებოდა და ამ მასპინძელ-ამხანაგების წინდაწინ გაგებინებას ჩქარობდა მხოლოდ. ამიტომ ნადეჟდას გაცილებას ამ ხანად არ ფიქრობდა. მაგრამ მის მიერ მოცემულ კითხვაზე ახლა ეს განძრახვა და ფიქრი შეეცვალა.

— კი, როგორ არა, გაგაცილებ.—მიუგო პართენმა და გადმოდგა მისკენ ნაბიჯი. გაჰყვა ნადეჟდას გზით.

ორივე ისინი ახლა მკლავი-მკლავში გაყრილნი მიდიოდენ.

— ...ჰმ, ადამიანების ცხოვრება.—ამოიძახა ნადეჟდამ ყრუდ, თავისთვის.

— რატომ ასე უსვამ ხაზს „ადამიანის ცხოვრებას?“—ჰკითხა პართენმა და შეხედა.

ბიბლიოთეკა

— ადამიანი საიდუმლოებით მოცული არსებაა... ის არ იქნა ვერ შეიცნეს... ხშირად, ჩვენ, რევოლიუციონერები ვცდილობთ საზოგადო საქმიანობით გატაცებულები, გვერდი აუხვიოთ პირად საჭიროებას, „მე“—ს, ბედნიერებას და ვივიწყებთ, რომ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ამას არ ამართლებს..

— ...არ მესმის, ნადეჟდა, ვერ გავიგე რა გინდა სთქვა!

— აი მაგალითად—მე საზოგადო საქმიანობაში ვერთობი; აქ ამოვსებულია ჩემი ცხოვრება, მაგრამ პირად ცხოვრებაში სიცარიელეს განვიცდი, აქ მოკლებული ვარ გართობას, ბედნიერებას, და ეს უკარგავს სითბოს ჩემს არსებას. ვერ მიპოვია სიმშვიდე და სიამე.

— და მერე ნუ მოიკლებ. შენზე არ არის დამოკიდებული?! მაინც არ მესმის.

— ჩემზე... ჩემზე, რომ იყოს დამოკიდებული მაშინ...

— ვისზეა აბა კიდევ დამოკიდებული?..—რაღაც შეუცნობელი გულის ჩრქოლით ჰკითხა პართენმა და გაუბედავად შეაცქერდა.

— ... ვისზე, ჰკითხულობ? ვისზე... შენზე და... ორ გარემოებაზეა დამოკიდებული,—შენზე და შენს „თავისუფლებაზე“... და მას შეეძლო მე პირადად გავებედნიერებიე.—მიუგო ჩაფიქრებით ნადეჟდამ და მჭიდროთ მიეკრა პართენს თეძოზე. შეიშმუშნა. აკანკალდა. მაგრამ ნაბიჯებს არ უკლო. პირიქით უჩქარა.

ამ მომენტში ხელის თითები ნადეჟდას პართენის თითებთან მიეტანა და ნაზად, ქურდულად ჰკიდებდა.

პართენის შეცივებულ თითებსაც ამით თანდათან სითბო ეპარებოდა. რაღაც იდუმალი სიამოვნების ნემსები უწყებდა ჩხვლეტას ტანში. საპასუხოდ იწევდა. და მექანიკურად, შეუგნებლობით თავის თითებს უახლოვებდა ნადეჟდას თითის წვერებს და გაუბედავად აჭერდა.

მაგრამ ახლა ამ სიტყვებზე იგი შედრკა. გამოირკვა თითქო რაღაც შეცდომიდან და მოაშორა თავისი თითები ნადეჟდას თითებს. შერცხვა კიდეც.—

ვისი? ნადეჟდასი? სოფოსი?... თუ საკუთარი თავისა?

ეს პართენმა არ იცოდა. არც ჰკითხულობდა.

— ... არ მესმის. რატომ ამბობ ასე? მე განა არ ვარ თავისუფალი ახლა? მართმევს ამ „თავისუფლებას“ ვინმე?.. და როგორ შეეძლო „მას“ გაებედნიერებიე შენ?—მიუგო პართენმა ცოტა არ იყოს „დიპლომატიურად“.

მან ძალიან კარგად იცოდა რა აზრი იყო ნადეჟდას სიტყვებში, რატომ სთქვა ასე, და როგორ ირდგენდა იგი თავისთვის ამ ბედნიერებას.

ამასწინადაც ხომ მოუხდათ მათ ამ საგანზე ლაპარაკი?! თუმცა არა გარკვევით, მაგრამ მაინც გასაგებად.

არ იყო „მოულოდნელი“ ამბავი პართენისათვის ნადეჟდას გრძნობა, რომ აეთამაშებია, ნადეჟდას გულში რომ ჩაეარდნილიყო... ნადეჟდასაც რომ აგრეთვე განსაკუთრებული სითბო შეეტანა პართენის არსებაში, რომ მოეზიდა პართენი, და უპასუხოდ, მარტოდ არ რჩებოდა თავისი გრძნობით თითონ...

ეს „ამბავი“ ნადეჟდას ბინაზე იყო.

ერთხელ, ნაშუადღევს, რედაქციიდან უკან დაბრუნებულთ, ერთ-ერთ საუბარი-მასლაათი საგარეო და საშინაო სხვადასხვა საკითხებზე.

ამ საუბარ-მასლაათის დროს, თუმცა სკამები, რომლებზედაც ისინი ისხდენ, საკმაოდ დაშორებული იყვნენ ერთი მეორეზე, მაგრამ ორნივე როგორღაც ტყობილობდენ ერთმანეთის სითბოს, ერთმანეთის სიცხოველეს. ხელისა და ტანის შეხება მათ არ სჭირდებოდათ ამისთვის. თვალებით ჰკითხულობდენ ერთმანეთში ურთიერთისადმი მიმართულ გრძნობებს... და ბოლოს ამან რომ გამოიწვია პართენის გულის ახდა. და უამბო ნადეჟდას თავისი ოჯახური გარემოებები: ცოლის—სოფოს წარსული; სოფოს რევოლუციონური დამსახურება. ის დიდი მეგობრის ფასი, რომელიც მას პართენისაგან აქვს დადებული... სოფოს ყელზე რომაა ჩამოკიდებული ახლა პართენისა და სოფოს ზიარი პაწია შვილები, უფროსი შვილი—ლეო ციხეში რომ ჰყავდა სოფოს თან და დედის უმძიმეს პირობებში აწოვებდა ძუძუს... და აგრეთვე ნადეჟდამაც რომ გააცნო თავისი წარსული პართენს...

შეძლებული დედ-მამის შვილი იყო ნადეჟდა. უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის დროს მოსკოვში, რევოლუციონურ სტუდენტობას დაუახლოვდა. რევოლუციონურ წრეში შევიდა. ამ წრემ იგი გამოსცვალა, გარდაქმნა, რევოლუციონერის ბუნებით გაიჟღინთა; რევოლუციონერი გახდა... ნადეჟდამ ფაბრიკა-ქარხნებში, მუშებთან იწყო სიარული. მუშების პოლიტიკური მასწავლებელი შეიქნა პატარა საიდუმლო წრეებში... პარტიული უთანხმოების მასაში გადატანის პირველ დღიდანვე იგი ბოლშევიკებს მიეხრო. ამ მიმართულების დაუღალავ პროპაგანდა-აგიტაციას ეწევა დღემდე... ვერ შეურიგდენ ნადეჟდას, სხვა სოციალურ ბაზაზე მდგომი და სხვა კლასობრივი მიმართულების ნქონე შინაურები. მოსწყდა ნადეჟდა მშობლებს... 1905 წელს მოსკოვის პროლეტარიატის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მან. ნადეჟდა საცოლე იყო ცნობილ პროფესიონალ რევოლუციონერის კირიკოვის, რომელიც მოსკოვის აჯანყებამ იმსხვერპლა ბარიკადებზე ბრძოლის დროს.

მოსკოვის მუშათა აჯანყების დამარცხების შედეგად ნადეჟდამ ციხეში ამოჰყო თავი. მთელი წელიწადი გაატარა მან მოსკოვის უმზეო, ნესტიან, ჰაერ დახუთულ საკანში. იწვნია მეფური ციხის ყველანაირი რეპრესიები, და ბოლოს გადაასახლეს სამარაში ადმინისტრატიული წესით...

ეს ამბები, წარსულის ეს მოთხრობები ისე კი იქნა გადაშლილი მათ წინ ერთმანეთის მიერ, რომ საათების განმავლობაში სკამებიდან ერთხელ არ ამდგარან. არ განძრეულან. უსაზღვრო ნდობით და სიამით უცქეროდენ ნხოლოდ ერთმანეთს. თვალის ისრებს არ აცილებდენ ერთი მეორეს.

და ამ მომენტში, როგორ, როგორ უნდოდა ნადეჟდას—წამომდგარიყო სკამიდან, მისულიყო პართენთან და თითებით დაევარცხნა მისი მოშვებული თმა; მოფერებოდა, მოალერსოდა, თავისი ნაზი ქალური ხელი მიეცა პართენის ვაჟურ, ღონიერ ხელში, და ეგრძნო წურვა, საამო წურვა, მოპასუხე ალერსით სრესა.

პართენსაც კი როგორ ებადებოდა ყრუ, შეუგნებელი სურვილი—მრახლოვებოდა ნადეჟდას, ეტაცა ხელი ხელზე, მიეზიდა გულთან, ისე, ფრუყინრად, უბრალოდ მიეზიდა გულთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვერც ნადეჟდას და ვერც პართენს ეს ვერ გაებედათ. რალაც რიდს შეეჩერებია ისინი.

მხოლოდ ერთი მეორის მორიდებოდათ?

არა. ერთი მეორის მორიდებას შეიძლება არ დაეკავებია ისინი, რომ კიდევ უფრო დიდ ფაქტორს, მათ გონებაში დახატულ ცხოვრების დიდ ფაქტორს, არ გადაეღობა გზა...

პართენს წინ ედგა სოფო—ამხანაგი და მეგობარი, სოფო—ცოლი, თავისი საყვარელ შვილების დედა, ოჯახის მთავარი საფუძველი,—და იგი კანტროლს უკეთებდა პართენის ნაბიჯებს პართენის საკუთარ შეგნებაში.

ასევე ნადეჟდასაც არ ეპარებოდა პართენის ეს შინა-მდგომარეობა მხედველობიდან. მით უმეტეს, ცოლის მდიდარი წარსულის გაცნობის შემდეგ სულ იბორკებოდა იგი.

მაგრამ ამით სურვილი და ნდომა მათში ურთი-ერის მიმართ არ ნელდებოდა. პირიქით უფრო იზრდებოდენ ისინი და ეძებდენ გამოსავალს...

— არ გესმის... რა არ გესმის!.. რა არის აქ გაუგებარი და შეუსმენელი ამხანაგო პართენ!.. მე ვამბობ შენს ისეთ თავისუფლებაზე, როგორც მე ვარ... შენ რომ ისე მარტო იყო, როგორც მე ვარ, მე ვფიქრობ ჩვენს ერთად ცხოვრებას არაფერი არ დააბრკოლებდა. და ეს კი ჩემთვის პირადად ბედნიერება იქნებოდა.—უთხრა ნადეჟდამ მას პატარა პაუზის შემდეგ.

— მერე, მერე, ამხანაგო ნადეჟდა!.. ვინაა აქ მიზეზი? ვის სთვლი შენ ამ ჩემს დამბორკველად? ვინ მართმევს ამ „თავისუფლებას"?..—ჰკითხა პართენმა გამომცნობი ინტერესით, რომელიც თან ამჟღავნებდა უსიამოვნებას კითხვის ასე დაყენებისათვის.

მათ განაგრძეს ლაპარაკი.

— მაინც და მაინც დავასახელო? შენ თითონ ისე ვერ მიხვდები?.. არა გრცხვენია პართენ! ორმაგობ... ჩემთან ორმაგობა რა საჭიროა!.. აქ ყველაფერი ცხადია, და არ შეიძლება არ გესმოდეს ეს შენ...

— ბოდიშს ვიხდი ნადეჟდა. შენ გაგაჯავრა ჩემმა მოცემულმა კითხვამ... მაგრამ თუ შენ ჩემ ცოლს გულისხმობ იმ პირათ, რომელმაც მე თავისუფლება „წამართვა", ძალიან შემცდარი იქნება. იგი აქ არაფერ შუაშია... თუ თავისუფლების ამ „წართმევაზე" შეიძლება აქ ლაპარაკი, მაშინ ამ თავისუფლებას მე თითონ „ვართმევ" ჩემს თავს, მე თითონ „ვბორკავ" მას... მიზეზი აქ მე, მე ვარ... ეს ჩემი ნდომა და სურვილია...

— ოო, ეს არაა მართალი, პართენ... შენ გბორკავს და გართმევს დამოუკიდებელ მოქმედების უფლებას ამ შემთხვევაში სწორედ ცოლი, ოჯახი, მოვალეობის შეგნება. შენს ნდომას და სურვილს ის ყლაპავს, ის სჯამს... ის რომ არ იყოს, შენ არ დაბორკავ შენს თავს. შენ ამ სურვილს მისცემ გზას...

— კი, მაგრამ, თუ ჩემი ნდომა და სურვილი უცვლელია მისდამი? თუ არ წაშლილა ეს ჩემი გრძნობა ცოლისადმი, მაშინ?.. როცა ესენი შეიცვლებიან,

(თუ ეს „ამბავი“ მოხდება) მაშინ ვიქნები მე „თავისუფალი“, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, ვინც არ უნდა იყოს ვერ დამბორკავს...

— არც აქა ხარ მართალი... რამდენად შეიცვალენ და წაიშალენ შენი გრძნობები ცოლისადმი, ამის განხილვაში მე არ შევალ, ეს მე არ ვიცი. მაგრამ მე ვიცი, მე მაქვს საბუთი ვიფიქრო და დავიჯერო კიდეც, რომ შენ... შენი გრძნობა ჩემთან არ არის გრილი, ჩვეულებრივი, მშვიდი... შენ, პართენ, ჩემთან არ იქცევი ისე, როგორც საზოგადოთ... ესე იგი, მე შენში ვბადებ ნდომას, ვიწვევ განსაკუთრებულ სურვილს ჩემს მიმართ...

— რა სურვილია ეს, ამხანაგო ნადეჟდა? ესე იგი, მე შენ.., უწოდე ბარემ სახელი. მოუნახე შესაფერი სიტყვა...

— შენ თითონ მოუნახე ეს გამოსახატავი სიტყვა მას... მე აქ მხოლოდ დაუმატებ,—მე ვირჩევი სხვა ამხანაგ და მეგობარ ქალებში შენთვის... შენ სიამოვნებ ჩემთან. მე შენ განთებ... და ეს მეც უზომოდ მაამებს, ცეცხლს მიკიდებს... მაგრამ შენთან ერთად მეც მბორკავს და მანელებს ის გარემოება, რომ შენ ცოლიანი ხარ; შენ თავისუფალი ჩემსავით არა ხარ... შენი ცოლი, ჩემთვის პირადად უცნობი შენი ცოლი შემიყვარდა და დიდათ პატივს ვცემ ხომ მეც შენი ნაამბობის შემდეგ?! შენ მიერ მისი დახასიათების შემდეგ მეც უწევ ხომ მას ანგარიშს?! შენი ცოლი არა მარტო ჩვეულებრივი რევოლუციონერი ყოფილა. იგი იშვიათი მებრძოლი, გამძლე და ამტანიც ყოფილა ყველაფრის!.. და როგორ, როგორ მინდა, პართენ, გამაცნო იგი, დაუმეგობრდე მე მას კიდეც... მართლა და, რატომ კრებებზე არ დაგყავს, არ დადის თითონ, არ გააცნობ ამხანაგებს, არ ჩაებმება მუშაობაში?

პართენმა აქ ნადეჟდას შეუმჩნევლად მხრები აიჩეჩა. უნდოდა რაღაც ეთქვა, ეპასუხა მისთვის უკანასკნელ ფრაზებზე მაინც. მაგრამ შემდეგ გადიფიქრა. თავი დაანება, სიჩუმე არჩია. საკუთარ თავთან იწყო ლაპარაკი.

როგორ შეეძლო სოფოს კრებაზე დასწრება! ბავშვები? ოჯახი? ვინ მოუვლიდა მათ? ვინ დარჩებოდა შინ? როგორ შეეძლო მას პარტიულ-რევოლუციონურ მუშაობაში ჩაბმა, განეგრძო ეს ბავშობიდან დაწყებული საყვარელი საქმე! ვინ დაასუფთაებდა ოთახს? ვინ მოხარშავდა კერძს, მოამზადებდა სადილს და ვახშამს? ვინ დააწვენდა ბავშვებს ლოგინში და მზრუნველ თვალყურს ადევნებდა მათ?.. პართენს და სოფოს ხომ მოსამსახურე ოჯახში, ბავშვების მომვლელი არავინ არა ჰყავდათ?! მოსამსახურეს, მომვლელს ქირა უნდოდა. ამ ქირის მოკლება კი პართენის მცირე მუშის ხელფასზე არ შეიძლებოდა. მაშინ ეშიმშილათ უნდა თითონ და ბავშვებსაც... სხვა რა შესაძლებლობა იყო სოფოს კრებებზე სიარულისათვის, სოფოს პარტიულ მუშაობაში ჩაბმისათვის? თითონ პართენი ხომ ვერ დარჩებოდა შინ და შესცვლიდა სოფოს ოჯახში, მოსწყტებოდა რევოლუციურ საქმეებს?! ეს არა რაციონალური იქნებოდა. ეს სისულელეც იქნებოდა. დასცინებდენ კიდეც! ასე ხომ არავის არ ექნათ?! ოჯახის საქმეები და ბავშვების მოვლა დედაკაცებზე იყო დაკისრებული. დედაკაცის ბუნებათ, დედაკაცის ამპლუად იყო იგი გამოცხადებული. სხვა მაგალითი პართენმა არ იცოდა... აბა, ხომ მამაკაცი ვერ აწოვებდა ძუძუს ბავშვებს, ვერ აღზრდიდა მათ დედობრივი გრძნობით?! და ბავშვებს კი ხომ დედობრივი გრძნობით აღზრდა ესაჭი-

როებათ, ეს უკანასკნელია აუცილებელი მათთვის და არა მამობრივი გრძნობა?!. არა, რა იქნებიან ის ბავშვები, რომლებიც დედის ამ ალერსს, დედის ამ გრძნობებს და სითბოს მოკლებულნი არიან!?! მაგრამ თუ დასაშვებია, ექნება მამაკაცის მიერ შეცვლა დედაკაცისა ოჯახში, მაშინ ფაბრიკა-ქარხნების ფიზიკურ მუშაობაშიც დედაკაცები უნდა ჩაებან; დედაკაცებმა უნდა იკისრონ ოჯახის შენახვა; დედაკაცებმა უნდა მოიკიდონ ზურგზე ოჯახის ნივთიერი უზრუნველყოფის პასუხისმგებლობაც... და როგორი იქნება მერე ეს პასუხისმგებლობა? ქალის ქირა და ვაჟის ქირა განა ერთნაირია? ქალის მკლავის ძალა და ვაჟის მკლავის ძალა განა თანასწორად ფასობს ბაზარზე, ჩვენს კაპიტალისტურ ბაზარზე?!. უხ, როგორ დანასკვული, დაკვანძულია ქალის ყოფა, ქალის საკითხი!.. რა ეშველება ასეთ მდგომარეობას? რა წაშლის ამ პირობებს, რა გამოიხსნის ამ ხვეულებიდან დედაკაცებს და გაათანასწორებს მამაკაცებთან, მისცემს მათ იმ შესაძლებლობებს, რაც მამაკაცს აქვს?.. მომავალი? ის მომავალი, რომლისთვისაც ჩვენ, რევოლუციონერები, ჩვენ, სოციალისტები, ვიბრძვით? და როგორ უპასუხოს ახლა პართენმა ნადეჟდას უკანასკნელ კითხვებზე,—რიტომ არ დაჰყავს, რატომ არ დადის სოფო კრებებზე? როგორ აუხსნას მას, რატომ არ ჩაებმება იგი პარტიულ მუშაობაში, არ გაეცნობა ამხანაგებს?..

ეს არ არის პატარა კითხვა პართენისათვის... გრძელი „ამბავია“ ეს.

პართენს ისიც კი ვერ მოუსაზრებია, ვერ გადაუწყვეტია—როგორ მოაწყოს, როგორ მოახერხოს სოფოს გაცნობა ნადეჟდასთვის? სოფოს რომ არ სიამოვნებს პართენის პირით ნადეჟდას ხსენება? რაღაც შეუცნობელ ჩრდილს რომ აწვენს იმისი მოგონება სოფოსთვის, სოფოსა და პართენის შორის? „ეჭვებს“ რომ უძრავს გულში და აღონებს სოფოს?..

შინ, ბინაზე მოიყვანოს ნადეჟდა და ისე გააცნოს სოფო,—ეს შეუძლებლად მიაჩნია პართენს. უფრო მოხერხებულია მისი აზრით ისევ, სადმე, შემთხვევით ქუჩაში შეახვედროს. მაგრამ როდის ქნას ეს?.. კვირა-უქმე დღით, დარში, ქუჩაში გასეირნების დროს, როცა ბავშვებიც იქნებიან თან მათთან? მერე ეს როგორ უნდა გააგებინოს ნადეჟდას?.. ხომ ვერ ეტყვის, რომ გარემოებაა ასეთიო? ეს უფრო დაამძიმებს, გაართულებს დამოკიდებულებას... ვინ იცის ამით დაჰკარგოს შეიძლება კიდეც ნადეჟდას მეგობრობაც, რაც საშინლად არ უნდა პართენს... მაშ რა ქნას?.. დაუმალოს უნდა პართენმა სიმართლე ერთსაც და მეორესაც! რატომ? რატომ უნდა სჭიროდეს ეს პართენს ამ ახლობელ, უახლოეს ადამიანებთან?

არაფერი არ ესმის პართენს!..

ნადეჟდა,—ქერა, თმა შეკრეჭილი, საშუალო ტანის, ჩასკვნილი, უბრალოდ, მაგრამ კოხტად ჩაცმული, ეშხმიანი ნადეჟდა...

ნადეჟდას სიტყვები პართენს ეახლოვა გულთან, იცნო გამოთქმულ აზრის სისწორე.

ეს აზრი პართენს ამხელდა...

კი, ასეთი იყო პართენის განცდა, მისი შინა-ქვეყანა ახლა.

პართენს იზიდავდა, იპყრობდა ნადეჟდა. პართენის გრძნობაც არ ეურჩებოდა ამ გარემოებას, მიიმართებოდა მისკენ. მაგრამ აქ ეღობებოდა და აკა-

ვებდა მას შეგნება. შეგნება იმისი, რომ სოფოს ეკუთვნოდა იგი ამ შემთხვევაში... ეგონა პართენს, სჯეროდა მას, რომ ეს შეგნება საკუთარი პირადებით, დამოუკიდებლად იყო მოცემული მასში. ამ „დაბორკვაში“ [illegible] ამ „წართმევაში“, მხოლოდ საკუთარ თავს სდებდა „ბრალს“ და ეს პართენს სრულებით სამართლიანად, ამ ოჯახური ურთიერთობის სავალდებულო კანონად ჩაეთვალა კიდეც. პროტესტს სულის კუნჭულები არ უცხადებდა მას აქ. მაგრამ ეს იყო მისთვის, ასე ვთქვათ, ზნეობის თეორიაში, წარმოდგენაში, ვალდებულების შეგნებაში. და ახლა ნადეჟდასთან შეხვედრების სინამდვილემ და ნადეჟდას მიერ ამ სინამდვილის მკვეთრი სიტყვებით გამოხატვამ წინააღმდეგი დაანახვა მას... დიახ, ამ „შეგნებაში“, რომელმაც პართენს თავისუფლება „წაართვა“, მარტო თითონ პართენი არ იყო მიზეზი. მარტო თითონ იგი არ იყო მისი პირობა. ახლა მან ამ შეგნების ობიექტად იცნო სოფოც. მაგრამ ეს „შეგნება“ ხომ სოფოსაც უნდა ჰქონოდა პართენის მიმართ და ამის ობიექტი თითონ პართენი უნდა ყოფილიყო?!. და ეს კი პირობაა „მოვალეობის“, ურთი-ერთის კავშირით გაჩენილი „მოვალეობის“, ოჯახით მოტანილი, ოჯახის წინაშე და ვარგა მერე ასე? არ შეიძლება უფრო უკეთესად მოწყობა ამ ურთიერთიერთობის? აქ ხომ უნდა ებრძოლონ საკუთარ თავებს ამ „პირობაში“ შეკრულმა და „მოვალეობით“ დაბმულმა ადამიანებმა?.. და ატყუილონ უნდა კიდეც ხშირად ადამიანებმა, ძალიან ახლობელმა ადამიანებმა ერთი მეორე, არ უნდა უთხრან მათ ერთმანეთს ის, რაც მათში ცალ-ცალკე ისახება, ხდება!.. ამას კი უნდა მოჰყვეს ადამიანის სასჯელი, უდანაშაულო, უგანაჩენო სასჯელი!..

რაშია ბოლოს დამნაშავე პართენი?...

პართენი ნადეჟდამ მოხიბლა, მიიზიდა. პართენს გაელვიძა გრძნობები ნადეჟდას მიმართ. ეს თვისება ადამიანისა პართენს ხომ თან დაჰყვა? გაჩნდა ასე? აქ არაფერი უჩვეულო პართენში არ მომხდარა. აქ იგი დაემგზავსა სხვებს. აქ ხომ ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, დიდი ტვინისა და დიდი გაქანების ადამიანები უთანასწორდებიან ჩვეულებრივ მომაკვდავებს... და თუ არაა ეს დანაშაულობა, რათ უნდა დაისაჯოს პართენი?—პართენი კი ისჯება...

მისცეს მაშ პართენმა გზა თავის ნდომას, თავის სურვილებს? ნუ იტყვის მაშ უარს? ნუ დაბორკავს თავს და ნუ დაუმალავს ამას სოფოსაც?..

მაგრამ სოფოს ბედი?

სოფო ამის შემდეგ?

სოფომ როგორ უნდა შეხედოს მას?

გადაფასდა პართენის თვალში სოფო. აღარ აქვს მეტი წინანდელი ხვედრითი წონა პართენისათვის. შეეცვალა გრძნობა სოფოსადმი... მაშ უნდა შესცვალოს დამოკიდებულება პართენთან სოფომაც! აღარ ატაროს მეტი ცოლის სახელი! აღარ ითვლიდეს თავს ქმრიან ქალად!.. ოო, რა ძნელი იქნება ეს! სოფოსთვის ხომ არ გადაფასებულა ჯერ პართენი?! მას ხომ არ შესცვლია გრძნობა პართენის მიმართ. სოფოს არავინ, არავინ არ გასჩენია მის მაგიერი, მისი შემცველელი... ააა? ჰყავდა ვინმე?..

ილო?? ილო ხომ გაქრა,—იყო და აღარ არის, დაიღუპა?!. მერე კიდევ ამ „ამბავს“ ადგილი ჰქონდა 7-8 წლის წინად, ცხრაას ხუთის რევოლიუციის ქარ-

ტეხილის დროს. მაგრამ მაშინაც ილო არ იყო პირველი. პირველი ადგილი სოფოს გულში პართენს ეჭირა. პართენი არ გაუცვლია სოფოს[illegible] ილო შეიქნა შემდეგ სოფოსა და პართენის უძვირფასესი პარტიულ[illegible] [illegible]ულითადესი მეგობარი... თუმცა „ბედმა“ აქაც დასცინა ილოს. ილოს ეს მეგობრობრობაც არ დარჩა ხინგრძლივი... ცხრაას ხუთის რევოლიუციის დამარცხებამ იმსხვერპლა იგი... რეაქციის დაქირავებულებმა საველე სასამართლოს მისცეს „პირში“ საწიწკნად ილო... რევოლიუციის ჯალათებმა საშინელ წამებაში დაალევინეს მას სიცოცხლე. სოფოს ასე ჰქონდა ილოს უკანასკნელი ბედი გაგებული. დანამდვილებით ეს ვერ შეამოწმა მან. სოფოს ციხეში შეუტანეს ეს თავზარდამცემი ცნობა. დაწვრილებით ამის ამბავი მან არ იცის... სოფომ? და ვერც პართენმა ვერ შესძლო ილოს დალუპვის ისტორიის სისწორით აღდგენა... მაგრამ რომ დაიღუპა ილო, ეს კი უდაოა მისთვის, და ყველა სხვა ამხანაგებისათვისაც...

ილოს დარდი გაანელა, ამოსწურა სოფომ. ილოს მიერ გამოწვეული პართენის მოცილე გრძნობა წაშალა, წარსულის საამო და სამწუხარო მოგონებებს გაატანა მან იგი.

მეტი ხომ არავინ ჰყოლია მას?!. ისევ-ისე უყვარს სოფოს პართენი! კვლავ ისევ ძვირფასია იგი მისთვის, როგორც ამხანაგი, მეგობარი; როგორც მამაკაცი, ქმარი... დაიჯეროს რომ პართენს აღარ უყვარს ახლა მართლა? დაჰკარგავითომ ეს სიყვარული პართენში?.. რომ არ ეუბნება ამას სოფოს პართენი? რომ ან აჩვენებს მისი შინა-დამოკიდებულება ამ მომენტებს?

პართენი ისევ-ისე უცვლელი და ჩვეულებრივია მასთან. არ აკლებს იგი პატივცემას. არ უნელებს ალერსს, თბილ მოპყრობას. არ ეტყობა არა, გრძნობის შეცვლა!..

რა მდგომარეობაა ეს! მაშ რა იზიდავს ნადეჟდასთან? რად მიიმართება მისკენ?.. რას ართმევს სოფოს და მიაქვს ნადეჟდასთან?...

კიდევ უფრო აბნევს და ამღვრევს ეს სოფოს. კიდევ უფრო ართმევს ეს სიმშვიდეს, უძლიერებს სევდას და სჭამს მის ორგანიზმს... მას აღარაფერი აღარ ახარებს, აღარაფერი აღარ უნდა თითქო ამის შემდეგ... გატყდა პართენთან სოფოს შემაერთებელი ხიდი. დაირღვა ის უჩვეულო მეგობრული და ამხანაგური კავშირი, რომელიც ურთი-ერთის სიყვარულით დაიწყო და განუყოფელი შვილების დედმამად ქცევით დაგვირგვინდა...

აუტანელად ეჩვენა ეს პართენს. დაეღმიჭა მას სახე. გულმა საშინელი ტკივილებით უწყო ცემა მკერდში. გაცივდა.

არა! ეს არ იქნება, ეს არ მოხდება! პართენი აქამდის არ მიიყვანს საქმეს! სოფოს იგი ასე არ მოექცევა. სოფოს იგი ხელს ჩასჭიდებს, არ დასცილდება. სოფოს იგი არავისში, არავისში არ გასცვლის! სოფოს პართენი მოუვლის, როგორც თვალის ჩინს!..

და აქ თავისი მკლავი პართენმა გაინთავისუფლა ნადეჟდას გამოყრილ მკლავისგან. ისევ, ხელებ ჯიბეში ჩაწყობით ოდნავ დაშორებული ამოუდგა მას გვერდში და განაგრძო მასთან ერთად გზა.

— რა დაგემართა, პართენ? ჩემმა სიტყვამ ხომ არ გაგაჯავრა?! ან რატომ არ მიპასუხე კითხვაზე?.. აღარ გეყო დუმილი?—დაარღვია სიჩუმე და უთხრა ისევ ნადეჟდამ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, მათ უკვე მიაღწიეს კიდეც ბინამდე. ალაყაფის კარებში შემოვიდენ და ოთახში შესავალს მიადგენ.

დღე და ღამე გაყრილი იყო. ბნელოდა.

პართენსაც ამიტომ ნაკლებად მოელოდა ხიფათი...

ნადეჟდა პირდაპირ შეუძღვა მას ოთახში, მოსაპატიჟებელი სიტყვები არ დასჭირვებია.

პართენიც უსიტყვოთ შეჰყვა.

— აა, პართენ, რატომ არ მიპასუხებ? კიდევ დუმილში უნდა ყო?—კვლავ განუმეორა ნადეჟდამ მას, როცა უკვე ოთახში შევიდენ, კარები მოხურეს და უბრალო ხალიჩა გადაფარებულ პატარა ტახტზე დასხდენ.

— კი გიპასუხებ:.. რა კითხვაზე?.. ჰო, ცოლის კრებაზე სიარული... პარტიული მუშაობა...—როგორ უნდა იაროს, როგორ უნდა იმუშაოს! ბავშვები? ოჯახი?. ჩვენ შვილები გვყავს, ოჯახი გვაქვს... შენ მკითხე კიდევ—რა დაგემართა, ჩემმა სიტყვამ ხომ არ გაგაჯავრაო? შენს სიტყვებს რათ უნდა გავეჯავრებიე... მე, ისე მხოლოდ... მომაგონდა ამასწინად ტფილისიდან მიღებულ წერილში ერთი სამწუხარო ადგილი და იმან დამაფიქრა...—მიუგო პართენმა ნაწყვეტებად, არევით, დაუწყობელი სიტყვებით.

ნადეჟდა ჩაფიქრდა. ახლა მანაც უფრო სერიოზული სახე მიიღო. ღელვა, რომელიც პართენის სიახლოვემ და შეხებამ გამოიწვია მასში, გაუნელდა. დაუმშვიდდა გრძნობა. წყენაც აგრეთვე, რომელიც მან პართენის მკლავის დაცილებით იგრძნო, წაეშალა.

ნადეჟდას სახეზე აღიბეჭდა ხაზები აზრთა სხვადასხვაობის, აზრთა დაჯახების განვითარებით მოკემული...

შვილები! ოჯახი! მართლა როგორი ბორკილია ეს ქალისთვის!.. შვილები, ოჯახი, ქალს აწევს ეს სულ ერთიანად ზურგზე და ღუნავს, ანადგურებს მას; მხოლოდ და მხოლოდ ქალს! აბა, ვაჟი მის სიმძიმეს ნაკლებად იგებს... ახალგაზრდა ქალი, ქალიშვილი, ენერგიით, სიცოცხლით სავსე, გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე, ებმის საზოგადოებრივ ბრძოლასა და შემოქმედებაში. შეაქს თავისი წვლილი საზოგადოების როგორც ერთ წევრს, პროგრესისა და კულტურის საკეთილდღეოთ, ქვეყნის განსაახლებლად. მომავალი ბრწყინვალე ცხოვრების სამსხვერპლოზე დებს ყველაფერს... მაგრამ ამ დროს თუ ვაჟის სიყვარულმა მოუსწრო, ქმრიანი თუ გახდა, შვილები თუ გაუჩნდა და ოჯახს მოეკიდა—ყველაფერი გათავდა მისთვის. იგი მოსწყდა დიდ საგარეო საქმიანობას; იგი წაიშალა საზოგადოებისათვის. მისი „პროგრესი“, მისი „კულტურა“, მისი საზოგადოებრივი ბრძოლა, პარტია და რევოლიუცია ჩაკეტილ ოჯახშია, ბავშვების მოვლა-აღზრდაშია, ქმრისა და შემთხვევით სტუმრად მოსულ მეგობარ-ამხანაგებისა და ნაცნობების „პატივისცემა“—სამსახურშია...

ქალი, საბრალო ქალი!.,

პართენის ცოლიც ხომ ქალის ამ ტიპს გამოხატავს, მისი მდგომარეობაც ხომ სწორედ ასეთია?!.

რა, მაინც არ შეიძლება ხანდახან შეეცვალოს ქმარი ცოლს ოჯახში, გაინაწილოს ცოლზე დაწოლილი ოჯახის სიმძიმე? მით უმეტეს ისეთმა შეგნებულმა

და ცოლშვილის მოყვარულმა ვაჟმა, როგორც პართენი არის?—პართენი რევოლიუციონერი, სოციალისტი, ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი, ქვეყნის განმაახლებელი.—რატომ არა!?. კი შეიძლება! დიახ შეიძლება! ... ამ გარემოების შეგნებაზე და შემგნებელის სურვილზეა დამოკიდებული ეს... მონდომებული და დაინტერესებული ვაჟი კერძს მოხარშავს, სადილ-ვახშამს მოამზადებს, ბავშვს გაუთბობს რძეს და მისცემს პირში, აგრეთვე დააწვენს აკვანში, დაურწევს... თუ ამას დღითი შეუშლის ხელს ქარხნის მუშაობა, ოჯახის გამოსაკვებ შრომის გაქირავება, ლუკმა პურის ძებნა,—საღამოთი ჰქნას ეს... საღამოთი ხანდახან დაჯდეს შინ, გაანთავისუფლოს ცოლი, გაამართვიოს წელი მას... ნუ დააშორებს იმ წრეს და საზოგადოებრივობას, რომელშიც იგი მომწიფდა, გამოიბრძმიდა, დახელოვნდა; რომელსაც ახლა მარტო ქმარი შერჩენია, არ აკლდება... ნუ, ნუ მოაკლებს ცოლის წვლილსაც ამ მებრძოლ პროლეტარულ საზოგადოებას! დეე, ედგეს აქ ცოლი ქმარს გვერდით, როგორც თანაწორი თანასწორს, იყვეს აყვანილი ცოლი ქმარის სიმაღლემდე!.. დიახ, აქ, ამ საღამოობით მაინც გაინაწილონ მათ დრო, შეეცვალონ ერთმანეთს. აქ მაინც აგრძნობინოს ქმარმა ცოლს, რომ იგი მისი თანასწორია და ეს მას შეგნებული აქვს,—ყველა შესაძლებლობებს აქ იმისთვის ქმარი იყენებს.

მაგრამ ნადეჟდას არ სჯერა, რომ ეს შეგნებული ჰქონდეთ ვაჟებს, საკუთარი პარტიული წრისა და საზოგადოების ვაჟებს. სახელდობრ თუ გინდ პართენს... და ხანდახან ეჭვიც ეპარება იმაში, რომ ამ ამხანაგ ვაჟებს,—მაღალი სოციალისტური იდეებით გამსჭვალულთ, დიადი რევოლიუციონური საქმეებით დატვირთულთ მართლა გულწრფელად სწამდეთ ქალის ვაჟთან გათანასწორება და უფლებები...

არ იქმენ, ვერ იზამენ ისინი ამას. იმათთვის ლამაზი, საქათინაურო მომხიბლველი პოლიტიკური ფრაზებია „ქალ-ვაჟის თანასწორობა", „ქალის უფლებები" შინ და გარედ. იმათ ძვალ რბილში აქვთ გამჯდარი შეჩვეული ბატონობა ოჯახში. მათ შესისხლხორცებული აქვთ ოჯახში მბრძანებელის და მკარნახებელის როლი... ვერ შეურიგდებიან ისინი ამ ჩვეულების შეცვლას, ამ უფლებების შეკვეცას და დათმობას კაცობრიობის იმ ნახევრისათვის, რომელზედაც საუკუნოებით ბატონობენ... და, მერე არც იქცევიან სხვანაირად. აბა, ვინმე შეგნებულმა ამხანაგმა აჩვენა ეს მაგალითი ხალხს. იყო სადმე ამგვარი ფაქტები?.. ყოველ შემთხვევაში ნადეჟდამ არაფერი ასეთი არ იცის... და აი, პირიქით მაგალითი წინააღმდეგის: პართენმა, ამ დაწინაურებელმა მუშამ, მომზადებულმა სოციალისტმა და გამოცდილმა რევოლიუციონერმა, რომელიც აგრეთვე ეთაყვანება თავის ცოლს, არა როგორც მარტო ცოლს, უმთავრესად, როგორც თანამებრძოლს, ღირსეულ პარტიულ ამხანაგს და მეგობარს,—ის აღიარა ცოლის კრებაზე დაუსწრებლობისა და პარტიულ მუშაობაზე მოწყვეტის მიზეზათ, რომ ოჯახი მაქვსო, შვილები მყავსო, ესე იგი პართენმა არ გაიგო, ვერ შეიგნო, რომ ამ მდგომარეობის შეცვლა ცოლისთვის შეიძლებოდა რამოდენიმედ, და ეს ყველაზე პირველად, არსებულ პირობებში, მაზე, პართენზე იყო დამოკიდებული... რომ მას, პართენს, შეეძლო, და ვალდებულიც იყო, როგორც მნგრეველი პატრიარქალობის, წინამორბედი ახალი ქვეყნის, დაერღვია თავისი საკუთარი პრაქტი-

კით შეხედულობა, რომ ოჯახი, შვილები? მათი მოვლა-აღზრდის როლი დედაკაცის ამპლუა არისო...

ნადეჟდამ აქ დაანება ფიქრს თავი და პართენს მიუბრუნდა.

— ...რა წერილი მიიღე ტფილისიდან? ვინ გწერს? ამხანაგი? პარტიულ საქმეებს გააცნობს? იქაურ რევოლიუციონურ სიტუაციებზე გწერს?.. და რა ადგილია მერე ისეთი წერილში, რომ ასე დაგაფიქრა, დაგაღონა?.. არ შეიძლება მითხრა მე?.—ჰკითხა კარგა ხნის დუმილის შემდეგ ნადეჟდამ პართენს.

თუმცა წერილში იყო მართლაც დამაფიქრებელი, არა სასიამოვნო ადგილები, მაგრამ პართენი მაინც არ იყო მართალი აქ. მისი დაფიქრებისა და დაღონების მიზეზი სულ სხვა იყო, როგორც ზევით დაგინახეთ. და ეს პართენმა დაუმალა ნადეჟდას, სხვაზე გადაიტანა მიზეზი. ვერ სცნა მან მოხერხებულად საქმის ნამდვილი გარემოების ნადეჟდასთან ახსნა.

— როგორ არ შეიძლება, გიამბობ... წერილს, ჰო, ამხანაგი მწერს, საქართველოში რევოლიუციონური მუშაობის შესახებ...—მიუგო პართენმა და იწყო წერილის შინაარსის მოყოლა მთლიანად; ცალკე ადგილების ძებნას არ შედგომია.

წერილი, განმეორებით, მესამე-მეოთხეჯერაც ჰქონდა პართენს გადაკითხული და იცოდა მან ზეპირად თითქმის ყველა საგულისხმიერო მთავრი ადგილები შიგ. ამიტომ სიფრთხილის მიზნით წერილი მოსპო და ახლა ხელთ არა ჰქონდა.

...საქართველოს მენშევიკები თითქო არ ადგებიან ლიკვიდატორულ მიმართულებას. არალეგალური ორგანიზაციების ლეგალურით შეცვლას არ ცდილობენ — განაგრძობს პართენი წერილის შინაარსის მოთხრობას,—მაგრამ თავიანთ შესაფერ ლიბერალურ საფუძვლებს მაინც უტოვებენ მათ. რევოლუციონურ აქტიურობას გაურბიან. პარტიული მუშაობის მთელი სიმძიმე კულტურულ-განმათლებელ ფრონტზე გადააქვთ მათ... მუშებს და ლარიბ გლეხებს კი რევოლიუციონური მუშაობა სწყურია რაც არალეგალურად, შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლის ნიშნის ქვეშ უნდა ჩატარდეს.

აი, ამ ნიადაგზე სცილდებიან მენშევიკებს მუშები და ბოლშევიკებს ეკედლებიან.

ამ გარდატეხით აიხსნება ის, რომ ტფილისის ერთ-ერთ პარტიულ კონფერენციაზე უმეტესობა ბოლშევიკების შეიქმნა და ბოლშევიკური კომიტეტი აირჩიეს..

ამ ხანად აქა-იქ ფაბრიკა-ქარხნებში ტარდება მუშათა გაფიცვები. გაფიცვის ამ ტალღებმა გადაიარეს სხვა ქალაქებშიც,—ბაქოში, ბათომში, ფოთში... ბოლშევიკების გავლენა იზრდება მუშებში. ბოლშევიკები პოპულიარული ხდებიან მებრძოლ მასებში. გაცხოველებულია ბოლშევიკების მიმართ, მუშების ინტერესი. არ აკმაყოფილებს მათ ადგილობრივ მენშევიკურ გაზეთის ბრძოლის ხაზი და მიმართულება... ეტანებიან რუსეთიდან მოსულ ბოლშევიკურ ჟურნალ-გაზეთებს „პროსვეშჩენიე“-ს და „ზვეზდა“ს. მიუხედავათ იმისა, რომ აქაურ მუშებს რუსული კითხვა უჭირთ, ნაკლებად ესმით მათ რუსული,—არ იშურებენ მისთვის გროშების გაღებას თავიანთი ღარიბი ჯიბეებიდან, მაინც იძენენ.—„...აი აქ არის, პროლეტარიატის ბრძოლი ლოზუნგები, და ესაა ნამდვილი მუშათა გაზეთი“—ეუბნებიან ხოლმე ისინი შემოსტუმრებულ ამხანაგებს და აწვდიან „ზვეზდა“-ს...

ამ შემოსტუმრებულ ამხანაგებში ხშირად ინტელიგენტი მენშევიკები მოხვდებიან ხოლმე (ისინი აქ დიდძალნია). მათ არ ესიამოვნებათ [illegible] ამ-ხანაგებო, ეს ხომ ბოლშევიკური გაზეთია! აქ მხოლოდ მაცდური, დემაგოგიური ფრაზებია, რაც ბოლშევიკებს „ეჩერხებათ“ საზოგადოთ. არაფერი მეტი!.. და თქვენ ეს მოგწონთ განა!?“

არა საკმაოდ მომზადებული, გაუთვითცნობიერებული მუშები ნაწილობრივად ეთანხმებიან მათ, ნაწილობრივად არა, და აქ იმართება დავა.

... ბოლშევიკური ჯგუფის უბედურება აქ იმაშია, რომ ხელმძღვანელი ძალები ერთობ ცოტაა მის განკარგულებაში. მარტო ერთი ამხანაგი ალიოშა, რომელიც სუსტი რევოლიუციონური კვალიფიკაციის მქონე ამხანაგებს იკავშირებს თავის ირგვლივ, ვერ გაწვდება ყველგან და ყველაფერს. პროკლამაცია-ფურცლის გამოცემას ახერხებენ ეს ამხანაგები,—საიდუმლო პატარა სახელდახელო სტაბა—„ამერიკანკა“ აქვთ მათ, მაგრამ ფურცლის ხეირიანი შემდგენი არავინ მოეპოვებათ. ამაშიც არის ტფილისის ბოლშევიკების კრიზისი.

ყველა დიდი ამხანაგები ციხეში სხედან. ანუ უმეტესად გადასახლებულნი არიან.

ამ კრიზისს ხელმძღვანელების მხრივ მენშევიკები არ განიცდიან. თუმცა იმათგანაც სხედან კი ციხეში და გადასახლებულნიც არიან. მაგრამ აქ დარჩენილები და შემონახულებიც საკმაოდ მოიპოვებიან. ამას გარდა, მათ ისე არ სდევნის და სჯის მთავრობა, როგორც ბოლშევიკებს. ისინი მაინც ახერხებენ ხოლმე თავიანთ ლეგალურ, ოფიციალურ გაზეთის გამოცემას. მთავრობის აგენტები მათ ისე არ აქცევენ ყურადღებას, როგორც ბოლშევიკებს. ბოლშევიკების ყოველ ნაბიჯს გაცხოველებით ადევნებენ თვალყურს, სასტიკად ამოწმებენ ეს აგენტები... მიუხედავათ ამისა ბოლშევიკებმა სცადეს ერთხელ კვირეული ჟურნალის გამოცემა. გამოსცეს კიდეც, მაგრამ ერთი ნომერი მხოლოდ. მეორე ნომერზე მიახურა მთავრობამ, ჟურნალსაც კონფისკაცია უყო, და რედაქციის ტეხნიკური თანამშრომლებიც შეიწირა,— დაატყვევა, ციხეში ჩასვა... რა თქმა უნდა, თითონ რედაქტორს და პასუხისმგებელ თანამშრომლებს უფრო ადრე და მეტის ინტერესით მოჰკიდებდენ ხელს, რედაქციაში, რომ დახვედროდენ. მაგრამ მთავრობის აგენტების სამწუხაროდ ჩვენი დროის სარედაქციო სისტემაში არ შედის რედაქტორისა და თანამშრომლების რედაქციაში ჯდომა. ამან გადაარჩინა ამხანაგები...

მენშევიკური გაზეთი განაგრძობს ამჟამადაც არსებობას. არ იხურება. მის გარშემო შემოკრბეს, თავი მოიყარეს მენშევიკების ყველა ლიტერატურულმა ძალებმა. სხვათა შორის ტფილისში სცხოვრობენ ახლა ნახევრად ლეგალურ პირობებში და თავს დასტრიალებენ გაზეთის რედაქციას პატარა ნოებიც.

პრესაში ყველაზე აქტუალური ამ მენშევიკური თავებისთვის ახლა შეიქნა ნაციონალური საკითხი. ყველა მათგანი ცდილობს შეიტანოს აქ წვლილი საკუთარი სტატიებით. ნაციონალური საკითხის ეს აქტუალურობა თითქო მოიტანა იმ გარემოებამ, რომ საქართველოში ამას წინად დაარსდა ახალი პარტია „ნაციონალ-დემოკრატების“ სახელწოდებით... ეს პარტია წარმოადგენს ქართულ გაბატონებულ კლასს,—მემამულე-თავადაზნაურობას და ბურჟუაზიას, რომელთა

დროშაზე სწერია დამოუკიდებელი „დემოკრატიული“ საქართველო. მათ იწყეს აგრეთვე გამოცემა საკუთარი ბეჭდვითი ორგანოსიც, ქართულად და რუსულად. აი, ამ ორგანოს ესხმიან თავს მენშევიკი ლიტერატორები. ისინი ეკამათებიან საქართველოს დამოუკიდებლობას და მის ნაცვლად აყენებენ ამიერ-კავკასიის ნაციონალურ კულტურულ ავტონომიას. ეს უკანასკნელი მიაჩნიათ შესაძლებლად მათ.

საქართველოს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია არ სცნობს კლასს, კლასიურ ბრძოლას, რევოლიუციონურ გზებს, სოციალიზმს; მარტოდ და მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობა სწამს, მისთვის ბრძოლის საჭიროებას აღიარებს, მაგრამ ეს ბრძოლაც რეფორმების გზით ესმის მას. სოციალ-დემოკრატი მენშევიკები კი, რომლებიც მარქსისტობენ, სცნობენ რევოლიუციონურ მეთოდს, ემყარებიან კლასთა ბრძოლის საფუძვლებს და სოციალიზმისაკენ მიიმართებიან,— საქართველოს დამოუკიდებლობას გადაჭრით უარყოფენ. მათი აზრით ეს დამოუკიდებლობა ქართველ რევოლიუციონურ ხალხს მოსწყვეტს, ჩამოაშორებს რუსეთის რევოლიუციონურ ხალხს. ისინი მისალებად სთვლიან ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას. მენშევიკების შეხედულებით ეს ავტონომია საქართველო ამიერ-კავკასიის ხალხების ისტორიულ კავშირს რუსეთის ხალხთან არ შეასუსტებს.

და შეიძლება კიდეც ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აქ, ადგილობრივად, მონარქიული-დიდმპყრობელური მთავრობა აძლევს უფლებებს ერთმანეთის გვერდით სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისა და ნაციონალ-დემოკრატების პრესის არსებობას?

პირველი თხოულობს რა დამოუკიდებლობას, თან ამავე დროს თავისი პრინციპებით ებრძვის მუშათა კლასს, მის იდეალს—სოციალიზმს, და ამით სამსახურს უწევს აგრეთვე მონარქიულ-ბურჟუაზიულ მთავრობასაც. უკანასკნელი იცავს რა მუშათა კლასს, იყენებს რა რევოლიუციონურ მეთოდს, თან ამავე დროს ებრძვის რუსეთთან გამთიშველ საქართველოს დამოუკიდებლობას, და აქ ცხადია იგიც ეხმარება ამავე მთავრობას რუსეთის იმპერიის მთლიანობისათვის მაენე ნაციონალ-დემოკრატების იდეასთან ბრძოლაში.

ნაციონალისტური მიმართულების ფრონტს გადაჭრით ხელს უწყობენ აქ ფედერალისტები და ქართველი ესერები. მათი ბეჭდვითი ორგანოები სულ ამ საკითხებზე წერას უნდებიან. ისინიც თხოულობენ ნაციონალ-დემოკრატების მზგავსად ქართველი ერის სუვერენობას. მხოლოდ,საქართველოს არა დამოუკიდებლობის სახით, არამედ ავტონომიის ფორმებში, ტერიტორიალურ და პოლიტიკურ ავტონომიის ფორმებში.

მაგრამ ყველა ეს გაზეთები და მათი გამომცემელი პარტიები იმდენად სუსტები არიან პოპულიარობით და გავლენით ქართველ მშრომელ მასებში, რომ მათზე ნაკლებ აჩერებს მთავრობა თავის ყურადღებას. არ სთვლის მათ პოლიტიკურად ისე საშიშრად.

„და ეს სწორია... თუ ეს არა, აბა რით აიხსნება ის გარემოება, რომ მთავრობის აგენტები თურმე ამ გაზეთების გამოცემას სრულებით არ აფერხებენ. თუ მათ რამე აბრკოლებთ, ეს ის, რომ ნივთიერად ხელი ეშლებათ. თუმცა ფე-

დერალისტების გაზეთზე არც ეს ითქმება. იგი არ ვარდება კრიტიკულ მდგომარეობაში ნივთიერად. როგორც გადმომცემენ მათი გაზეთის „ბეჭედი" უმთავრესად შეძლებულ ლიტერატორ თავად-აზნაურებისაგან [illegible]—დაუმატა პარმენმა თავის მხრივ წერილის შინაარსს.

...პრესის ფურცლები სულ ერთთავად ნაციონალურმა საკითხმა დაიჭირა. გაღრმავდა დავა და ჯახი-ჯუხი მის ირგვლივ. ამ ნიადაგზე მოწინავე მუშებმა, განურჩევლად ფრაქციული მიმართულებისა, იწყეს უკმაყოფილობის გამოთქმა.

აღარ დაადგა საშველი ამ საკითხის გადაჭრას. არ იქნა მისი ამოწურვა. მეტად გაჭიანურდა იგი. დაღალა და მოაბეზრა მან თავი მებრძოლ მუშებს. არაფერი დადებითი ამ კამპანიიდან ვერ მიიღეს მათ. პირიქით თითქო უფრო დაუბნელა მან კლასობრივი ბრძოლის შეგნება მუშებს, და რაც უარესია—ამ ბრძოლას ინტერნაციონალური ხასიათი სრულებით გამოაცალა. ამ გარემოებამ ხელში ააღებინა კალამი ძველ მარქსისტ-ბოლშევიკ—ემახიძეს და დააწერია პატარა, მაგრამ მახვილი სტატია ნაციონალურ საკითხის ირგვლივ გაზეთებში ატეხილ დავის შესახებ.

ეს სტატია ერთობ მკაცრი და შეურიგებელი იყო. ამხანაგმა ემახიძემ, რა თქმა უნდა, პირველად აქ გაილაშქრა ნაციონალურ-დემოკრატიულ პარტიის „დამოუკიდებლობის" წინააღმდეგ, მაგრამ არც ფედერალისტ-ესერების ტერიტორიალურ-პოლიტიკური და მენშევიკების ნაციონალურ-კულტურული ავტონომია მოიწონა. მან ამ პატარა სტატიაში გამოამჟღავნა თავისი შეურიგებელი ცენტრალისტური მიდრეკილება მართველობაში, პოლიტიკური და კულტურული განუყოფლობა ერისა, და შიში ყოველგვარ ასეთ იდეებისადმი მებრძოლ მუშათა კლასში. სტატია უმთავრესად მიმართული იყო იქითკენ, რომ თანამებრძოლ ამხანაგებს თავი დაენებებიათ ამ საკითხისათვის, და მსჯელობა—დავის მთელი სიმძიმე გადაეტანათ სხვა უფრო დიდ და აქტუალურ, პრაქტიკულ-რევოლიუციონურ საკითხებზე.

ასეთი საკითხებია პარტიისათვის ახლა აზვირთებულ მუშათა კლასის ბრძოლისაკენ მოწოდება. პარტხელმძღვანელობის გაუმჯობესება, გაძლიერება. მუშებთან ახლო მისვლა, შემჭიდროება. ნამდვილ მუშათა გაზეთის გამოცემა. მომავალ გადამჭრელ ბრძოლისათვის ინტენსიური მზადება და სხვა.

პარტიაში გაბატონებული მენშევიკები აქ, არც ერთ ამ საკითხზე თავს არ იწუხებენ. მათი პოლიტიკური შემოქმედების სიმძიმე მხოლოდ და მარტო სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატ-მენშევიკ დეპუტატების ხურგზეა აკიდული. ამ დეპუტატების მიერ წარმოთქმული გრძელი სიტყვებით აჩვენებენ ისინი ხალხს თავიანთ რევოლიუციონურ საქმიანობას, ამით სწურავენ თავიანთ მისიას.

— აი ყველაფერი. ასეთი ყოფილა პოლიტიკურ ფრონტზე მდგომარეობა ჩვენში. ახლა მთავარი საკითხი ძალების ყოლაა იქ. და სად არის ეს ძალები... თითიდან ხომ ვერ გამოვიწოვთ.—დაასკვნა პართენმა ბოლოს, როცა წერილის შინაარსის მოთხრობას მორჩა.

— ჰო, კი. ეს არის თავსამტერევი საკითხი. ნიადაგი თქვენში რევოლიუციონური მუშაობის გაცხოველებისათვის საკმაოდ მომწიფებულა... მოახერხე

როგორმე და გაიპარე, პართენ! შენი და შენისთანების ყოფნაა ახლა იქ აუცილებელი.—მიუგო ნადეჟდამ ცოცხლად, ინტერესით, რომელსაც ეტყობოდა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა მასზე წერილში მოთხრობილი საქართველოს ამბები.

— კი, მაგრამ ცოლი, ბავშვები? რა უყო მათ?..—ჰკითხა პართენმა.

— ცოლი და ბავშვები შეიძლება ოფიციალურად, ადრევე გაგზავნო... გადმოსახლების ვადა ხომ კარგა ხანია შესრულებულია? რევოლიუციონურ მუშაობაშიც აქ შემჩნეული არაა აგენტებისაგან და უარს არ ეტყვიან უკან დაბრუნებაზე.

— და მართლა, ეს შეიძლება. კარგი მომაგონე შენ, ნადეჟდა... ცოლი, იქ შესძლებს ბავშვების ვინმე მახლობელზე მიბარებას და თითონაც ჩაებას სახელმძღვანელო, რევოლიუცვონურ მუშაობაში... ჩემს ცოლს ამისთვის ჰყოფნის მომზადება, გამოცდილება და დიდი სურვილიც...

— მაშ საქმე გაჩარხულია. მისი გამგზავრება აუცილებლად მოვაწყოთ ამ დღეებში. ნებართვას ჟანდარმთა სამმართველოში აიღებს თითონ... თუ მართლა პარტიულ მუშაობის ხელმძღვანელობა შეუძლია და მისი სურვილიც აქვს, ბავშვები ვერ შეუშლიან ხელს... ბავშვებს ბოლოს და ბოლოს მშობლებთან გაგზავნის, დედამის მიაბარებს...

— მშობლები... დედამისი... სადა ჰყავს?! ძმების მეტი არავინ გააჩნია... ერთი ძმა ხომ აქ იჯდა ციხეში და გადაასახლეს კიდევ უფრო შორს... ის, რომელიც მას სოფელში დარჩა, უცოლია, ოჯახი დაყრუებული აქვს... ჰყავს კიდევ ყველაზე უფროსი ძმა, რომელიც მდიდარია, სხვა კლასს და საზოგადოებას ეკუთვნის. იგი ხომ ძმებსაც გადუდგა და დასაც. ჭირივით სძაგს რევოლიუციონერები, სოციალისტები...

ასეთი ლაპარაკი შეექნათ პართენს და ნადეჟდას ერთმანეთს შორის ტფილისიდან მიღებულ წერილთან დაკავშირებით.

მაგრამ ახლა პართენს უკანასკნელ სიტყვაზე ნადეჟდამ ალარ უთხრა არაფერი.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნაციონალური საკითხი ჩვენში... აქ სიმართლე აუცილებლად ემახიჭის მხარეზეა... თუმცა მენშევიკები მას თურმე ნიღილისტად ნათლავენ ამ საკითხში... რა დროს ახლა ნაციონალური საკითხებია მუშათა კლასისა და მისი პარტიისათვის? ცხრაასხუთის რევოლიუციას ქართველ მუშათა და გლეხთა მასებში არ წამოუყენებია ნაციონალური საკითხი... მაშინაც და ახლაც ქართველ მშრომელ ხალხს და რუს მშრომელ ხალხს ჰყავდა და ჰყავს ერთი საერთო მტერი—მეფური მთავრობა, თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია... სულ ერთია, თუ ეს მტრები მათ არ მოიშორეს, არ დათრგუნეს, არავითარი ნაციონალური საკითხი არ გადიჭრება, არავითარ სუვერენობას ერი ვერ მიიღებს.—დაარღვია პართენმა სიჩუმე და უთხრა ნადეჟდას.

— მე ვფიქრობ პართენ ერთი შეცდომა ემახიჭესაც დაუშვია. არ არის მთლად სწორი მისი პოზიცია. და ამ მისი შეცდომიდან გამომდინარებს შენი შეცდომაც, რამდენადაც შენ ეთანხმები მას.—მიუგო ნადეჟდამ დინჯად, სერიოზულად.

— რაში, რაში დაუშვია შეცდომა? რატომ არ არის სწორი მისი პოზიცია? და რაში მდგომარეობს ჩემი შეცდომა? — ჰკითხა პართენმა სასწრაფოთ, ცოტა არ იყოს აპილპილებულმა ნადეჟდას მოულოდნელი კრიტიკით.

— ამხანაგი ემახიძე, როგორც სჩანს პრინციპშიაც სრულებით უარყოფს ნაციონალურ პროგრამას მებრძოლ მუშათა კლასისათვის. ეს კი შემცდარია. ჩვენ, ბოლშევიკ-სოციალდემოკრატებს, არავითარი საბაბი არა გვაქვს გვერდი აუხვიოთ პროლეტარიატის ნაციონალურ პროგრამას. ჩვენ პრინციპებში ვინახავთ და ვიცავთ ერის დამოუკიდებლობას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ ჰგავს „დამოუკიდებლობის“ ბურჟუაზიულ გაგებას. მას ჩვენ პროლეტარიატის კლასობრივ ლიანდაგზე ვაყენებთ... შენი შეცდომაც ისეთივეა აქ, როგორც ემახიძის. ამიტომ ჩემი გამოთქმული შენიშვნებიც ისე გეხება შენ, როგორც მას...

პართენი ჩაფიქრდა.

— ... მაინც არ მესმის როგორ უნდა მიიღოს და გამოიყენოს მუშამ ერის ეს დამოუკიდებლობა, — ნაციონალური პროგრამა! მეფურ მთავრობის ხელში, თავად-აზნაურებისა და ბურჟუაზიის მართველობის ქვეშ მუშათა კლასი, სხვა ერიდან გამოთიშული მუშათა კლასი უფრო დასუსტდება და გაიფცქვნება ხომ საკუთარი ქვეყნის კლასობრივ მტრებისაგან?!. — სთქვა პართენმა.

— ერის „დამოუკიდებლობას“ ჩვენ პროლეტარიატის კლასობრივ ლიანდაგზე ვაყენებთ, და ეს, წინააღმდეგ „დამოუკიდებლობის“ ბურჟუაზიულ გაგებისა, ერთი ერის პროლეტარიატს არ თიშავს მეორე ერის პროლეტარიატთან... ერის ამ ნაციონალურ პროგრამას პროლეტარიატი თავის მტრის საწინააღმდეგო იარაღად გამოიყენებს. მას მოიხმარს იგი მეფურისა და ბურჟუაზიული წყობილების დამხობაში. — მიუგო ნადეჟდამ.

— მე კიდევ ვფიქრობ, რომ ჩვენს პირობებში ნაციონალური პროგრამის მიღება შეუძლებელი იქნება. მშრომელი ხალხი მას, ახლა ვერ გამოიყენებს. ეს „პროგრამა“ პროლეტარიატს არ სჭირია. თუ მაინც მივიღებთ ამ „პროგრამას“ პროლეტარიატის ბრძოლისათვის მავნებელიც იქნება... ნაციონალური საკითხის, პროგრამაში შეტანა პროლეტარიატს დაუკავშირებს ერის გაბატონებულ ნაწილს. ეს კი დააჩლუნგებს პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას...

— სცდები, პართენ... მე თუმცა იმ ერს ვეკუთვნი, რომელსაც ეროვნული ჩაგვრა არ განუცდია, პირიქით ამჟამად თითონ არის მჩაგვრელი ერი, მაგრამ მაინც ვიცი, რომ ასეთი ინტერნაციონალიზმი, როგორიც შენ ახლა დახატე, სწორედ მავნებელი იქნება პროლეტარიატის ბრძოლისათვის... თუ ვისმეს სჭირია ერში ნაციონალური პროგრამა — საკუთარი კულტურა, საკუთარი ენა და ამ ენაზეევე სახელმწიფო მმართველობა, ეს ყველაზე უწინ ერის დაჩაგრულ ნაწილს — პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას. უპირველეს ყოვლისა სწორედ ერის ამ ნაწილს უნდა ეს „პროგრამა“, ერის ეს უდიდესი ნაწილია მოკლებული სწავლა-განათლებას, — არ იცის ენა და კითხვა სხვა ერისა, არ შეუძლია მისწვდეს სხვა ერის კულტურას და ცოდნას. საკუთარს კი მოკლებულია... ერის გაბატონებული ნაწილისათვის ეს „პროგრამა“ პატრიოტული თავმოყვარეობის საკითხია, პროლეტარიატისათვის კი საარსებო...

ალარ ეშვებიან ერთანეთს ნადეჟდა და პართენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალრმავებენ დავას...

არც ერთს არ უნდა დასთმოს.

ცდილობენ შეირჩინონ დაკავებული მოპირისპირე პოზიციები. ბუნებრივ-ბენ ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიტიკურ ხაზს და პრინციპებს ნაციონალურ საკითხის გაშუქებაში.

სიტყვა ნადეჟდას კიდევ არ გაუთავებია და განაგრძობს.

ერის გაბატონებული ნაწილი განათლებული, ნასწავლი არის. იგი დაწინაურებულ ერების ენებზედაც სიამოვნებით ილაპარაკებს... ნახავს თეატრებს და მოისმენს მუსიკა-სიმღერებს... გაიგებს სხვებს, გააგებიებს ამ სხვას თავს... და მისთვის ხომ პრივილეგიების საკითხია უმთავრესად ეროვნული საკითხი?!. ნადეჟდას რუს მემამულე-თავადს, თუ გრაფს ეს გაბატონებული ერი იმიტომ ესაჭიროება, რომ ეროვნული პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილოს, თავისი „პერსონა" აამაღლოს, მისი სიამაყე როგორც რუსის დაიცვან სხვა დიდმპყრობელ ერების გაბატონებულ კლასის თვალში, შესძლოს მის გვერდით ამოდგომა, როგორც „ოანასწორმა თანასწორთან", ხოლო ნადეჟდას რუს ბურჟუა-კაპიტალისტებს აქ აინტერესებთ დამოუკიდებელი ერის ნივთიერი დოვლათით კონკურენციის გაწევა სხვა ერების დოვლათისათვის! მჯობნეობა, მათი დაჩაგვრა და ამით საკუთარი ჯიბეების დასქელება.

— ეს კი, ჰო, სწორია ყველაფერი. მაგრამ ერის გაბატონებული კლასიც რომ შემოგვეერება ამ მიღებულ ნაციონალურ პროგრამაში? იგიც რომ ამოგვიდგება გვერდში და ჩვენთან ერთად შეეცდება ნაციონალურ საკითხის გადაჭრას? როგორ უნდა მოვიქცეთ აქ? შემოვიამხანაგოთ ხომ უნდა ამ ბრძოლაში იგიც, რადგან ეს საკითხი მასაც აინტერესებს?! და ეს არაა საშიშარი პროლეტარიატის ინტერნაციონალურ კლასობრივ ბრძოლისათვის!? არ მიაძინებს ეს მის კლასობრივ შეგნებას და შეურიგებლობას!? არ დააშორებს ეს სხვა ერის პროლეტარიატს?!—მისცა კითხვა პართენმა.

— ტყუილი შიშია ეს! ერის გაბატონებულ კლასს ჩვენ კი არ გავყვებით ამ შემთხვევაში, იგი თვით იძულებული იქნება წამოგვყვეს ჩვენ... ჩვენი პარტიის ინიციატივა იქნება ამ საკითხის წამოყენება; ჩვენი კლასი,—მუშათა კლასი იქნება გეგემონი მის გადაჭრაში, მისი გადაჭრისათვის ბრძოლაში... ჩვენ არ გაუწევთ ანგარიშს ერის. გაბატონებულ ნაწილის ნაციონალურ პრინციპებს... ჩვენ ვამცნობთ ველას, რომ ეროვნული ჩაგვრაც ერთი იმ სოციალურ უბედურებათაგანია, როგორც კლასობრივი ჩაგვრა. ორივეს ერთი მიზეზი აქვს აქ,—კაპიტალიზმია, იმპერიალიზმია ეს მიზეზითქო... რომ იგი შედის ჩვენი კლასობრივი ბრძოლის პრინციპებში და სხვა...და არ არის აქ სრულებით საფრთხე, თითქო ნაციონალურ საკითხის ჩვენ მიერ წამოყენება გათიშავდეს სხვა და სხვა ერის პროლეტარიატს... კლასობრივი ბრძოლის ფრონტს რა წაშლის! პირიქით თავისუფალი ერის თავისთფალი, ნებაყოფლობითი კავშირი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით უფრო ბუნებრივი, სალი, ძლიერი და მტკიცეა... უნდა ვიცოდეთ რომ არავის ჩვენა გარდა ნაციონალური საკითხის გადაჭრა არ შეუძლია. და ცხადია უნდა ვეცადოთ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, ე. ი. პროლე-

ტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის პირობებში მის გადაჭრას.— მიუგო ნადეჟდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პართენი ახლა ცოტა არ იყოს მოტყდა...

ეშვები შეეპარა თავის მიერ დაჭერილ პოზიციაში. მაგრამ რაღაც მაინც აკავებდა. თანხმობა კიდევ ვერ გაეცხადებინა ნადეჟდასთვის.

—...ჩვენი ბრძოლის, კლასობრივი ბრძოლის პირობებში თუ შესაძლებელია ეს, რატომ ჩვენი ბელადები, სახელდობრ ლენინი არაფერს არა სწერს მაზე?— უკანასკნელად კიდევ მისცა პართენმა კითხვა.

— რატომ! ნაციონალურ საკითხის შესახებ, სწორედ ამ რამდენიმე დღის წინად იყო წერილი "პროსვეშჩენიე"-ში. შენ გამოგრჩენია. ან შეიძლება ჯერ ვერ მოასწარი ჟურნალის გადაკითხვა. ამ წერილებს, რომელიღაც ახლად გამოჩენილი ამხანაგი—სტილინი აწერს ხელს... და ლენინსაც ეგევე აზრი აქვს გამოთქმული ამ საკითხზე ამხანაგების ვიწრო წრეში წინად. საცა, შემთხვევით დამსწრე და მოწმე მე თითონ ვყოფილვარ... ლენინი მომხრეა, რა თქმა უნდა, ერის დამოუკიდებლობის, იზიარებს ერის თვითგამორკვევის პრინციპებს. მას იგი პროლეტარიატის ბრძოლის ტაქტიკის ერთ მთავარ ნაწილადაც აცხადებს... ერის დამოუკიდებლობა, ერის თვითგემორკვევა—ეს ხომ ჩვენი მეორე ყრილობის პროგრამის სახით მიღებულ დადგენილებებშიც არის?!.. ეეხ, რა ცუდია, რომ ამხანაგები ხშირად ივიწყებენ ხოლმე პარტიის სახელმძღვანელო დადგენილებებს, მის პროგრამასაც.

უკანასკნელი წინადადება დაბალი ხმით, თავისთვის სთქვა ნადეჟდამ.

ეს მიმართული იყო, როგორც შენიშვნა, პართენისადმიდაც, მაგრამ პართენმა იგი მიიღო თავის თავზე, და ამ მხრივ პასუხის გაცემა საჭიროდ აღარ დაუნახავს მას.

პართენს მართლაც დავიწყებული ჰქონდა, თუ არ ახსოვდა პროგრამა-დადგენილების ეს მუხლი.

ნადეჟდას, როგორც დახელოვნებულ ჟურნალისტს, რომელსაც თითქმის სულ ყოველთვის ხელში ეჭირა კალამი და საგაზეთო სტატიების წერას უნდებოდა, ხშირად ეძლეოდა შემთხვევები პარტიის წარსულის ძებნა-შესწავლისათვის, და ამით აიხსნება ის, რომ მან უფრო იცოდა პარტიის პროგრამა-დადგენილებები, უფრო ახსოვდა მას ყველა ეს სახელმძღვანელოები.

მაგრამ პართენს ახლა აღარც სხვა მხრივ უცვნია საჭიროდ პასუხის გაცემა ნადეჟდასათვის.

ლენინის ხსენებამ, ლენინის ავტორიტეტმა და თან აგრეთვე იმის მოგონებამ, რომ პროგრამაში ასე გვიწერია ესო,—პართენის პოზიცია ამ საკითხში სრულებით მოშალა.

მოპირისპირე აზრებმა დაუწყეს რბენა თავში მას.

თუ დასაჯერებელია, რომ ლენინი ასე ფიქრობს, მას სწამს ეს პრინციპი და კიდევ, ყრილობის დადგენილებაც ასეთია, მაშინ პართენს რაღა ეთქმის!.. უნდა დაუჯეროს ლენინს მანაც და ემახიძემაც, უნდა დაუჯეროს მათ ორივემ, მეორე ყრილობის დადგენილებას, მაგრამ არ შეიძლება სცდებოდეს ლენინი? მეორე ყრილობაც? მიიღოს მათი აზრი უკრიტიკოთ?.. მეორე ყრილობის დად-

გენილებაში მენშევიკებიც ხომ ლებულობდენ მონაწილეობას, გავიდა მათი წინადადებები ბევრ შემთხვევაში,—და არ იქნება ვითომ შეცდომა—ეს? არ იქნება ვითომ ადგილი დადგენილებებში ჩვენი ქართველი მენშევიკების „ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ მზგავს იდეებს?... მაგრამ ლენინიც რომ იზიარებს მას? ლენინიც რომ თურმე ასე ფიქრობს?... ყოველ შემთხვევაში პართენს ნაკლები შანსი აქვს იმისი, რომ ლენინი სცდებოდეს, ყრილობა სცდებოდეს და ემახიძე და თითონ იყვენ მართალი...

მაინც საჭიროა ლენინის ამ ნათქვამის სისწორის შემოწმება, ყრილობის დადგენილების გადახედვაც, და როგორ შეასრულოს ახლა პართენმა ან ერთი და ან მეორე? დაიჯეროს, რომ არ უშვებს შეცდომებს ლენინისა და ყრილობის აზრის გადმოცემაში ნადეჟდა?...

არა! არაა შესაძლებელი! არ შეიძლება აქ სცდებოდეს ნადეჟდა!

ნადეჟდა შეგნებული, მომზადებული და დაწინაურებული წევრია პარტიის. იგი ამავე დროს პასუხისმგებელი მუშაკია რედაქციის; პარტიის იდეოლოგიური ფრონტის ერთი ხელმძღვანელთაგანია...

არა, კი იქნება სწორი ნადეჟდას გამოცემა.

— როგორც სჩანს, ნადეჟდა, სიმართლე შენს მხარეზეა... მაგრამ საინტერესოა მაინც ვიცოდე—რაში მდგომარეობს ეს ტაქტიკა, და რას აძლევს იგი მებრძოლ პროლეტარიატს.—უთხრა ბოლოს პართენმა დამშვიდებით „დამარცხებულის“ პოზით.

—... ამ საკითხით; ნაციონალური საკითხით დაინტერესებული არიან საზოგადოების სხვა ფენებიც,—არაპროლეტარული, არამშრომელი ელემენტებიდან,—რომელთაც რევოლიუცია, მეფის ჩამოგდება და რესპუბლიკის დამყარება შეიძლება არ აინტერესებდეთ, მაგრამ ნაციონალური კითხვის გადასაჭრელად კი ბრძოლა იზიდავდეთ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის კი ყელებს „ინერწყავდენ“... და იმასთან ერთად, რომ ამ გვარად ჩვენს მებრძოლთა რიგებს გავაძლიერებთ, თან აგრეთვე ამით გამოვგლეჯთ ერის გაბატონებულ კლასს—თავადაზნაურობას და ბურჟუაზიას—მასების ამ გადამბირებელ, ყალბად მითვისებულ პროლეტარული ბრძოლის „ერთ-ერთ იარაღს... ეს იარაღი ჩვენი იარაღია და სხვათა შორის ეს უნდა უთხრათ მტერსა და მოყვარეს.—მიუგო ნადეჟდამ პართენს.

პართენი დაკმაყოფილდა. მისთვის ახლა ყოველგვარი გაუგებრობა ამ საკითხის ირგვლივ გაიფანტა. თავისი შეხედულებები ამ კითხვაზე შეცდომად იცნო.

მაგრამ მარტო პართენს ეჭირა ეს შემცდარი პოზიცია ნაციონალურ საკითხში? ყველა ქართველი ამხანაგი ხომ თითქმის ასე ფიქრობდა?...

პართენი ემახიძის თეორიის გავლენას აწერდა ამ შემცდარ პოზიციების დაჭერას.

„ემახიძე ძველი მარქსისტია, ემახიძე ჟურნალისტია და საქართველოში ბოლშევიკები მხოლოდ მის კალამს იცნობენ, ისინი მის კალამს უჯერებენ“.—ფიქრობს პართენი.

— მაინც ვინ არის ეს სტალინი?...—სთქვა პართენმა.

— ამბობენ კავკასიელიაო... მეტად ძვალმაგარი ბოლშევიკი, ერთი უნიჭიერესი ხელმძღვანელი ყოფილა კავკასიის ბოლშევიკებისა ცხრაკუნეთში... ბიბლიოთეკა
მე.—მიუგო ნადეჟდამ.

— ვინაა ასეთი... ჩვენი ხელმძღვანელი აქ იყო: კობა, შაუმიანი, ცხაკაია და... ლიდერებში მეტი არავინ ისეთი თვალსაჩინო... ჰო, ფილიპე კიდევ. მაგრამ ყველაზე დაუდეგარი, ყველაზე გაუტეხელი და დაუშრეტელი ენერგიის ორგანიზატორი იყო კობა მათ შორის... ბოლშევიკების ფრაქციულ ხაზს უმთავრესად იგი იძლეოდა.

— იმასაც ამბობენ ქართველიაო... წერილებში ვიღაც ქართველებს ეკამათება ნაციონალურ—კულტურულ ავტონომიის შესახებ...

— კობა იქნება ალბად... ახალი ფსევდონიმით, რუსული პსევდონიმით თუ დაიწყო წერა... იგი მართლა ნიჭიერი ხელმძღვანელი და ლიდერი იყო ჩვენი...

უთხრეს ერთმანეთს ნადეჟდამ და პართენმა ნაციონალური საკითხის გამშუქებელთა შორის ახლად ჩარიცხულ ავტორის შესახებ, და გაჩუმდენ. ფიქრებს მიეცენ.

—... აა, ნადეჟდა! მაშ ნიღილისტი ყოფილა ემახიძეც და მეც ნაციონალურ საკითხს რომ არ ვცნობდით... და მართალი ყოფილან მენშევიკები ამ ბრალდებაში ემახიძის მიმართ.—დაარღვია სიჩუმე პართენმა.

—კი, ეს ნიღილიზმია. მაგრამ რა უყოთ მერე... იმათ, თქვენს მენშევიკებს ამ საკითხში უფრო დიდი და გაუსწორებელი შეცდომები აქვთ.—მიუგო ნადეჟდამ.

აქ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაინც, პართენ, ერთი გაუგებარი რჩება ჩემთვის,—რა იყო შენს მოთხრობილ წერილში ისეთი დამაღონებელი მძიმე ადგილი შენთვის?... წერილის შინაარსი ძალიან კარგი და გამამხნევებელი ყოფილა პირიქით!—დაარღვია ნადეჟდამ სიჩუმე.

არ იცოდა პართენმა, რა ეპასუხა ახლა მას ნადეჟდასათვის. თავის მოთხრობილ წერილში მართლაც დამაღონებელი და სამწუხარო არაფერი არ ყოფილა. აქ მოთხრობილი ყველაფერი ლაპარაკობდა რევოლიუციის გადაჭრით აზვირთებაზე, რევოლიუციის მუშაკების კოორდინაციაზე და სხვა.

—ოო, მართლა მე გამომრჩა, დამავიწყდა რევოლიუციონერებისათვის ყველაზე უფრო საყურადღებო მძიმე მომენტები ჩვენების საქმიანობიდან ტფილისში.—სთქვა პართენმა აჩქარებით, რალაც მწუხარებით, ღა შეუდგა ამ ამბის გადმოშლასაც.

ეს მომენტები მართლაც უმძიმესი იყო თავისი რევოლიუციონური სისავსით.

პართენს ეს ამბავი მოაგონა ნადეჟდას შენიშვნამ—„რა იყო შენს მოთხრობილ წერილში ასეთი დამაღონებელი მძიმე ადგილი შენთვის, და პირიქით“-ო, რომ უთხრა.

ნამდვილად დასაღონებელი და სამწუხარო ტფილისიდან მოტანილ რევოლიუციონურ ამბებში მას ბევრი ჰქონდა...

აქ ამბავი ახლა შეეხებოდა ჩამოსახრჩობად გამზადებულ გამოჩენილ ტექნიკ-რევოლიუციონერის-კამოს ციხიდან გაქცევას, და ამ გაქცევის ორგანიზატორების გმირულ მუშაობის დღეებს.

სასიკვდილო მარყუჟს რომ დაძვრენოდა კამო, მან თავის განკარგულებაში მყოფ უკანასკნელ საშუალებას მიმართა—გიჟობის სიმულიაციას. [illegible] თავი გიჟად მოაჩვენა ციხის უფროსებს. კამომ აიტანა შესამოწმებელი სხვადასხვა წამება, და გიჟობის „გამოცდა“ ბრწყინვალედ ჩააბარა მტრებს, რის შედეგად შეტეხის საპყრობილის საკანს მოაშორეს იგი და მტკვრის პირად არსებულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„შენ არ გეგონოს მე მართლა გიჟი ვიყო. თავს ვიგიჟიანებ მხოლოდ. მაგრამ მეტის ატანა აღარ შემიძლია. თუ მოახერხებთ და აქედან გამაძვრენთ-სიკვდილს თავს დავაღწევ, თუ ვერა და სულ ერთია მოვკვდები“.—სწერდა კამო თავისი „ექსური“ ჯგუფის ერთ ყველაზე თვალსაჩინო ამხანაგს-კოტიას, რომელიც შემდეგ შეიქნა ამ მისი გაქცევის ორგანიზაციის სულის ჩამდგმელი.

პართენის მიერ მიღებული წერილიც, რომელიც მას ახლად გადმოსახლებულმა ამხანაგმა მოუტანა, ამ კოტიას ნაამბობიდან შესდგება:

კამო იჯდა ტფილისის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, როგორც გიჟი.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი და ტფილისელი საუკეთესო ფსიქიატრები ამტკიცებდენ—კამო გიჟიაო, და საამისო მოწმობებსაც აძლევდენ მას,—მთავრობას მაინც არ სჯეროდა კამოს სიგიჟე, და ყოველშემთხვევისათვის თავისუფლება აღეკვეთა მისთვის. კამო თუმცა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჰყავდათ მოთავსებული, მაგრამ მისთვის სპეციალური ცალკე საწოლი და სადარაჯო იყო გამოყოფილი.

გარედან მტკვრის პირით, სხავადმყოფოს სდარაჯობდა ორი პოლიციელი. საუბედუროთ, დარაჯებს ღამით აყენებდენ. დღისით მხოლოდ შესასვლელ კარებს იცავდენ.

გაქცევის მომწყობ ორგანიზაციას უნდა ესარგებლა ასეთი გარემოებით.

კამოს დაძვრენა დღისით უნდა მომხდარიყო.

საავადმყოფოში მსახურობდა ერთი ზედამხედველი, გვარად ბრაგინი, ჯარში გასაწვევი ახალგაზრდა. პოლიტიკური მომზადება სრულებით არ ჰქონდა; მხოლოდ ბუნებით პროტესტანტი იყო. თვითმპყრობელობა, და საზოგადოთ ძველი მონარქიული წყობილება სძაგდა; ვერ ურიგდებოდა ჩაგვრას, უსამართლობას. მისი ასეთი სულიერი განწყობილებით ისარგებლეს ამხანაგებმა და წინადადება მისცეს—დახმარებოდა კამოს გაქცევაში.

მას ჯერ კიდევ საავადმყოფოში მოლაპარაკებოდა კამო და თანხმობა განეცხადებია. შემდეგ კოტიე გაეცნო მას და დაწვრილებით მოელაპარაკა. გაცნობის შემდეგაც მან რამდენჯერმე გამოსცადა, შეამოწმა ბრაგინი; შიშობდენ ამხანაგები—პროვოკატორი არ გამომდგარიყო. მაგრამ როდესაც დარწმუნდენ მის გულწრფელობაში, შემდეგ უფრო გაბედულად ღა ნდობით დაუწყეს ლაპარაკი.

კავშირი მასთან კამოს დების—არუსიაკასა და ჯავაირას საშუალებით ჰქონდა...

საჭირო შეიქნა ამერიკული ფოლადის ხერხები, რომ ფანჯარაში ჩასმული რკინის მოაჯირები გადაეჭრათ. ამით კი შესაძლებელი იყო თოკის მეორე სართულიდან ძირს ჩამოშვება, და აგრეთვე ბორკილების ისე მომზადება, წინდაწინ, რომ გაქცევის დროს ადვილად მოეშორებინა ფეხებიდან.

გიჟად ცნობილი ადამიანი ბორკილებში იჯდა. ამაზე შორს ალარ წავიდოდა სისაძაგლე!...

ბორკილების შემაერთებელ რგოლის ნაცვლად ბორკილებს ... ...

შემთხვევით ამ დროს რამდენიმე უსაქმოდ მოხეტიალენი მოვიდენ სწორედ ამ ადგილას და იწყეს სეირნობა მტკვრის ნაპირზე.

კოტიე მოუთმენლად ელოდება მათ წასვლას. კარგა ხანი—გულისგამაწყალებელი ლოდინის შემდეგ, როგორც იყო წავიდნენ.

და ის იყო ცხვირსახოცს მოჰკიდა მან ხელი და უნდა ენიშნებინა გამოსვლა კამოსთვის, რომ ამ დროს გამოჩდა კიდევ ვიღაც მოქალაქე ძაღლით და დაუწყო ბანაობა იქვე ნაპირიდან მტკვარში, საიდანაც უნდა მიცემულიყო ნიშანი.

ელოდება კოტიე. არ მიდის იგი. ასე განვლო ნახევარმა საათმა, ერთმა საათმაც. უმძიმესი შეიქნა ეს წუთები; წამები წლებათ გადაიქცენ. კოტიას ბრაზისაგან თვალები დაუბნელდა, გულმა საშინლად ცემა დაუწყო...

მოქალაქე განაგრძობს იქ ყოფნას...

კოტიას ეჭვი შეეპარა:

„იქნება გაიგეს ჩვენი საქმე, და საიდუმლო აგენტია"—ფიქრობს იგი.

„თუ არა აგენტი, აბა რატომ ასე ხანგრძლივად ათამაშებს და აბანავებს ძაღლს ამ ადგილას".—ეკითხება კოტიე თავის თავს.

სწორედ ამ მძიმე და დამღლელ მოლოდინში გაიარა ფრთხილი ნაბიჯებით ამხანაგმა სერგომ (ორჯონიკიძე), რომელიც ცენტრიდან (რუსეთიდან) იყო არალეგალურად წამოსული ე. წ. „პარიზის ხუთის თათბირის" შედეგის პარტიული წრეებში გადასატანად, და რა დაინახა იქ გაყეყეჩებული კოტიე, ჰკითხა, რას აკეთებო.

კოტიამ, თუმცა არა დამშვიდებით, არევით, ნაწყვეტებათ, მაგრამ მაინც დაუწყო მოყოლა თუ რას აკეთებდა.

„ჰო, კარგი, მე ვიცი ახლა შენ იქ „კარგ საქმეზე" არ იქნები"...—უთხრა ბოლოს ხუმრობით სერგომ და გაქრა; დიდხანს არ შეჩერებულა, ალარ შეუშლია ხელი.

ამ ამბით გავიდა კიდევ ერთი საათი და როგორც იყო, ის მოქალაქე მოსცილდა დანიშნულ ადგილს თავისი ძაღლით.

თითქმის ორ საათ ნახევარი აბანავა მან ძაღლი.

მოთმინებას ჰკარგავდა კოტიე; რამდენჯერ გაივლო გულში მისი ძაღლთან ერთად მტკვარში გადაგდება და დაღრჩობა...

პირველი საათი იყო უკვე. გვიანდებოდა. მაგრამ დანიშნულ ადგილის ხალხისგან სულ განთავისუფლება მაინც არ მოხერხდა; ხან ერთი ჯგუფი გაისეირნებდა მტკვრის ამ ნაპირით, ხან მეორე.

კოტიამ ბოლოს ალარ მიაქცია ყურადღება იმათ იქ ყოფნას და მისცა კამოს ნიშანი. მან სამჯერ დაუქნია ცხვირსახოცი და უცდის თოკის გადმოშვებას. ხუთი წუთის შემდეგ გადმოეშვა თოკი.

კოტიასა და კამოს გული უჩვეულოდ აძგერდენ მკერდში.

სიკვდილი და სიცოცხლე, ბორკილები და თავისუფლება შეეჭიდენ ერთმანეთს, გადამჭრელ ბრძოლებშია.

რას იზამს „ბედის წერა"?..

თოკის გადმოშვების მომენტიდან თვალის დახამხამებამდის დაეშვა კამო თოკზე. მაგრამ, აი ხიფათი—ორი საჟენი ჩასცილდა თუ არა. ფეხი გაუსწორდა და მტკვრის პირთან მიწაზე დაეცა კამო. საკვირველი იყო.—თოკი [illegible] ეყენდა კოტიამ, გასინჯა, თითონ დაიმაგრა,—ოთხფუთ ნახევარს იწონიდა იგი, კამო კი მაშინ ორ ფუთ ნახევარიც არ იქნებოდა.

„ალბად თოკი გაიხეხა რამეზე და ველარ გაუძლო, გაწყდა".—ამობს საშინელი გულის ძგერით კოტიე თავისთვის.

ცივ—ცხელი ოფლი დაასხა ტანზე მას, ცახცახმა აიტანა.

„დაუშავდა რამე? ცოცხალია?—ეკითხებოდა იგი თავისთავს განმეორებით.

მაგრამ ჩქარა დაინახა მან, რომ კამო სწრაფად წამოდგა და მდინარისაკენ გამოსწია.

ხელში კამოს ხელსახოცში გამოხვეული ბორკილები ეჭირა, რომელიც მდინარეში ჩააგდო მან და წყლით, ნაჩვენებ კუნძულზე გამოვიდა. იქიდან ისევ წყლით ვერის ხიდის ქვეშ გაიარა და სანაპირო ქუჩაზე რომ უნდა ამოსულიყო, კოტიამ მოუსწრო და მარჯვნით ნაპირიდან ხელის გაწოდებით ამოიყვანა.

თუ არა ხელის გაწოდება, გაუჭირდებოდა კამოს ამოსვლა, რადგან წყალი ღრმა იყო იქ...

კამომ დაახწია თავი საღრჩობელას, გიჟობის მძიმე პროცედურას.

კოტიამ მას გამოუცვალა ტანისამოსი და „უჩინარი" ქუჩებით გააქრო, სადღაც დროებით მიმალა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კოტიამ და სხვა ამხანაგებმა კამო პარიკებში, სახე—გამოცვლით მატარებელში ჩასვეს და ბათომში წაიყვანეს. ეს იყო იმ მომენტში სწორედ, როცა კიევში „სტუმრობის" დროს სტოლიპინი მოჰკლეს.

„სტოლიპინის ასე სიკვდილი მეწყინა".—უთხრა კამომ ამხანაგებს მატარებელში.

„რას ამობ!? როგორ თუ გეწყინა!"—განცვიფრებით ჰკითხეს ამხანაგებმა. რომლებიც სრულებით არ მოელოდენ კამოსაგან მეფის უსასტიკეს პრემიერ—მინისტრის—სტოლიპინის სიკვდილზე ასე თქმას, და პირიქით.

„მეწყინა იმიტომ, რომ საშინელი მინისტრი—სტოლიპინი მე თითონ მინდოდა მომეკლა რათაც არ უნდა დამჯდომოდა"—მიუგო მათ ჩუმად კამომ.

ცოტა ხნით ბათომში დაყოფის შემდეგ კამო გაამგზავრეს გემით საზღვარგარეთ.

არ გაუვლია ამის შემდეგ დიდ ხანს, რომ ბრაგინი, კოტიე და ბევრი სხვა დააპატიმრეს...

რა თქმა უნდა, ეს დაპატიმრებები მოხდა კამოს გაქცევასთან დაკავშირებით.

ჟანდარმერიის აგენტებმა შესძლეს გაქცევის ორგანიზატორების კვალის მიგნება.

კოტიას ბორკილები დაადვეს და ეგრეთ წოდებულ „სიკვდილ მისჯილთა" საკანში გამოკეტეს.

და სწორედ იმ დროს, როცა სასამართლოს პროცესი დასრულდა,—კოტიას და ბრაგინს კატორღები მიუსაჯეს, ხოლო კამოს დებს—არუსიაკას და ჯავაი-

რას ციხბირში გადასახლება, მოვიდა ცნობა, რომ საზღვარგარეთიდან კვლავ ტფილისში ჩამოპარული კამო, ექსების მიწყობის მომენტში [illegible] ერთად დააპატიმრეს და ახლა ბეწვზე ჰკიდია მისი სიცოცხლე...

— ...აი, ეს მძიმე და სამწუხარო ამბავი... დამაღონებელი და სამწუხარო კიდევ ის არის ჩემთვის, რომ რევოლიუციონური მუშაობის ერა დაწყებულა ჩვენში, ნიადაგი რევოლიუციისათვის მეტად ხელ საყრელი ყოფილა და ძალები კი არაა... ხელმძღვანელი, გამოცდილი ამხანაგები ბუდუ, სპანდარიანი, სტასოვა, ასატურა და სხვები, ყველა ახლა, ზოგი ციხეში და ზოგი გადასახლებული ყოფილან... წასვლას, გაპარვას კარგა ხანია ვფიქრობ, მაგრამ ვერ მოვახერხებია... თან ამხანაგებიც აქ არ მიწყობენ ხელს, არ უნდათ რომ მე სარედაქციო მუშაობას სარატოვში გამოვეთიშო.—დაასკვნა თავის ამბავს პართენმა.

კი. ამხანაგები მართლაც არ ურჩევდენ, უკეთ რომ ვსთქვათ უშლიდენ გაპარვას, დაბრუნებას უკან.

„...ვინ იცის რა ხიფათი შეგემთხვევა გზაზე. შესძლებ კი ტფილისამდე მიღწევას?—კითხვაა... და მერე კიდევ აქ გაჩაღებული რევოლიუციონური მუშაობა გვაქვს და მოგვწყდები; აქაური მუშაობაც შეგვიფერხდება... ცოტა კიდევ, კიდევ მოიცადე... შემდეგ“. ეუბნებიან მას ამხანაგები.

ნადეჟდა გულდასმით უსმენდა პართენს. იგი მეტად დააინტერესა და ჩააფიქრა ნაამბობმა.

გაანცვიფრა და გააკვირვა აგრეთვე ამხანაგების არგუმენტებმა პართენის უკან გაპარვის წინააღმდეგ.

— ასე კითხვის დაყენებაც სისულელეა რევოლიუციონერისათვის თუ მეტი არა. რევოლიუციონერი ვერას დროს ვერ მისცემს თავს გარანტიას, რომ ხიფათო იქნება მისი ნაბიჯები... არა, ცხადია, ჩვენ უნდა მოვაწყოთ შენი არალეგალური გამგზავრება საქართველოში. მე ზოგიერთ ამგანაგებს ხვალევე მოველაპარაკები ამის შესახებ... მაგრამ ყველაზე პირველად შენი ცოლი და ბავშვები უნდა გავამგზავროთ.—უთხრა ნადეჟდამ და ანუგეშა აქ.

ამ მასლაათით და აგრეთვე სხვა საკითხებზე მსჯელობის გადატანით, პართენი და ნადეჟდა ისე გაერთენ, რომ არც კი შეუნიშნიათ თითქო,—ერთმეორის დახმარებით, პატარა სპირტსადუღი რომ აანთეს, ჩაი მოამზადეს და დალიეს, წინასწარ ნაყიდი პურისა და ძეხვის თან დატანებით.

ახლა უკვე ღამის 11 საათიც სრულდებოდა...

სიფრთხილის დაჭერის მიზნით სოფო შინ არ მოელოდა ამაღამ პართენს. მან იცოდა, რომ იგი ამხანაგისას ან სხვა ვინმე სანდო ნაცნობის ოჯახში გაათენებდა ღამეს, უკანასკნელ დროს მიღებულ ჩვეულებისამებრ...

მაგრამ სოფო ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ პართენი ღამით ნადეჟდას შეაფარებდა თავს.

ხიფათის თავიდან აცილების ამოცანამ მოიტანა ეს გარემოება.

...ქართველური მორცხვობის გამოჩენისა და გაპატიჟების შემდეგ, პართენი დარჩა ამ ღამით ბინაზე ნადეჟდასთან, დაუჯერა მან ნადეჟდას დაჯინებით რჩევას.

6

ზაფხულის ცხელი მზე კამკამა ლურჯი ციდან უხვად გზავნის თავის მზეელ სხივებს მიწაზე. ეს სხივები არ აკლია ახლა აღმოსავლეთ ციმბირის ქალაქებს— კრასნოიარკს და მინუსინსკის, საცა სარატოვიდან გადმოსახლებული,—პირველში სპირიდონი და მეორეში პართენი სცხოვრობენ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. მაგრამ ეს სხივები კიდევ უფრო ცხელია სამხრეთში—საქართველოში, და აქერს, სწვავს მის დედა ქალაქს—ტფილისს, საცა ახლა სოფოც უკვე დაბრუნებულა და სცხოვრობს.

ბავშვები სოფოსთან ტფილისში არ იმყოფებიან. სოფო მარტოა ამხანაგ ქალთან ბინაზე. ბავშვები მას პართენის გათხოვილ დისათვის მიუბარებია ლანჩხუთში... სოფოსა და პართენის შვიდი წლის ცელქ ლეოს და ხუთი წლის ტკბილად მოჟლურტულე კარლოს თავს ევლებიან უშვილო მამიდა და მისი ხანში შესული ჭაღარა ქმარი...

არ უჭირთ ნივთიერად მათ. სოფლის პირობებში, სხვა მეზობელ გლეხებთან შედარებით, ნორმალურ და მშვიდ ცხოვრებას ეწევიან ისინი. მიწა—მამული მათ ცოტა აქვთ თუმცა, მაგრამ რაცა აქვთ, იგი საკმაოდ დამუშავებული—ხეხილებითა და იზაბელას ვენახებით გაშენებული აქვთ.

მეტად მუყაით, შრომისა და გარჯის მოყვარე ცოლქმრებად სთვლიან მათ მეზობლები.

ორნი არიან ოჯახში. არავინ მათ კმაყოფაზე არ სცხოვრობდა დღევანდლამდის... და ეს არის ერთი პირობათაგანი იმისი, რომ შეძლებულნი არიან. ნივთიერ კრიზისს ბევრ თავიანთ მეზობლის მზგავსად არ განიცდიან.

ამ ცოლქმრის სახლში და ეზოში პირველად ახლა გაისმა მოუსვენარი ბავშვების ხმები და საამო ერიამული. პაწია ლეომ და კარლომ, ამ ცელქმა და დაუდეგარმა ბავშვებმა გამოაცოცხლეს უშვილო ცოლქმრის ერთფეროვანი, მოწყენილი კარ-მიდამო, მისცეს მას აზრი, გახადეს იგი საინტერესო... მეტად კმაყოფილი არიან ისინი ამ გარემოებით.

ლეოსა და კარლის ლანჩხუთში „ჩამოსახლების“ შემდეგ, სოფოს ძმამ გოგიმაც „ისწავლა“ გზა პართენის დის ოჯახში და ახლა იგი ხშირი სტუმარია მისი. თუმცა კარგა მოშორებით არის გოგის სოფელი ლანჩხუთზე,—იგი აღმოსავლეთ სამხრეთით, ლანჩხუთის მაღლობების გადაღმაა. აჭარა-გურიის მთების მიმართულებით ძევს, მაგრამ ეს გრძელი მანძილი მას ვერ უნელებს მიმოსვლის სურვილებს მოკეთესთან, საცა ეგულება საყვარელი დისწულები.

...გოგი ოჯახის მოკიდებას ეპირება. საცოლე არჩელი ჰყავს უკვე. ამ ახლო ხანში ფიქრობს მის შინ მოყვანას და ცოლიანი ვაჟის „კანონიერ“ ცხოვრების დაწყებას...

— ...სახლი კი თუმცა არა მაქვს ხეირიანი, ეზოც არა ისე შემოღობილი ა გაშენებული, როგორც თქვენ.—შეშჩივის იგი პართენის დას და სიძეს.

გოგი აქ მათ უფურცლავს წარსული მძიმე ცხოვრების წიგნს, რომელიც თავისმა და სოფო-სპირიდონის ცხოვრებამ დასწერა.

რას ამბობს ეს წიგნი?

მშობლებისაგან ადრე დაობლებას. სოფლის ჩარჩობაში ნივთიერად მოლონიერებულ საშუალო ძმის გამოყოფას მამის დანატოვებ ღარიბ ოჯახიდან. მწვავე ნივთიერ სივიწროვეს, შიმშილს, კალმით აუწერელ გაჭირვებას... ცხოვრებისეულ ტუთის რევოლიუციაში ჩაბმას. რევოლიუციის ტალღებთან თამაშს, ფიზიკურ არსებობისათვის სახიფათო მომენტების დადგომას... რევოლიუციის მძაფრი რეაქციით შეცვლას. დის-სოფოსა, სიძის-პართენისა და უფროსი ძმის-სპირიდონის ციხის ბნელ და ნოტიო საკნებში ჩაკეტვას. რუსეთის ცივ შორეულ ქვეყნებში გადასახლებას... სოფელში დარჩენილ გოგის ნახევრად მალულ ცხოვრებას. სახლის დაყრუებას, ოჯახის წაშლას, და ლოდინს როდის წაატანებენ ხელს ჟანდარმთა მაძებარი აგენტები...

— არა გიშავს, გოგი; ცოლის მოყვანის შემდეგ, სახლში ქალის გაჩენის შემდეგ ყველაფერი გამოსწორდება, ყველაფერი გარდაიქმნება.—აძლევენ იმედს, ანუგეშებენ მას პართენის და და სიძე.

მათ არ უნახავთ გოგის კარ-მიდამო. ისინი არ იცნობენ მის სოფელს. ისე, მხოლოდ, პართენის ნაამბობით აქვთ წარმოდგენილი ეს მხარე...

როგორ იხატება მაინც მათ წარმოგენაში იგი?

ხე-ტყით დაფარული, მთიანი ადგილების ძირია ეს სოფელი. ამ ძირზე ჩამოწოლილია სწრაფი მდინარე ჭიქაურა, რომელიც ჩუხჩუხითა და ხმაურობით მოგორავს ქვებიდან ქვებზე და დაკლაკნილი, დასავლეთით შავი ზღვისაკენ მიიმართება...

პართენის და და სიძე ელოდებიან სოფოს ჩამოსვლას.

ამასწინად მიღებულ წერილიდან მათ იციან, რომ ტფილისში საშინელი სიცხეები დგას და ზაფხულის რამდენიმე კვირის გატარება სოფოს გადაწყვეტილი აქვს ბავშვებთან და მულთან ლანჩხუთში... აგრეთვე თავის სოფელ ზეგანსაც რომ ეწვევა იგი და გადაავლებს თვალს მონატრებულ მშობლიურ მიდამოებს, გამოელაპარაკება მეზობლებს, მოიგონებს წარსულს. ამ მეზობლების თვალში სოფო ხომ გმირ რევოლიუციონერ ქალად ითვლება?!.

რამდენი ხანია,—8 წელიწადი იქნება, რაც მას არ უნახავს თავისი და სპირიდონის მიერ დაობლებული, მარტო გოგის შემხედვარე კარ-მიდამო; რაც არ უმასლაათია, არ გადაუშლია გული მეზობლებთან... მის დროს დატოვებული მეზობლის პაწიები შეიძლება ველარც კი იცნოს, ისე წამოიზარდენ. დავაშკაცდენ. დაქალიშვილდენ ახლა. მეზობლები... ვინ იცის რამდენი გაჭირვება გამოსცადეს და ახლა ინახავენ გულში ბოლმა-ვარამს; სწყურიათ მისი ზევით, სინათლეზე ამოტან და გაშლა; სწყურიათ ბოლმისა და ვარამის ამეტყველება მის გამგე და შემსმენ ადამიანებთან... და კი ვერ ჰპოულობენ, კი ვერ ხედავენ ასეთ ადამიანებს თავიანთ შორის... კიდევ უფრო უმძიმდებათ ყოფა...

გოგის ჯერ არ უნახავს გადასახლებიდან, შორეულ რუსეთიდან დაბრუნებული სოფო. ტფილისიდან გამოგზავნილი მისი წერილები აქვს მხოლოდ წაკითხული. პირველ წერილში იგი ატყობინებდა—ბავშვები ლანჩხუთში მულს მივაბარე და ინახულეო. მეორე წერილით უმატებდა—რა ვქნა, როცა ბავშვები ლანჩხუთში ჩამოვიყვანე მაშინ, შენთან, ზეგანშიც, გამოვლა არ მიხერხდებოდა. ვფიქრობდი ცალკე, სპეციალურად ჩამოვსულიყავ და მენახულე შენ, მეზობლე-

ბიც და როგორც ხედავ არც ეს მოხერხდაო. „მესამე წერილში კი სთხოვდა— როგორმე შესძელი და ამოდი ჩემთან ტფილისში. ძალიან საჭირო ხარ შენ. ძალიან საინტერესო ამბები მაქვს შენთვისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისში წასვლას და სოფოს ნახვას გოგი მოუთმენლად ესწრაფოდა, მაგრამ ამისთვის სამგზავრო ფული მან ვერ იშოვა ჯერ, ახლა კი, როცა გაიგო რომ სოფო აქეთ მოდის, ზაფხულის დღეების გატარებას სოფლად ფიქრობსო,— მოსვენება არ აქვს გოგის, მოთმენა აღარ ყოფნის, ლანჩხუთში სოფოს მულთან სტუმრად მოსულს მას თვალები გამოშტერებული აქვს ლოდინით... რამდენი რამე აქვს სოფოსთან საკითხავი, გასაგები!.. უმეტესად კითხვები შეეხება დაწყებულ რევოლიუციონურ დუღილს: პარტიულ მუშაობის გამოცოცხლება—გაჩაღების საჭიროებას. სოფლად ხელმძღვანელი ძალების გადასროლას და სხვა... რამდენი დაპირებები და დირექტივებია საჭირო!.. ყველა ეს კითხვები შეუძლია ამოსწუროს სოფომ თავისი პასუხებით. ეს ამოცანები ყველა შეუძლია გადასჭრას მან... იგი ხომ ხელმძღვანელ ცენტრშია—ტფილისში?!.

ასე ფიქრობს გოგი სოფოს მოლოდინში.

ბავშვები—ლეო და კარლოც ელიან დედის ჩამოსვლას. ხშირად ლაპარაკობენ მასზე და დედასთან დაკავშირებით იგონებენ მამასაც... ლეოს კარგად ახსოვს სარატოვში უკანასკნელი შეხვედრა მამასთან... ერთხელ დილით ადრე, რომ შემოირბინა ოთახში დედასთან, რაღაცეებზე აჩქარებით რომ ელაპარაკა და სწრაფად გაბრუნდა უკან, არ გადაუკოცნია ლეო და კარლო, არ გამოთხოვებია დედასაც... მისი უკან გაბრუნებით ატირებული კარლი დედამ რომ ანუგეშა,—ჩქარა ისევ დაბრუნდება, შვილო, სადილს ერთად ვსჭამთო...

ნამდვილად პართენი სადილად აღარ დაბრუნებულა და აღარც შემდეგ დღეებში გამოჩენილა იგი.

თავის ბინიდან გამოსულ პართენს ალაყაფის კარებზე მიეგებენ დამცველი განყოფილების აგენტები და დაპატიმრებულად გამოაცხადეს იგი. აქედან პირდაპირ ჟანდარმთა სასამართლოში წაიყვანეს და შემდეგ საპყრობილეში გადაგზავნეს. ამასთან დაკავშირებით მას გაუჩხრიკეს ბინა და მით სოფოსაც ამცნეს მომხდარი საშუხარო ამბავი.

ამგვარად სოფოსათვის გასაგები შეიქნა, თუ რატომ არ მოვიდა სადილად სახლში ქმარი, მამა; მაგრამ ეს გაუგებარი გახდა ლეოსა და კარლოსათვის მაშინ და გაუგებარია ახლაც.

ძაინც კარგი, რომ პართენმა მოასწრო სოფოსათვის გადაეცა აზრი, რომელიც მან და ნადეჟდამ შეიმუშავეს წინა ღამით.

სოფოს არ ეუცხოვა ეს აზრი. მანაც დროულად იცნო იგი და აღუთქვა გამგზავრებისთვის სამზადისის შედგომას დაუყონებლივ. მხოლოდ მან განმეორებით სთხოვა პართენს—გაფრთხილებოდა თავს თითონაც, როცა გაპარვას დააპირებდა.

მაგრამ ამავე დღესვე, საღამოთი, მომხდარმა ფაქტმა სოფოს უთხრა, რომ ეს გაფრთხილება დარჩა უშედეგოდ, პართენი დაიჭირეს და რამდენიმე თვე ციხეში ჯდომის შემდეგ, რკინის გზას მოწყვეტილ პატარა ქალაქ მინუსინსკში გადაასახლეს.

სამწუხარო შემთხვევა იყო.—

როცა დატყვევებული პართენი სარატოვში ციხის კარებს მიაყენეს, მაშინ გამოჰყავდათ სწორედ იმავე კარებიდან სპირიდონიც კრასნოგვარსკში გადასახლებისათვის. პართენი მას პირდაპირ შეეხეჩა. ორივემ გაუყარეს თვალი თვალში ერთმანეთს. მაგრამ მცველმა ჯარისკაცებმა ისე სწრაფად გაუყენეს გზას სპირიდონი, რომ ვერაფრის თქმა პართენმა ვერ მოახერხა.

მან გააღო კი ისე პირი და მოემზადა სათქმელად...

პართენს უნდა გადაეცა შემუშავებული აზრი, სოფოსა და ბავშვების უკან საქართველოში დაბრუნების შესახებ. კიდევ უფრო ცუდი,—მან ვერ მოასწრო ეთქვა უბრალო „მშვიდობით"-აც.

სპირიდონსაც ჰქონდა სათქმელი. ტანიას სწორედ ამ დღეს გადაეწყვიტა ფაბრიკაში მუშაობაზე სრულებით თავის დანებება და სპირიდონისათვის წაყოლა გადასახლების ადგილზე. ეს ახალი აშბავი იყო პართენისათვის. წინად, სპირიდონის გაღასახლების მოლოდინში მყოფი ტანია ასეთ აზრს არ ადგა... ამიტომ საჭიროდ ხედავდა სპირიდონი ტანიას ამ ახალ გადაწყვეტილების ცნობებას პართენისათვის, და კი ვერ შესძლო, კი ვერ მოასწრო ეს.

პართენის დატყვევებამ ძალიან შეაშფოთა ნადეჟდა.

დამცველი განყოფილებისა და პოლიციის პრაქტიკული მუშაობა ამ მხრივ ღამ-ღამობით წარმოებდა ყოველთვის. მაგრამ ეს ღამე პართენმა ასე უხიფათოდ რომ გაატარა ნადეჟდას ბინაზე!?. როგორ მაინც და მაინც დღისით მოხვდა ჟანდარმერიის ბრჭყალებში!..

სულ დაიშალა დაწყობილი გეგმები! პართენი ჩავარდა და მისი გაპარვის საქმე დიდი ხნით გადაიდო. მაგრამ პართენის ცოლისა და შვილების გაგზავნის საქმე, რომ დაბრკოლდა? ვის უნდა გაეწია სოფოსათვის დახმარება ამ გამგზავრებაში.

ერთად-ერთს ნადეჟდას შეეძლო ეს დახმარება სოფოსათვის, ჯერ ერთი იმით, რომ იგი ლეგალური იყო, არ ჰყავდათ ამ ხანად აგენტებს „აღრიცხვაში". არ უთვალთვალებდენ; მეორე იმით, რომ ამისთანა შემთხვევაში ხელის მოსამართავი გროშებიც რედაქციის როგორც გამგეს და კომიტეტის ხაზინადარს, ჰქონდა მას.

ნადეჟდამ აგრეთვე იცოდა მისამართიც.

მაგრამ, რომ არ იცნობდა?..

არ იქნა, რამდენჯერ არ სთხოვა ნადეჟდამ პართენს და თითონ პართენსაც აღუთქვია, მაგრამ რაღაც ყოველთვის ისე მოეწყო საქმე, რომ ვერა და ვერ მოხერხდა სოფოსა და ნადეჟდას შეხვედრა.

არა, ნადეჟდა მაინც უნდა მისულიყო სოფოსთან,—ენახა, გაეცნო და დახმარებოდა, ეს მისი პარტიული ღა რევოლიუციონური მოვალეობაც იყო. უნდა მიეღო ნადეჟდას ყოველივე ზომები.

და ნადეჟდასაც მშვენივრად გაეგო ეს გარემოება. მას ამიტომ აღარ დაეყოვნებია,—სასწრაფოდ გასწია სოფოსაკენ.

ამგვარად სოფოსა და ნადეჟდას ურთიერთთან გაცნობა ისევ მომენტმა მოიტანა.

იმის გარდა, რომ ნადეჟდამ მეტად ცხოველი მონაწილეობა მიიღო სოფოსა და ბავშვების გამგზავრებაში და აგრეთვე სოფომაც დაუფასა მას—ეჩვეულო თბილი და მოყვასური გრძნობით გამოეთხოვა მატარებლიდან—[illegible] კიდევ გარეგნული შეხედულებითაც და როგორც ადამიანებიც ერთობ ძალიან მოეწონათ ერთმანეთი.

ნადეჟდა მაინც დააინტერესა სოფოში არა მარტო მისმა ჭკვიანურმა მსჯელობამ, გამჭრიახი და შემცნობი ადამიანის გამომეტყველებამ, პოლიტიკურმა შეგნებამ და რევოლიუციონერის რწმენამ, არამედ სოფოს გარეგნული სახის მოხაზულობამაც. განსაკუთრებით ეცა მას თვალში სოფოს შავი თმა-წარბი, ფართე შუბლი, თეთრი პირის კანი, ნაღვლიანი, მაგრამ მიმზიდველი იდუმალი მეტყველება სახეზე, საშუალოზე უფრო მაღალი, მაგრამ გამხდარი ტანი. და რაც მთავარია, მისი მეტად მომხიბლველი ბგერა, ნაზი და საამო ხმა. ეს ყველაფერი ლამაზის იშვიათ შემადგენელ ნაწილებად ეჩვენებოდა ნადეჟდას. აღტაცებაში მოჰყავდა სოფოს ამ სიმშვენიერეს იგი.

„რა გასაგიჟებელი ეშხიანები, ზედმიწევნით ნაზნი და სიმპატიურნი ყოფილან ქართველი ქალები“! —ეუბნებოდა ნადეჟდა თავის თავს გულში სოფოსთან ყოფნისა და მასლაათის დროს.

უკვირდა კიდეც, რომ ამისთანა ლამაზი ცოლისა და ძვირფასი ამხანაგის შემდეგ პართენი მაინც ხედავდა საჭიროდ გაეყო გრძნობა სხვისათვის, ამ ჟამად თითონ ნადეჟდასთვის; დაწაფებოდა ქალის გრძნობას მასში...

და რამდენიც უფრო იზრდებოდა მის თვალში სოფოს ღირსება, მისი სოფოსადმი სიმპატია და ამხანაგური პატივისცემა—სათნოება, იმდენი უფრო უხერხულად გრძნობდა თავს ნადეჟდა, უმძიმდებოდა მასთან მეგობრული დამოკიდებულება, აუტანელი ხდებოდა სოფოს მიერ გამოჩენილი უანგარო, ამხანაგთ-მოყვარეობა. სირცხვილის სიწითლე ეპარებოდა შიგნით სულსა და გულში, დაფარული ცახცახით იწურებოდა ტანში.

ნადეჟდას რცხვენოდა საკუთარი თავისა სოფოსთან ყოფნით.

ნადეჟდას რცხვენოდა სოფოს წინაშე პართენის მაგიერაც...

და ახლა სოფოს გამგზავრებისა და პართენის გადასახლების შემდეგ სარატოვიდან, მარტოდ მყოფი ნადეჟდა იმაზეღა ფიქრობდა მხოლოდ, რომ თითონ და პართენი არ იყვნენ პირნათელი სოფოსთან, რომ ორივეს აქ რაღაც დანაშაული მიუძღოდათ მის წინაშე.

დანაშაულობა მაინც რა უნდა ყოფილიყო?

როგორ, განა ეკუთვნოდა სოფოს რამე და წაართვა ნადეჟდამ? ან პართენს შეეძლო განა მიეცა პირობა, რომ თავისი გრძნობა უსათუოდ სოფოს კუთვნილება იქნებოდა ყოველთვის?

მაგრამ თუ ეს ყველაფერი წინააღმდეგ ესმოდათ თითონ ნადეჟდას და პართენს, რატომ დამალეს მერე? რატომ არ ამცნეს სოფოს, და პირიქით ეშინიათ ახლა, რომ არ მივიდეს ეს სოფოს ყურებამდის?..

აქ ყველაფერი ბურუსშია მისთვის გახვეული.

ერთი კი უკვე ახლა ცხადი და უდაო იყო ნადეჟდასთვის,—ის, რაც პართენისა და მის შორის მოხდა, დავიწყებას უნდა მისცემოდა, არავითარ შემთვევაში არ უნდა განმეორებულიყო.

„უხ, რა გაუმაძღარია მაინც აქ ადამიანი... მე კიდევ ჰო, მქონია საბაბი, — მარტოდ ვიყავ, დამოუკიდებელი, მოწყურებული... მაგრამ პართენს, პართენს რატომ დასჭირდა?.. პართენი ხომ არც მარტო იყო. არც დამოუკიდებელი და არც მოწყურებული... ჰმ! ამოუცნობელია აქ ადამიანი! აქ საიდუმლოებით არის იგი დაფარული...—ფიქრობს ნადეჟდა.

ნადეჟდა იმუშავებს აზრს, თუ როგორი ხასიათი მისცეს აწ პართენთან დამოკიდებულებას.

მას ჯერ არ უპასუხია პართენისაგან ამას წინად მიღებულ წერილზე.

პართენი სწერდა; „საქართველოში დაბრუნების საკითხი მოეხსენი. ინტერესიც ახლა ნაკლები მაქვს... სულ ერთი არაა, და პირიქით უმჯობესი არ იქნება, რომ სადმე რუსეთის ცენტრში, სამრეწველო პროლეტარულ ქალაქს ვეწვიო და ვიმუშაო? და შენც აგრეთვე ასე, რომ მოიქცე?.. ჩემს ოჯახობას მშვიდობიანად უმგზავრია. ბავშვებიც კარგად მოუწყვია ჩემს დასთან სოფელში. ცოლი უკვე ჩაბმია რევოლიუციონურ მუშაობას... აქ კი რევოლიუციონური მუშაობის ნიშან-წყალი არა სჩანს. ერთი გადაკარგული და მივიწყებული პროვინციალური პატარა ქალაქია მინუსინსკი. საქმეს ვერაფერს ვერ ვშოულობ. ყველას და ყველაფერს მოწყვეტივარ... საშინელია აქ ყოფნა. არასდროს ამდენი ხრიოკი და უდაბური ადგილები არ ყოფილა აღნიშნული ჩემი ცხოვრების რუქაზე... ოო, როგორ მენატრებიან ამხანაგები, და განსაკუთრებით შენ.“—ასე ათავებდა პართენი თავის მოკლე წერილს.

პართენის წერილში ნადეჟდამ დაინახა სევდა და რომანტიზმი. და ეს მას აშინებდა. ამაში ჰკითხულობდა იგი რაღაც ცვლილებების ტენდენციებს სოფოსადმი, რაც ახლა, სოფოს გაცნობისა და დაახლოების შემდეგ საშინლად აღარ უნდოდა მას.

მაგრამ პართენსაც ახლა აღარ შეუძლია იყოს „მშვიდი“ და „გულგრილი“ ნადეჟდას მიმართ...

მის მარტოობას იქ, მინუსინსკში, ყველაზე უფრო ამძიმებს ნადეჟდას მოულოდნელად და ერთბაშად დაცილება.

ნადეჟდასაც ეს გარემოებები უძნელებს პართენის წერილზე პასუხის გაცემას.

მისი წერილი ვერ იქნება ისეთი, როგორსაც პართენი ელის.

ნადეჟდას აქვს ხომ გადაწყვეტილება...

და მერე კიდევ ნადეჟდა არც იმას მოუწონებს, რომ პართენს ხელი აუღია საქართველოში გაპარვის განზრახვაზე, და რუსეთის დიდ ქალაქებში ეპირება გაქცევას.

რაც შეეხება სოფოსა და ბაშვების მგზავრობის შედეგს, ეს ამბავი ნადეჟდამ უფრო ადრე გაიგო კიდევ სოფოს მიერ მოწერილ საკუთარი პატარა ღია ბარათით.

და სოფოს მან უპასუხა კიდეც ასეთივე ბარათით.

ნადეჟდამ აგრეთვე ისიც, იცის რომ სოფომ მიაკვლია ორგანიზაცია, დაუქვემდებარა მას თავი, გაეცნო ამხანაგებს და ინტენსიურ მუშაობას ეწევა ბოლშევიკთა აქტივის რიგებში.

VII

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებზე უშუალო მზრუნველობისაგან განთავისუფლებულ-სოფოს ოჯახში გამართა.

დაუბრუნდა მას ძველი, ქალიშვილობის დროის გატაცება, პარტიულ-რევოლიუციონურ საქმიანობის ტემპი, ინტერესი და სიცხოველე..

რეაქციას, ციხე-გადასახლებას, რუსეთის ცივ ჰავას, ბავშვების აკიდებას, მათ მოვლა—აღზრდას და ოჯახის სიმძიმეს სარატოვში ვერ ამოერეცხა სოფოს არსებიდან რევოლიუციონერის ეს ნიშანდობლივი თვისებები და მისცა მან ახლა მათ გზა.

სოფოს ტფილისი დახვდა რევოლიუციის ზვირთებში ათამაშებული.

ეკონომიურ გაფიცვების ტალღები ტალღებს მისდევდენ.—თამბაქოს ფაბრიკებისა, სტამბებისა, ტყავის ქარხნისა, მანუფაქტურის დიდი მაღაზია—საწყობებისა, ზინგერის კამპანიისა და რესტორან-სასტუმროების მუშები და ნოქარ-მოსამსახურენი ერთმანეთს უსწრებდენ დამქირავებელ—კაპიტალისტებთან მოთხოვნილებების წაყენებაში, მათ წინაშე მრისხანე ძალებად წარდგომაში.

საქართველოში არსებულ ყველა ჯურის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს შექმნოდათ მეტად ნოყიერი ნიადაგი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მუშაობისა და შემოქმედებისათვის...

და აი, ისინიც ამოქმედებულიყვნენ...

ერთმანეთს ეცილებოდენ პარტიები მასის ხელმძღვანელობაში, მუშათა კლასის გადაბირებაში.

მათ მხოლოდ ერთნაირად არ გაეგოთ ეს ხელმძღვანელობა და ამ ხელმძღვანელობის ამოცანები. მათ ერთმანეთზე დაცილებით, ცალ-ცალკე, სხვა და სხვა პრაქტიკული მიზანი ესახებოდათ აქ. სხვა და სხვა პროგრამით უდგებოდენ ისინი ამ აზვირთებულ მასებს და ცდილობდენ წაეყვანათ თავიანთი გზებით, ცდილობდენ ჩაენერგათ თავიანთი იდეები მათთვის, მოექციათ თავიანთი გავლენის ქვეშ ეს მასები.

ვის როგორ გაეგო მომენტი? ვის რა უნდოდა მიეღო ამ სიტუაციიდან?

სოციალ-დემოკრატ მენშევიკებს აქ ვერ დაენახათ რევოლიუციის ახალი აზვირთება. რევოლიუციის სერიოზული საშზადისი. მათ დამდგარი მომენტი ქვეყნის მაღალ კულტურულ საფეხურებზე უბრალო ასვლათ ჩაეთვალათ. ამიტომ მისგან უნდოდათ მიეღოთ: დაჩაგრულ ერის ნაციონალურ საკითხის გადაჭრა, კულტურულ-განმანათლებელ ლეგალურ საზოგადოებების მუშათა კლასით გაძლიერება, პროლეტარიატის ფარულ პოლიტიკური ორგანიზაციების მოშლა. სოციალ-ფედერალისტებისა და აგრეთვე ტფილისში მომქმედ დაშნაკელთა რევოლიუციონური პარტიაც ასევე ვერ ხედავდენ რევოლიუციის ზვირთებს. და არც იჩენდენ რაიმე ინტერესს რევოლიუციის მზადებაში,—არ ელოდენ, არ სთვლიდენ მას შესაძლებლად. მათ, ამ გამოცოცხლებულ საზოგადოებრივობიდან უნდოდათ მიეღოთ: პირველს—საქართველოს ტერიტორიალურ—პოლიტიკური ავტონომიის მომწიფება, ქართველი ერის სუვერენული უფლებების მოპოვება; მეორეს—სომხის ერის გაერთიანება, მთლიან ტერიტორიაში თავის მოყრა, ერის

დაჩირქებული ტანის გამომრთელება და ცალკე ერთეულად [illegible]ება. სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკებს კი რევოლიუციის ახალი [illegible] სამზადისი ნათლად დაენახათ; რევოლიუციის ამ დიადი ზვირთებიდან ისინი ცდილობდენ მიეღოთ რევოლიუციის ძლევამოსილი ტალღები, და კიდევ უფრო მეტი გაქანებით წასულიყვნენ წინ-რევოლიუციის გზით, მასების ცენტრში, მასებთან ერთად, მასების წინ.

სოფოსაც ამ უკანასკნელთა რიგებში ეპოვა ადგილი რა თქმა უნდა...

არც ერთ კრებას არ უშვებს ახლა იგი, რომელიც კი იმართება არალეგალურად სხვადასხვა უბნებში ტფილისის ბოლშევიკური ჯგუფის მიერ. მაგრამ აგრეთვე არ ამბობს უარს, და პირიქით მხურვალე მონაწილეობას ღებულობს სხვა ბოლშევიკებთან ერთად კულტურულ—განმანათლებელ ლეგალურ საზოგადოებების მუშაობაშიც.

ასეთი დაწესებულებებია ახლა ტფილისში:

სახალხო უნივერსიტეტი, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო თეატრთან არსებული ქართული წარმოდგენების ხელმძღვანელი წრე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა.

ჩამოთვლილ საზოგადოებებს შორის სახალხო უნივერსიტეტი წარმოადგენს ინტერნაციონალურ კულტურულ დაწესებულებას, საცა ყველაზე მეტადაა დაკავშირებული მუშათა კლასი. იგი ტფილისში აერთიანებს მობინადრე ყველა ერის მშრომელ ნაწილს, ყველა რევოლიუციონურ ხალხურ მიმართულებებს სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკ—მენშევიკებს, დაშნაკ-ჰინჩაკისტებს და ესერებს. აქ არ არიან მხოლოდ წარმოდგენილი სოციალ-ფედერალისტები. მათაც შეეძლოთ, რა თქმა უნდა, ჰყოლოდათ თავიანთი კაცი აქ, მაგრამ სოციალ-დემოკრატ მუშების ახსნით, მიზეზი აქ ის არის, რომ ფედერალისტები გაურბიან ინტერნაციონალურ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მუშაობას. სამაგიეროდ ისინი გაბატონებული არიან წმინდა ქართულ დაწესებულებაში „წერა-კითხვის საზოგადოებაში". აქ ხელმძღვანელობას მათ არავინ არ ეცილება. მაგრამ ამასაც სოფო სთვლის ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაუდევრობად, ამ საზოგადოების მნიშვნელობის არა სათანადო შეფასებათ.

სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთას განსაკუთრებული ყურადღება გაეყოთ სახალხო უნივერსიტეტისათვის. ამიტომ ხელმძღვანელი მწვერვალებიც მათ ეჭირათ აქ. ყველა იდეური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა მათი ხელიდან გამოდიოდა...

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობასთან არსებობენ ეროვნული სექციები-ქართული, სომხური, რუსული და სუსტად თათრულიც. სომხებში დაშნაკებია გაბატონებულნი, რუსულში-ესერები, ქართულში კი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკ-მენშევიკები. ეს უკანასკნელნი თითქმის ერთნაირი ძალებით არიან წარმოდგენილი იქ.

ამ სექციის წევრია სოფოც.

სექციაში შემავალი ბოლშევიკ-მენშევიკები აწყობენ ტფილისის სხვადასხვა უბნებში მუშათა საღამოს კურსებს.

ამ კურსებისათვის, სექციიდან გამოყოფილი კომისია სძებნის პოპულიარულად მოსაუბრე ხალხურ ლექტორებს. ანაწილებს იგი მათ შორის საალმოებს და არჩეულ თემებზე, როგორიც არიან,—კულტურის ისტორია, ხალთა ბრძოლის ისტორია, ბუნებისმეტყველება, დაწინაურებულ ქვეყნების ტეხნიკა და მეცნიერება, ადამიანების კლასებად დაყოფის მიზეზები, შრომის მონები, ბატონი კაპიტალი, და სხვა,—აკითხებენ ლექციებს...

ამ კურსების მომწყობ კომისიის წევრიც არის სოფო.

ასეთი კურსები აქვს ქართულ სექციას ახლა მუშათა უბანში,—ნაძალადევში, ავლაბრისა და ვერის უბნებში.

ცოდნის შეძენითა და პოლიტიკური ბრძოლის სურვილებით მოწყურებული ბევრი მუშები აწყდება ამ კურსებს. ძალიან ხშირად კურსებისათვის დაქირავებული პატარა დარბაზი არ იტევს მათ. მეტადრე ამ საალმოთი, როცა კოლია ჰკითხულობს ლექციას.

მისი თემა არის—„კლასთა ბრძოლის ისტორია".

კოლია მუშების მეტად საყვარელი ორატორია. მისი ლექციის მსმენელთ ყველაფერი ხორცშესხმული ეჩვენებათ. სული უდგება დასახელებულ საგნებს. ეს საგნები დარბაზში დასანახი და ხელშესახები ხდებიან. მსმენელების ძარღვები ერთობ იჭიმება. კოლია მათ ყურადღებას უჩვეულოდ აცხოველებს... მაგრამ რა გამოვიდა მერე, თითონ მას ამ ლექციით დახატული მომავალი ნაკლებად აცოცხლებს და ანთებს.

კოლია მოტეხილი რევოლიუციონერია, გაპასიურებული ელემენტია ბოლშევიკების რიგებში. იგი ახლა რევოლიუციისა და ევოლიუციის მრწამსთა მიჯნაზე სდგას. ამიტომ უძახის მას სოფო „მოდუნებულ რევოლიუციონერს" და არ ურჩევს ამხანაგებს—გამოიყენონ მუშათა საალმოს კურსებზე ლექციების საკითხავად იგი.

—კოლია არ ვარგა... „მე ნუ მთვლით მეტს იმად, რაც წინად ვიყავი. ჩემში აღარ არის წინანდელი ბრძოლის ენერგია და ინტერესი". რამდენჯერ უთქვია ეს ჩემთვის მას... იგი წაიქცა, გაცვთა როგორც რევოლიუციონერი. ამ წაქცეულ და გაცვეთილ რევოლიუციონერის სულიერ განწყობილებას იგი შეიტანს მუშებში; მუშები, რომლებშიც ჩვენ ბრძოლის ცეცხლი გვინდა გავაღვივოთ, რომლებიც ჩვენ ცაზე საერიშოდ გვინდა მოვმართოთ.—ასკვნის სოფო

— რატომ! გულწრფელი და პატიოსანი კაცია კოლია, პირნათლად ასრულებს ჩვენ მიერ დაკისრებულ საქმეებს!? მუშებსაც კურსებზე ძალიან უყვართ!?—უპასუხებენ ამხანაგები და ვერ ელევიან მას მაინც. სტოვებენ ლექტორთა სიაში. იყენებენ...

ასევე ეტანებიან აგრეთვე მუშები ალიოშას ლექციებს, რომლის თემა არის „შრომის მონები".

ალიოშა წევრია სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. იგი სულ ცოტა ხანია რაც დაბრუნდა გადასახლებიდან, გამოექცა ცივ და უდაბურ შორეულ რუსეთს, მოაშურა მშობლიურ ქალაქს-ტფილისს.

ალიოშა ცეცხლი ბოლშევიკია. მან არ იცის მოსვენება, დადგომა. იგი არასოდეს არ იტყვის „ეს საქმე ძნელი შესასრულებელია, მაშ თავი დავანებოთ"-ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისგან პირიქით ყოველთვის ისმენენ—„რევოლიუციონერობა საეროდ ძნელი საქმეა, მაგრამ ვინც მის გზას აირჩევს იმისათვის „სიძნელეებზე შეუსრულებელი საქმეები“ აღარ უნდა იქნეს“-ო.

— დედა, რა დაუდეგარი კაცია...

— ჰო, აბა... მაგისათვის დაბრკოლებები კი არ არსებობენ. არაფრიდან შექმნის პოლიტიკურ წრეს, მოაწყობს ორგანიზაციებს...

— ... ტიპიური რევოლიუციონერია. რევოლიუციის სისხლია, მისი ხორცის ნაჭერია.

— კი. ნამეტანი თავდადებული და გატაცებული კაცია. არასოდეს არ ჩააქნევს ხელს და უიმედოთ არ შეხედავს მომავალს...

ამბობენ ამხანაგები ალიოშაზე. ასე ახასიათებენ მას.

ქართული სექციის ბოლშევიკური შემადგენლობა თავის იდეურ საქმიანობაში მჭიდროდ დაკავშირებულია ალიოშასთან.

და სოფომაც იგი ახლა გაიცნო.

ლეგალურ ჩარჩოებში, სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექციის ნიღაბ ქვეშ, ალიოშას ხელმძღვანელობით ხშირად იმართება არალეგალური, ბოლშევიკების წმინდა ფრაქციული კრებები, საცა იმუშავებენ პოლიტიკურ ხაზებს, გეგმებს ლეგალურ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში გასატარებლად, კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებისათვის სახელმძღვანელოდ...

ვისაც სურვილი აქვს, რევოლიუციონურ წვას განიცდის და ეხერხება პოლიტიკური მუშაობა, მისთვის ბევრი ჩნდება საქმეები ამ მიმართულებით.

სოფოც ერთი ამ მსურველთაგანია. მას საკმაო მომზადება და რევოლიუციონური გამოცდილება აქვს. ეხერხება მუშაობა, და აი, იგი თითქმის სულ დაკავებულია. მთელი მისი დრო ასეთ საქმიანობას ეწირება.

ამ გამუდმებულ რევოლიუციონურ და კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში ისე კი მიფრინავს სოფოს დღეები, რომ ლანჩხუთში, პართენის დასთან მიბარებული თავისი პაწიებიც არა ისე წინანდულად, ყოველ წუთს აგონდება მას. მულის მიერ ამ საყვარელი შვილების შესახებ გამოგზავნილ პატარა ღია ბარათსაც მანქანურად თვალს გადავლებს, სწრაფად ჩაიკითხავს; არ ჩერდება იგი მაზე. ასევე ვერ იგონებს ყოველთვის ქმარს და ამხანაგს—პართენს, რომელიც ჯერ კიდევ მინუსინსკში ეგულება სოფოს. და ის გარემოება, რომ მისგან კარგა ხანია წერილი არ მიუღია, ესეც მხედველობიდან გამოუშვია... პართენი რომ უკვე მინუსინსკში აღარ არის, იქიდან სადღაც რომ გამქრალა და წერილის დაგვიანების მიზეზიც ეს შექმნილა, ამის ამოსაცნობად მით უფრო ვერ აუტკივებია მას თავი.

სოფოს ის მოეხერხერხებია მხოლოდ, რომ სოფელში თავის ძმასთან-გოგისთან წასულიყო. მაგრამ ესეც უმთავრესად რევოლიუციისათვის სამსახურის გაწევის მიზნით, და არა იმიტომ, რომ ძმის ნახვა აინტერესებდა.

სოფელში, ძმისა და პოლიტიკურად სანდო ახლობელი მეზობლებისათვის სოფოს რევოლიუციონური მუშაობის დირექტივები მიეცა და თან ერჩია, მდინარე ჭიქაურაზე საამხანაგო წისქვილი აეგოთ,—სოფლის პირობებთან შეფარდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული კულტურულ-განმანათლებელი თუ რაღაც მის და გვარი ლეგალური საზოგადოებრივი მუშაობა ეწყოთ და სხვა.

ძმასთან ცოტა ხანი დაეყო სოფოს.

აქედან, გზად გამოვლით ბავშვებიც ენახულა მას და ჩქარა ისევ ტფილისში გაჩენილიყო.

სოფლიდან გამობრუნებულს მას, კიდევ უფრო მეტი გაცხოველებული რევოლიუციონური მუშაობა დახვედროდა ქალაქში.

რევოლიუციის ზვირთები უკვე ტალღად ქცეულიყო და მძლავრად ეხეთქებოდა ძველი ქვეყნის, მონარქიული წყობილების დაობებულ კედლებს.

ტფილისი და ბაქო ზანზარებს...

მაგრამ მარტო ეს ორი ქალაქი არ იყო ამ მდგომარეობაში.

რუსეთის ყველა სამრეწველო პროლეტარული ქალაქები რევოლიუციის ტალღებით იფარებოდენ ახლა.

მოძრაობა ქალაქებში ყოველ დღეობით იზრდებოდა.

რევოლიუციონური დუღილის ცენტრში—პეტერბურგში, პროლეტარიატი ქუჩაში გამოდიოდა საბრძოლველად.

ტფილისის მებრძოლი მუშათა კლასის ავანგარდი,—ბოლშევიკური ჯგუფი იმით ეხმარებოდა პეტერბურგის პროლეტარიატს, რომ ბოლშევიკური ფრაქციის ცენტრალურ ბეჭდვითი ორგანოს—„პრავდა"-ს ასობით იწერდენ და ავრცელებდენ მასებში.

ეს ჯგუფი ტფილისის ბოლშევიკებისა ახერხებდა ადგილობრივ მუშების ბრძოლისაკენ მომწოდებელ არალეგალურ ფურცლების გამოცემასაც.

(პირველი ნაწილის დასასრული)

ვ. ნატროშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურის მეცნიერების საკითხები

ლ. ტროცკი სწერდა: „მარქსიზმის მეთოდი არ არის ხელოვნების მეთოდი... სრული სიმართლეა, რომ შეუძლებელია განსაკუთრებით მარქსიზმის პრინციპების თვალსაზრისით მიღება, ან არ მიღება ხელოვნების ნაწარმოებისა. მხატვრული შემოქმედების პროდუქტები, პირველ ყოვლისა, უნდა ფასდებოდენ მისი საკუთარი კანონების ე. ი. ხელოვნების კანონების მიხედვით". [1]) ლ. ტროცკის ეს ფილისტერულ-რეაქციონური შეხედულება ლოლიკურათ გამომდინარეობს მისი საერთო მსოფლმხედველობითი სისტემისაგან. საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების სინასდვილემ სასტიკათ გაანადგურა და მტვრათ აქცია ამგვარი „თეორიები", დღეს მარქსისტული ლიტერატურის მეცნიერების ზრდა უკვე თვალსაჩინო ფაქტია. ლიტერატურის მეცნიერება, რომელიც მატერიალისტური დიალექტიკის მიხედვით აწარმოებს ლიტერატურის განვითარების პროცესის კვლევა-ძიებას, იმავე დროს იბრძვის ორ ფრონტზე, მარქსიზმის ყოველგვარ დამახინჯების წინააღმდეგ. ამ ორი მთავარი ამოცანის გადაჭრისკენაა მიმართული მარქსისტული ლიტერატურის მეცნიერების მთელი ყურადღება.

ხელოვნება და კერძოთ ლიტერატურა, როგორც იდეოლოგიური ზედნაშენი საზოგადოებრივ ცხოვრების უაღრესათ რთული მოვლენაა. ამიტომ ლიტერატურის ფაქტების მეცნიერული სისტემატიზაცია და დიალექტიური დალაგება უნდა სწარმოებდეს ისტორიული მატერიალიზმის აქტუალური პრობლემების გარკვევასთან ერთად. ლიტერატურა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამოგლეჯილ იქნეს სოციალ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროდან და ამიტომ მეცნიერება ლიტერატურის შესახებ თავის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ბაზისისა და ზედნაშენის მარქსისტულ გაგებაში უნდა ხედავდეს. ამას მოითხოვს შესასწავლი საგნის სპეციფიურობა. ისტორიული პერსპექტივის თანახმად პროლეტარიატის იდეიურ ჰეგემონიასთან ერთად უნდა მოხდეს ცალკე მეცნიერებათა ფრონტის მთლიანი „დაპყრობა", ამ მხრივ ლიტერატურის სფეროს იგნორაცია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ისე კერძოთ საქართველოში ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას იდეალიზმის სხვადასხვა სახეები, ეკლექტიკური და მექანისტური გადახრები, რომელიც კლასიური მტრის დაკვეთას ასრულებენ. ეს „თეორიები" ხშირად ლიტერატურის მეცნიერების სფეროდანაც ებრძვიან მარქსიზმს. დიალექტიური მატერიალიზმი არავითარ „დამატებას" და „შესწორებას" არ საჭირო-

[1]) Л. Троцкий—„Литература и революция", 1923 г. зз. 131, 161.

ებს. ამ გარემოებას აუცილებლათ ხაზი უნდა გაესვას ყველა დაბნეული ეკლექტიკებისა და რევიზიონისტების საყურადღებოთ. მატერიალისტური დიალექტიკის რკინის კანონები, რომელნიც ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენენ, მთლიანათ და სავსებით ხსნიან ლიტერატურულ პროცესის კანონზომიერ ვითარებას.

ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობის გარკვევა ლიტერატურის მეცნიერებისათვის, ისე როგორც ფილოსოფიისთვის მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხია. ისტორიულ მატერიალიზმის ასპექტში ეს საკითხი სდგება, როგორც ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობა. ლიტერატურის მეცნიერება კი მთლიანად ისტორიული მატერიალიზმის ფარგლებში ტრიალებს. როგორც ქვემოდ გამოვარკვევთ, მარქსიზმის ყოველგვარი დამახინჯება იწყება ობიექტ-სუბიექტის პრობლემის არასწორი გაგებიდან. დიალექტიური მატერიალიზმი აღიარებს ობიექტის დამოუკიდებელ არსებობას სუბიექტისაგან, მატერია—სუბსტანციაა და შეგნება არის მისი განვითარების შედეგი, დიალექტიური ცვლილების პროდუქტი. ამრიგად ჩვენ საქმე გვაქვს ობიექტისა და სუბიექტის მთლიანობასთან. ეს თვალსაზრისი სავალდებულოა ყოველი ცალკე მეცნიერებისათვის. ამავე დროს, ამ საკითხში მრავალ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ხალხი, რომელთაც არ შეუძლიათ დიალექტიკის რაობის გაგება და მეტაფიზიკურათ აზროვნებენ, ვერ მიმხვდარან თუ რა კავშირი უნდა არსებობდეს „მატერიალური ბაზისისა“ და მატერიის ფილოსოფიური განმარტების შორის. აი მაგალითი ასეთი დაბნეული მსჯელობისა. „მაგრამ ურთიერთობა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მატერიას ფილოსოფიური მატერიალიზმის გაგების მიხედვით, ეს უკანასკნელი მატერიას მკვდარ საგანს უფარდებს. საზოგადოთ ეკონომიური სტრუქტურა, მატერიალური ბაზისი ისტორიული მატერიალიზმისა მეტათ ძნელია რაიმე ურთიერთობაში ჩავაყენოთ მატერიასთან იმ გაგებით, როგორც ეს ესმის ფილოსოფიურ მატერიალიზმს“.[1]) ეს სავსებით დაბნეული მსჯელობაა. ავტორს არ ესმის ის გარემოება, რომ არ შეიძლება რთული ფილოსოფიური და სოციოლოგიური საკითხების ურთიერთ დამოკიდებულების ასეთი ვულგარული წარმოდგენა. „მატერიალიზმი საზოგადოთ აღიარებს სწერდა ლენინი—ობიექტიურათ რეალურ არსებობას (მატერიას), რომელიც დამოუკიდებელია კაცობრიობის შეგნებისა, შეგრძნებისა, გამოცდილებისაგან და სხ... ისტორიული მატერიალიზმი აღიარებს რომ საზოგადოებრივი ყოფნა დამოუკიდებელია კაცობრიობის საზოგადოებრივი შეგნებისაგან. აქაც და იქაც შეგნება მხოლოდ ყოფნის გამონაკრთომია“.[2]) ლენინი სავსებით სამართლიანათ აღნიშნავს, რომ „აქაც და იქაც“, „საერთოდ მატერიალიზმში“ და „ისტორიულ მატერიალიზმში“ ობიექტის და სუბიექტის საკითხი ერთი თვალსაზრისითაა გადაჭრილი. საკითხის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქმე გვაქვს ცალკეულის და ზოგადის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხთან: დიალექტიური მატერი-

[1]) Макс Цеттербаум—К матер. поним. истории“. Ист. Мат.“, 1919, გვ. 218.

[2]) ლენინი—ტ. XIII, გვ. 332.

ალიზმის თვალსაზრისი საერთოდ სავალდებულოა როგორც ბუნების, ისე საზოგადოებისთვის, ხოლო ისტორიული მატერიალიზმის კვლევა-ძიების ობიექტი მხოლოდ საზოგადოებაა. მატერიალისტური დიალექტიკა საერთო მეცნიერული მეთოდოლოგიაა. „დიალექტიკას, როგორც საყოველთაო მეთოდოლოგიას აქვს თავის საგნათ ერთის მხრივ ის ძირითადი ცნებები და კატეგორიები, რომელიც მთელი სინამდვილის შიგნით იმყოფება, მაგრამ მეორე მხრივ მეცნიერებას ბუნების შესახებ და მეცნიერებას საზოგადოების შესახებ აქვთ თავისი სპეციფიური კატეგორიები. თვითეული ცალკე სფერო სინამდვილისა—ბუნება და საზოგადოება—ეყრდნობა მოძრაობის საერთო ფორმებსა და კანონებზე, ამ უკანასკნელში აქვს თვისი საფუძველი, იმავე დროს ამყარებს სპეციფიურ, კერძო კატეგორიებს, ეს უკანასკნელნი კი მოთავსებულნი არიან მხოლოდ მოცემულ სფეროში. ერთი და იგივე აბსტრაქციული კატეგორია, რომელიც შეადგენს საერთო დიალექტიკის საგანს, იღებს აგრედვე სხვადასხვა განსხვავებულ ფორმებს იმის მიხედვით, თუ სად გვხვდება იგი: ბუნების მეტყველებაში თუ საზოგადოებრივ მეცნიერებაში. მაგ. განვითარების კატეგორია. როგორც ბუნება, ისე საზოგადოება ერთნაირად ემორჩილებიან განვითარების კანონს. ამ აზრით ეს კანონი წარმოადგენს საერთო აბსტრაქციულ კატეგორიას. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ განვითარების პროცესი ბუნებაში და საზოგადოებაში ერთი და იგივე არ არის, რომ ის განსხვავებული სახით გადატყდება ბუნებაში და საზოგადოებაში და სხვადასხვაგვარათ იქნება გამოყენებული. ბუნების განვითარება ხდება ადამიანის დამოუკიდებლათ, ხოლო საზოგადოებრივი განვითარება კი ადამიანთა აქტიური მონაწილეობით ხდება. ადვილი შესამჩნევია, რომ ერთი და იგივე კატეგორია განსხვავებული სახითაა მოცემული სინამდვილის სხვადასხვა სფეროში“. [1]) როგორც აქედან სჩანს, დიალექტიკის კანონები სხვადასხვა კონკრეტიულ ფორმებში გვეჩვენებიან სინამდვილის ცალკე სფეროებში. მატერიალისტური დიალექტიკა—მეცნიერებათა ალგებრაა. „ყველა სერიოზული, მეცნიერული, სწორი აბსტრაქციები გამოხატავენ ბუნებას უფრო ღრმათ, სრულათ, სწორათ“ (ლენინი).

ამას წინეთ ერთი ამხანაგი სწერდა:

„გამოსული საერთო მეთოდოლოგიური წარნამძღვარებისაგან ყოველი მეცნიერება სწავლობს თავის სპეციფიურ ობიექტს, ხსნის თავის კანონზომიერებას, ჰყოფს თავის სფეროს საერთოსაგან, მაგრამ იმავე დროს უცქერის თავის სფეროს როგორც ნაწილს მთელისა“.

ეს დებულება, რასაკვირველია, ვრცელდება ლიტერატურის მეცნიერებაზედაც, რომლის კვლევა-ძიების ობიექტი—მხატვრული ლიტერატურა—არის შეგნების ერთი დარგი და მაშასადამე თავისებურ დამოკიდებულებაში მყოფი საზოგადოებრივ ყოფასთან. ლიტერატურა საზოგადოებრივი მოვლენაა. ობიექტისა და სუბიექტის მთლიანობა კი საზოგადოებრივ სფეროში არსებობს, როგორც ბაზისის და ზედნაშენის დია-

[1]) Войнствующий Материалист“, 1925 г. № 5.

ლ ე ქ ტ ი უ რ ი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა. „ყველა მხარეები საზოგადოებრივი სინამდვილისა, მარქსიზმის თვალსაზრისით, წარმოადგენს ერთ მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ს, ერთ ასე ვსთქვათ ორგანიზმს—ეკონომიკა და უფლება, პოლიტიკა და რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება, და ბოლოს ყველა სახეები ხელოვნებისა—მთელი მატერიალური და ინტელექტუალურ-ემოციონალური მოქმედება ადამიანებისა, რომელნიც შეკავშირებულნი არიან საზოგადოებრივ კოლექტივათ—არის მხოლოთ სხვადასხვა მხარეები მ თ ლ ი ა ნ ი სოციალური ორგანიზმისა. ასეთია ძირითადი დებულება მარქსისტული სოციოლოგიისა, ანუ მარქსიზმის სოციოლოგიისა, სოციოლოგიური მონიზმი—ასეთია მისი დამახასიათებელი თვისება... მარქსისტული სოციოლოგია არა მარტო მონისტური და მატერიალისტურია, არამედ დიალექტიურიცაა“ [1]). ლიტერატურის მეცნიერებამ უნდა მონახოს ამ მთლიანობაში სხვა საზოგადოებრივი ფაქტების გვერდით ლიტერატურის ადგილი და მოქმედების სფერო. აქ უშუალოდ სდგება ლიტერატურის კანონზომიერი განვითარების საკითხი. ლიტერატურის მეცნიერებამ უნდა მოგვცეს დიალექტიური გაგება კანონზომიერებისა და აქედან შესაძლებელი გახადოს ლიტერატურის კონკრეტულ ფაქტებზე და მიმდინარე სინამდვილეზე რეალური ხედმოქმედების გეგმის გამომუშავება. ლიტერატურის მეცნიერის სახელმძღვანელო ძაფი—ისტორიის მატერიალისტური გაგებაა, რომელიც შეისწავლის მოვლენების და ფაქტების კანონზომიერ ვითარებას. საერთოდ კანონზომიერი განვითარება როგორც მთელი სამყაროსი, ისე მისი ცალკე სფეროებისა, მარქსიზმისთვის უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ფატალურათ უარყოფა ადამიანის როლისა საზოგადოებრივ განვითარების პროცესში ეს მხოლოდ ვულგარულ მატერიალიზმის დამახასიათებელი თვისებაა. მეორე მხრივ იდეალისტები ფიქრობენ. რომ სამყაროს კანონზომიერებას ანიჭებს მხოლოთ მოაზროვნე გონება. ისინი უსაზღვროთ აზვიადებენ სუბიექტის როლს. ასე მაგ. პირსონი სწერს: „პოეტებიც და მატერიალისტებიც, რომელნიც ისე ლაპარაკობენ ბუნების შესახებ, თითქოს იგი ადამიანის ბატონი იყოს, ხშირად ივიწყებენ, რომ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა წ ე ს ი ს ი ნ ა ნ ი ა ნ ა ს ი ნ ა ნ ი ა ნ ა ს ი ნ ა ნ ი ა ნ ა

„კაუზალობა... არის მხოლოო პატარა ნაწილი მსოფლიო კავშირებისა“ (ლენინი). კანონზომიერების ხასიათის განსაზღვრის დროს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ჭეშმარიტების დავიწყება. საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერება მოელი თავისი სპეციფიურ მხარეებით უნდა იქნეს შესწავლილი; „ადამიანები თვითონ აკეთებენ თავის ისტორიას, მაგრამ ამდენ ხანს ეს ხდებოდა შეუგნებლათ“ (ფრ. ენგელსი).

ლიტერატურის მეცნიერება უნდა გამოვიდეს საერთო, საზოგადოებრივ კანონზომიერებიდან, განსაზღვროს თვისი კვლევა-ძიების ობიექტი და ამის შემდეგ შეუდგეს მის შესწავლას დიალექტიურ მრავალმხრივობაში, მთლიანობაში. ლიტერატურის ისტორიაში არაფერი არა ჩნდება უწესრიგოთ, ქაოტიურათ, მთავარი მოვლენები მჭიდროთ უკავშირდებიან ერთი-მეორეს, განიცდიან ურთიერთ ზედმოქმედებას, ახდენენ ზეგავლენას ბაზისზე და საბოლოო ანგარიშში ამავე ბაზისის კანონზომიერი ვითარებით განისაზღვრებიან. ასე მაგ., „ფუტურიზმი აღმოცენებულია ქალაქების ქვაფენილზე, სადაც დიდი ხმაური და ღრიალია მილიტარულ ჟღარუნის, ბურჟუაზიულ კულტურის დამხობის დროს. ეს პოეზია საერთოთ ტარარაბუმბის პოეზიაა, რომელიც ისევე ვერ გაჩნდებოდა ასი წლის წინათ, როგორც დღეს ახლად შეღებილ სახურავზე ბალახი ვერ ამოვა“, ამ რიგად ფუტურიზმი სრულიად გარკვეული საფეხურია ბურჟუაზიული კულტურისა, იგი მჭიდროთაა დაკავშირებული მისი დროის მოვლენებთან.

ასევე ითქმის ყოველ ლიტერატურულ მიმდინარეობის შესახებ.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ლიტერატურული კანონზომიერების გაიგივება საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობათა კანონზომიერებასთან. ასეთი თვალსაზრისი ჩვენ სუბიექტ-ობიექტის გაიგივებისა და დიალექტიურ მატერიალიზმის დამახინჯებამდე მიგვიყვანს. ლიტერატურა კლასიური იდეოლოგიაა, ეს ვერ გაიგო პერევერზევმა, რომელსაც მთლიანათ არამარქსისტული შეხედულება აქვს ბაზისისა და იდეოლოგიის შუამდებარე საფეხურებსა და მათი დიალექტიური მთლიანობის შესახებ. მთავარი განმსაზღვრელი როლი რასაკვირველია ბაზისს ეკუთვნის, საბოლოო ანგარიშში მასზეა დამოკიდებული ზედნაშენთა რთული სისტემა. „ადამიანებმა პირველ ყოვლისა—ამბობდა ენგელსი—უნდა იზრუნონ საჭმელზე, სასმელზე, საცხოვრებელ ბინაზე და ტანისამოსზე და მხოლოდ შემდეგ აწარმოონ პოლიტიკა, მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია და სხვა“. ენგელსი გარკვევით აღნიშნავს, რომ საბოლოო ანგარიშში ადამიანის აზროვნების ღმაღლესი დარგებიც კი ეკონომიკით განისაზღვრებიან და არა პირიქით, როგორც ამას იდეალისტები ფიქრობდენ. იდეალიზმის თვალსაზრისით პოლიტიკა, ხელოვნება, რელიგია და სხვ. მხოლოდ აბსოლიუტური სულის განხორციელების პროცესია. ასე მაგ., ჰეგელი ფიქრობდა, რომ აბსოლიუტური სულის გამოვლენა ხდება ხელოვნებას, რელიგიასა და ფილოსოფიაში. აქედან, მისივე აზრით, სამივე ეს სფერო ისწრაფვიან აბსოლიუტური ჭეშმარიტების მიწვდომისაკენ ე. ი. თვითშემეცნებისაკენ; ხელოვნება ჭეშმარიტებას ხედავს - მჭვრეტელობის გზით, რელიგია წარმოდგენის ფორმით და ფილოსოფია ცნებებით და კატეგორიებით. „ფილოსოფიას და რელიგიას—სწერდა ჰეგელი—აქვს საგნათ ჭეშმარიტება ამ

სიტყვის უმაღლესი მნიშვნელობით და იმ აზრით, რომ მხოლოდ ღმერთი არის ჭეშმარიტება“ [1]). „მსოფლიო თუ არსებობს — განაგრძობდა ჰეგელი — არსებობს როგორ ჩრდილი და არა როგორც ჭეშმარიტი არსი. მისი არსებობა აბსოლიუტურ ჭეშმარიტებას არ შეადგენს, ეს უკანასკნელი ჩრდილისებურ არსებობის გარეშეა და არსებობს მხოლოთ ღმერთის სახით, რომელიც ერთად-ერთი ნამდვილი არსია“.

ამრიგად, ჰეგელის აზრით არსებობს მხოლოთ აბსოლიუტური ჭეშმარიტება (ღმერთი) და სხვა ყველაფერი („მსოფლიო“ ე. ი. ბუნება, საზოგადოება) მხოლოდ მისი ჩრდილია. ეს იდეალიზმის ძირითადი თვალსაზრისია, რომელიც აიგივებს ობიექტს და სუბიექტს იდეიის, ჭეშმარიტების, ღმერთის საფუძველზე. ამ გაგების წინააღმდეგ მიმართეს მარქსმა და ენგელსმა „მთელი თავისი ბრძოლის ენერგია.

ისტორიის ნამდვილი მსვლელობა მხოლოთ მარქს-ენგელსის „ისტორიული ცხოვრების მატერიალიზმის მიერ იქნა გარკვეული. ამ თვალსაზრისით საზოგადოებრივი ცვალებადობას საფუძვლათ უდევს საწარმოო ძალებსა და წარმოებათა ურთიერთობაში მომხდარი ძვრები. „საწარმოო ძალები მთელი ისტორიის საფუძველს შეადგენს“ (მარქსი) მთელი გაგება ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობისა მკვეთრადაა გადმოცემული „პოლიტ. ეკონ. კრიტიკის“ წინასიტყვაობაში:

„საზოგადოებრივი წარმოების დროს ადამიანები ამყარებენ განსაზღვრულ აუცილებელ, მათი ნებისაგან, დამოუკიდებელ ურთიერთობას, წარმოებითი ურთიერთობას, რომელიც შეეფერება მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს. ამ წარმოებითი ურთიერთობათა კრებადობა შეადგენს საზოგადოებრივ ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც შენდება უფლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც შეესაბამებიან საზოგადოებრივი შეგნების განსაზღვრული ფორმები. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი არის პირობა სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესებისა. ადამიანის შეგნება კი არ განსაზღვრავს მისი ყოფის ფორმებს, არამედ პირიქით „საზოგადოებრივი ყოფა განსაზღვრავს მათი შეგნების ფორმებს“. აქ მარქსი მკვეთრათ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ საზოგადოებაში მთავარია მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ე ბ ი, შემდეგი არის ამ ძალების მთლიანობა, კრებადობა ე კ ო ნ ო მ ი კ ი ს სახით, შემდეგ უ ფ ლ ე ბ რ ი ვ ი დ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ზ ე დ ნ ა შ ე ნ ე ბ ი და ბოლოს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შ ე გ ნ ე ბ ა. ამ ძალების ზედმოქმედება და უკუმოქმედება წარმოადგენს რთული სოციალური ორგანიზმის — საზოგადოების — შინაარსს. საზოგადოების ფსიქოლოგიიდან გამოიყოფა საზოგადოებრივი იდეოლოგია, ამ უკანასკნელის სფეროს ეკუთვნის მხატვრული ლიტერატურაც. ვულგარული მატერიალიზმის თვალსაზრისით „სინამდვილეში არსებობს მხოლოთ ეკონომიკა, დანარჩენი კი არარაობაა, რაღაც ილიუზიის, ჯანყის, მირაჟის მაგვარი, რომელიც ნამდვილათ არაფერს წარმოადგენს“. ვულგარული მატერიალიზმის თვალსაზრისით გაიგივებულია ბაზისი და ზედნაშენი. ამ უკანასკნელ თვალსაზრისზეა დაყრდნობილი პერეევერზევის ლიტერატურის მეთოდოლოგია.

[1]) Гегель — „Сочинения“ ტ. I გვ. 17.

ვ. პერევერზევის მექანისტური ლიტერატურის თეორიის მთელი სიყალბის სათავე ობიექტ-სუბიექტის მეტაფიზიკურ გაგებაში სძევს. პერევერზევი ყველა შეცდომები აქედან გამომდინარეობს. პერევერზევის მარქსიზმის მიხედვით „ტალანტის ყურადღება მთლიანად გადატანილია სუბიექტიურ აზროვნებიდან ობიექტიურ ყოფაზე, რომელიც განსაზღვრავს პოეტურ ნაწარმოებს. არა სუბიექტიურ მოძრაობაში, არამედ ობიექტიურ ყოფაში, არა იდეათა მოძრაობაში, არამედ მატერიალურ სინამდვილის მოძრაობაში უნდა ეძებოს ახსა პოეტურ მოვლენებისა ლიტერატურის მეცნიერმა, რომელიც დაყრდნობილია მარქსისტულ მეთოდზე“ [1]). ავტორს ავიწყდება, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით მატერიალური ყოფა მხოლოთ საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავს ხელოვნების ნაწარმოებს, მანამდე კი პოეტურ ნაწარმოებს სასიცოცხლო ძალებს აძლევს კლასიური ფსიქოლოგია და კლასიური იდეოლოგია. ასეთია მარქსიზმის თვალსაზრისი; ვ. ფრიჩე სწერდა: „ეკონომიკა—კლასი—კლასიური ფსიქოლოგია ხელოვნება—ასეთია მონისტური კონცეპცია ხელოვნების მარქსისტული გაგებისა“, პერევერზევის სისტემაში კი მთლიანათ იგნორაციაქმნილია კლასი, კლასი კლასიური ფსიქოლოგია; პერევერზევის აზრით ობიექტი (ეკონომიკა) და სუბიექტი (პოეტური ნაწარმოები) ერთი და იგივეა. როდესაც პერევერზევი „იდეების მოძრაობაზე“ ლაპარაკობს—აქ იგი გულისხმობს კლასიურ ფსიქოლოგიას და სავსებით უარყოფს ამ უკანასკნელის როლს. თუ პერევერზევი ზემოხსენებული ფორმულით მხოლოთ სუბიექტის აზროვნებას არ ანიჭებს განმსაზღვრელ როლს, როგორც ამას მისი ეპიგონები ამტკიცებდენ, მაშინ რატომ უპირისპირებს სუბიექტიურ აზროვნებას მატერიალურ ყოფას? განა ცხადი არ არის ის გარემოება, რომ პერევერზევი უხეშად ამახინჯებს მარქსიზმს და ისტორიულ მატერიალიზმს. „ყოფა, რომელიც ახდენს მხატვრულ ნაწარმოების ორგინიზაციას—სწერს პერევერზევი—ეს არის აქტიური ყოფა, რომელიც არის პოეტურ ქმნილებაში სუბიექტიც და ობიექტიც. ყოფა იმიტომ ახდენს მხატვრულ ნაწარმოების ორგანიზაციას, რომ წარმოადგენს არა მარტო გამოსახატავ ობიექტს, არამედ გამომხატველ სუბიექტსაც“.

აქ კი პერევერზევი სავსებით აშკარათ აიგივებს ობიექტს და სუბიექტთან, რაც მისი თეორიის მენშევიკურ ბუნებით აიხსნება. ვ. ფრიჩეს მეთოდოლოგიური ნაშრომები ლიტერატურის შესახებ ძვირფასი მასალა და იარაღია პერევერზევშჩინის წინააღმდეგ საბრძოლველათ. „ლიტერატურა—სწერდა ფრიჩე—არის განსაკუთრებული სპეციფიური გამოთქმა კლასის ფსიქიკისა. საზოგადოებრივი ფსიქოლოგია არის რეზერვუარი იდეოლოგიისა. იდეოლოგია კი არის შემკვრივებული ფსიქოლოგია“. [2]) ამ რიგათ ფრიჩე სრულიათ სწორათ განსაზღვრავს ლიტერატურას არა როგორც „ყოფის ნაწილს“, არამედ როგორც კლასის იდეოლოგიის გამოთქმას. მხატვრული ლიტერატურა კლასის ფსიქო-იდეოლოგიის გამოთქმაა და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს

[1]) იხ. „Литературоведение“, გვ. 10.

[2]) ვ. ფრიჩე—„Что такое искусство“.

საწარმოო ძალებზე უშუალოთ დაყრდნობილ მოვლენას. „იდეალური-არის ადამიანის თავში გადამუშავებული მატერიალური“ [1]) პერევერზევის აზრით კი იდეალური უბრალო ნაწილია მატერიალურისა. ამ რიგათ ობიექტ-სუბიექტის მთლიანობის ფორმულას სცვლის მათი იგივეობის ფორმულა.

თქმლიდან ის დასკვნა უნდა იქნეს გამოტანილი, რომ პერევერზევს არ ესმის საზოგადოებრივი შეგნების აქტიური როლი, მას არ ესმის, რომ „აზროვნება არის ადამიანის აქტიური დამოკიდებულება სამყაროსთან“. პერევერზევის მსოფლმხედველობა მეტიფიზიკური მატერიალიზმია, რომლისათვისაც უცხოა კვლევაძიების დიალექტიური მეთოდი.

ობიექტისა და სუბიექტის გაიგივების თეორიიდან გამომდინარე პოლიტიკური დასკვნები მენშევიკური ოპორტიუნიზმის პრინციპებია. პერევერზევის ლიტერატურის თეორია—მენშევიზმის იდეოლოგიაა. იგი უარყოფს მხატვრულ ლიტერატურის აქტიურ როლს კლასობრივ ბრძოლაში. ასეთი ოპორტიუნიზმი მენშევიზმის განუყრელ თვისებას შეადგენს. „უპირველესათ ხაზს ვუსვამთ მარქსიზმის მატერიალისტური ფორმულის ღრმა, გადამწყვეტ ობიექტივიზმს“.—სწერდა პერევერზევი. პერევერზევის ობიექტივიზმი—კლასიური ბრძოლის მიჩქმალვაა. პერევერზევის ობიექტივიზმი მენშევიკურ ფატალიზმის თეორიაა: ამიტომ იგი ბრმად უმორჩილებს ადამიანის აზროვნებას და მხატრულ ლიტერატურას „დაუძლეველ“ ფაქტების წყებას. ასეთი ობიექტივიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა ლენინი სტრუვესთან ბრძოლის დროს. „Об'ективист говорит о необходимости данного исторического процесса—წერდა ლენინი—Материалист констатирует с точностью данную общественно-экономическую формацию и порождаемые ею антагонистическия отношения. Об'ективист, доказывая необходимость данного ряда фактов, всегда рискует сбиться на точку зрения апологета этих фактов; Материалист вскрывает классовые противоречия и тем самым определяет свою точку зрения. Об'ективист говорит „о непреодолимых исторических тенденциях“; Материалист говорит о том классе, который „заведует“ данным экономическим порядком“ [2]).

რევოლუციონურ-მატერიალისტური დიალექტიკა უცხოა მენშევიკურ „ობიექტივიზმისა“ და მეტაფიზიკურ მატერიალიზმისათვის. ასევე ემართება პერევერზევსაც. იგი ეწევა დიალექტიკის იგნორაციას. პერევერზევი სწერს: „მატერიალიზმი იმდენათ არსებითი შემადგენელი ნაწილია მარქსიზმისა, რომ მარქსიზმის წარმოდგენა მატერიალიზმის გარეშე—ნიშნავს ჩავკლათ ყველაზე უფრო არსებითი და ძირითადი ბირთვი (ядро) მარქსიზმისა და მარქსისტული მეთოდოლიგიისა“ [3]). დიალექტიკა კი ნახსენებიც არაა.

ამასვე იმეორებს პერევერზევი სხვა ადგილზე:

---

[1]) კ. მარქსი—„კაპიტალი“.

[2]) ლენინი—ტ. II.

[3]) „Родной язык и литература в труд. школе“, 1928 г. кн. I, გვ. 83.

„მარქსისტული მეთოდი არის მეთოდი ისტორული მატერიალიზმისა და არა სოციოლოგიზმისა საერთოთ. მატერიალიზმი იმდენათ არსებითი საწყალია მარქსიზმისა, რომ მარქსიზმის წარმოდგენა მატერიალიზმის გარეშე ნიშნავს ჩავკლათ ყველაზე უფრო არსებითი და ძირითადი ბირთვი მარქსიზმისა და მარქსისტული მეთოდოლოგისა“.[1])

დიალექტიკა კი... „ავიწყდება“ პერევერზევს. ლენინი პირდაპირ ამგვარი ფსევდო-მარქსისტების წინააღმდეგ სწერდა: „ისინი (ე. ი. მენშევიკები და ოპორტიუნისტები—გ. ნ.) თავის თავს მარქსისტებს ეძახიან, ხოლო მარქსიზმი გაგებული აქვთ ძალზე პედანტურათ: გადამწყვეტ მომენტს მარქსიზმში ისინი ვერ ხედავენ, სახელდობრ მის მატერიალისტურ დიალექტიკას“[2]).

სხვა ადგილზე ლენინი სწერდა:

„ბუნებრივია, რომ მარქსი და ენგელსი, რომელნიც ფეიერბახიდან გამოვიდენ და მჩმახავებთან ბრძოლაში დავაჟკაცდენ, უდიდეს ყურადღებას აქცევდენ ფილოსოფიის აშენებას სახურავამდე, ე. ი. არა მატერიალისტურ გნოსეოლოგიას, არამედ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას. ამიტომ მარქსი და ენგელსი თავიანთ თხზულებებში უფრო ხაზს უსვამდენ დიალექტიურ მატერიალიზმს, ვიდრე დიალექტიურ მატერიალიზმს, უფრო ისტორიულ მატერიალიზმს ვიდრე ისტორიულ მატერიალიზმს“[3]) (ხაზი ლენინისაა—გ. ნ.).

ნუ თუ ამის შემდეგ ცხადი არაა ის გარემოება, რომ მატერიალიზმი დიალექტიკის გარეშე გადაიქცევა მკვდრულ, მეტაფიზიკურ სისტემათ? „დიალექტიკა სწორეთ მარქსიზმის... შემეცნების თეორიაა: აი რა მხარეს (ეს მხარე-კი არა, საკითხის დედაარსია) არ მიაქცია ყურადღება პლეხანოვმა“.

კიდევ ერთი ადგილი ლენინის ფილოსოფიურ შრომებიდან:

Диалектика, как живое многосторончее (при вечно увеличивающемся числе сторон) познание с бездной оттенков всякого подхода приближения к действительности...—вот неизмеримо богатое содержание по сравнению с „метафизическим“ материализмом, основная беда коего неумение применить диалектику и Bildetheorie к процессу и развитию познания [4]).

სრულიათ სამართლიანათ აღნიშნავდენ პერევერზევის და მისი ეპიგონების წინააღმდეგ, რომ „პერევერზევის სკოლა არის ჯგუფი ვულგარიზატორების ნახევრათ იდეალისტების და მექანისტური მატერიალისტებისა [5]). როგორც უკვე ვნახეთ პერევერზევის თვალსაზრისი სავსებით ამახინჯებს მარქსიზმისა და ლენინიზმის ძირითად დებულებებს.

ლიტერატურის სტილის განმსაზღვრელი მომენტები უშუალოთ ეკონომიკაში კი არა, არამედ ეპოქის პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ, იდეოლოგიურ მოძრაობაში უნდა ვეძიოთ. პერევერზევის მიერ ბაზისისა და ზედნაშენის გაიგივე-

---

[1]) „Литературоведение“, გვ. 9.

[2]) ლენინი—ტ. XVIII. ნაწ. 2. გვ. 109.

[3]) ლენინი—ტ. XIII გვ. 336.

[4]) Ленинский оборонник“ XII გვ. 326.

[5]) За Маркс. литературоведению“.

ბის ცდა სრულიადაც ახალი აღმოჩენა არ არის. პერევერზევის თეორია არის ბოგდანოვის ემპიოკრიტიცისტული აზრების აღდგენის ცდა. ბოგდანოვიც შლიდა ყოველგვარ განსხვავების ნიშანს ყოფასა და შეგნებას შორის. ის სწერდა:

„თავიანთ ბრძოლაში ადამიანებს აკავშირებთ მხოლოთ შეგნება: შეგნების გარეშე საზოგადოებრივი ურთიერთობა არ არსებობს. ამიტომ სოციალური ცხოვრება თავის ყოველგვარ გამოხატულებაში არის შეგნებულათ ფსიქიური. სოციალურობა გამოუთიშავია შეგნებისაგან. საზოგადოებრივი ყოფა და საზოგადოებრივი შეგნება, ამ სიტყვების სწორი გეგმით, ერთი და იგივეა“ [1]).

ასეთივე არის პერევერზევის თვალსაზრისი. ამგვარი ვულგარიზმისა და მეტაფიზიკური ლაყბობის წინააღმდეგ ამბ. ლენინი სწერდა:

„საზოგადოებრივი ყოფა და საზოგადოებრივი შეგნება ერთი და იგივე არაა, ისევე როგორც ერთი და იგივე არაა ყოფა და შეგნება საზოგადოთ. იმ ფაქტიდან, რომ როცა ადამიანები ურთიერთობაში შედიან, ეს შეგნებულათ ხდება, სრულიადაც ის არ გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ყოფა და საზოგადოებრივი შეგნება ერთი და იგივე იყოს. არც ერთ ცოტათ თუ ბევრათ რთული საზოგადოებრივ ფორმაციაში, განსაკუთრებით კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციაში, ადამიანებს შეგნებული არ აქვთ რა საზოგადოებრივი ურთიერთობა' მყარდება მათ შორის, რა კანონებით ვითარდება ეს ურთიერთობა და სხ. საზოგადოებრივი ურთიერთობა ასახავს საზოგადოებრივ ყოფნას,—აი რაში მდგომარეობს მარქსის მოძღვრება... იგივეობაზე ლაპარაკი აქ უაზრობაა. შეგნება საზოგადოთ ასახავს ყოფას— ეს მთელი მატერიალიზმის ზოგადი დებულებაა. შეუძლებელია ამ დებულების პირდაპირი და დაურღვეველი კავშირი არ დავინახოთ ისტორიული მატერიალიზმის დებულებასთან, საზოგადოებრივი შეგნება ასახავს საზოგადოებრივ ყოფასო“ [2]). ლენინის ეს დებულება მკვეთრად გადმოგვცემს ისტორიული მატერიალიზმის ძირითად თვალსაზრისს.

ბოგდანოვი ყოფას და შეგნებას აიგივებს შეგნების საფუძველზე, პერევერზევი კი ყოფის საფუძველზე. მაგრამ იდეალიზმი ხომ შებრუნებული სახეა ვულგარულ-მეტაფიზიკური მატერიალიზმისა და ამიტომ ორივე ეს მოაზროვნე საბოლო წერტილში ხვდებიან ერთი-მეორეს:

ლენინი სწერდა:

„თეორია საზოგადოებრივი ყოფის და საზოგადოებრივი შეგნების იგივეობისა სრული უაზრობაცაა და ნამდვილი რეაქციონური თეორიაცაა“ [3]). ასევე ამბობდა ლაფარგიცა: „რაპპოპორტი სცდება, როცა იგი გვარწმუნებს მარქსის შეხედულებით იდეასა და რეალობას შორის იგივეობა არსებობდაო.“

მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისი მთლიანათ ხსნის განვითარების იმ პროცესებს, რომელთა საშუალებით ყოფის ნიადაგზე აღმოცენდებიან და იზრდებიან შეგნების სხვადასხვაგვარი ფორმები. ზედნაშენთა რთული კომპლექსი განისაზღვრება რა ყოფით, ამავე დროს ახდენს მასზე უკუმოქმედებას.

---

[1]) „Из психологий общества“.

[2]) ლენინი—ტ. XIII. გვ. 329.

[3]) იქვე, გვ. 331.

„ლიტერატურა—სწერს პერევერზევი—წარმოადგენს ისეთივე ,,ბუსტ ზედნაშენს ეკონომიკაზე, საწარმოო პროცესზე, როგორც ყველა სხვა ზედნაშენები... ლიტერატურა ზედნაშენია, რომელსაც ჩვენ ვსაზღვრავთ, [illegible] სისტემას. სახეთა სისტემის შესწავლა ლიტერატურის მეცნიერს შეუძლია მხოლოთ წარმოებითი პროცესის კანონზომიერების ახსნით. იქ სძევს ამ კანონზომიერების საფუძველი და რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ზედმოქმედებისა და ზედმომქმედ ფაქტორების შესახებ ამ ურთიერთ მოქმედებით არაფრის ახსნა არ შეიძლება. მხატვრობას არაფრის შექმნა არ შეუძლია ლიტერატურის სახეთა სისტემაში და პირიქით—ლიტერატურას არაფერი არ შეუძლია შეჰქმნას პოლიტიკურ სისტემისთვის ან მხატვრობისთვის. იქ არაფერი ურთიერთ მოქმედებით არ იქნება და საქმე გვაქვს მხოლოთ პარალელურ რიგებთან.

ამ რიგათ პერევერზევის აზრით წარმოებითი პროცესის კანონზომიერება თვით ლიტერატურის კანონზომიერებაა. პერევერზევის პარალელურ რიგების თეორია სხვა არაფერია გარდა ბაზისისა და ზედნაშენის მარქსისტული გაგების პრიმიტიული და უხეში დამახინჯებისა. პერევერზევს უშუალოთ ეკონომიკიდან გამოჰყავს მხატვრული ლიტერატურა. ის წინააღმდეგია მარქსისტული ფორმულისა, რომლის მიხედვით ეკონომიკა მხოლოთ საბოლოო ანგარიშში განსაზღვრავს მხატვრული ლიტერატურას. ამგვარი ვულგარულით თვალსაზრისის წინააღმდეგ ენგელსი სწერდა:

„ისტორის მატერიალისტური გაგების თანახმად ისტორიულ პროცესში საბოლოო ანგარიშით განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს წარმოება და განმეორებული წარმოება ცხოვრებისა. ამაზე მეტი არა გვითქვამს რა არც მე და არც მარქსს. თუ ვინმე ამ დებულებას დაამახინჯებს—ვითომ ეკონომიური მომენტი ერთად-ერთი განმსაზღვრელი მომენტი იყოს, მაშინ ეს დებულება უშინაარსო, უაზრო, ცარიელ ფრაზათ იქცევა. ეკონომიური მდგომარეობა—ეს საფუძველია. ხოლო ისტორიული ბრძოლის მსვლელობაზე გავლენას ახდენს და ბევრნაირადაც საზღვრავს უმთავრესად მის ფორმას—ზედნაშენის სხვადასხვა მომენტები... აქ არის ყველა მომენტთა ურთიერთ მოქმედება“ [1]).

პერევერზევი ვერ იგებს ყოველივე ამას და ამიტომ შულიატიკოვშჩინამდე მიდის. პერევერზევის აზრით, ლიტერატურა, პოლიტიკა, ხელოვნების სხვა და სხვა დარგები, უფლება და სხვა ვითარდებიან ერთი-მეორის პარალელურათ და არავითარ ურთიერთ ზეგავლენას არ განიცდიან. ამით პერევერზევი აშკარათ უარყოფს კლასიურ ბრძოლის არსებობას ლიტერატურაში. პერევერზევის თვალსაზრისით „აქტიური ყოფა“ გამოხატავს მხოლოდ თავისთავს. ამ თვალსაზრისით ერთი კლასის მწერალს არ შეუძლია მეორე კლასის ყოფის ჩვენება. ამ თეორიის მიხედვით ილია ჭავჭავაძის შემოქმედება არის ფეოდალურ კლასის და ფეოდალურ ყოფის „ავტოპორტრეტი“.

ეს თვალსაზრისი მეტაფიზიკური მატერიალიზმიდან გამომდინარეობს და პრაქტიკულათ უარყოფს თანამედროვე ლიტერატურულ თანამგზავრობას.

პერევერზევის თვალსაზრისი ობიექტის და სუბიექტის იგივეობის, პარალელურ რიგების და სხ. შესახებ უფრო „გააღრმავა“ და „გააფართოვა“ ი. ბეს-

[1]) ენგელსის წერილი იოსებ ბლოხს.

პალოვმა. ბესპალოვი ფიქრობდა, რომ მარქსი, ენგელსი და... პერევერზევიც (?) იძლევიან შეგნების მატერიალისტურ და მონისტურ ახსნას [1]). „შემოქმედების ახსნა ავტორის აზრებით—სწერდა ბესპალოვი—ეს არის მისი ახსნა სუბიექტიური იდეალეზმის თვალსაზრისით". აქ ბესპალოვი მთლიანათ იმეორებს პერევერზევის აზრს ლიტერატურის იდეიურობის უარყოფის შესახებ.

ი. ბესპალოვმა, მგზავსად პერევერზევისა, „ვერ შენიშნა" ყოფასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის არსებული საფეხურები. „ან უნდა ვსთქვათ, რომ მხატვრულ ლიტერატურის საფუძველი არის იდეა—სწერდა ბესპალოვი—და ამით შეუერთდეთ იდეალიზმს, ან კიდევ ვაღიაროთ მატერიალისტური თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მხატვრულ ნაწარმოების ბაზისი არის ყოფა. მესამე გზა არ არსებობს" [2]).

აქ თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გადმოწერილი პერევერზევის დებულებები. საერთოდ ყოფის დიალექტიური განვითარების შედეგი არის შეგნება, კერძოდ საზოგადოებრივი შეგნებაც საბოლოო ანგარიშში საზოგადოებრივი ყოფათა განსაზღვრული. „ქვეყნის მთლიანობა მის მატერიალურობაში მდგომარეობს" (ფ. ენგელსი).

ბესპალოვი სწერს:

„შეგნება გამომდინარეობს ყოფიდან და არ არის მასში ისეთი არაფერი, რაც არ იყოს ყოფაში" [3]). ამ რიგად, ყოფა და შეგნება ერთი და იგივე ყოფილა. მარქსის აზრით კი „იდეალური არის ადამიანის თავში გადამუშავებული მატერიალური" და არა უბრალო ნაწილი მატერიალურისა, როგორც ამას ბესპალოვი ფიქრობს. ბესპალოვის აზრით, ლიტერატურული სტილი „ლიტერატურის ნაწარმოებთა კონკრეტიული მთლიანობა კი არ არის წარმოშობილი საერთო კანონზომიერების ნიადაგზე, არამედ არის თვით ეკონომიური პროცესის კანონზომიერება, ისეთი ზოგადი, რომ არ შეიცავს თავისში განცალკევებულს და განსაკუთრებულს." ბესპალოვს არ ესმის „ზოგადის" და „კერძოს" ურთიერთობა.

ბესპალოვი დღესაც იმეორებს ასეთს აზრებს:

„სახეთა ლოგიკა არის ლოგიკა თვით სოციალური სინამდვილისა," [4]) ეს, რასაკვირველია, შეცდომაა, რადგან აქ გაიგივებულია ზოგადი და კერძო კანონზომიერება.

გამომდინარე იქიდან, რომ ლიტერატურა უშუალოთ ეკონომიკითაა განსაზღვრული, პერევერზევის სისტემაში, ადგილი აღარ რჩება პიროვნების მოქმედებისათვის. ამიტომ პერევერზევი სავსებით უარყოფს მწერლის ბიოგრაფიის გათვალისწინების აუცილებლობას. „მარქსისტი ლიტერატურის მეცნიერისთვის—სწერს პერევერზევი—ბიოგრაფია ჰკარგავს ყოველგვარ აზრს, ყოველგვარ მნიშვნელობას." რატომ ხდება ეს? იმატომ, რომ „თუ სახეთა სისტემა სოციალ-ეკონომიურათ დეტერმინაცია ქმნილია, თუ ის შედგენილია

[1]) ი. ბესპალოვი—„Раздраженный эклектизм".

[2]) იქვე.

[3]) იქვე.

[4]) ბესპალოვი—Проблемы литературной науки. გვ. 45.

ბიბლიოთეკა

თავის განვითარებაში სოციალ-ეკონომიური კანონზომიერების მიხედვით, მაშინ ლიტერატურის მეცნიერების კვლევის ობიექტიდან, მისი ხედვის სფეროდან იხსნება სავსებით ავტორის პიროვნება" [1])

ეს იგივე ფატალიზმია, რომელსაც არაფერი არა აქვს საერთო მარქსიზმთან და სამაგიეროთ მენშევიზმის ძირითად შინაარსს წარმოადგენს. ადამიანები თვითონ ქმნიან ისტორიას, „რუსეთში აქამდე—სწერდა პლეხანოვი—გავრცელებულია ის უცნაური ცრუმორწმუნოება, რომლის მიხედვით მატერიალიზმის თეორია აღიარებს პიროვნების სრულ უმოქმედობას. მაშასადამე თუ მართალია „ეკონომიური" მატერიალიზმი, მაშინ „ყველაფერი" მიმდინარეობს თავისთავათ. ადამიანებმა კი მხოლოთ გულზე ხელები უნდა დაიკრიფონ".

ეპოქის სოციალ-პოლიტიკური იდეები, საზოგადოებრივი ფსიქოლოგია მხატვრულ ლიტერატურაში გადადის მწერლის გზით და საშუალებით. ამ რიგად მწერლის ბიოგრაფიის როლის უარყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ეს უარყოფა არის შემდეგი პერევერზევის მიერ ობიექტის და სუბიექტის გაიგივებისა.

ლიტერატურის მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური საკითხი—ხელოვნების რაობის ამოხსნაა. რა არის ხელოვნება? პერევერზევი ფიქრობს, რომ იგი არის სახეთა სისტემა, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს აზროვნების სხვა და სხვა მიმდინარეობებთან. ამ სახეთა სისტემიდან პერევერზევი რიცხავს მოაზროვნე გონების ყოველგვარ მონაწილეობას. იგი სწერს:

„ ხელოვანი ჰქმნის ცოცხალ სახეებს, ხასიათებს და არა იდეთა სისტემას და ამიტომ ანალიზი მხატვრულ ნაწარმოებისა უნდა იყოს ანალიზი ცოცხალი სახეებისა და არა იდეათა და შეხედულებათა ძიება. ვინც... ცდილობს ააშენოს მთელი ფილოსოფია ვითომ გადმოცემული... ნაწარმოებში ის აწარმოებს უსარგებლო მუშაობას, რადგან ის აწერს მხატვარს იმას, რაც ამ უკანასკნელს არ გააჩნია და არ იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, რაც მას აქვს" [2]) აქ პერევეზევი გადაჭრით აცხადებს, რომ მხატვრულ ნაწარმოებში არავითარ იდეებს არა აქვს ადგილი. მარქსიზმის თვალსაზრისით კი ხელოვნება ნაწილია კლასიური იდეოლოგიისა და მაშასადამე იგი არის მხატვრულ ფორმებში გამოთქმა კლასიური იდეებისა. მტკიცება ლიტერატურის „უაზრობის" შესახებ ახალი არ არის, იგი მომდინარეობს იდეალისტური ფილოსოფიიდან. პერევერზევი კი, პირიქით, სცდილობს მოგვაჩვენოს, რომ იგი სავსებით წინააღმდეგია იდეალიზმისა. „იდეალისტი—სწერს პერევერზევი—რომელიც ირკვევს მხატვრულ ნაწარმოებს, ეძებს მასში იდეას" [3]). აქედან კურიოზული დასკვნა: მატერიალისტმა, რომელიც იკვლევს მხატვრულ ნაწარმოებს უნდა ეძებოს მასში... მატერია. პერევერზევის მეტაფიზიკური მეთოდით შებორკილ აზროვნებას არ შეუძლია იმ ფაქტში გარკვევა თუ როგორ დიალექტიური განვითარების გზით გადადის მატერია ცნობიერებაში.

---

[1]) ვ. პერევერზევი—„Родной язык"...

[2]) პერევერზევი—Творчество Достоевского, გვ. 60.

[3]) „Литературоведение". გვ. 10.

„მე არ შეუდგები— განაგრძობს იგი—დოსტოევსკის ნაწერებში მისი მსოფლმხედველობის პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებათა ტენდენციებს, იმიტომ რომ ყველაფერი ამის მოთხოვნა ხელოვანისაგან არის ის, რომ მხატვარმა ჩვენ მოსთხოვო. მხატვარი ჰქმნის ცხოვრებას... ის არა მსჯელობს და ასაბუთებს, არამედ სცხოვრობს“.

აი ერთი ადგილიც:

„დოსტოევსკის ნაწერებში არის ცხოვრება და მისი ტანჯვები, წვალება, ბრძოლა და არა ფილოსოფია... რამდენადაც დოსტოევსკი გამოვიდა როგორც პუბლიცისტი მან გამოსთქვა თავისი შეხედულებები განავითარა თავისი მსოფლმხედველობა. ამ სფეროში კი ჩვენ ნამდვილათ საქმე გვაქვს მის რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებებთან“ [1]). პერევერზევის თვალსაზრისით „პოეტის მოსაზრებით არაფერი არ აიხსნება მხატვრულ ფაქტში იმიტომ რომ მარქსიზმის თვალსაზრისით განსაზღვრული მომენტი არის არა აზროვნება, არამედ ყოფა“[2]).

მხატვრულ ნაწარმოებში მოცემულია არა თვით ყოფა, არამედ ამ ყოფის იდეალური გამოხატულება. ლიტერატურა იდეების გარეშე წარმოუდგენელია, ეს პერევერზევის მიერ მოგონილი აბსტრაქციაა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რეალურ მოვლენების დიალექტიურ მსვლელობასთან. იგი არაერთხელ იმეორებს ამ აზრებს: „რასაკვირველია—სწერს იგი—არ არსებობს ხასიათები გარეშე ფილოსოფიური ანუ სოციალ-პოლიტიკური სიმპატიისა, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებისათვის მათ არა აქვთ... ღირებულება. როდესაც მერეჟკოვსკი სწავლობდა დოსტოევსკის როგორც რელიგიოზურ მოაზროვნეს, მას ავიწყდებოდა, რომ დოსტოევსკი არასდროს არ ყოფილა მოაზროვნე“ [3]).

მარქსიზმის ლიტერატურის მეცნიერება მკვეთრათ უსვამს ხაზს, რომ ყოველი ფაქტი მხატვრულ ლიტერატურისა გადმოგვცემს თავის კლასისა და ეპოქის იდეებს. „ყოველი მწერალი ამბობდა—ფრიჩე—...არის იმავე დროს მოაზროვნე. გარემო სინამდვილის, პოლიტიკის, სოციალური წყობის, თანამედროვეობის ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის ყველა მოვლენები იწვევს მის გამოხმაურებას, ყველა ეს იდეები არ შეიძლება არ შედიოდეს მის შემოქმედებაში, როგორც მასალა... ამიტომ ლიტერატურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც გამოთქმა კლასის ფსიქოიდეოლოგიისა სიტყვიერ-სახეობრივ ფორმაში“. ფრიჩე აქ სამართლიანად ამბობს, რომ სახე იდეების გამოთქმის საშუალებაა, პერევერზევისათვის კი სახე თვით არის იდეა. ამ უკანასკნელის აზრით ლიტერატურა „ყოველთვის არის სახეთა სისტემა და მხოლოთ სახეთა სისტემა. ამაშია ლიტერატურულ ფაქტის სპეციფიურობა, რომელიც გვავალდებულებს ჩვენ შევისწავლოთ და გადავაქციოთ შესწავლის ობიექტად მხოლოდ სახე“[4]).

სახე მხოლოდ ფორმაა მხატვრულ ნაწარმოებისა, შინაარსი კი არის მისი ავტორის კლასობრივი იდეოლოგია; ხელოვნების უიდეობის აღიარება კი მიგვი-

[1]) პერევერზევი—„Творчество Достоевского“ გვ. 60.

[2]) „Литературоведение“.

[3]) პერევერზევი—„Творчество Достоевского“ გვ. 60.

[4]) „Родной язык“.

ყვანს კანტის იმ უძველეს აზრამდე, რომლის მიხედვით ხელოვნება არის თამაში. ასე ემართება პერევერზევსაც. იგი სწერს:

„ლიტერატურა არის თამაში ცხოვრებაში და სოციალური ბრძოლა ამ თამაშისა არის მომზადება, აღზრდა სასიცოცხლო ბრძოლისთვის“, „მხატვრული ნაწარმოები არის თამაში ცხოვრებაში, მაგრამ ვიდრე ითამაშებდე უნდა იცხოვრო, რომ გამოსცადო ის. რის თამაშიც მოგიხდება ცხოვრებაში“.

სხვა დასკვნებამდე ვერ მივიდოდა პერევერზევის მეტაფიზიკური და მექანისტური თეორია ლიტერატურის შესახებ.

ობიექტის და სუბიექტის ურთიერთობის საკითხი ლიტერატურის მეცნიერების ამოსავალი წერტილია. ამ წერტილში იყრის თავს ლიტერატურის მეცნიერების ყველა პრობლემები: ლიტერატურის რაობის, კანონზომიერების, დიალექტიური ვითარების, ფორმის და შინაარსის ურთიერთობის, მწერლის ბიოგრაფიის მნიშვნელობის, ლიტერატურულ სტილის, სახის და სხვ. შესახებ. პერევერზევმა და მისმა ეპიგონებმა უკვე „მოასწრეს“ ყველა ხსენებულ საკითხების ვულგარიზაცია, რასაც სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა ნაპოსტოველებისა და კომუნისტურ ლიტერატურულ ძალების მიერ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღეს პერევერზევის და ყველა ეკლექტიკების წინააღმდეგ ბრძოლა ლიტერატურის მეცნიერების ფრონტზე პლეხანოვის პოზიციიდან აღარ არის საკმარისი, არ შეიძლებოდა პლეხანოვის პოლიტიკურ ოპორტიუნიზმს არ მოეხდინა ზეგავლენა მის თეორიულ შეხედულებებზე. მარქსიზმი აღიარებს თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობას. „თეორია არის ყველა ქვეყნების მუშათა მოძრაობის გამოცდილება, აღებული მისი საერთო სახით. რასაკვირველია თეორია გახდება უსაგნო თუ ის არ იქნება დაკავშირებული პრაქტიკასთან, სწორედ ისევე როგორც პრაქტიკა შეიქმნება ბრმა თუ მისი გზა არ იქნა განათებული რევოლიუციონური თეორიით“ (ი. სტალინი). პლეხანოვის პრაქტიკულმა ოპორტიუნიზმმა ღრმა ოპორტიუნისტული კვალი დააჩნია მის პრაქტიკასაც. პლეხანოვს აქვს მთელი რიგი შეცდომები ფილოსოფიაში, რომლის წინააღმდეგ სასტიკათ იბრძოდა ლენინი. დებორინშჩინა პლეხანოვის შეცდომების აპოლოგიამ მიიყვანა იდეალიზმამდე. პლეხანოვი ბევრ რამეში ვერ დასცილდა ბელინსკის იდეალისტურ ესთეტიკას. რასაკვირველია პლეხანოვს აქვს მთელი რიგი ორტოდოქსალურ-მარქსისტული ნაშრომები, რომელთა უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ სამაგიეროთ პლეხანოვის მთლიან მოქმედებაში მებრძოლ მატერიალიზმს სჭარბობს მენშევიკური იდეალიზმი.

დიალექტიური მატერიალიზმის ახალი საფეხური—ლენინიზმი უნდა გადაიქცეს ლიტერატურის მეცნიერების ერთად-ერთ მეთოდოლოგიურ დასაყრდენად, გზის მაჩვენებლად და კვლევა-ძიების მეთოდათ.

ჩვენი წერილის მიზანი არ არის პერევერზევის მეთოდოლოგიური სისტემის მთლიანი კრიტიკა. ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ მისი შეცდომათა სისტემის სათავეების ჩვენება. ლიტერატურის მეცნიერების ახლანდელ ვითარებაზე ზეგავლენა პერევერზევშჩინის როგორც მემარჯვენე გადახრას—მოითხოვს ულმობელ ბრძოლას. პერევერზევშჩინა, როგორც ლიტერატურის მეცნიერების გან-

ვითარების ხელისშემშლელი დაბრკოლება ყოველმხრივ განადგურებული უნდა იქნეს.

ბიბლიოთეკა

დღეს ლიტერატურის მეცნიერება ახალი ამოცანების წინაშე სდგას. იგი გამოდის რა ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულებებიდან ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის შესახებ ლოლიკურათ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლიტერატურა არის კლასიური იდეოლოგია, კლასიური ბრძოლების მკვეთრი იარაღი და მისი კანონზომიერება მხოლოდ საბოლოო ანგარიშში განისაზღვრება საწარმოო პროცესის და ეკონომიკის კანონზომიერებით.

ლიტერატურის მეცნიერება ვერ განვითარდება მატერიალისტური მონიზმის გარეშე. ამ თვალსაზრისით საზოგადოების ეკონომიური და კლასობრივი სუბსტრატი წარმოადგენს ბაზისს, რომელზედაც აღმოცენებულია ზედნაშენთა რთული კომპლექსი.

შალვა რადიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უახლოესი ქართული მწერლობის გზები

წინასწარი შენიშვნა

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის განვითარება მეტად რთულ და მრავალფეროვან გზებით მიმდინარეობდა. სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ-იდეოლოგიურ წყების მოვლენათა დინამიკაში მწერლობასაც თავისი სპეციალური და მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი.

მწერლობის ეს გზა ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელია, შეუსწავლელია. იგი მთლიანად „ნედლ" მასალას წარმოადგენს. მას ესაჭიროება სისტემაში მოყვანა და მარქსისტულ-ლენინური ანალიზი.

ჩვენს მიზანს შეადგენს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ზოგიერთ დამახასიათებელ, ძირითად მოვლენათა შესახებ საუბარი, მათი გარკვევა და გათვალისწინება.

I

სიმბოლიზმი

მარქსისტულ ლიტერატურის მეცნიერებაში სიმბოლიზმის სოციალური გენეზისი უკვე სათანადოთ გარკვეული და განსაზღვრულია. თითქმის ყველა კრიტიკოსი და ლიტერატურის მკვლევარი, რომელიც ეხებოდა ამ საკითხს, ასეთ დასკვნამდე მიდიოდა: საზოგადოებრივი ფსიქიკა, რომელიც საფუძვლათ უდევს სიმბოლიზმს, გამოხატავს ბურჟუაზიული ინტელიგენციის განწყობილებას, რომელიც აღმოცენდა მეტად რთულ სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ-კლასიურ ურთიერთობაზე და რომელიც გამოწვეული იყო კაპიტალიზმის უაღრესად განვითარებით.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი კაპიტალისტური საზოგადოების სიკვდილის წინათგრძნობის ხანაა. ეს პერიოდი ხასიათდება ბურჟუაზიული კლასის სასიკვდილო განცდების გამომჟღავნებით. იმ სოციალურ ფენას, რომელსაც სინამდვილე დაღუპვას უქადის, დარჩენია ის, რომ თვითონაც უარყოს სინამდვილე, რომელიც მას სიკვდილს უმზადებს. ისინი ფრ. ნიცშეს—ამ დაცემულობის იდეოლოგის—თქმით ცდილობენ „თავისი თავი დამალონ ციური საგნების ქვეშაში". ამიტომ არის, რომ ისინი მიმართავენ სიმბოლოებს, ცას, წარსულ ცხოვრებას, მისტიციზმს. ამიტომვე არის, რომ მათი ლიტერატურული სახე სიმბოლიზმში ყალიბდება, იგი ხდება მათი შემოქმედების ძირითად გზად.

სიმბოლიზმს ახასიათებს: მისტიციზმი, რეალური ცხოვრების უარყოფა, მეორე საკუთარი („იქეთა") ქვეყნის შექმნა, ანტი-საზოგადოებრივობა, წარსულის გაიდეალება, ინდივიდუალიზმი, ეროტიკა, მუსიკის კულტი და სხვ.

თეორეტიულ მოსაზრებებში, რომელსაც სიმბოლისტები გამოსთქვამდენ, ყველა აღნიშნული მომენტები გარკვევით იყო მოცემული.

ფრანგი-სიმბოლისტი სტეფან მალარმე სიმბოლიზმის ბუნებას შემდეგნაირად საზღვრავდა: „დავასახელოთ საგანი—ნიშნავს სამი მეოთხედით შევასუსტოთ ის კმაყოფილება, რომელსაც გვაძლევს ჩვენ ლექსი, ვინაიდან მთელი მისი (ე. ი. ლექსის. შ. რ.) სიმშვენიერე მდგომარეობს თანდათანობით ახსნაში. გამოიწვიოს წარმოდგენა საგანზე— აი პოეტის ოცნება. ამ საიდუმლოების სრული გამოყენება შეადგენს სიმბოლოს. საჭიროა თანდათან გამოვიწვიოთ წარმოდგენა საგანზე, რომ მისი დახმარებით გამოვსახოთ განსაზღვრული სულიერი განწყობილება, ან პირიქით, შევარჩიოთ რომელიმე საგანი და მთელი რიგი განმარტებებით შევქმნათ მისგან მოცემული სულიერი განწყობილება".

სიმბოლისტური პოეზიის მეორე უდიდესმა წარმომადგენელმა პოლ ვერლენმა მეტად მკაფიოთ დაახასიათა სიმბოლიზმის ძირითადი ნიშნები:

„გწამდეს მუსიკა და ეტრფიალე
ზომას, რომელშიც მოუთავსება
ნაზ მინანქარის ნაბი შრიალი,
მაგრამ ნუ გინდა მძიმე სავსება.
გადაარჩიე სიტყვების დასი
და შეიყვარე მათი ზმანება.
მთვრალი სიმღერა არის ძვირფასი—
ნათელ ბოდვაში მიექანება...

** ** **

მხოლოდ ნაჩრდილი ხიბლავს ოცნებას,
ფერი კი არა—ღია და ავი.
მწყობრ ნაჩრდილებში ეჯადოსნება
ფიქრი ოცნებას, საკრავს საკრავი...

** ** **

გსურდეს მუსიკა ახლა, ყოველთვის!
და ფრთამარადი შენი შაირი
ამ ქვეყნის იქით ზეციურს ელტვის,
სადაც ტრფობაა სულ სხვანაირი"...

რემი-დე-გურმონი „ნილაბთა წიგნში" შემდეგ-ნაირად ახასიათებდა სიმბოლიზმს:

„რა არის სიმბოლიზმი?—თუ დავეყრდნობით სიტყვის სწორ გრამატიკულ მნიშვნელობას,—თითქმის არაფერი. თუ კითხვას გავწევთ განზე, მაშინ იმას შეუძლია აღნიშვნა იდეათა მთელი რიგის: ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილი ფორმულების უარისყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურობისადმი. ის ნიშნავს აგრეთვე იდეალიზმს, სოციალური რიგის ფაქტების უგულებელყოფას, ანტინატურალიზმს, ტენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენციას მხოლოდ იმ ხაზების გადმოცემისას, რომელიც ანსხვავებს ერთ ადამიანს მეორისაგან".

სიმბოლიზმის ასეთივე განსაზღვრას იძლეოდა ვ. ბრიუსოვი. „საფრანგეთის მეცხრამეტე საუკუნის ლირიკოსების" წინასიტყვაობაში იგი სწერდა: „საფრანგეთის სიმბოლიზმში უნდა გავარჩიოთ ორი მიმართულება: პირველი მშვენიერების კულტი, ესტეტიზმი, და მეორე—პიროვნების კულტი, ინდივიდუალიზმი".

უკიდურესობამდე განვითარებულმა ინდივიდუალიზმმა და სუბიექტივიზმმა თავისებური მიმართულება მისცა სიმბოლისტების შემოქმედების მხატვრულ ფორმასაც. „ისინი მზად იყვენ-ო—განაგრძობდა ვ. ბრიუსოვი,—უარეყოთ ყოველგვარი „წესები" ლექსთაწყობის სფეროში, სცნობდენ რა, რომ თვითოეული პოეტი, თავისუფალია შეჰქმნას ის ფორმები, რომელიც უფრო შეეფერება მისი პოეზიის შინაარს. დაუბრუნდენ რა ისინი რომანტიკოსების „სუბიექტიური" ენის იდეიას, განავითარეს ის უკანასკნელ უკიდურესობამდე, არ ჩერდებოდენ იმის წინაშეც, რომ ამ მოქმედებით ზოგიერთი მათი ნაწარმოები მეტად ძნელი გასაგები ხდებოდა. ამის შემდეგ სრულიად არაა გასაკვირი, რომ სიმბოლისტები მიმართავდენ მისტიურ მოძღვრებებს, ცდილობდენ რა მიეცათ მისთვის უფრო ღრმა და ფართო დასაბუთება. პიროვნების კულტის ასეთ უკიდურესობამდე აყვანამ, არსებული რეალობისაგან სრულიად ჩამოშორებამ და მისწრაფებამ მისტიციზმისაკენ, „გაუცნაურებისაკენ", „იმ ქვეყნისაკენ" დაბადა ის ძირითადი მხატვრული ხერხი, რომელმაც სახელწოდება მისცა მთელ მიმართულებას... სიმბოლიზმის დამოუკიდებელ განძს წარმოადგენდა სიმბოლოების იდეია, როგორც ძირითადი მხატვრული საშვალება. ნატურალიზმი, რომელიც 80-იან წლებში გაბატონებული სკოლა იყო ლიტერატურაში, კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმით, რომ სისწორით სახავდა გარეშე სინამდვილეს. სიმბოლისტები გადაჭრით უარყოფდენ შემოქმედების ისეთ მეთოდს, რომელიც ხელოვნებას მხოლოდ ცხოვრების გამოხატულებად აქცევდა. ისინი მოითხოვდენ, რომ ჭეშმარიტ მხატვრულ შემოქმედებაში გარეგან, კონკრეტულ შინაარს იქით ყოველთვის უნდა იმალებოდეს მეორე, უფრო ღრმა შინაარსი. მხატვრული სახის ადგილას, რომელიც განსაზღვრულად ხატავს ერთ მოვლენას, მათ დააყენეს სიმბოლო, რომელიც მთელ რიგ დაფარულ მნიშვნელობას იტევს, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოს, მრავალაზროვანს, ჩაბნელებულს და გაუგებარს,—თავისი ბუნებით შესატყვისი დარჩა იმ პოეტისათვის, რომლებმაც უარყვეს... პოეზიის საზოგადოებრივი იდეალი... მიისწრაფოდენ რა, რომ ხელოვნება გამხდარიყო ხელოვანის პიროვნების სრული გამოხატულება.

კ. ბალმონტი სწერდა: „იმ დროს, როდესაც პოეტი-რეალისტები ქვეყნიერებას იხილავენ გულუბრყვილოთ, როგორც უბრალო მეთვალყურეები, ემორჩილებიან მის საგნობრივ საფუძველს,—პოეტი სიმბოლისტები გარდაქმნიან საგნობრივობას თავისი რთულ შთაბეჭდილებით, ბატონობენ მსოფლიოში და იჭრებიან მის მისტერიაში. რეალისტები ყოველთვის არიან უბრალო მეთვალყურეები, სიმბოლისტები—ყოველთვის მოაზროვნეები. რეალისტები გატაცებული არიან კონკრეტიული ცხოვრებით, რომლის იქეთაც ისინი არაფერს არ ხე-

დავენ,—სიმბოლისტები კი, რომლებიც უარყოფენ რეალურ-სინამდვილეს, ხედავენ მასში მხოლოდ თავის ოცნებას, ისანი უცქერიან ცხოვრებას ფანჯრიდან".

უფრო მკაფიოთ და ჩამოყალიბებულათ სიმბოლიზმის ბუნება დაგვიხასიათა ვ ი ა ჩ. ი ვ ა ნ ო ვ მ ა. იგი სიმბოლიზმის არსებათ სთვლის: „ხელოვანის მიერ შეგნებულად გამოთქმულ პარალელიზმს ფენომენალურისა და ნოუმენალურისა; ჰარმონიულად ნახულ შესატყვისობას იმისა, რასაც ხელოვნება გამოხატავს როგორც სინამდვილეს გარეგანს (realia) და იმისა, რასაც იგი განჭვრეტს გარეგანში, როგორც შინაგანს და უმაღლეს სინამდვილეს (realiera), აღნიშვნას შესატყვისობისა და ურთიერთობისა მოვლენასა (იგივეა—„მხოლოდ მსგავსება", nur Eleichniss) და მის გონების მიერ ჩაწვდენას ან მისტიურ განჭვრეტას ხილულ სინამდვილის მიერ უკუფენილ ლანდისა".

შემდეგ ვ. ივანოვი განაგრძობდა: „... და ასე მე არა ვარ სიმბოლისტი, თუ კი არ ვაღვიძებ შეუმჩნეველი თქმით ან ზეგავლენით მსმენელის გულში გადაუცემ შეგრძნობებს, რომელნიც ზოგჯერ ემსგავსებიან პირველ დასაწყის მოგონებებს (...), ზოგჯერ შორეულ მკრთალ წინათგრძნობას, ზოგჯერ ცახცახს რაღაც ნაცნობის და სასურველის მოახლოებისა... მე არ ვარ სიმბოლსტი თუ ჩემი სიტყვები მსმენელში არ იწვევს გრძნობას კავშირისა იმის შორის, რაც არის მისი „მე" და იმას შორის, რასაც იგი უწოდებს „არა-მე"-ს,—კავშირს საგნებს შორის, რომელიც ემპირიულათ არიან გაყოფილი, თუ ჩემი სიტყვები არ არწმუნებენ მას უშუალო არსებაში დაფარული ცხოვრების, იქ, სადაც გონება არ ისაზრებდა მის ყოფას... მე არა ვარ სიმბოლისტი, თუ ჩემი სიტყვები შესატყვისი არის თავისთვის, თუ ისინი არ არიან სხვა ბგერების გამოძახილი".

დ. მ ე რ ე ჟ კ ო ვ ს კ ი ს აზრით სიმბოლიზმი პასუხს აძლევდა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის თაობის მოთხოვნილებებს, რომელიც ატარებდა თავის „სულში აღელვების შემხუთველ და მკვდარ პოზიტივიზმის წინააღმდეგ, რომელიც ქვასავით იდო ჩვენს გულზე". მერეჟკოვსკისთვის სიმბოლიზმი იყო პროტესტი გაბატონებულ რეალისტურ გემოვნების წინააღმდეგ, „მხატვრულ მატერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც შესატყვისი იყო მეცნიერულ და ზნეობრივ მატერიალიზმისა". ზოგადათ მერეჟკოვსკის მოსაზრება სწორია. მაგრამ მას სამწუხაროთ ერთი „წვრილმანი", „პატარა" ამბავი ავიწყდებოდა: არ ასახელებდა, თუ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის რომელი ფენის, საზოგადოებრივი წრის, თაობის განწყობილებებს და იდეებს გამოხატავდა სიმბოლიზმი.

როგორც დავინახეთ, თვით თეორია სიმბოლიზმისა, ნათლად მიუთითებდა იმაზე, რომ იგი იყო მწერლობა იმ ინტელიგენციისა, რომელიც გაექცა სინამდვილეს, რომელმაც უარყო ამ ქვეყნიური მოვლენები და მიაშურა ინდივიდუალისტურ-მისტიურ შთაბეჭდილებებს, „იქეთა ქვეყანას" და სხვ.

მოტივების და სიუჟეტის შერჩევა სიმბოლისტების პოეზიაში განისაზღვრება მათი იდეოლოგიით და მთელი მათი პოეტური მსოფლმხედველობით.

სიმბოლისტებისათვის საყვარელ მოტივს წარმოადგენდა წმინდა ლირიკა, ე.—ი. ლექსში გადმოცემა თავისი პირადი განცდების, უმთავრესად მისტიურის და რელიგიურის. ეს პირადი განცდები ლაპარაკობდენ მარადიულობაზე ღმერთზე, ანგელოსზე, საიდუმლოებზე, ჯოჯოხეთზე და ა. შ.

განსაკუთრებით იტაცებდა სიმბოლისტებს სიყვარული—ეროტიკა მთელი თავისი სახეებით, დაწყებული წმინდა ამ ქვეყნიური გატაცებით და გათხვებული რომანტიული მარად ქალურობით. სიმბოლისტების პოეზიაში ეროტიკა გადანასკვილი იყო მისტიურ განცდებთან.

სიმბოლისტ-პოეტებს უყვარდათ ბუნებაც, პეიზაჟიც, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ მისი საშუალებით გამოემჟღავნებიათ თავიანთი განწყობილებები.

სიმბოლისტები გატაცებული იყვენ წარსულით. ისინი დამწუხრებული მისტიროდენ უკვე გარდასულს. წარსულში მათთვის მიმზიდველი იყო არა რეალობა, არამედ თითქოს გარდაცვლილი მისტიური მშვენიერება ოცნების, ფანტაზიის. ისინი ამ წარსულის სტილიზაციას ახდენენ.

სინამდვილეს, ამ ქვეყნიურ ყოფას სიმბოლისტები ითვისებენ, როგორც მარიონეტკების თეატრს, როგორც „ბალაგანს“.

სიმბოლისტებს ხშირად უწოდებენ დეკადენტებს, თუმცა თვით (ე. ი. სიმბოლისტები) ცდილობდენ გამოყოფოდენ ამ სახელწოდებას. ერთ-ერთი რუსი სიმბოლისტი შემდეგნაირად ცდილობდა ზღვარის გავლებას სიმბოლიზმსა და დეკადენტობას შორის: „სიმბოლიზმი უპირველეს ყოვლისა დიამეტრალურად საწინააღმდეგოა დეკადენტობისა. შესაძლოა არც კი იყოს საჭირო დეკადენტობის მოხსენება სიმბოლიზმის გვერდით. მაგრამ ვიმეორებ, რომ ეს ორი ცნება ისე სამწუხაროდ არიან შერეული თვით საპატივცემლო ადამიანების გონებაში, რომ ძალაუნებურად გსურს ერთხელ და საბოლოოთ გაჰყო ისინი, დეკადენტობა, როგორც ის წარმოიშვა საფრანგეთში (ჩვენში იგი არ იყო, ჰყავდა მას მხოლოდ ცუდი მიმდევრები, რომლებიც არ არიან ყურადღების ღირსი) — იყო მხოლოდ უხეირო, ადრინდელი, ავადმყოფური პროტესტი მეტად ღრმა მატერიალისტურ და ნატურალისტურ განწყობილებათა წინააღმდეგ ხელოვნებაში. ტანჯული და მისუსტებული სული, რომელიც უკვე გამხადილი იყო სასიკვდილოთ, მიდის უკიდურესობამდე, მხოლოდ დაამარცხოს უსარგებლო და უხეში ძალა მატერიალიზმისა. დეკადენტები გარბიან „წმინდა“ ხელოვნებაში (სიმბოლიზმის გარეშე), ბგერებში, ინდივიდუალიზმში, რომელსაც აგრეთვე იზიარებს სიმბოლიზმი. დეკადენტობა დაიბადა, მიისწრაფოდა სიკვდილისაკენ და მოკვდა დიდი და სუსტი. დეკადენტებს ეშინოდათ გონების, შეგრძნების სიწმინდის. სიმბოლიზმი არ დაბადებულა და ამიტომ არ შეუძლია მოკვდეს“. აქ თითქოს არის ცდა გამონახული იქნას ერთგვარი ზღვარი სიმბოლიზმსა და დეკადენტობას შორის. მაგრამ ეს მეტად ნაძალადევი და არა ბუნებრივი ექსპერიმენტია. დეკადენტობა უნდა ჩაითვალოს სიმბოლიზმის სახეობათ. ის, რაც დამახასიათებელია დეკადენტობისათვის—სიტყვათა შეერთება მხოლოდ სიტყვათა გულისათვის, ბგერებით გატაცება, მუსიკალობა, ინდივიდუალიზმი და სხვ. სიმბოლსზმის ძირითად შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს.

აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ისეთი ორტოდოქსალური სიმბოლისტი, როგორიც არის ბალმონტი, ხშირად თავის თავს დეკადენტს უწოდებდა.

სიმბოლიზმთან განსაკუთრებით მტკიცეთ არის დაკავშირებული ერთგვარი მოძრაობა, რომელიც ცნობილია ბოჰემის სახელწოდებით.

ლიტერატურულ-სოციალური მოვლენა, როგელიც სახელდებულია ლიტერატურულ ბოჰემათ, დაკავშირებულია ინდივიდუალისტურ საზოგადოებრივ წყობილებასთან, შექმნილია ამ უკანასკნელის სოციალ-ეკონომიურ [illegible] ველობითი პირობებით.

ლიტერატურული ბოჰემა არ წარმოადგენს დადებით, პროგრესიულ სოციალურ მოვლენას.

საიდან წარმოსდგა თითონ სიტყვა ბოჰემა? საშუალო საუკუნოებში ბოშები—მოხეტიალე ხალხი ითვლებოდა ბოჰემიიდან (ჩეხია) გამოსულებათ. აქედან შემდეგ მოხდა ამ მცნების განზოგადოება. „ბოჰემა ლიტერატურულ ბოშებს წარმოადგენს სოციალურ დეკლასიურობის და მატერიალური სივიწროვის აზრით“ (ფრიჩე).

სიტყვა ბოჰემამ თავისი დასაწყისი მიიღო საფრანგეთში რომანტიზმის ეპოქაში. ანრი მიურჟემ პირველად პარიზის ლათინური უბნის სტუდენტები მონათლა ამ სახელწოდებით და შემდეგ ლიტერატურული პროლეტარები.

როგორც ფართო სოციალური მოვლენა ბოჰემა წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნიდან.

ბოჰემის კლასიკურ ქვეყანათ ითვლება საფრანგეთი.

ბოჰემის წარმოშობისათვის მრავალი პირობა არსებობდა. აი, რას სწერს ამის შესახებ ა. ლუნაჩარსკი: „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მეტად შესამჩნევი გახდა პარიზში და საფრანგეთის სხვა დიდ ცენტრებში მცხოვრებთა განსაკუთრებული ფენა, რომელსაც წარმოადგენდა ინტელიგენციის უღარიბესი ნაწილი. ხელოსნობის სწრაფმა დაცემამ, ფეოდალური საზოგადოების განადგურებამ გამოიწვია ხელოსანთა და ზოგჯერ შეძლებულ გლეხთა შვილების გაქცევა ქალაქებში მისაღებათ განათლებისა, როგორც არსებობის და კარიერის ძირითადი საშუალება. ზოგიერთი ასეთ ახალგაზრდა ადამიანებისგან მართლაც ეწყობოდენ ყველა სახის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის სამხატვრონში, სხვები კი რჩებოდენ სკოლის გარეთ, მაგრამ ყველანი ერთნაირად იყვენ გატაცებული მიეღოთ აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მოეპოებიათ სიმდიდრე და სახელი“.

ფრიჩე ბოჰემის სოციალურ ბუნებას შემდეგნაირად საზღვრავდა: „თავისი სოციალური ბუნებით ბოჰემა არის ინტელიგენტური პროლეტარიატი, და ამიტომ, როგორც ფართო სოციალური მოვლენა, იგი საკუთრივ დაკავშირებულია მე-XIX და მე-XX საუკუნოებთან, როდესაც განვითარებულმა კაპიტალიზმმა პროლეტარიზაციის (უკეთ, რომ ვსთქვათ პაუპერიზაციის) გზაზე დააყენა მნიშვნელოვანი ნაწილი წვრილი ბურჟუაზიისა, როგორც სოფლის, ისე ქალაქის, კერძოთ პროვინციის ქალაქების, რომელთაგანაც გამოსულნი უმთავრესად თავს იყრიდენ დიდი რაოდენობით სატახტო ქალაქებში, მიისწრაფოდენ უმაღლეს სასწავლებლებში, გაზეთების და ჟურნალების რედაქციებში, გამომცემლობებში, რომლებიც ხშირად დროებით და პერმანენტულად სცხოვრობდენ სიღარიბეში, იკრიბებოდენ კაბაკებში, იმყოფებოდენ ცოტა თუ ბევრათ მკვეთრ ოპოზიციაში ბურჟუაზიისადმი; ინტელიგენტური პროლეტარიატის მწერალთა და ხელოვანთა ნაწილი შეადგენს ბოჰემას“.

ბოჰემისათვის დამახასიათებელია: ანარქიული და ამორალური ფსიქიკა, პირადი პროტესტი მეშჩანურ ცხოვრების და ყოფის წინააღმდეგ, [illegible] ინსტინქტების პრიმიტი სინამდვილეზე, უდარდელ-უწესრიგო ცხოვრება, [illegible] [illegible]ვრული საარსებო საშვალებების უქონლობა და სხვ.

ბოჰემას ხშირად უჩვეულო მოქმედება ახასიათებს. ბოჰემა ყოველთვის ცდილობს, რომ სინამდვილე შესცვალოს დეკორაციით. ბოჰემა ალფონს კარრს ჰქონდა მხოლოდ ერთი ფარდაგი, რომელზედაც სცხოვრობდა და მუშაობდა, რომელზედაც იჯდა წითელი ხალათით და ფრთებ გაკეთებული წითელი ქუდით. ის თავის ოთახს ხშირად ასხვაფერებდა: ხან ღებავდა მას წითელფერად, ხან შავფერად. უკანასკნელ შემთხვევაში ოთახის კედლებზე იგი ჰკიდებდა ადამიანის თავის ქალას და ძვლებს, ქვეშაგების მაგივრათ სდგამდა ფარდაგზე კუბოს და ორ სანთელს. ამნაირად იგი ღებულობდა სახეს ხან მუსულმანის, რომელიც თითქო ფლობდა ოდალისკს და ხან ჩინელ მანდარინის. ჟერარ-დე-ნერვალმა მთელი თავისი თანხებით შეიძინა ერთი ძვირფასი მუხის ლოგინი, მაგრამ წვებოდა არა მასზე, არამედ იატაკზე, ფარდაგის ნაფლეთებზე, რადგანაც ფულები აღარ ეყო საწოლის სხვა მორთულობისათვის. თავისი ცხოვრება კი დააბრულა იმით, რომ თავი ჩამოიღრჩო ერთ ბნელ შესახვევში თავისი რომანით („ოცნება და ცხოვრება") ჯიბეში. პოლ ვერლენმა ლათინურ კვარტალში (პარიზში) ოქროს ლაქით შეღება დამტვრეული და უფეხო სკამები, ჟანგით დაფარული ლოგინი, დამტვრეული ყუთი და ტალახით დაფარული დანგრეული კედლები და სხვ.

უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ბოჰემა თავისი სურვილით და ბოჰემა აუცილებლობით გამოწვეული. პირველ შემთხვევაში ბოჰემა გადაქცეულია რაღაც „ეგზოტიურ" ქვეყნათ, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მატერიალურ სივიწროვით არის გამოწვეული.

სიმბოლიზმს, როგორც სკოლას, როგორც მიმართულებას გარკვეული პროგრამით, საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთში, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. მისი წარმომადგენლები არიან აქ: არტურ რემბო, სტეფან მალარმე, პოლ ვერლენი და სხვ.

საფრანგეთის შემდეგ სიმბოლიზმმა სხვა ქვეყნებშიაც ჰპოვა გამოძახილი. განსაკუთრებით ფართო ლიტერატურულ მოძრაობათ საფრანგეთის შემდეგ სიმბოლიზმი გადაიქცა რუსეთში. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებიდან გამოდიან უკვე რუსეთში სიმბოლისტები. რუსეთის სიმბოლიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვენ: დ. მერეჟკოვსკი, კ. ბალმონტი, ვ. ბრიუსოვი, ვ. ივანოვი, ა. ბელი, ა. ბლოკი და სხვ.

შედარებით დაგვიანებით, მაგრამ მაინც იპოვა სიმბოლიზმმა გამოძახილი ჩვენს მწერლობაშიაც. 1916 წელს გამოვიდენ ჩვენში სიმბოლისტები, რომლებიც თავიანთ თავს „ცისფერ ყანწელებს" უწოდებდენ.

„ცისფერ ყანწელებმა" პირველად შემოიტანეს საქართველოში ლიტერატურული სკოლის პრინციპები, მსგავსად დასავლეთ ევროპისა და რუსეთისა. მათი ლიტერატურული მოძრაობის პრინციპები სრულიად არ ჰგავდა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურულ დაჯგუფებებს ჩვენში. მეცხრამეტე საუკუნეში

საქართველოში არსებული დაჯგუფებები თავის ამოცანად ისახავდენ არა ვიწრო ლიტერატურულ საკითხებს, არამედ უფრო სხვას, უფრო ფართოს — სოციალურ-საზოგადოებრივ ხასიათის საკითხების გარკვევას. ისინი უმთავრესად კამათობდენ და მსჯელობდენ არა მხატვრული შემოქმედების ხასიათისა და მეთოდის შესახებ, არამედ სოციალ-ეკონომიური და საზოგადოების განვითარების საკითხების შესახებ. „ცისფერ ყანწელებმა" კი ყველა ეს საკითხები უგულებულჰყვეს და მხოლოდ ვიწრო ლიტერატურული საკითხებით განისაზღვრენ.

„ცისფერ ყანწელებმა" თავიანთი თეორიისა და მხატვრული შემოქმედების პროპაგანდისათვის შექმნეს საკუთარი პრესა. ეს იყო ჟურნალები: „ცისფერი ყანწელები", „მეოცნებე ნიამორები", "შვილდოსანი" და გაზეთი „ბარიკადი" და სხვ.

ამ პრესის ირგვლივ თავს იყრიდენ: გრ. როგაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, რ. გვეტაძე, კ. ნადირაძე, ს. ცირეკიძე, შ. კარმელი, ნ. მიწიშვილი, ს. კლდიაშვილი, შ. აფხაიძე და სხვ.

ჩვენში სიმბოლიზმი საფრანგეთის სიმბოლიზმის გავლენით აღმოცენდა (რომელიც უმთავრესად რუსეთის გზით გადმოდიოდა ჩვენში). თითქმის ყველა „ცისფერი ყანწელი" აღიარებს, რომ მათი სკოლის პრინციპების სათავეს ფრანგი სიმბოლისტები წარმოადგენენ.

„სიმბოლიზმი, როგორც სკოლა, დასავლეთიდან მოდის ჩვენში",—ამბობს შ. აფხაიძე (ჟ. „მეოცნებე ნიამორები"—1919 წ. თებერვალი.—წერ. „ქართული პოეზიის პერსპექტივები").

გრ. როგაქიძე სწერდა: „ქუთაისის დუქნები უცბად გადაიქცა პარიზის სალიტერატურო კაფეებად, სადაც არლნის ხმასთან და აუცილებელ „მრავალჟამიერთან" ერთად გაისმის საყვარელი სახელებიც: ედგარ პოე და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უალდი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ხოზე-მარია ერედია და ემილ ვერჰარნი, კონსტანტინე ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ვიაჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ანენსკი და ალექსანდრე ბლოკი და სხვ. (ჟურ. „Ars", 1918 წ. № 1. წერ. „Грузинский модернизм").

„საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე ხალხო, ეს მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდენ ჩვენი ლოთი ძმები—ვერლენი და ბოდლერი, მალარმე—სიტყვის მესაიდუმლე, და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი". (პ. იაშვილი „პირველი თქმა" ჟურ. „ცისფერი ყანწები").

გავეცნოთ, დავახასიათოდ თუ რა პროგრამით გამოვიდენ ჩვენში „ცისფერი ყანწელები", რა სამოქმედო გეგმა წამოაყენეს მათ?

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ცისფერი ყანწელები" მეტად ღარიბი არიან თეორეტიული ხასიათის მოსაზრებებით. ამიტომ მათი თეორეტიული მოსაზრებების სისტემატიზაცია არც ისე ადვილი საქმეა.

როგორ ესმოდათ „ცისფერ ყანწელებს" სიმბოლიზმის ბუნება საერთოდ?

სიმბოლიზმის განსაზღვრას, როგორც მას იძლეოდა რემი დე-გურ-მონი (რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ) „ცისფერი ყანწელებ[illegible]ულიად ლებულობენ“ (იხ. ტ. ტაბიძე, „ცისფერი ყანწებით„ [illegible] ცისფერ ყანწებში“).

ტ. ტაბიძე ახდენდა სიმბოლიზმის ბუნების გაგების დეტალიზაციას და ამბობდა: „ცისფერი ყანწები“, როგორც შკოლა თავის თავს ამტკიცებს ეროვნულად. ინდივიდუალიზმი, თავისუფლება შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც დღეს ქადაგებს ეს შკოლა საქართველოსათვის არ არი ახალი“ (იქვე. კურსივი ჩვენია. შ. რ.).

ვ. გაფრინდაშვილისათვის „რეალიზმი არის უხეში ანარეკლი სინამდვილის, სიმბოლიზმი კი არის ქმედითი ფერისცვალება ქვეყნიერებისა, როგორც ესთეტიურ ფენომენის, როგორც სიმბოლოსი, რომელიც მოითხოვს შთაგონებულ გამოცნობას“ (იხ. მისი წერ. „სტეფან მალარმე“, ჟურ. „მეოცნებე ნიამორები“ 1919 წ. აპრილი).

სხვა წერილში ვ. გაფრინდაშვილი განაგრძობდა: „ჩვენ არ გვიტაცებს ის, რაც პირდაპირი სახით გვევლინება—ჩვენ გვინდა ნიღაბი... ჩვენი ცხოვრება მახინჯი ანარეკლია მეორე იდეალური სამყაროსი, რომელსაც პლატონი ჩვენს პირველყოფილ სამშობლოს ეძახის“ (იხ. მისი „Terror antiquus“ ჟურ. „მეოცნებე ნიამორები“, 1921 წ. იანვარი).

შემდეგ „ცისფერი ყანწელები“ ახდენენ სიმბოლიზმის ცალკეულ დამახასიათებელ თეორეტიულ და პრაქტიკულ ხასიათის დებულებების დეტალიზაციას და პროპაგანდას. ისინი განსაკუთრებით ცდილობდენ ბოჰემა, ბოჰემური თეორიები წამოეწიათ პირველ პლანზე.

„დღევანდელი პოეზია შეჰქმნა ბოჰემამ“ (ვ. გაფრინდაშვილი—წერ. „ბოჰემა“, ჟურ. „შვილდოსანი“ № 2-3, 1920 წ.)... „დღეს პოეზიას ქმნის ბოჰემა“ (ვ. გაფრინდაშვილი „Terror antibuus“ ჟურ. „მეოცნებე ნიამორები“—1921 წ. იანვარი).

ვ. გაფრინდაშვილი ცდილობდა მოენახა ჩვენში ბოჰემის სათავეები, რომლის ისტორიასაც იგი იწყებდა საიათნოვათი და შემდეგ ასახელებდა დ. გურამიშვილს, ბესიკს, მამია გურიელს, გრ. აბაშიძეს და აკაკის.

ვ. გაფრინდაშვილი განაგრძობდა ბოჰემის აპალოგიას და სწერს ლექსს „ბოჰემის მონოლოგს“, რომელშიც შემდეგი არის ნათქვამი:

სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა
გარდა თვითმკვლელობის!
არა მსურს ვიყო ვიკტორ ჰიუგო ან აკაკი.
მე მირჩევნია დავიღუპო როგორც ბოჰემა.
სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა
გარდა სიგიჟის!
არა მსურს ვიყო ბედნიერი, როგორც გოეტე.
მე მირჩევნია დავიღუპო როგორც როლლინა.
სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა
გარდა ჭლექისა!
დღეგრძელ მალარმეს მირჩევნია ისევ ლაფორგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა:
სიგიჟე, ბლეკი და თვითმკვლელობა.
სალამი შენ,—ტროტუარის პოეტო!
შენ ეკუთვნი თვითმკვლელობის დინასტიას
და შენი გვარი რაინდული არის—ლოზინსკი.
სამარცხვინოა პოეტისათვის დიდი წიგნები,
დიდი სიცოცხლე!
უთუოდ ჰქონდა ბუასილი, „ფაუსტის“ ავტორს.
მე ვესალმები დღენაკლულ პოეტებს,
მე მინდა კიდევ ჩამოვთვალო ეს სახელები:
ჟერარ დე-ნერვალ, მიერის როლლინა, ტომას ჩატერტონ,
ჟიულ ლაფორგ, ლოტრეამონ, კრისტოფორ მარლო.
გრიშა აბაშიძე!
კარიერა მარტოობის და ლოთობის:
გიჟი ედგარი ნახეს ქუჩაში
მთვრალი და მომაკვდავი,
და ესეც იყო—ხარაკირი.
მე მეჯავრება პოეტისათვის რამე ხელობა.
მისთვის ვიწამე სამუდამოთ ეს კარიერა
სიგიჟე, ბლეკი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა!
სიკვდილი იყოს ამ დუელში შავ ბარიერად!

საერთოდ სიმბოლიზმი აყენებდა ერთ დებულებას, რომლის აზრიც მდგომარეობდა იმაში, რომ ხელოვნებაში, ესტეტიკაში ფართო ადგილი დასთმობოდა სიმახინჯეს, მახინჯ სახეებს. სიმბოლისტების გაგებით სიმახინჯე თავისებური სილამაზეა და მწერლებმაც გულისყური მისკენ უნდა მიაპყრონ. „ცისფერი ყანწელებიც“ ურყევათ მიჰყვებიან სიმბოლიზმის ტრადიციებს. ისინიც აყენებენ თეორიას ხელოვნებაში სიმახინჯის შეჭრის შესახებ:

„სიმახინჯე გადაიქცა ახალი პოეზიის მთავარ თემად... პოეზია გვაგრძნობიებს მთელ პირობითობას ქვეყნისას და გვებადება სურვილი, რომ ეს მახინჯი ნილაბი გადავხადოთ მის უთქმელ ქვედაპირს. სიმახინჯე რეალობაა და მეტაფორაში იგი საშუალებაა მისტიური განცდის“, ს. ცირეკიძე—„პარალელები“, ჟურ. „მეოცნებე ნიამორები“, 1921 წ. იანვარი).

„სიმახინჯე ქმნის ახალ სილამაზეს... მახინჯი საშინელია, საშინელი კულტია თანამედროვე ხელოვნების... სინამდვილე თავისთავად მახინჯია—ლირიკა ამართლებს ამ სიმახინჯეს და მასში ნახულობს თავის იდეალს“ (ვ. გაფრინდაშვილი—„Terror antiquus“, ჟურ. „მეოცნებე ნიამორები“, 1921 წ. იანვარი).

„ცისფერი ყანწელები“ ყოველნაირად ცდილობდენ ქართულ ლიტერატურაში მოენახათ წინაპრები, მსგავსათ საფრანგეთის და რუსეთის სიმბოლისტებისა. ტ. ტაბიძე სწერდა: „...ბესიკი აგრძელებს რუსთაველის პოეტიკას. არ არის სხვა პოეტი, რომელსაც ისე გაეწმინდოს ლირიკული თემა, როგორც ბესიკს. მისი ლექსის კულტურა, მისი რითმის სიმდიდრე, მჭრელი ეპიტეტი, ნაჩრდილთა, ნიუანსების გამოხმობა, ენის მუსიკალურ ენერგიის ჯადოქრობა იმას აიყვანს ქართული სიმბოლიზმის მამათმთავრად, როგორც ფრანგმა სიმბოლისტებმა—აიყვანეს რონსარი და რუსებმა თ. ტიუტჩევი“ (წერ. „ცისფერი ყანწებით“, ჟურ. „ცისფერი ყანწები“). გადაჭრით უნდა ითქვას, რომ „ცის-

ფერ ყანწელთა“ პოეზია იმდენათ არის დაკავშირებული რუსთაველთან და ბესიკთან, როგორც თოკი დამბრჩვალი ადამიანის ყელზე. ბესიკის „ცისფერ ყანწელებს“ ასევე თამამად შეეძლოთ დაესახელებიათ სხვა რომელიმე პოეტი და ისეთივე „არგუმენტაცია“ მიეცათ მისთვის, როგორც ეს ბესიკის მიმართ მოახდინეს. მაგრამ საბოლოოთ მაინც ერთი რამ ცხადია: სიმბოლისტურ პოეზიას ქართულ ლიტერატურაში არასდროს არ ყოლია თავისი წინაპარი, თავისი მამათმთავარი. ცალკეულ, უმნიშვნელო პოეტურ შეხვედრათა საფუძველზე არ შეიძლება ხელოვნურად სხვადასხვა სისტემების დაკავშირება. „ცისფერი ყანწელები“ კი სწორედ ამას სჩადიოდენ.

მაგრამ უფრო დიდ კურიოზამდე „ცისფერი ყანწელები“ მიდიოდენ მაშინ, როდესაც, თვით ქართველი ხალხის ბუნებაში ეძებდენ საფუძველს სიმბოლიზმის აუცილებლობისათვის: „არის ნიადაგი ჩვენში სიმბოლიზმისათვის?—სვამდენ ისინი კითხვას და თვითონვე უპასუხებდენ,—ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების; რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არი. ამას ჩვენში ხომ დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა, ეს აქტიორობა და თეატრალიზაცია ცხოვრების. ეს ბუნება შეუსწავლელია ჯერ სრულიად. ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღაბის. ჩვენში მზადაა ნიადაგი მოდერნიზმისათვის“ (კურსივი ავტორისაა. შ. რ.) (იხ. ტ. ტაბიძე წერ. „ცისფერი ყანწებით“, ჟურ. „ცისფერი ყანწები“). ასეთი დიდი და მეტად „დამაჯერებელი“ არგუმენტებით ასაბუთებდენ „ცისფერი ყანწელები“ ჩვენში სიმბოლიზმის აუცილებლობას! „ცისფერი ყანწელები“ გარკვეულად ილაშქრებდენ იმის წინააღმდეგ, რომ ხელოვნება, მხატვრული მწერლობა გამოსულიყო საზოგადოებრივ ურთიერთობის აქტიური მონაწილე. მათ წამოაყენეს თეორია ხელოვნების თვითმიზნობისა, თეორია—ხელოვნება ხელოვნებისათვის. ჩვენი მესამოციანების შესახებ ერთ-ერთი „ცისფერი ყანწელი“ სწერდა: „...იყო გამარჯვება სრული „თერგდალეულთა“, მაგრამ ეს იყო დამარცხება მთელი შემდეგი ხელოვნებისა. ამ დღეიდან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული. ამ „ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად. რუსთაველის და ბესიკის პოეზიის თვით მიზნობას იმათ უპასუხეს ცნობილი ფორმულებით. ილია ჭავჭავაძემ სამუდამოთ დასწყევლა „ფრინველი გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“. აკაკი წერეთელი ათას ხვრელს იტოვებდა პოეტის დანიშნულებაზე; პოეტი მისთვის ხან „უზრუნველი პეპელა“ იყო, ხან „გარემოების საყვირი“. აკაკი წერეთელმა „გარემოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა. ყველა ეს ლექსები ბანკის ოპოზიციაზე და ბანკის ადვოკატებზე დარჩება, როგორც პოლიტიკური სატირის არა ნიჭიერი ნიმუშები“ და სხვ... (იხ. ტ. ტაბიძე—იქვე).

საკითხი ხელოვნების საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დამოკიდებულების შესახებ—მეტად დიდი და საყურადღებო საკითხია. ჩვეულებრივათ მას ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე შინაარსით სწყვეტდენ. ერთი მიმართულება ამბობს: ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას, ხელოვნება ხელს უნდა უწ-

ყობდეს ადამიანთა შემეცნების განვითარებას და სხვ. მეორე მიმართულება საწინააღმდეგო შეხედულებას აყენებს და ამბობს: ხელოვნება თავისთავად მიზანია. მას არ შეიძლება მივაკუთვნოთ რაიმე საზოგადოებრივი ფუნქცია. პირველ შეხედულებას ჩვენში ხელოვნების შესახებ იზიარებდენ „თერგდალეულები", „მესამოციანები", მეორე შეხედულების აპოლოგეტებათ კი როგორც დავინახეთ გამოვიდენ „ცისფერი ყანწელები". ეს უკანასკნელნი თავიანთი თეორიით გარკვეულად დაუპირისპირდენ პროგრესიულ იდეებს, თავის დროის საზოგადოებრივობას.

გ. პლეხანოვი სამართლიანად სწერდა: „მისწრაფება ხელოვნება ხელოვნებისათვის აღმოცენდება იქ, სადაც არსებობს განხეთქილება ხელოვანსა და გარეშე საზოგადოებრივ წრეს შორის". სწორედ ასეთი განხეთქილება ჰქონდათ „ცისფერ ყანწელებს" თავის დროის საზოგადოებრივ მოწინავე იდეებთან. ისინი თეორიას ხელოვნება ხელოვნებისათვის არა რაიმე მოწინავე იდეების და შეხედულებების გულისათვის აყენებდენ, არამედ გარკვეული რეტროგრადული, რეაქციონური მიზნისათვის...

ამ სახით მოხდა ქართული სიმბოლიზმის გამოსვლა. ამ სახის პროგრამა წამოაყენეს მათ.

როგორ შეხვდენ ჩვენში „ცისფერ ყანწელების" გამოსვლას?

„ცისფერ ყანწელების" გამოსვლას ფართო საზოგადოებრივობა და კრიტიკა მეტად უარყოფითად, მტრულად შეხვდა თავიდანვე. განსაკუთრებით მძაფრად მათ თავს დაესხა მარქსისტული კრიტიკა. ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგები მოვლენა იყო. „ცისფერ ყანწელთა" შეხედულებები მიუღებელი იყო მოწინავე იდეების მატარებელი წრეებისათვის. „ცისფერი ყანწელები" თავიანთი თეორიით და მასზე აშენებული შემოქმედებით იდეიურათ ასრულებდენ რეაქციონურ როლს, გამოდიოდენ რევოლუციონურ საზოგადოებრივობის წინააღმდეგ ინდივიდუალიზმის გულისათვის.

ფ. მახარაძე შემდეგნაირად ახასიათებდა „ცისფერ ყანწელების" პირველ კრებულებს და იმ საფუძველს, რომელიც ხელს უწყობდა სიმბოლისტურ-დეკადენტურ მწერლობის წარმოშობას ჩვენში: „ყოველგვარი სიდუხჭირე და მავნე მოვლენა კერძო თუ საზოგადო ცხოვრებაში, ცოტათ თუ ბევრათ ფართო ნიადაგს პოულობენ ისეთ მომენტებში, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფრთებს შლის და ძლიერდება რეაქცია. რეაქცია მარტო პოლიტიკურ სფეროთი კარი კმაყოფილდება, პოლიტიკიდან იგი გადადის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და ყველგან არევ-დარევას, საერთო დაცემას და გახრწნას იწვევს, ვინაიდან საზოგადოების ყველა ნაძირალებს, ყველა ზნეობრივათ და გონებრივათ მახინჯ ელემენტებს რეაქციის მეოხებით საშუალება ეძლევათ თავისუფლად ითარეშონ. რეაქციის დამლუპველი გავლენა ვერ ასცდა, რა თქმა უნდა ლიტერატურასაც. ლიტერატურა ხომ საზოგადოებრივი ცხოვრების სარკეა, და აი, რეაქციონური ხანის სიტყვა-კაზმული მწერლობა—ბელეტრისტიკა და პოეზია—საშინლად დაეცა და გახრწნილების გზას დაადგა. დეკადენტობა, მოდერნიზმი და ფუტურიზმი,—აი რა სახით მოგვევლინა ჩვენ ლიტერატურულ ზნეთა და ტრადიციების დაცემა და გარყვნა საერთოდ მთელ რუსეთში და კერძოთ ჩვენშიაც.

ამნაირათ გრიშაშვილ-იაშვილების და რობაქიძეების მოვლენები ქართულ ლიტერატურაში მჭიდროთ დაკავშირებულია... რეაქციის გამოხატვა ... ბნელი ძალების ღვიძლი შვილებია და ამავე ძალებს ემსახურებიან და გუნდრუკს უკმევენ". აქ თუმცა მეტად მძაფრად, მაგრამ ძირითადში სწორად არის მოცემული „ცისფერ ყანწელთა" სოციალური საფუძველი.

ზევით ჩვენ სიმბოლიზმი განვსაზღვრეთ, როგორც დეკადანსის გზაზე დამდგარ კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ ქვეყნის განწყობილებების გამომხეურება. საერთოდ სიმბოლიზმის სოციალური საფუძვლების ასეთი დახასიათება მართალია, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში კორექტივს მოითხოვს. ჩვენი აზრით, ძნელია მთელი ქართული სიმბოლიზმი—in corpore—მივაკუთვნოთ „კაპიტალიზმის მომღერლებს". უდავოა, რომ ქართველი სიმბოლისტების, „ცისფერი ყანწების" ობიექტიური როლი განსაკუთრებით რეაქციონურია, მაგრამ ამით მაინც არ შეიძლება ითქვას, თითქოს ინტელიგენციის ეს ჯგუფი განსაზღვრულათ და გარკვევით ბურჟუაზიული იყოს, ე. ი. უშუალოდ იყოს შეკავშირებული მსხვილ ბურჟუაზიასთან. საქართველოს სინამდვილეში საჭიროა ამ დებულების დეტალიზაცია, არსებითად უნდა გავითვალისწინოთ ის სოციალური ჯგუფები, რომელნიც შეიქმნა ამ სკოლის ნამდვილი საფუძველი ჩვენში.

„ცისფერი ყანწელები" უმთავრესად გამოსული არიან წვრილი-ბურჟუაზიიდან. მათთვის დამახასიათებელია ინდივიდუალისტური და ანარქიულ-ბოჰემური განწყობილებანი. ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციას კურსი ჰქონდა აღებული დაკავშირებოდა მსხვილ ბურჟუაზიულ ფენებს, მოქცეულიყო მათ ორბიტში და მათი განწყობილებები გადმოეცა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ცისფერ ყანწელთა" შემომქმედებს არ ჰყოლია არასდროს ფართო მკითხველი მასები. მისი მკითხველი უმთავრესად ინტელიგენციის ზედა ფენებში იყო და ისიც მეტად უმნიშვნელო რაოდენობით. მკითხველთა უმეტესობა, თვით ინტელიგენციიდანაც გატაცებული იყო ერთის მხრივ აკაკით, ილიათი, ყაზბეგით, რუსთაველით და მეორეს მხრივ დემოკრატიულ-რევოლუციონური მწერლობით.

საერთო დასკვნა ეხლა სიმბოლიზმის შესახებ ჩვენს მწერლობაში:

სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული მოვლენა არასდროს არ ყოფილა პროგრესიული იდეების მატარებელი მწერლობა. სიმბოლიზმი ასრულებდა დაღმავალი კლასის სოციალურ შეკვეთას. ამით აიხსნება, რომ იგი დეკადანსური მწერლობა იყო.

რომ დავახასიათოდ სიმბოლიზმის ცალკეული შემადგენელი მომენტები, ამისათვის შემდეგი უნდა აღინიშნოთ: ბოჰემა, ბოჰემური განწყობილებები არის მეტად მავნე და რეაქციონური მოვლენა, რომელიც ხრწნის ლიტერატურულ ატმოსფეროს თავისი ინდივიდუალიზმით, თავისი სოციალური და მორალური უდისციპლინობით, ხელოვნების ორგანიზაციულ ფუნქციის უარყოფით და სხვ.

თავისი წარმოშობის და განვითარების პირობების მეოხებით „ცისფერი ყანწები" გარდა იმისა, რომ ატარებდა რეაქციონურ იდეოლოგიას, აგრეთვე უარყოფითი გავლენაც ჰქონდა ქართული ლიტერატურის ისტორიულ განვითარებაზე. აბსტრაქციული და ფანტასტიური განვითარება თემის, მისწრაფება მის-

ტიურ სახეებისადმი და განწყობილებებისადმი, გადაჭარბებული იმპრესიონისტული წარმოდგენები, რის გამოც ლექსი ბოდვის და ფანტასტიკის ჩასაფრებულ ლებულობდა და მრავალი სხვა, რაც „ცისფერ ყანწელთა“ შემოქმედებას ახასიათებდა, არც ისე ადვილად დასაძლევი მემკვიდრეობაა ჩვენი ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

სიმბოლიზმის იდეოლოგიის ინდივიდუალისტური და მისტიური საფუძველი უცხოა თანამედროვე პროლეტარულ-კლასიურ შემეცნებისათვის, რომელიც რევოლუციონურ ქარიშხლების და პრაქტიკული სოციალური ამოცანების პერიოდში ყალიბდება.

სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება ჩვენში უკვე მოკვდა. დარჩენ მხოლოდ ერთეულები, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

პ. მ. საყვარელიძე—„ეკლიან გზაზე", სახელგამი, 1931 წელი.

პ. საყვარელიძის წიგნი „ეკლიან გზაზე" პროლეტარულ ლიტერატურის წიმსვლისა და ზრდის მაჩვენებელია. დღემდე პროლეტარული მწერლობა მსუბუქი ჟანრის მოთხრობებზე და ლირიკული პროზის საფეხველზე ეყრდნობოდა. დღეს ეს მდგომარეობა საგრძნობლათ სწორდება. ამ პროცესის აშკარა შედეგს წარმოადგენს სარეცენზიო წიგნი—„ეკლიან გზაზე". ამ წიგნის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ფრიად სერიოზულ იდეოლოგიურად და მხატვრულად გამძლე ნაწარმოებთან, რომელშიაც ნათელი სახეებით ნაჩვენებია წარსულ ბრძოლების დიადი ეპოპეია. „ეკლიან გზაზე"—არ არის უბრალო გასართობად საკითხავი წიგნი. მის ფურცლებზე მრავალი საინტერესო მომენტია გადაშლილი, რომელსაც არ დასწრებია ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი თაობა მშრომელი ახალგაზრდობისა. ამ მასების აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს პროლეტარულ მწერლობამ.

„ეკლიან გზაზე" აქტუალური ნაწარმოებია. საერთოდ მხატვრული ფაქტის აქტუალურობა უნდა გაიზომოს არა მისი თემის ქრონოლოგიით, არამედ მისი იდეოლოგიური რაობით. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ზემოხსენებული ნაწრამოების სახით ჩვენ საქმე გვაქვს პროლეტარულ ლიტერატურის ახალ მიღწევასთან. ამ ნაწარმოებს აქვს თავისი ნაკლულოვანებები, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა იგი მთელი დიალექტიური მრავალმხრივობით, სისრულით და მთლიანად იძლევა რევოლუციონური ბრძოლის, ციხის, ძველი წყობილების და სხვ. სურათებს.

პ. საყვარელიძის წიგნის მთავარი თემა რევოლუციონერის ფსიქოლოგიის და მოქმედების გადმოშლაა. ეს თემა იშლება უმთავრესად ციხის ფონზე. ჩვენ ეფიქრობთ, რომ ქართ. ლიტ-ში ციხის ასეთი სრული ჩვენება პირველი მაგალითია. ავტორი არ მისდევს უბრალო აღწერების ხერხებს, მან იცის ფაქტების დიალექტიური დალაგება. წარსულის რევოლუციონური ბრძოლის მხატვრული ჩვენების საკითხში ძლიერ მრავალმა მწერალმა განიცადა მარცხი; ასე არ არის ამხ. საყვარელიძის წიგნში. ამ წიგნის შეფასებაში არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს.

„ეკლიან გზაზე" ჟანრის მხრივ სოციალურ ბრძოლის ეპოპეიაა, პოლიტიკური რომანია. მისი მთავარი გმირი—ალექსი ბოლშევიკურ პარტიის წევრია. წიგნში კარგადაა ნაჩვენები მენშევიზმის ოპორტიუნისტული გაბრწნის პროცესი 1905 წლის რევოლუციის შემდეგ. ალექსი—აქტიური მებრძოლია. ის იცნობს ცხოვრებას, იცნობს არა წიგნებიდან, არამედ ცოცხალი მასალებით.

„— თუ უკან მოიხედოს, კონდახი მიაყოლე, თუ გვერდზე გადაუხვიოს ხიშტი ჩასცხე, თუ გაქცეს> მოინდომოს ტყვია გამოაკიდე—ტყვია დაეწევა" (ეკლიან გზაზე", გვ. 16) ასეთი იყო ჟანდარმების მთელი ფილოსოფია. ამ მდგომარეობის მთელ სიმწვავეს განიცდის მთავარი გმირი—ალექსი. ის მტკიცე რევოლუციონერია, მაგრამ გარემოს კოშმარული პირობები ახდენენ მასზეც ზეგავლენას, თუმცა ვერ სძლევენ მის რევოლუციონურ ბუნებას. წიგნის წაკითხვის შემდეგ რჩება ნაწილობრივ ერთგვარი ფსიქოლოგიური მოქანცულობის შეგრძნება. ეს ბუნებრივიცაა ალექსისთვის.

რევოლუციონერისთვის ციხე „სენი იყო, რომელიც ყველას უნდა ენახა". ეს ერთგვარი უდიდესი გამოცდაც იყო. მონარქიზმის საზიზღარი იარაღი, რომელსაც ვერ უძლებდა ბევრი ადამიანი. ზის ციხეში ალექსიც, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი პირველ ხანებში არ იცის ჟანდარმერიამ და იგიც ილია ბარბაქაძის ყალბი პასპორტითაა ცნობილი. ციხეში ჯდომის დროს ალექსი მრავალგვარ ადამიანებს შეხვდება, ისინი გამოსულნი არიან სხვადასხვა სოციალური ფენებიდან და ზოგი მათგანი სრულებით შემთხვევითაა მოხვედრილი ციხეში. აი, მაგ., მათე ხუ-

ცესი, რომელიც ალექსის გვერდით ზის საპყრობილეში.

განსაკუთრებით მკვეთრადაა წამოყენებული სარეცენზიო რომანში რევოლიუციონურ ინტელიგენციის საკითხი. მოქმედების მანძილზე ჩვენ ერთის მხრივ ვხედავთ მუშა რევოლიუციონერებს, ხოლო მეორე მხრივ ინტელიგენტებს. რევოლიუციის და შემდეგ რეაქციის მსვლელობა ფრიად თავისებურ ზეგავლენას ახდენს ორივე წრეზე. ალექსის ციხეში ხვდება ტუსაღი ივლიანე. ეს უკანასკნელი ძლიერ უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე. არავითარ მონაწილეობას არ იღებს ტუსაღების „ცხოვრებაში", მათ „ხმაურში" და მოქმედებაში. მისავე საკანში მოათავსეს მეორე ტუსაღი—იაგორა, რომელიც თავის ბუნებით მთლიანად უპირისპირდება ივლიანეს. იაგორა ამავე დროს ფრიად საეჭვო პიროვნებაა. იაგორა ვერ ისვენებს, ყოველ წუთს „მხიარულობს", ხოლო სიცოცხლის ხალის დაკარგული ივლიანე სდუმს. ამ ამბების აღწერის შემდეგ ჩვენ ვეცნობით ალექსის გადაყვანას ციხიდან ქალაქის საკომენდანტოში დაკითხვის მიზნით: მოათავსეს პატარა ბნელ საკანში:

„დერეფანში სალდათი სდგას თოფით—ყარაულია.

არც იმას ეპალისება, ვატყობ აქ ატუბვა, მაგრამ..,

ს ა მ ს ა ხ ურ ი.

ფ ი ც ი.

ს ა ს ჯ ე ლ ი ს შ ი შ ი". („ეკლ. გზაზე" გვ. 36).

სალდათებიც ხომ მშრომელი ხალხის შვილები არიან, მონარქიზმის მიერ ძალით გაყვანილნი ძმათა საჟლეტათ. ამიტომ ბუნებრივია, რომ მათ კლასიური შეგნება უკარნახებს თბილ მოპყრობას რევოლიუციონერებისადმი, მაგრამ მოცემულ მომენტში, რეაქციის ხანაში მათი კლასიური შეგნება სავსებით ჩახშობილია.

დაკითხვის შემდეგ ალექსი უკანვე გადაჰყავთ მეტეხის ციხეში. ამ დაკითხვის დროს ჟანდარმერიამ სხვადასხვა ხერხებით შესძლო ალექსის ნამდვილი ვინაობის გაგება. შემდეგში ალექსისათვის მთლიანად ნათელი ხდება იაგორას საეჭვო საქმეები. ივლიანე, რომელსაც უკვე დაკარგული აქვს სიცოცხლის ხალისი, კვდება საპყრობილეში სალდათის ტყვიით. მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეების ტრაგედია იშვიათი სიძლიერითაა მოცემული ამხ. საყვარელიძის რომანში.

„—ხალხო—იძახის მომაკვდავი ივლიანე—სიკვდილს სად ყიდიან, აქ? სიკვდილი მომყიდეთ, ა —შენ სალდათო კარგად დამიმიზნე" და სხ.

ასე ლაპარაკობს ნახევრად გონებაგადაკარგული ივლიანე და საშინელ ტანჯვაში კვდება.

ვინ იყო ივლიანე?

ივლიანე რკინისგზელი მუშის შვილი იყო. მამამ აღსაზრდელათ და სწავლის მისაღებათ რუსეთში გაგზავნა. იქიდან დაბრუნდა 905 წლის რევოლიუციის დასაწყისში. თან მოჰყვა ახალგაზრდა ქალიშვილი მათიკო, რომელთანაც ერთად მან დაიწყო აქტიური რევოლიუციონური მუშაობა. ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ დაარსებული ბომბების კონსპირატიული სახელოსნოს მთელი მუშაობა მათ ხელზე გადადის. ამ სახელოსნოს საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშა ფიდოც. მათიკოს მსუბუქი საქციელის წყალობით სახელოსნოს არსებობა ჟანდარმების ყურამდე მივიდა, მთელი მუშაობა ჩაიშალა და ივლიანეც დააპატიმრეს.

საპყრობილეში ალექსი სხვა ადამიანებსაც ხვდება. ერთი ამათგანი—ნიკიფორეა, რომელიც ახერხებს გაპარვას, მაგრამ ჯაშუშების შემწეობით პირველ შემთხვევისთანავე მიხანს ვერ აღწევს. ნიკიფორეს ამბავთან დაკავშირებულია ეთერის სიყვარული ალექსისთან. საერთოდ მთელი რომანის სიუჟეტური აგებულობის გაცნობა რეცენზიაში ძნელია. ამიტომ ჩვენ ვერ შევეხებით ხსენებულ ნაწარმოების ყველა ფაბულარულ მომენტებს.

მეტეხის ციხიდან ალექსი საგუბერნიო ციხეში გადაჰყავთ. იქ იგი ხვდება ერთ კურიოზს: ფოსტის ჩინოვნიკების „თბილ" ოჯახს ციხეში. აქაც არ აჩერებენ მას საბოლოოდ, გადაჰყავთ სხვადასხვა ციხეებში.

ამ ხანებში ალექსი ხვდება მეწყვიკების მთელ წყებას, რომელნიც სავსებით დააბნია და გადაგვარების გზაზე დააყენა რეაქციამ. ასეთია მაგ. „ზარნაშო", რომელიც საძაგელ სულმდაბლობამდეა მისული.

პ. საყვარელიძის წიგნში კარგათაა ნაჩვენები მთელი რიგი ტიპებისა, სოციალური მოვლენებისა. სარეცენზიო წერილში შეუძლებელია ყველა მათი დეტალური განხილვა. ერთი კი უთუოდ უნდა აღინიშნოს: ჩვენ ვლაპარაკობთ პ ო ო ფ ი ლ ე ს შესახებ. ეს საშინელი ამბავი იშვიათი დამაჯერებლობითაა ნაჩვენები. ქართულ ლიტერატურის ისტორიაში ასეთი ეპიზოდები არაა ძლიერ ხშირი.

პოორფილეს წამება, მისი საშინელი ცხოვრება, ბავშვობიდან სიკვდილის კარამდე მხოლოდ სიბნელე და ტანჯვა—ფრიად დამახასიათებელი მოვლენა იყო რევოლიუციამდე მშრომელი მასების ცხოვრებაში.

სარეცენზიო წიგნი ციხის ჩვენებასთან ერთად იძლევა მშრომელი მასების რევოლიუციონური ავჯანყების სახესაც. ეს უკანასკნელი ალექსის მოგონების სახითაა გადმოშლილი რომანში. ამ საკითხშიაც ავტორი სწორად მიუთითებს რევოლიუციის კლასიურ მიზეზებზე.

სარეცენზიო წიგნი გაგრძელებაა ავტორის „დაფანტული ფურცლებისა". ამხ. საყვარელიძის თხზულება სასარგებლო და საინტერესო წიგნია. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მხატვრული სტილის მხრივ საყვარელიძე ჭოლა ლომთათიძეს მიმდევარიაო, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს არ არის მართალი. ჭოლა ლომთათიძე პირველ რიგში ლირიკოსი იყო, რომლის მოთხრობებში რევოლიუციით დაღლილი ინტელიგენტი უფრო იცნობოდა, ვიდრე მტკიცე მებრძოლი. პ. საყვარელიძე პირიქით, ეპიური სინარტივით შლის ძველი წყობილების საშინელ სურათებს და ამავე დროს რაშმავს მკითხველის განწყობილებას ძველი ქვეყნის წინააღმდეგ. პ. საყვარელიძეს, როგორც ბოლშევიკური მსოფლმხედველობის მწერალს ეხერხება მიცვლილების დიალექტიკაში გარკვევა. ამ უკანასკნელი—ცვლილების გარეშე პროლეტარული მწერლის მუშაობა არადამაკმაყოფილებელი იქნება.

„ეკლიან გზაზე" —არის ვრცელი ეპიური ნაწარმოები. ამ წიგნში არაფერი ზედმეტი არ არის. ავტორი არ მისდევს რიტორიულ მსჯელობებს, ის მხოლოდ კონკრეტიულ ფაქტებს გვიჩვენებს, რომელნიც მას მოჰყავს გარკვეულ მთლიანობაში.

მშრომელი აბალგაზრდობა, მუშურ-გლეხური მასები უნდა გაეცნონ ამ ნაწარმოებს. იგი პროლეტარულ მწერლობის ზრდის და აბალ საფეხურზე გადასვლის მაჩვენებელია.

ფსიქოლოგიური მომენტები მჭიდრო კავშირში იმყოფება ნაწარმოების ცენტრალურ სოციალურ ხერხემალთან. ეს ასეც უნდა იყოს.

ამხ. პ. საყვარელიძის წიგნი „ეკლიან გზაზე" კარგადაა გამოცემული.

გ. ნატროშვილი.

ბელა ილეშ—„ტისა იწვის". თარგმანი ნ. მესხის. სახელგამი. 1931 წ.

მიუხედავათ იმისა, რომ დასავლეთის ქვეყნების ბურჟუაზია გასაქანს არ აძლევს პროლეტარულ მწერლობას, იგი მაინც ვითარდება. პროლეტარული მწერლობა კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნების ზრდასთან ერთად იზრდება. დასავლეთის ქვეყნებიდან საკმაოდ ძლიერია გერმანიის და უნგრეთის პროლეტარული მწერლობა, რომელთა წარმომადგენლობის მნიშვნელოვან ნაწილს პერსონალურად ემიგრანტული ცხოვრება უხდება.

ბ ე ლ ა ი ლ ე შ ი უნგრელი ემიგრანტია, რომელიც რამდენიმე წელია, რაც საბჭოთა კავშირში ცხოვრობს. იგი უკვე კარგა ხანია, რაც სამწერლო მუშაობას ეწევა. მის შემოქმედებას ახასიათებს რევოლუციონური პათოსი და პროლეტათულ-კომუნისტური თვალსაზრისი.

ყველაზე მნიშვნელოვანს და საუკეთესო მის ნაწარმოებს წარმოადგენს რომანი „ტისა იწვის", რომლის ორი ნაწილიც უკვე გამოქვეყნებულია.

„ტისა იწვის" წარმოადგენს თავისებურ ეპოპეას უნგრეთის პროლეტარული რევოლუციისა, მისი დასაწყისიდან ტრაგიკულ ბოლომდე.

რომანის გმირათ — უკეთ ვსთქვათ არა გმირათ, არამედ მოვლენების მოწამედ და მონაწილეთ მწერალმა რიგითი პარტიული-კომუნისტი გამოიყვანა და გაატარა იგი რევოლუციონური ბრძოლის ყველა ეტაპები—დაწყებული არალეგალური მუშაობიდან ჯარისკაცებსა და სატუსაღოში, ნაციონალ-დემოკრატიულ რევოლუციისა, პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების ჩაგდების, ჩეხო-სლოვაკიასთან და რუმინიასთან ომში და დასასრულ პროლეტარულ რევოლუციის დამარცხებამდე, როდესაც მას მოუხდა ემიგრანტობა. ეს გმირი არის პეტრე კოვაჩი.

პეტრე კოვაჩი არ არის რომანის გმირი ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ვინაიდან მას არ აქვს თავისი პირადი ბედი. მისი ბედი—ეს თვით რევოლუციის ბედია.

„ტისა იწვის" უაღრესად სოციალური რომანია. მასში ფართოდ არის მოცემული რევოლუციონური ბრძოლა, მასების გმირული თავგანწირვა პროლეტარიატის საქმისათვის და სხვ.

უნგრეთის რევოლუციის მრავალი დამახასიათებელი მომენტი ორგანიულათ და მხატვრული დამაჯერებლობით არის მოცემული რომანში.

მხატვრულად „ტისა იწვის" კარგათ არის დაწერილი.

საერთოდ „ტისა იწვის" გვიჩვენებს, რომ დასავლეთ ევროპის პროლეტარულ მწერალთა აქტივს ბელა ილეშის სახელით ჰყავს უაჭველად

ძლიერი მხატვრული სიტყვის ოსტატი, რომელიც თავის შემოქმედებაში აერთიანებს მხატვრულ უნარიანობას და რევოლუციონურ შინაარსს.

რაც შეეხება თარგმანს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის დამაკმაყოფილებელი. თითქმის ყოველ გვერდზე შეხვდებით ბაძალდაგათ გაკეთებულ სტრიქონებს, წინადადებების არა სწორ დალაგებას და სხვ.

ხ. კ.

სარედაქციო კოლეგია:

- ი. ვაშაყმაძე
- გ. დევდარიანი
- ს. ეული
- შ. რადიანი
- გალ. ტაბიძე
- ტ. ტაბიძე
- ს. ჩიქოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პ ო ე ზ ი ა

		გვ.
1.	პაოლო იაშვილი—ცხოვრება ალიოშა ჯაფარიძესი	3
2.	გიორგი კაჭახიძე—საბჭოთა პური	6
3.	კალე ბობოხიძე—პირველი მარცვლები	11
4.	ვ. რუხაძე—სამი ლექსი	12
5.	ალ. გომიაშვილი—მაშინ სიმღერაც უნდა ჰგავდეს კლდეების ხლეჩას	14
6.	ს. თავაძე—ბაქოს პროლეტარიატს	16
7.	იოჰანეს ბეხერი—დიადი გეგმა (თარგმანი ტიც. ტაბიძისა)	19

პ რ ო ზ ა

8.	ალ. ქუთათელი—განთიადის წინ	24
9.	დემნა შენგელაია—ბათა ქექია	48
10.	მიხეილ ჯავახიშვილი—არსენა მარაბდელი	101
11.	ს. თალაკვაძე—ახალი აზვირთება	142

კ რ ი ტ ი კ ა, პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა დ ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

12.	გ. ნატროშვილი—ლიტერატურის მეცნიერების საკითხები	179
13.	შალვა რადიანი—უახლოესი ქართული მწერლობის გზები	195

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

14.	გ. ნატროშვილი:—პ. მ. საყვარელიძის—„ეკლიან გზაზე“	209
15.	ს. კ.:—ბელა ილეშ—„ტისა იწვის“	211

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეცდომების გასწორება

პაოლო იაშვილის ლექსში „ცხოვრება ალიოშა ჯაფარიძესი“ (გვ. 3. პირველი ტაეპის მეოთხე სტრიქონში, ზევიდან ქვევით) დაბეჭდილია „რამაც ხალისი ამოათავა“, მის მაგივრად კი უნდა იყოს: „რამაც ხანდახან დამაზანტავა“.